ეროვნული ბიბლიოთეკა

მ ო ა მ ბ ე

თვიური ჟურნალი

წელიწადი მეთორმეტე

№ III

მარტი, 1905

ტფილისი
ადმინ. ეროვ. ბიბ. ანაბეჭდი ტიპ. ეროვ. ინა. T—ka.
1905

თბილისის სახელმწიფო ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

Дозволено цензурою. 3 мая, 1905 г. Тифлисъ.

ეროვნული
ბიბლიოთეკ

შინაარსი

	გვ.
I—საფლავის ძვაზე.—ვ. ბარნოვისა . . .	1
II—დანაშაული და სასჯელი.—რომანი ექვს ნაწილად თ. მ. დოსტოევსკისა, ნაწილი მეორე, თავი I—II. თარგმანი ინ-ანისა	14
III—საქართველოს ეკკლესია და მისი დასაწყისი—თავი I—II.—ს. გორგაძისა	1
IV—თანამედროვე შვეიცარია.—ბ. ბერლინისა, დასასრული—თარგ. მ. ნინიძისა	45
V—ცხოვრება და ღვაწლი თავ. გრიგოლ ორბელიანისა.—თავი XX, დასასრული—ი. მეუნარგიასი	58
VI—ექიმის დანიშნულება.—თარგმანი ივ. მაჭავარიანისა	71
VII—ნარევი.—1) ქვეყანა დიდია.—2) ამერიკული მწერლობა.—3) გაფიცვის ნაყოფი.—4) ვიანგარიშოთ.—5) შეიძლება ამ ჟამად სწავლის დაწყება?—6) მეცნიერული ჭეშმარიტება და საზოგადოებრივი წინმსვლელობა.—7) ომსა დიდი ცომი უნდა, ულეველი საფანელი.—8) დაკანონება უკანონობისა .	81

(იხილე მე-2 გვერდი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

VIII—**შინაური მიმოხილვა.**—საერთო ხასიათი მდგომარეობის.—14 აპრილის განმარტება.—ეროვნების დევნა, როგორც ერთ-ერთი მიზეზი ეხლანდელ მოძრაობისა საქართველოში.—კავკასიის ნამესტნიკის გრაფ ი. ი. ვორონცოვ-დოშკოვის გეგმა.—აგრარიული კითხვა.—თავად-აზნაურთა საგანგებო კრებები.—ავტონომია და „დასელები" . . 91

IX—**უცხოეთის მიმოხილვა** 113

დამატება:

X—**მინერალური ქიმია.** — ს. **კლდიაშვილისა** . 64 – 80

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფლავის ქვაზე

I

ცრემლი ხომ მწუხარების ნიშანია, მაგრამ ისიც სამკაულია მადლიან სახეზე. ციმციმებს ცვარი ცრემლისა ტურფად ახრილ წამწამზე, თრთის, კამკამებს; ჩამდგარა ცვარი ცრემლისა ბროლის რამ საგუბარში და თვალთა ნაპერწკალი ელვარებს მასში; მარგალიტათ აგორებულა ცვარი ცრემლისა ეშხით გაღვიებულ ლოყაზე და ზოგან შერჩენია ზედ, მოწყვეტა დაჰნანებია: ჰსურს ზედ შეაკვდ-შეაშრეს.

ესეთი სახე კორდია ყვავილთა, გაზაფხულის ყვავილთაგან შეთხზილი კორდი, ნამ ნაბკურები, დაცრემლილი.

— რა ძალიან მომწონს ხორცის მშვენება?

— რატომაც არ ვაქებ! ნივთიერი ვარ, ხორციელი, ღვთით ჯე დედამიწაზევე მიდგა ფეხი და თაყვანსა ვცემ ნივთში მომწყვდეულ უკვდავ სიტურფეს. სული! სული! რა იცი, რომ სული იგივე, ხორცი არ არის, მხოლოთ წმიდა, განსპეტაკებული, ჰაეროვანი, გამშვენებული, ნათელქმნილი? ძალიან იცი?!

ძლიერ ნორჩიც იყო იგი დაცრემლილი სახე მარეხისა! სრულიად უდროვო იყო ამ ქალისთვის ძაძა, სამგლოვიარო მორთულობა. სულაც არ შვენოდა ფეხ-მორთხმული ჯდომა შავ-ბნელათ მობურულ დედაბრებში. რა იმათი სწორი იყო ნორჩი მარეხი და ტოლი, რომ შუაში ჩაესვათ და ატირებდნენ! გვრიტი ყვავებში?! მის სახის გამომეტყველებას ჯერ ბავშური იერი არ დაჰკარგოდა, ბაგეზე ჯერ ნორჩი სი-

ეროვნული ბიბლიოთეკ

ნაზე არ შესჭკნობოდა და რა დროს მისი ქვრივობა იყო, ქვრივ-ოხრობაზე ფიქრი?!

აკი უფრო განკრთომა აღბეჭდოდა მგლოვიარეს თვალებში, სინამ ურვა და მწუხარება.

შავ თავსაფარიდან ჯერეთ გაუხუნებელი, ფერ-უცვლელი, ხასხასი, კულულები გამოჰშლოდნენ და თავ-საფარში თუმცა ქალი მალმალ აწყობდა მათ, მანდილშივე ალაგებდა: არა გლოვობდნენ ცელქები, ვერ შეეგნოთ, რა იყო დარდი! ქალის ნაზ კან ქვეშ ჯერ დაუდუღელ სისხლის ჩქეფასა ვგრძნობდი. ან ჯერ რადროსი იყო მისი სავსე მკლავების და ბროლის ხელების მწუხარებით გულზე დაკრებ-დალაგება? არა! არა! მთელი ბუნება ამ ახალი ქვრივისა ეწინააღმდეგებოდა მისადმი მისულ უბედურობას, მის შავ-ბნელათ დადებას, მის გარიყვას ქაფქაფ ცხოვრებიდან.

ხმაც ვერ ემორჩილებოდა ახალგაზრდა ქვრივს, დარდით მოცულს და უიმედო კილოს ვერ იღებდა.

— ჰო, შვილო, დედას მოახსენე, რაც გითხარი! სცადა ქვრივმა ოხრული ხმით ეთქვა მოახლისათვის, მაგრამ ყურმა მის ხმაში სამგლოვიარო კილო ვერ შენიშნა: ახალი რამ ხმა გამოხდა დაუჟღლელი, წკრიალა, საალერსო სიტყვებისთვის მოწყობილი, ხოლო სიტყვა „შვილო“, ნორჩი ქმნილებისაგან თქმული, ღიმილს-ღა ჰგვრიდა მსმენელს.

არა! მარეხი ჯერ სიცოცხლისაკენ მიისწრაფოდა, თვით სიცოცხლე იყო ის და არაფერი საერთო აღარა ჰქონდა მას ამ უძრავათ მდებარე ჩალურჯებულ კაცთან, რომელსაც მის ქმარს ეძახდნენ, საბრალო ალმასხანს: ამას ცხოვრებისათვის ზურგი შეექცია და გაციებულიყო, მარეხის ძარღვებში კი ჯერ ძლიერადა სცემდა ცხოვრების ტალღა, დუღდა, ჰლევლავდა, მხურვალე ნაშხეფს აფრქვევდა გარშამო.

II

დიაღ, ალმასხან ქმარი აღარ იყო მარეხისა, ვილაც უცხო იყო, გამრიელი, რომელიც აგერ უბედოთ გადაჰლო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბებოდა წინ, უშნოთ გადაჰხირებიყო ცხოვრების გზაზე ვეებერა რამ სათარივით და შეეგუბებინა მისკენ მოჩანჩქარე ნაკადი ლხენისა. იგი ქმარი კი არ იყო ქალისა, მეუღლე და მფარველი, არამედ მოღალატე იყო, რომელმაც ესე მუხთლად დაუხშო მას კარი კეთილისა, დაუსხა კერაზე წყალი, ჩაუგდო კოვზი ნაკარში, მოაკლო მხიარულებას, წარსტაცა ფიალა ყოველ გვარის სიამისა, ძაძით შემოსა ახალგაზდა ქალი.

— ან რომ მოკლა ეს საცოდავი? აკი სულ იმას მეუბნებოდა, საუკუნოთა მსურს შენთან ცხოვრება, მინდა შენთვის ვიცოცხლო, შენით ვისუნთქო, გავძღე შენის მზერითაო; შენით არის ყოველივე ჩემთვის გაბრწყინვალებული და სანეტარო, უშენოთ ბნელია ჩემთვის ქვეყანა და მოსაწყენიო; შენით აქვს ჩემ სიცოცხლეს ჰაზრიო. მისი ფიცი უბრალო რამ სიტყვა ყოფილა, ყალბი რამ დანაებედი!

დიაღ, ეს მიცვალებული აღარ არის მარეხის ქმარი ალმასხან, შორს არის ეს მარეხისაგან, შორს!

არც ადრე იყო ალმასხან მარეხის გულთან ახლო. არ იქმნა, ვერ ჩაჰკიდა ვაჟკაცმა ქალის გულს ხელი. ჰგრძნობდა ქალის გულის ცემას, ვერ კი ჩაეხედნა მის გულში. გარს უვლიდა ალმასხან მარეხის გულს, როგორც მარმარილოს რამ კოშკს, კარები კი ვერ ეპოვა შესავალი: ვერ მოჰკრა მან თვალი იმ სხივებს, რომლებიც მხოლოდ ანათებდნენ ქალის გრძნობებს.

— ახლო ვარ ქალთან, თითქო მივწვდი კიდეც მის არსებას, მის პიროვნობას, მაგრამ როცა ხელს გავატან, მხოლოდ ოცნება მრჩება ხელში. წინ მიდგა მწყურვალს ანკარა წყალი, გარნა თუ დავეწაფი, მშორდება ბაგიდან. ახლო ვარ ქალთან, როგორც მეუღლესთან, მკერდსა მყავს იგი მიყრდნობილი, მაგრამ შორსა ვარ მის არსებისგან, ვერა ვხედავ მის პოროვნობას, ბუნდია იგი ჩემთვის, მოსილი სიბნელით, განუჭვრეტელი სიბნელით, როგორც რამ საიდუმლო! იტყოდა ხოლმე ალმასხან დაღონებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

III

— თუ ესე იყო, მაშ ქალი როგორ შექმნილიყო ალმასხანის მეუღლეთ?

— ჩვეულებრივ, ბატონო, ჩვეულებრივ! ვაჟკაცი ჭკვიანი იყო, უვალო, სამსახურის მექონი, არც გონჯი რამ და მაშ რად იქნებოდა ვისგანმე დასაწუნი? სრულებითაც არ იყო დასაწუნი! ცოტა ხნიერი იყო, მაგრამ რა უყოთ? სჯობს მაგარ აგებულობის ვაჟკაცს ცოლი უნცროსი ჰყვანდეს. მუხა ხნიერი ნორჩ მურყანზედ უფრო ძლიერი. ქალიც ახალი შეღერებული იყო, სასძლოთ მომზადებული, ლამაზი, მაგრამ ხელმოკლე, ღარიბი. რა დაუშლიდა მათ შეუღლებას, როცა კაცმა მოისურვა გატაცებით? ქალი გაჰყვა, აასრულა ჩვეულება და უფროსთა სურვილი. მართალია, მისი გული არ ილიმებოდა, მაგრამ არც თუ ჭმუნვით იყო მოღრუბლული.

ხშირათ ესე სწარმოებს საქმე. სიყვარული ბრმაა, თვალებ აბმული და მანამ ის მოგაგნობს ან უცაბედათ თავს წამოგაწყდება, თუ იცადე, ერიჰა! დაჟამდები, მთას დაგითოვლავს, წისქვილები დაგიდგება და დაგიდგება თვალებიც. სიყვარულის გარეშე გათხოვებას თავისი ჰაზრი აქვს: ქალიცა და ვაჟიც ბევრს არას მოელიან ერთმანეთისაგან, რამე ოცნებებით და სანეტარო იმედებით არ არიან გამსჭვალულნი, დიდ სიკეთეს არ ითხოვენ კავშირისაგან, კიდეც ეშინიანთ ამ კავშირისა და შემდეგში მცირედითაც კმაყოფილდებიან; თუ მგლათ არ ეჩვენნენ ერთმანეთს, ისიც უხარიანთ, — ცოტა რამ სიკეთისათვისაც მადლობასა სწირავენ ღმერთს და ერთმანეთს. ამ ნიადაგზე ბოლოს თანაგრძნობა და მკვიდრი მეგობრობა იბადება.

შეყვარებულნი კი სამოთხეს მოელიან თავიანთ კავშირიდან, ერთმანეთი ანგელოსები ჰგონიათ, სიკეთით დატვირთული რამ სხივოსნები და როცა საოცნებო არსებათა მაგივრათ ერთმანეთს უბრალო მომაკვდავები შერჩებიან ხელში, ვერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

იტანენ იმედების გაცრუებას, ერთმანეთისთვის ვერ უპატიებიათ შეცდომა და სიხარულის ნაცვლად სიმძიმილს ეძლევიან.

— ერთ წამს, პირველ ჟამს ხომ დიდებული ნეტარება უნდა იგრძნონ შეყვარებულთ.

— მართალია, მაგრამ ყველა ისეთი ძლიერი ხომ არ არის, რომ ერთი წამის სიამოვნება, თუნდ უძლიერესი სიამე, მარად ახსოვდეს და იმითი ათბობდეს შემდეგ ცივ წუთებს.

იქნება მარეხის გულიც გაეთბო ვაჟკაცს, რომ დასცალებიყო, მაგრამ დღე მოუსწრაფდა და ქალის გული ხელშეუხებელი დარჩა. გრძნობათა ზინეთი ეწყო მასში ღრმად დამარხული, ჯერ უკლებელი და თუ დრო შეხვდებოდა, ქალი გამოჰფენდა ამ გრძნობათა განძს გულის სალაროდან, გადაშლიდა ფერად-ფერადად, დასატკბობათ რჩეულისა.

IV

ქვრივი სამძიმარს ისმენდა, უბედობას ჩიოდა, სხვა რომ ტიროდა, თითონაც იცრემლებოდა, მაგრამ ეს მხოლოთ მისი შავი თვალები ტიროდნენ და ცრემლით ივსებოდნენ, თორემ გული არა ჰქონდა ვაებით სავსე, არც სიბრალულით. მარეხს მხოლოთ გული ემღვრეოდა ალმასხანზე, რომ მოულოდნელად შეუშალა ქალს ცხოვრების ნირი, სახალხოთ გამოიყვანა ის, იძულებული გახადა საჯაროდ ემგლოვა თავისი კაცი და ყველასაგან შებრალება მოესმინა. მარეხს ეს ბოლმა შემოსწოლოდა და გული ყელში ებჯინებოდა. მით უფრო აუტანელი იყო ეს მისთვის, რომ ქალი ნაჩვევი არ იყო ჯავრი რამ გულში ეტრიალებინა, გულში ეგუბებინა და თავი მოეწამლა: ბალღამის ფიალას ქალი ქმარს მიუპყრობდა ხოლმე, შეასმევდა, მთლად დააცლევინებდა. ქმარზე იყრიდა გულის ბუხარს. შეყვარებული ვაჟკაციც უსიტყოთ იტანდა ჩივილს, ავს აშორებდა ქალს, აწყნარებდა.

იტყვიან, გველს რომ შხამი მოერევა, ქვას უკბენს და იმაზე წამოათხევს მოჭარბებულ გესლსაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალმა დაკარგა შინაყმა ერთგული, მოხერხებული, თავდადებული და აი ეს ყურმოჭრილი მისი მონა აწ უძრავად გაჭიმულიყო მის წინ ურგებელი, სატირელი. ვილასთვის-და უნდა ებრძანებინა ქალს თავისი სურვილები? ვილაზედ უნდა ეყარა ამღვრეული გულის ბუხარი და თან ისე, რომ მაინც თავს შემოჰვლოდა მას, მაინც ღმერთი რამ ჰგონებოდა ის, ციდან მისთვის ჩამოსული რამ სანეტარო, მხოლოდ მისივე უშნოობით გაბოროტებული და მაინც შეუდარებელი, საოთაყვანო?!

მარეხს წაუხდა ბატონკაცური ყოფა და ამან შეაწუხა, აამღვრია, თორემ ცრემლს ვერ დააფრქვევდა ის ალმასხანის კუბოს.

აგერ უკანასკნელათ ეამბორებიან ალმასხანს მარეხი და მისი დედამთილი. დამწვარი დედა ძლივს აგლიჯეს შვილის კუბოს. ან რად არ დამარხეს იმასთან, რადგან შვილის შემდეგ ქვეყანა ცალიერი დარჩა მისთვის და ბნელი? მივიდა მარეხიც, შეეხო ტუჩებით მიცვალებულს და დაკრთა, გველნაკბენივით დაიხია უკან: ცივი იყო კანი, ლორწოიანი; რა საშინელი სუნი ჰქონდა! მთლათ უარჰყო ქალის ბუნებამ მიცვალებული ქმარი, გაწყვიტა მასთან ყოველივე კავშირი. ალმასხან აწ თვით სიკვდილი იყო, არარაობა საზარელი და მარტო ჰაზრმაც კი, მასთან რაიმე კავშირის ჰაზრმა, შიშის ზარი დასცა სიცოცხლით სავსე ქალს, შეაძრწუნა ის.

ამის შემდეგ ალმასხან დღით ი დღე განზე იწევდა მარეხისაგან, ჰშორდებოდა მას და ჰაეროვანი ხდებოდა, ქრებოდა, ძლივსღა მოსჩანდა არარაობის სივრცეში. ქალს, ცოტა არ იყოს, უკვირდა თავის თავისაგან ქმრის ესეთი მსწრაფლი მომგლოვება, უხერხულათაც მიაჩნდა ეს და თავს ძალას ატანდა: რამდენჯერმე სცადა ცოცხლად წარმოედგინა თავისი კაცი, გაეახლებინა ოცნებაში მასთან კავშირი, მაგრამ ამაოდ! ქმარს სიცოცხლის დროს რომ არ იყო მისი მახლობელი, ეხლა როგორღა დაახლოვებოდა?! გული არა თბებოდა მის მოგონებით, გონება სულ სხვა სურათებს აწვდიდა ქალს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალი მაინც მისდევდა ადათს და უკლებლად ასრულებდა თავის მოვალეობას მიცვალებულისადმი. მეშვიდე დღეს საფლავზედ რომ გავიდნენ ქალები, დედა ისე ჩასცქეროდა და ჩასტიროდა ალმასხანს, თითქო ცოცხალი ჰყავს დედამიწაშიო, მარეხმა კი მხოლოდ ახლად აგროვებული მიწა ნახა იქ, რომელიცა ჰფარავდა არარაობად ქცეულს მის კაცს. ალმასხან აღარ არსებობდა მარეხისათვის არც მის გულში, არც სამარეში, არც საფლავს იქით; განქრა ალმასხან, აღიგავა პირისაგან ქვეყანისა და ბიამანზე დამრჩალი ქალი უნებლიეთ მომავალისკენ იყურებოდა.

V

მამავლისაკენვე იყურებოდა ზურაბი და ძალიან გაფაციცებით იყურებოდა, რადგან აგერ მეორმოცე წლისაკენ დაქანებულიყო და ჯერკი ისევ მარტოხელი იყო, უცოლშვილო; უშვილუძეოთ გადაგება კი ძალიან ემძიმებოდა.

ზურაბი უმეუღლოთ იყო დარჩენილი უბრალო რამე შემთხვევით კი არა და არც მისთვის, რომ არ უნდოდა ცოლის შერთვა, არამედ იმიტომ, რომ დიდ არჩევანში იყო, ბედი კი ჯერ ვერ შეხვედროდა. უზრუნველყოფილი გამოცდილი ვაჟკაცი არც ფულს ეძებდა, არც მისაყოლს, მხოლოდ იმას ნატრობდა, ქალს დაეტყვევებინა ის და უნებლიეთ მიეყვანა საყდრის კარამდინ. სიყვარულს ელოდდა ვაჟკაცი, სიყვარული კი არსადა სჩანდა, თუმცა ქალი ბევრი ერტყა გარს და ბევრი ეძლეოდა მას.

მოწონებით ბევრი მოსწონდა ზურაბს, მაგრამ აქამდის ჯერ ვერავის შეებოჭა ის, ვერვის შეება მისთვის საბელი, რომ ძლიერათ მიეზიდნა იგი თავისკენ. იყო კაცი სურვილის მეიდანზე გაჩერებული, შუა მეიდანზე და, ფალავანივით, აქეთ-იქით იყურებოდა თითქმის დარწმუნებული თავის გულის უძლეველობაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ დროს იყო, რომ მარეხს გამოეცალა ხელიდან ალმასხანი. ზურაბის საათმაც ეხლა დაჰკრა და დაჰკრა ისე უცბად, ისე მოულოდნელათ, ისე მკაფიოთ, რომ გაანცვიფრა ვაჟკაცი.

წინადაც კარგა იცნობდა ზურაბი მარეხს და ისიც იცოდა, რომ ლამაზი ქალი იყო ის, მაგრამ მუშტრის თვალით კი არ შეუხედნია მისთვის, რადგან პატრონი ედგა თავს, შეყვარებული პატრონი, და ზურაბი სათავისოთ ვერ მოიფიქრებდა ქალს. იცნობდა ქალს, როგორც მეზობელს, გული კი არ უთქმიდა მისთვის, ვითარცა ცოლისათვის მოყვასისა თვისისა; ეხლა კი, როცა მარეხი თავისუფალი შეიქმნა, ვაჟკაცმა გონების თვალი გადაავლო ქალს. ეს პირველ დღესვე მოხდა ტირილში. ზურაბმა რომ დაინახა ცრემლებით სავსე შავი თვალები, ნამ ნაბკურებ ვარდათ მოეჩვენა დაცრემლილი სახე, სათავისოთ გამზადებულ ვარდათ, სუნნელოვან რამ ყვავილათ, რომელსაც აქამდინ უიმედოთ დაეძებდა ყველგან და რომელიც იქვე ახლო კი ყოფილა, მის გვერდზე. მისი ვარსკვლავი სხვის ხელში ყოფილა მეზობლათ, იმას კი ეს ჰაზრადაც არ მოსვლია. გაჰკვირდა კაცი, როცა ილბალმა თვალები შეანათა მას, მისმა ნანინანატრა ილბალმა, რომელიც თურმე იქვე იმალებოდა, მის გვერდით, სხვის უბეში. თანაც დაღონდა, რომ ეს მისი ბედი სხვას ჩაჰვარდნიყო ხელში, სხვას ესრისნა იგი, სხვას ემღერა მასზე ტკბილათ.

— სწორეთ შემთხვევით ამცდენია თავდაპირველ ეს ქალი. საბრალო ალმასხან! თავის ბედი ჰგონებია და შეჰყვარებია. ქმარი იყო და მაინც შეყვარებული იყო, ცოლის არშიყი, მის ეშხით გატაცებული.

— სიყვარული სიყვარულს გამოიწვევს და ერთხელაც იქნება ვათბება მარეხის გული, ფიქრობდა ის. ის კი არ იცოდა ბეჩავმა, რომ მარეხი სხვის სახელზე იყო გაჩენილი, სხვის ილბალი იყო, შემთხვევით მის სახლში მოთავსებული, და მარეხის გული ვერას დროს ვერ გათბებოდა მისთვის, რომ მის გულში ალმასხან ვერას დროს ვერ მოიპოვებდა ადგილს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამგვარ ფიქრებში იყო გართული ვაჟკაცი და თან დაშტერებით შეჰყურებდა მგლოვიარე მარეხს, თვალს ველარ აშორებდა მას.

მარეხმა იგრძნო, რომ ვიღაცის თვალთა ისარი ესობოდა მას გულზე და შეიშმუშნა, უნებლიეთ კულულებზე გადისო ხელი, ყელი შეიღერა, შესწორდა. უნდოდა თვალი გაეპარებინა ხალხისაკენ და შეენიშნა ის, ვინც მზერით უხიბლავდა მას არსებას, მაგრამ შეუძლებელი იყო ჭირისუფლისათვის თვალიერება და ქალმა წამწამი ვერ ახარა ზევით.

VI

მარეხი გრძნობდა გამოურკვეველ რამ ძალის ზედგავლენას, მის ძლიერს და სასიამოვნო მოქმედებას თავისზე, მაგრამ ვერ გამოერჩია ამ ძალის სათავე, ვერ შეეგნო ამ ზედმოქმედების მიზეზი, რადგან გარემოება ხელს არ უწყობდა დაჰკვირებოდა ვისმე და შეენიშნა, რაც საჭირო იყო. ან რას ეგვანებოდა, რომ მძიმე შავებში ჩამჯდარ ახალგაზდა ქვრივს თვალი გადაევლ-გადმოევლო ხალხისთვის!

ამ გამოურკვეველმა ძალამ, მასზედ მომქმედმა საიდუმლო ძალამ, ძლიერი ცნობისმოყვარება აღძრა ქალში და რახან ერთხელ ქალის გონება სხვა საგანმა მიიზიდა და ახალი საფიქრებელი გაუჩნდა მას, შეღავათის კარი გაეღო ქალის შავ-ბნელ გრძნობებს.

საიდუმლო გამოირკვა მხოლოდ მესამე დღეს, როდესაც ალმასხანის დედა უკანასკნელად დაეკონა თავის შვილს და მარეხმაც მიჰბაძა დედამთილს. ზურაბმა ჯერ დედა აგლიჯა მიცვალებულს და მემრე ქალს შეახო ხელი ასაყენებლად. სწორედ ამ შეხებამ აგრძნობინა მარეხს ყოველივე ცხადად.

ქალმა ცრემლებით სავსე თვალები მიაპყრო ვაჟკაცს და იმის თვალებში ამოიკითხა მისი საიდუმლო სულის კვეთება, ხოლო თავისი ახალი ნუგეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არც იუცხოვა მარეხმა იგი ნუგეში, არც უარჰყო, როგორც დაჭრილმა არ უარჰყოს მისწრებული მალამო. მაგრამ ქალ-ვაჟთ შორის ჯერ არაფერი კი არ იყო თქმული. ჯერ ვერც არაფერს გაუბედავდა ვაჟი იმ ძნელ გარემოებებში. ზურაბის სურვილი ეხლა მხოლოდ ის იყო, რომ ქალის გონება როგორმე მიეპყრო თავისკენ, თავისკენ მიეხარა.

უმატა ზურაბმა ზრუნვა მარეხის ოჯახისთვის. მიზეზებიც ბევრი ჰქონდა: ამ არეულობაში ყველგან საჭირო იყო ერთგული მეზობლის სიტყვა და მოსაქმე ხელი.

VII

გავიდა ხანი და მარეხი შეეთვისა იმ ჰაზრს, რომ ამისი ერთგული მეგობარი, რომელიც თანაუგრძნობს მას, სიხარულით ეხმარება და დაუზარებლივ ასრულებს მის სურვილს. მით უფრო ადვილი იყო მარეხისთვის ყოველ შემთხვევაში მიემართა ახალი მეგობრისათვის, რომ ზურაბის დახმარებას ქველმოქმედების სახე ჰქონდა, გაჭირებულთა ხელის აპყრობის ხასიათი. ეს გარეგნობით, თორემ თვით ქალისათვისაც ამ ქველმოქმედებას სხვა სარჩული ედო, ახალგაზდა ქვრივისათვის გულმოსალბობი სარჩული.

— ღმერთმა უშველოს ზურაბს! ზოგ მახლობელს და ნათესავსაც კი არ შესტკივა გული და არ გამოადგება კაცს გაჭირებაში ისე, როგორც ჩვენ გამოგვადგა ჩვენი მეზობელი ზურაბი! — იტყოდნენ ხოლმე ქალები.

ვაჟკაცმა უხშირა მარეხთან სიარულს: ბევრი მიზეზი გამოჩნდა მისვლა-მოსვლისთვის. დედამთილი ჯერ ვერაფერსა ხედავდა: ცხარე ცრემლს დაევსო მისთვის თვალები და მწუხარებას დაებრმავებინა, მაგრამ ხუთი-ექვსი თვის შემდეგ კი აიღო იმანაც ალღო. ვაჟკაცს ვერაფერს ამჩნევდა, რადგან ის ერთობ მოკრთალებით და ზრდილად იქცეოდა, რძალს კი შეუტყო გულისთქმა: ქალს გულს ნისლი გადაჰყრიყო, სევდა მოსწმენდოდა, სახე უღიმოდა, გაღაღანებულიყო, კოპწიობდა ძაძაში.

ეროვნული ბიბლიოთეკ

— გინახამს ძაძით მოსილი ქესკუმი ქვრივი, ქევქევით რომ მიდის მალხაზი და გავლილ გზას სურვილთა ფურცლით ჰფენამს?

— არ გითვალიერებია?! რა უშნო ხარ!

დედას ეხლა მეორეთ მოუკვდა შვილი და დამწვარმა მწარედ აყვედრა რძალს:

— ქალო! ჯერ შენი საბრალო ქმარი საფლავში არ გაციებულა, შენ კი ჰლაღობ და ლამის შეურაცხჰყო მისი სახელი!

რძალს ემწვავა მართალი და ცივად უპასუხა:

— რა კეთილი ვნახე შენი შვილის ხელში? მაინც არ ულალატებდი მას, თუ შემრჩენოდა, მაგრამ როცა ის აღარ არის, მაშ ჩემ ყმაწვილ-ქალობას რად ჩავალპობ მის სამარეში.

მართალიც უთხრა ქალმა! რად არ უნდა მოეწყვიტა ცხოვრების ყვავილი ხელახლად? განა მეორედ გაჩნდებოდა ამ ქვეყნად!

VIII

გადადო წელიწადმა თავი თავს. რა შეუძლიან წელიწადს! მარეხაანთ წლის განმავლობაში არაფერი დაუკლიათ მიცვალებულისათვის, ყოველივე წესი შეუსრულეს ალმასხანს, ისე რომ საიქიოს ყოველთვის ახალ-ახალი ტაბლა ედგა მას წინ და უხვი. სულეთში ბევრი შეჰნატრიდა ალმასხანს, რომ ისეთი მარჯვე მომხსენებელი დარჩომოდა მას ამ ქვეყნად.

დადგა გაზაფხული და გაღვიძებულ ბუნებას მისცეს ბანი კაცთ გულში გაღვიძებულმა გრძნობებმა. ყვავილთ დღესასწაული იყო, სულთმოფენობა და ყვავილებითა რთამდა ხალხი ძვირფას სამარეებსაც. მარეხიც გამოსულიყო სასაფლაოზე, ქმრის სავანე ეკურთხებინებინა, ვარდ-ზამბახი გადაეფინა ზედ. დარდები აჰშლოდა, თვალთ ცრემლი მოსდენოდა და მარგალიტათ მოჰბმოდა წამწამს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზურაბსაც გამოეტანა ყვავილები თავისიანთ მოსახსენებლათ და მათ სამარეების შესამკობლათ.

მღვდელ-დიაკვიანი აჩქარებით გაშორდნენ მკვდართა სავანეს. დალონებული ხალხი ნელნელა იკრიბებოდა სასაფლაოდან. აქა-იქ ღა მოჩანდა შავით მოსილი მწუხარე, რომელსაც ჯერ ვერ ეთმობოდა საყვარლის საფლავი. მარეხიც ქმრის სამარეზედ იყო საფლავის ქვაზე ჩამომჯდარი.

ზურაბ ნელის ნაბიჯით მიუახლოვდა მარეხს და მოიკითხა. ქალმა რომ შეანათა მას თვალები, ცრემლებით სამსე შავი თვალები, ვაჟკაცს გულს სევდა უკუ ეყარა. თვალთა ციაგი ცისარტყელათ გამოკრთა ცრემლებში და იგი ცისარტყელა იყო იმედი და სიხარული ვაჟისა.

— ცხონებულის საფლავი გიკურთხებინებია, ქალო!— უთხრა ზურაბმა და ჩამოჯდა ქვაზევე.

— დიახ, ყვავილებით შევამკე საცოდავის სამარე.

— მეც ჩვეულებისამებრ გამოვედი სასაფლაოზე, მაგრამ, რომ ვხედამ, არარაობა სუფევს აქ. ჩვენ კიდევ რაღაცა გვეგულება მიწაში, მაგრამ როცა კი აქ ამოვალ ხოლმე, ყოველთვის ცხადადა ვგრძნობ ამ არარაობას.

— დიდ, შორს არიან მიცვალებულნი ჩვენგან, დიდი მზღვარია სიკვდილ-სიცოცხლის შუა.

— რამოდენაც არსებობის და არარაობის შუა.

— ეჰ, ჩვენც ერთხელ ესევე უნდა განვქრეთ.

— მანამდის კი უნდა დავტკბეთ არსებობით, ამ უძვირფასეს განძით, რომელიც მოგვნიჭებია გამჩენისაგან. უნდა შევტრფოდეთ ცასა და ქვეყანას, უნდა შევფრფინვიდეთ მზის მხივს, უნდა ვილოცავდეთ ტურფათ შემკულ სამყაროს, უნდა შევტრფოდეთ ერთმანეთს!—თქვა ვაჟკაცმა და აღგზნებული თვალები დაანათა ქვრივს.

ქალმა თავი დახარა, ვარდის ფერი გადაეფინა ოდნავ მქრთალ სახეზე; ზამბახის ტოტს დაუწყო ხელში ტრიალი, მუხლებზე რომ ედო იმ ხელში.

ვაჟი შეეხო ზამთარს და უთხრა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ხედამ, მარეხი, ერთი ყვავილი რომ მთლად გაფურჩქვნილა ამ ტოტზე, მეორე ჯერ ისევ კოკორშია; როდესაც ის დაჭკნებოდა, მაშინ-ღა გაიშლებოდა ეს მეორე: სადაც ერთი ყვავილი ჭკნება და მოისთვლის, იქ მეორე იფურჩქნება მზის სხივზე. ჩემი ცხოვრების ყვავილი ჯერ ისევ კოკორშია გაუფურჩქნავი, შენ უნდა გაუხდე, მარეხი, მას მალხინებელ სხივათ, რომ გადიშალოს იგი სუნნად სუნნელად!— უთხრა ვაჟკაცმა და ყვავილის ყლორტიდან ხელი ქალის მაჯაზე გადაიტანა.

ქალმა ოდნავ გასწია მაჯა, არ კი გააცალა. მაშინ იგრძნო ვაჟკაცმა, რომ დაჰკრა მის ბედნიერების წამმა და სურვილით დაეწაფა ნაქანდაკებ მაჯას.

გაისმა ბუჩქში შროშანის სტვენა: ის უგალობდა ძლევამოსილ სიყვარულს, რომელიც ჰფურჩქნის დაუცხრომლად ახალ-ახალ კოკორს სიცოცხლისა.

ვ. ბარნოვი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანაშაული და სასჯელი

ექვს ნაწილად თ. მ. დოსტოევსკისა

ნაწილი მეოთხე

I *)

ასე იწვა დიდ ხანსა. დრო-და-დრო ეღვიძებოდა კიდეც და ატყობდა თითქოს, რომ დიდი ხნის დაღამებული იყო, მაგრამ ადგომა ფიქრადაც არ მოსდიოდა. შეჰნიშნა ბოლოს, რომ დღესავით განათდა. იწვა დივანზედ გულ-ალმა და ჯერ კიდევ ვერ გამორკვეულიყო, ბურანში იყო. ესმოდა რაღაცა საშინელი, სასოწარკვეთილი ქვითინი და ბღავილი, მაგრამ უმისოდაც ხომ მუდამ ღამ ასეთი ამბები იყო ხოლმე მის ფანჯრის ქვეშა. აი, სწორედ ამან გამოაღვიძა ახლა:— „აჰა! სასმელ დუქნებიდან გამოდიან ლოთები“,—გაიფიქრა რასკოლნიკოვმა,—„სჩანს მესამე საათია,“—და უცბად წამოხტა.—როგორ! მესამე საათია!“ დაჯდა ისევ დივანზედა და მაშინ-ღა მოაგონდა ყველაფერი! თვალის დახამხამებაზედ უცბად ყველაფერი გაახსენდა.

ეგონა პირველ ხანად, ეგ არის ჭკუიდამ შევიშლებიო. საშინელმა სიცივემ აიტანა; მაგრამ ცოტა ციების ბრალიც იყო: ძილში გააცია. ახლა კი უცბად ისე ააკანკალა, რომ კბილს კბილზედ ველარ იმაგრებდა. მთლად ცახცახი გაჰქონდა. გამოაღო კარები და ყური მიუგდო: სახლში ყველას

---

*) იხ. „მოამბე“ № 2, 1905 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეძინა. განცვიფრებული იცქირებოდა ირგვლივ ოთახში და ვერა გაეგო-რა: როგორა ჰქმნა ასრე, რომ შემოსვლისას გუშინ საღამოთი კარები არ გადირაზა და ისე, გაუხდელად, მიეგდო შლაპიანად დივანზედ: შლაპა იქვე გადაგორებულიყო ძირსა და ბალიშის შორი-ახლოს ეგდო იატაკზედა.— „რას იფიქრებდა, რო შემოსულიყო ვინმე? ხომ მთვრალი ვეგონებოდი, მაგრამ...“ ფანჯარას ეცა. საკმაოდ განათებულიყო. მაშინვე თავით ფეხთამდე ტანისამოსს დაუწყო თვალიერება: ნიშნები ხომ არა მაქვს-რაო? მაგრამ ასე არ იქნებოდა: ციებისაგან აცახცახებულმა გაიძრო მთლად ტანთა და დაუწყო ირგვლივ სინჯვა. სამჯერ-ოთხჯერ გადააბრუნ-გადმოაბრუნა ყველაფერი დი უკანასკნელ ძაფამდე და ნაკერამდე ყველაფერი გადასინჯა. მაგრამ არაფერი ნიშნები არ ეტყობოდა თითქოს; შარვლის ტოტის ჩამოძენძილს ნაპირს ეტყობოდა მხოლოდ ქვემოდამ შემხმარი სისხლი. აიღო მაშინვე დიდი საკეცი დანა და ტოტს სისხლიანი ნაპირი შემოაჭრა. შეტი თითქოს არა ეტყობოდა-რა. მოაგონდა უცბად, რომ ქისა და ნივთები, რომლებიც ბებრუხანას ყუთიდამ ამოალაგა, ყველა ისევ ჯიბეებში ეწყო აქამდისინა. არ მოჰგონებია ამოეღო და შეენახა! არ მოჰგონებია ახლაც კი, ტანისამოსს რომ ისინჯავდა! რასა ჰგავს ესა?—ეცა მაშინვე ჯიბეებსა და დაუწყო მაგიდაზედ ამოლაგება. ამოალაგა ყველაფერი, გადმოიბრუნა ჯიბეები, კიდევ ხომ არა დამრჩენია-რაო და ყველაფერი ეს კუთხეში მიაგროვა. აქ, კუთხეში, ძირს, ერთს ადგილას კედელს შპალერი ჰქონდა ამძვრალი: აიღო მაშინვე და დაუწყო ყველაფერს ამ ნახვრეტში, ქაღალდს ქვეშ, ჩალაგება: —„ჩაეტია! ყველაფერი მიაფარა, ქისაც-კი!“ ფიქრობდა გახარებული; წამოდგა და დაუწყო გადმოდლრენილს ნახვრეტს როგორღაც გაბრუებულმა ყურება. უცბად მთლად შეხტა შეშინებული:—„ღმერთო ჩემო“, დუდუნებდა სასოწარკვეთილი,—„რა მემართება? განა ეს შენახვაა? ასე, განა, ინახავს ვვნმე?“

ეროვნული ბიბლიოთეკ

მართალია, ნივთების წამოღება არა ჰქონია ფიქრათა; ეგონა, მარტო ფულები იქნებოდა; ამიტომაც ადგილი არ მოუძებნა წინადვე, — „მაგრამ ახლა, ახლა რა მიხარაინ?“ ფიქრობდა რასკოლნიკოვი. — „განა, ასე ინახავენ? მართლაც-და გონიერებას ვკარგავ!“ ჩამოჯდა დაუძლურებული დივანზედ და მაშინვე საშინელმა კანკალმა აიტანა. მიითრია გვერდით, სკამზედ მდებარე, სტუდენტობის დროის საზამთრო, თბილი, მაგრამ უკვე ძონძებათ ქცეული პალტო, მიიხურა და ისევ ისრე ბოდვა და თვლემა დაიწყო, თავდავიწყებას მიეცა.

მაგრამ არ გასულა ხუთი წამი, წამოხტა ისევ ელდანაკრავივითა და ტანისამოსს ეცა. — „არა, როგორ დავიძინე, როცა ჯერ სრულებით არა გამიკეთებია-რა! ასეა სწორედ ასეა: იღლიის ქვეშ მიკერებული მარყუჟიც აქნამდის არ ამირღვევია! ასეთი მნიშვნელოვანი საქმე დამვიწყებია! დამვიწყებია ის, რითაც ყველაზედ მეტს ეჭვს აიღებდნენ!“ გამოჰგლიჯა მარყუჟი, დაუწყო წვრილ-წვრილად ხევა და ბალიშ ქვეშ, საცვლებში, შესტენა. — „ტილოს ნაგლეჯი მჩვრები ყოველს შემთხვევაში ეჭვს არავის ააღებინებს; ასეა, ვგონებ, ასე!“ იმეორებდა ოთახის შუა ჯულ მდგომი და გაფაციცებით, ყურადღებით ათვალიერებდა იქაურობასა, იატაკზედ, ან სხვაგან სადმე, ხომ არა დამრჩა-რა შესანახიო? რწმუნდებოდა, ვითომ აღარა ახსოვდა-რა, ველარა მოესაზრებინა-რა და იტანჯებოდა საშინლად. — „რას ნიშნავს ესა, ნუ-თუ უკვე ვისჯები კიდეც? აგერა, აგერა, ასეა სწორედ!“ მართლაც-და სისხლიანი ძონძები, რომლებიც შარვლის ტოტებს ჩამოაჭრა, ოთახის შუაგულ იატაკზედ ეყარა, რომ პირველათვე თვალში სცემოდათ! — „რა მამდის ესა?“ შეჰყვირა კვალად გონება დაბნეულივით.

და უცბად უცნაური რამ გაიფიქრა: იქნება მთლად ტანისამოსიც დასისხლიანებული და დალაქავებული აქვს, მაგრამ ვერ ჰხედავს, ვერ შეუნიშნავს, იმიტომ რომ მოსაზრებამ უსუსტა, გონთ დაუბნელდა... მოაგონდა უცბად, რომ ქისასაც ჰქონდა სისხლი მოცხებული. — “ეჰე! ეტყობა, მაშ

ჯიბეშიაც უნდა მქონდეს სისხლის ნიშნები, იმიტომ რომ სველ-სველი პირდაპირ ჯიბეში ჩავიდე!“ გადმოიბრუნა იმავ წამს ჯიბე,—და მართლაც—ჯიბის სარჩულს სისხლის ლაქები აჩნდა!—„ეტყობა, მაშ, გონიერება ჯერ კიდევ მთლად არ დამიკარგავს, ხსოვნა და მოსაზრება ჯერ კიდევ შემძლებია, თუ თვითონვე გამახსენდა და მომაგონდა!“—გაიფიქრა დამშვიდებულმა და ღრმად და მხიარულად ამოისუნთქა სრულის გულითა.—„ეს მხოლოდ ციების სისუსტე და წამიერი ბოდვა იყო“, და შარვლის მარცხენა ჯიბეს სარჩული მთლად ამოახია. სწორედ ამ დროს მზის სხივმა მარცხენა წაღაზედ მიაშუქა: გამოგლეჯილ წაღის წვერიდამ გამოშვერილს წინდას თითქოს ნიშნები ეტყობოდა! გაიძრო მაშინვე წაღა:—„მართლაც ნიშნები ატყვია! მთელი წინდის წვერი სისხლით არის გაჟღენთილი.“ ეტყობა, სისხლის გუბეში ჩაუდგამს გაუფრთხილებლობით ფეხი... „მაგრამ რა უყოს ახლა? წინდა, შარვლის ნაგლეჯი ძონძები და ჯიბე სად წაიღოს?“

მოიგროვა ყველა ეს ხელში და იდგა ოთახის შუაგულა.—„ღვიმელში შევყარო? მაგრამ ყველაზედ პირველად იქ დაუწყებენ ძებნასა. დავწვა? მაგრამ რითი? ასანთიც არა მაქვს. არა, სჯობს ისევ წავიღო და გადავყარო სადმე. დიახ! სჯობს გადავყარო“, იმეორებდა და ისევ დივანზედ იკალათებდა,—„ახლავ, ამავ წამს გადავყარო, დაუყოვნებლივ...“ მაგრამ უნებურად თავი ისევ ბალიშზედ მისდო; ისევე საშინელმა კანკალმა აიტანა; თბილი პალტო მიითრია და მიიხურა ისევა. დიდ-ხანს, მთელი რამდენიმე საათი, სულ იმის ფიქრსა და ბოდვაში იყო, რომ „ახლავ, დაუყოვნებლივ სადმე უნდა წაეღო და გადაეყარა, რომ საჩქაროდ თვალიდამ მიეფარებინა!“ რამდენჯერმე კიდევაც წამოიწია, უნდოდა წამომდგარიყო, მაგრამ აღარ შეეძლო. ბოლოს ძლიერმა კარის რახუნმა-ღა გამოაღვიძა.

— გესმის გააღე, მკვდარი ხარ, თუ ცოცხალი? სძინავს სულ ბანგივითა!—ყვიროდა ნასტასია და თან კარებს მუშტითა სცემდა.—მთელი დღე ასე ძაღლივითა სძინავს! ძაღლია, მა, რა არი. არ გესმის, გააღე! თერთმეტი საათია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— იქნება შინ არ არი,—გაისმა ვილაცა კაცის ხმა.

„ეჰე! ეს ხომ მეეზოვეს ხმაა... რა უნდა, ნეტა?“..

წამოხტა და დივანზედ დაჯდა. გული მედგრად უცემდა; ტკივილიც-კი იგრძნო.

— მაშ, ე ჩანგლით ვილამ ჩაკეტა?—ცხარობდა ნასტასია,—არა, კარების დაკეტვაც რომ დაუწყვია! მე ვიცი, არ მოგიტაცონ-კია! გააღე, შენ ეი, გოგრავ, გაიღვიძე!

„რა უნდათ, ნეტა? მეეზოვეს რაღა უნდა. ყველაფერი გაუგიათ. ვეწინააღმდეგო, თუ გავუღო? მოხდეს, რაც მოსახდომია...“

წამოდგა, წაიხარა წინა და ჩანგალი ამოიღო.

იქამდის პატარა იყო მთელი ოთახი, რომ შეეძლო ლოგინიდამ ფეხის მოუცვლელად გამოეღო კარი.

ასე იყო სწორედ: კარებში მეეზოვე და ნასტასია იდგნენ.

როგორღაც უცნაურად გადაჰხედა ნასტასიამა. თვითონაც გულმოსულად და სასოწარკვეთილებით გადაჰხედა მეეზოვესა. მეეზოვემ ჩუმად ორად მოკეცილი, ბეჭედ-დაკრული რაღაცა ქაღალდი გადასცა.

— უწყებაა კანტორიდამა,—დასძინა ქაღალდის გადაცემისათანავე.

— რომელი კანტორიდამა?...

— პოლიციიდამა, პოლიციის კანტორიდამა, სხვა რომელი კანტორა იქნება.

— პოლიციიდამა?... რა გვინდაო?...

— რა ვიცი, რა უნდათ, მითხრეს, მოვიდესო და უნდა წახვიდე.

ყურადღებით გადაჰხედა მეეზოვემა, მიიხედ-მოიხედა ირგვლივ და წასასვლელად გაბრუნდა.

— ეტყობა, ავათაა!—შეჰნიშნა ნასტიამა და თან თვალს არ აშორებდა. მეეზოვემაც ერთს წამას პირი იბრუნა, გადაჰხედა.—გუშინდლიდამ სიცხე აქვს,—დასძინა ისევ ნასტასიამა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პასუხს არ აძლევდა რასკოლნიკოვი და გაუხსნელი ქალალდი ისევე ისე ხელში ეჭირა.

— ნუ ადგები, შაშა,—ეუბნებოდა გულმტკივნეულად ნასტასია, რო ნახა, დივნიდამ აპირებდა გადმოსვლასა.—ავათა ხარ, იწექი, ქვეყანა კი არ დაიღუპება. ე ხელში რალა გიჭირავს?

დაიხედა რასკოლნიკოვმა: მარჯვენა ხელში შარვლის ჩამონაჭერი ძონძები, წინდა და ჯიბის ამონახევი სარჩული ეჭირა. ისე თურმე ეძინა მაგრა ხელ-დაბღუჯილსა. მერე-ღა მოაგონდა, რომ სიცხეში მაგრა დაბღუჯა და ისე დაიძინა.

— ჰხედავთ, რა ძონძებითა სძინავს,—ჩაუბღუჯია, გეგონებათ, დიდი რამ განძი უჭირავსო...

და ნასტასიამ თავისებურად გულიანად გადიკასკასა, ჩაბჟირდა.

იმავ წამს ყველაფერი პალტოს ქვეშ დამალა რასკოლნიკოვმა და ნასტასიას ჩააშტერდა თვალებში. მართალია, ღრმა მოსაზრებისა და ფიქრის თავი სულ აღარ ჰქონდა, მაგრამ ჰგრძნობდა, რომ დასაჭერს კაცს ასე არ მოეპყრობოდნენ უთუოდ.—„მაგრამ... ე პოლიცია რაღაა?..“

— ჩაის დალევდი! არ გინდა? მოგიტან, დამრჩა...

— არა... წავალ; ახლავე წავალ,—წაიდუდუნა და წამოდგა.

— წახვალ-კი არა, იქნება კიბეზედაც ვერ ჩააწიო?

— წავალ...

— როგორც გერჩიოს.

ნასტასიაც მაშინვე მეეზოვეს გაჰყვა ფეხ-და-ფეხა. ეცა მაშინვე რასკოლნიკოვი და წინდასა და ძონძებს დაუწყო სინათლეზედ სინჯვა.—„ლაქები აქვს, მაგრამ აღარ ეტყობა; გაჭუჭყიანებულა, გალესილა, ამომქრალა. თუ წინადვე არა იცის რა, ვერას გაარჩევს ადამიანი. მაშასადამე, შორიდან ვერას შეჰნიშნავდნენ, მადლობა ღმერთსა! გახსნა ახლა-კი გულის ფანცქალით უწყება და დაუწყო კითხვა; დიდ-ხანს იკითხა, იკითხა და ბოლოს, როგორც იყო, მიუხვდა აზრსა. ეს იყო უბ-

ეროვნული ბიბლიოთეკ

რალო უწყება, რომ დღეს დილის ათის ნახევარზედ პოლიციის ნაწილში გამოცხადებულიყო, უბნის ზედამხედველის კანტორაშია.

„რისა რა უნდა იყოს? არავითარი საქმე პოლიციასთან არა მაქვს! მერე ისაც რაღა დღესა?“ ფიქრობდა და იტანჯებოდა რასკოლნიკოვი, რომ მიზეზისათვის ვერ მიეგნო.— „ღმერთო, ჩქარა მაინც იყოს! წაიჩოქა მუხლის თავზედა და ლოცვა დაიწყო, მაგრამ თვითონვე გაეცინდა, — ლოცვაზე-კი არა, თავისს თავზედა და დაიწყო საჩქაროდ ტანთ ჩაცმა. „დავიღუპები და დავიღუპო, სულ ერთია! წინდა ჩავიცვა!“ გაიფიქრა უცბად.—„კიდევ უფრო გადილესება მტვრითა და აღარა შეეტყობა-რა.“ მაგრამ ჩაიცვა თუ არა, გაიძრო მაშინვე და ზიზღითა და შიშით მოიქნია. გაიხადა, მაგრამ იფიქრა, რომ მეტი აღარა ჰქონდა რა და ისევ ჩაიცვა,—და ისევ გაეცინა. „ყველა ეს მხოლოდ ფორმაა და სხვა არასფერი,“ გაივლო ნახევრად ფიქრათა და თან მთელის ტანით ძაგძაგი დააწყებინა.— „ხომ ჩავიცვი კიდეც! მაინც ჩავიცვი!“ მაგრამ იმავ წამს სიცილი სასოწარკვეთილებათ შეეცვალა. „არა, არა, არ შემიძლიან“... გაივლო გულში. ფეხები უკანკალებდა.—„შიშისაგან მომდის,“—წაიდუდუნა თავისთვის. თავს ბრუ ეხვეოდა, საშინლად სტკიოდა, უხურდა.—„ეშმაკობენ! უნდათ როგორმე მიმიტყუონ და უცბად გამომტეხონ,“ ფიქრობდა თავისთვის, კიბეზედ რომ ჩამოდიოდა.—„ცუდია ის, რომ ვბოდავ თითქმისა... შეიძლება სისულელე რამ დამაროშვინონ“...

მაგრამ მოაგონდა კიბეზედ, რომ ნივთებს ისე შპალერს ქვეშ, ხვრელში, უშვებდა:—„მერე, რომ უცბად გამჩხრიკონ“, გაიფიქრა და შედგა. მაგრამ ისეთმა სასოწარკვეთილებამა და დაღუპვის დაუდევრობამ შეიპყრო, რომ გააქნია ხელი და გასწია.

„მალე-კი იყოს და სულ ერთია!..“

ქუჩაში ისევ საშინლად ცხელოდა; მთელს ამ ბოლო დღეებში ცვარი არ გაჰვარდნია ცასა. ისევე ისევ მტვერი,

აგურისა და კირის სუნი იდგა იგრგვლივ; სასმელ დუქნებიდამ ყროლის სუნი გამოდიოდა; წამ-და-უწუმ ისევ გალექებული ლოთები, ჩუხონელი დამტარებლები და კოფოზედ გადადღლარძული მეეტლეები ჰხვდებოდნენ წინა. მზემ კაშკაშით მიანათა თვალებშია, ასე რომ ატკინა კიდეცა, თავს ბრუ დაჰხვია.—ისე სწორედ, როგორც საზოგადოდ ნაციები ადამიანი ჰგრძნობს ხოლმე თავსა, მზიანს დღეში რომ გარეთ გამოვა.

გუშინდელ ქუჩის შესახვევამდე რომ მიაღწია, როგორღაც შეშფოთებულმა გაჰხედა ქუჩასაცა და **ამ** სახლსაცა... მაგრამ მაშინვე თვალი მოარიდა.

„რომ მკითხონ, იქნება ვუთხრა კიდეცა“,—გაიფიქრა, კანტორას რომ მიუახლოვდა.

კანტორა სულ მეოთხედ ვერსის მანძილზედ იყო რასკოლნიკოვის საცხოვრებელ ბინიდამ დაშორებული. ახლად გადმოიტანეს ამ ახალი სახლის მეოთხე სართულში. ძველ ბინაზედ რომ იყო, ახსოვს, ერთხელ იყო კიდევაცა თითქოს, მაგრამ დიდი ხანია მას შემდეგ. შევიდა თუ არა ეზოში, მარჯვნივ კიბე შეჰნიშნა, რომლიდამაც ღილიაში წიგნ ამოჩრილი გლეხი ჩამოდიოდა:—„მეეზოვეა უთუოდ; ეტყობა, კანტორაც აქვე იქნება“,—გაიფიქრა და პირდაპირ კიბეს შეუდგა. არ უნდოდა კითხვა და ძიება დაეწყო.

„შევალ, დავიჩოქებ და ყველაფერს ვუამბობ“... გაიფიქრა, მეოთხე სართულს რომ შეუდგა.

კიბე იყო ვიწრო, დაქანებული, ნარცხითა, ნაგვითა და ვაი-ვაგლახით სავსე. ოთხთავ სართულის ყველა ბინის სამზარეულოები ამ კიბეზედ გამოდიოდნენ და მთელი დღე საშინელი დახშული ჰაერი და სუნი იდგა. ადიოდნენ და ჩამოდიოდნენ ამ დღით ღილიაში წიგნებ-ამოჩრილი მეეზოვეები და ორისავ სქესის სხვა-და-სხვა მაწანწალები და მომჩივრები. თვითონ კანტორის კარებიც ყურთამდე ღია ეგდო. შევიდა და შესავლელ დერეფანში შედგა. აქ სულ ვიღაცა გლეხები იდგნენ და უცდიდნენ. აქაც ისრევე იყო ჰაერი შეხუთული. ახლად გაწამლულ ოთახების მყრალი სუნი გულს ურევდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადამიანსა. პატარა ხანს-კი შეიცადა, მაგრამ არჩია ისევ მეორე ოთახში გასულიყო. ოთახები ყველა დაბალი და პატარეები იყო. საშინელი მოუთმენრობა სულ შიგნით და შიგნით იზიდავდა რასკოლნიკოვსა. არავის იგი არ შეუნიშნია. მეორე ოთახში ცოტა იმაზედ უკეთ ჩაცმული ვიღაცა მწერლები ისხდნენ და სწერდნენ. შესახედავად ყველა როგორღაც უცნაურები იყვნენ. აიღო რასკოლნიკოვმაცა და ერთს მათგანს მიჰმართა.

— რაო, რა გინდა?

რასკოლნიკოვმა კანტორიდგან მიღებული უწყება უჩვენა.

— სტუდენტი ხართ? — ჩაეკითხა მწერალი, უწყებას რომ დაჰხედა.

— დიახ, ნასტუდენტარი გახლავართ.

მწერალმა თვალი აავლ-ჩაავლო, მაგრამ არავითარი ცნობის მოყვარეობა მისს სახეს არ შესტყობია.

„ამისგან, სულ ერთია, ვერას გავიგებ“, გაიფიქრა რასკოლნიკოვმა.

— აიქ მიდით, საქმის მწარმოებელთან, — უთხრა მწერალმა და პირდაპირ უკანასკნელს ოთახზედ მიუთითა.

რასკოლნიკოვიც ამ (რიცხვით მეოთხე) ვიწროსა და ხალხით უზომოდ გამოტენილს ოთახში შევიდა, სადაც წინა ოთახებთან შედარებით უფრო სუფთად იყო ჩაცმული ხალხი. მათ შორის იყო ორი მანდილოსანიც: ერთი მათგანი ლარიბად იყო შავებში ჩაცმული და საქმის მწარმოებლის პირდაპირ იჯდა, რაღასაც სწერდა მისის სიტყვითა. მეორე-კი, ჩასუქებული და წითლად გაღვივებული, ლაქებიანი, საკმაოდ წამოსადეგი და მდიდრულად ჩაცმული მანდილოსანი გვერდზედ იდგა და რაღასაც უცდიდა. გულში ვეება, ჩაის ლამბაქივით გატყაპნილი, ოქროს ძვირფასი ბალთა ჰქონდა გაბნეული. რასკოლნიკოვმა უწყება საქმის მწარმოებელს გადასცა საქმის მწარმოებელმაც ცალის თვალით გადაჰხედა უწყებასა

ეროვნული ბიბლიოთეკ

და უპასუხა: „მოიცადეთო“; თვითონ-კი ისევ სამგლოვიარო შავებში გამოწყობილს მანდილოსანს მიუბრუნდა.

ცოტათი თავისუფლად ამოისუნთქა რასკოლნიკოვმა. — „უთუოდ იმისათვის არ მიბარებენ!“ გაიფიქრა და ნელ-ნელა გამხნევდა, გონს მოვიდა.

„სულ უბრალო რამ სისულელე, სულ უბრალო რამ გაუფრთხილებლობა საკმარისია, რომ ჩემი თავი მევე გავცე. ჰმ!.. სუფთა ჰაერი მაინც იყოს, რომ ცოტა გავგრილდე,“ დასძინა, — „შეხუთულია ჰაერი... თავი უარესად მიბრუის... ტვინი მიხურს“... ჰგრძნობდა საზოგადოდ, რომ საშინლად არეული იყო და ეშინოდა, ვაი თუ თავი ვერ შევიმაგროვო. სცდილობდა გარეშე რამ საგანს ჩასჭიდებოდა, სრულიად სხვა რამეზედ ეფიქრა, მაგრამ ვერ ახერხებდა. საქმის მწარმოებელი მაინც ძლიერად იზიდავდა მისს ყურადღებასა: უნდოდა ამოეკითხა როგორმე მისს სახეზედ, რასა ფიქრობდა. ეს იყო ოც და ორის წლის, შავგვრემანი, ცოცხალის შეხედულობის ახალგაზრდა, მაგრამ ცოტა თითქოს ხნიერად მოსჩანდა უფრო. ტანთ კოხტად ეცვა დროის მიხედვით, თავი ლამაზად გადაევარცხნა, პომადა ეცხო. თეთრსა და ჩოთქებით ლამაზად გადახეხილს თითებზედ ბეჭდები ჰქონდა მრავლათ გაკეთებული, ჟილეტზედ ოქროს საათის ძეწკვი ეკიდა. ერთს იქ მყოფს უცხოელს ორიოდე სიტყვით ფრანგულადაც გამოელაპარაკა და საკმაოდ წმინდათაც.

— ლუიზა ივანოვნა, დაბრძანდით, მიჰმართა გაკვრით წითლად გაღვივებულს გამოკოპწიავებულს მანდილოსანსა, რომელიც ფეხზედ იდგა ერთ-თავადა და ვერა ჰბედავდა თითქოს ნება დაურთველად დაჯდომასა, თუმცა იქვე, გვერდით, სკამიც ედგა.

— **ich danke**, — მიუგო მანდილოსანმა და ფარჩის შრიალით წყნარად დაეშვა სკამზედა. ბაკი, მტრედის ფერი, კრუჟევებით მორთული კაბა ჰაეროსტატივით გაებერა და მაგიდის გარშემო თითქმის ოთახის ნახევარი მთლად დაიჭირა. იქაურობა სუნნელოვან სასხურებლების სუნით გაიჟღენთა. მაგრამ

ეროვნული ბიბლიოთეკ

ეტყობოდა, სცხვენოდა, რომ თითქმის ნახევარ ოთახი იმან დაიჭირა და სუნნელოვნება გაავრცელა: როგორღაც მოკრძალებით იღიმებოდა შეშინებული.

გაათავა ბოლოს მგლოვიარე მანდილოსანმა წერა და ასადგომად დაემზადა. უცბად ამ დროს ოთახში შემოვიდა თვითოეულ ფეხის გადადგმაზედ როგორღაც საგანგებოდ მხრების წევითა და გრეხით, ყოყლოჩინად ვიღაცა ოფიცერი, კაკარდიანი ქუდი მაგიდაზედ დააგდო და სავარძელში გამოიჭიმა. თვალი მოჰკრა თუ არა მორთულმა მანდილოსანმა, მაშინვე როგორღაც უცბად წამოხტა სკამიდამა და საგანგებო აღტაცებით დაუწყო მოწიწებით თავის კვრა; მაგრამ ოფიცერმა ყურადღება არ მიაქცია და ქალიც ველარა ჰბედავდა მასთან დაჯდომასა. ეს გახლდათ უბნის ზედამხედველის თანაშემწე, მაგრამ აქეთ-იქით გაფარჩხულ ქერა ულვაშებიანი, სუფთა სახის გამომეტყველება მის კადნიერების მეტს სხვას არას ამხელდა. გვერდზედ გაჰხედა განრისხებულმა რასკოლნიკოვსა: მეტადა ჰქონდა ტანისამოსი გახუნებული და გალესილი, მაგრამ შედარებით მაინც თავი როგორღაც ამაყად ეჭირა, თუმცა თავდაბლადა და დამცირებულად გამოიყურებოდა. როგორღაც მოურიდებლადა და დიდხანს უყურებდა პირდაპირ რასკოლნიკოვიც, ასე რომ იწყინა კიდეც თანაშემწემა.

— შენ რაღა გინდა?—შეუყვრია განცვიფრებულმა უთუოდ, რომ ასე დაგლეჯილ-დაფლეთილი ჰბედავდა და შიშისაგან არა ჰქრებოდა მისს ცეცხლებრ მწვავ შეხედვაზედა.

— მომითხოვეს... უწყება მომივიდა... მიუგო რასკოლნიკოვმა.

— ფულის გადახდევინების შესახებაა, სტუდენტია, მიუგო საჩქაროდ საქმის მწარმოებელმა და დროებით ქაღალდებს თვალი მოაშორა.—აი, დაიჭით!—მიჰმართა საქმის მწარმოებელმა რასკოლნიკოვსა და რვეული გადაუგდო,—წაიკითხეთ;

„ფულისა? რა ფულისა, ნეტა?“ ფიქრობდა რასკოლნიკოვი,—„მაგრამ... ეტყობა მაშ, ის არ ყოფილა!“ გაივლო

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულში და სიხარულისაგან შეხტა თითქმისა. უცბად საშინლად მოეშვა და ეშველავათა, თითქოს ტვირთი რამ ჩამოეხსნაო.

— მერე, რომელ საათზე გიბრძანეს მოსვლა, მოწყალეო ხელმწიფეო? შეუყვირა კვლავ პორუჩიკმა, უფრო და უფრო რაღაცით შეურაცხყოფილმა.—გწერენ ცხრაზედ გამოსცხადდეთ და ახლა-კი უკვე მეთორმეტე საათია!

— მე მხოლოდ ამ თხუთმეტის წამის წინად მივიღე უწყება,—უპასუხა მხართ უკანიდამ ხმა-მაღლა რასკოლნიკოვმა, რომელიც, ეტყობოდა, ასრეკვე მოულოდნელადა და უცბად გაჯავრდა და რაღაცა სიამოვნებასაც კი ჰგრძნობდა ამის გამო.—ისიცა კმარა, რომ სიცხიანი და ავადმყოფი მაინც გამოვცხადდი.

— ნუ ინებებთ ყვირილს!

— არა ვყვირი! პირ-იქით, წყნარადა ვლაპარაკობ; თქვენ-კი დიახაც მიყვირით; მაგრამ ნუ დაივიწყებთ, რომ სტუდენტი ვარ და ნებას არ მოგცემთ.

იქამდის აენთო და გაბრაზდა თანაშემწე, რომ პირველად ხმა ველარც-კი ამოიღო, მხოლოდ დორბლებსა-ღა ჰყრიდა პირიდამა. წამოხტა მერე გაბრაზებული და დაუწყო ისევ:

— გთხოვთ გა-ჩ-ჩ-უმ-დეთ! ნუ გავიწყდებათ, რომ სახელმწიფო დაწესებულებაში ხართ. ნუ იძლევით, მოწყალეო ხელმწიფეო, აგრე მკვახე პასუხებსა!

— ნურც თქვენ დაივიწყებთ, რომ იმავე დაწესებულებაში ხართ,—შეუყვირა რასკოლნიკოვმა,—გარდა მაგისა, რომ ჰყვირით, პაპიროსსაც ეწევით; სჩანს, მაშ, ჩვენ ყველას არად გვაგდებთ.

უთხრა რასკოლნიკოვმა და უზომო სიამოვნება და კმაყოფილება იგრძნო.

ღიმილით შეჰყურებდა საქმის მწარმოებელი ორივესა. ეტყობოდა, ფიცხი პორუჩიკი დააფიქრა რასკოლნიკოვმა.

— თქვენი საქმე არ არის ეგა! დაუყვირა ბოლოს როგორღაც არაბუნებრივად ხმა-მაღლა,—სჯობს, რასაც გთხოვენ, პასუხი მოგვცეთ იმისი. ალექსანდრ გრიგორიჩ, უჩვენეთ ერთი.

ეროვნული ბიბლიოთეკ

გიჩივიანთ! ფულს თურმე არ იხდით! რაო, ვითომ რა წითელი კოჭი თქვენა ბრძანდებით.

მაგრამ რასკოლნიკოვი უკვე ქალალდს დააცხრა ხარბადა, უნდოდა მიზეზი მალე გამოერკვია, ყურს არ უგდებდა. წაიკითხა ერთხელ, მეორედ, მაგრამ აზრი მაინც ვერ გაუგო.

— ვერ გამიგია, რა არის, დაეკითხა საქმის მწარმოებელსა.

— ფული გისესხნიათ და იმასა გთხოვენ. ან უნდა გადაუხადოთ მთლად თავისის ხარჯებითა და ჯარიმებითურთ, ან არა-და წერილობითი პასუხი მოგვცეთ, როდის შეიძლებთ გადახდასა; უნდა მოგვცეთ ამასთანავე პირობა, რომ ვალის გადახდამდე სატახტო ქალაქიდამ არსად წახვალთ და არც თუ თქვენის ქონებიდამ გაჰყიდით და დაჰმალავთ რასმე. მსესხებელსკი ნება აქვს ქონებაც გაგიყიდოთ და თქვენც კანონისამებრ მოგეპყრათ.

— მაგრამ.... რომ არავისი რა მმართებს!

— ეგ ჩვენი საქმე არ არის. ჩვენ მივიღეთ გადასახდევინებლად ვადა-გასული და კანონიერად პროტესტ-გამოცხადებული ას **თხუთმეტი** მანეთის თამასუქი, ამ ცხრა თვის წინად კოლეჟსკი ასსესორის ქვრივის ზარნიცევას სახელზედ დაწერილი, რომელსაც იგი შემდგომ ნადვორნი სოვეტნიკის ჩებაროვისათვის გადაუცია. ამაზედა გთხოვთ პასუხსა.

— მერე, ეგ ხომ ჩემი დიასახლისია?

— რა არის, მერე, რომ დიასახლისია?

და საქმის მწარმოებელმა სიბრალულით გადაჰხედა, როგორც უცადსა; თან რაღაცა ყოყოჩობა დაეტყო თითქოს, იღიმებოდა: „რაო, როგორ ჰგრძნობ ახლა თავსაო?“ ეუბნებოდა თითქოსა. მაგრამ ან ამ თამასუქთან რაღა საქმე ჰქონდა ახლა, ან ფულის გადახდევინებასთანა! ნუ-თუ ამასაც უნდა შეეშფოთებინა როგორმე! იდგა რასკოლნიკოვი, კითხულობდა, უგდებდა ყურსა, უპასუხებდა და თითონაც-კი ეკითხებოდა რაღეებსაცა, მაგრამ გაგებით თითქმის არა გაეგებოდა-რა. მთელი მისი არსება ამ ჟამად მხოლოდ თავის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაცვისა და საფრთხიდამ თავის დაძვრენის ზრუნვასა და ფიქრში იყო, აღარასფერს სხვას არა ჰხედავდა, აღარასფერს არ კითხულობდა. ეს იყო პირდაპირი და სრული, პირუტყვული სიხარულის წამი. მაგრამ ამ დროს იყო სწორედ, რომ კანტორაში უცბად ერთი ყვირილი და ვაი-ვაგლახი ატყდა: რასკოლნიკოვისაგან შეურაცხყოფილი და გაბრაზებული პორუჩიკი თავისს ღირსებისა და პატივის აღსადგენად უცბად „მოპრანჭულს მანდილოსანს“ ეცა ახლა, რომელიც აგერ არის შემოსვლის წამიდგან აქამდე ფეხზედ იდგა ერთ-თავადა და რაღაცა სულელურად ულიმოდა გულმოსულს თანაშემწესა.

— შენა, შე ასეთ-ისეთო და იმისთანავ,—შეუყვირა უცბად, რაც ძალი და ღონე ჰქონდა (მგლოვიარე მანდილოსანი უკვე წასული იყო),—შენ რაღა ამბავი გქონდა ამ ღამესა? ჰა? კიდევ უწესობასა და ვაი-უშველებელს ახდენ ქუჩაშია, არა გრცხვენიან! ისევ ჩხუბი და ლოთობა გაქვს გამართული? ვირის აბანო ხომ არ მოგენატრა! ეს მერამდენედ არის, რომ გეუბნები და გაფრთხილებ! არ გითხარი, მეთერთმეტეჯერ აღარ გაპატიებ-მეთქი. შენ-კი, ასეთ-ისეთო, შენსას არ იშლი!

ისე გაშტერებული და გაკვირვებული უცქეროდა რასკოლნიკოვი „მოპრანჭულს მანდილოსანსა“, რომელსაც ისე მოურიდებლად ამკობდნენ, რომ ხელიდან ქაღალდიც კი გაჰვარდა; მაგრამ მოისაზრა მალე, რაში იყო საქმე და დამშვიდდა; ეამებოდა კიდეც როგორღაც მთელი ეს ამბავი. იქამდის სიამოვნებით უსმენდა ყოველსავე ამასა, რომ გულით მოუნდა გადაეხარხარნა კიდეცა... ნერვები მთლად უთრთოდა.

— ილია პეტროვიჩ! — ჩაერია საქმის მწარმოებელი მზრუნველობითა, მაგრამ შედგა და მოიცადა, რადგან იცოდა კარგად გამოცდილებითა, რომ გაცხარებულ პორუჩიკის შეყენება ახლა მხოლოდ ხელების გაკავებით-ღა შეიძლებოდა.

რაც შეეხებოდა „მოპრანჭულს მანდილოსანს“, პირველად მთლად ცახცახი აუვარდა ყვირილზედ; მაგრამ უცნაურია სწორედ: რამდენიც უფრო მეტსა ჰლანძღავდა და უყვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როდა თანაშემწე, იმდენი უფრო მომხიბლველადა და ტკბილად ულიმოდა მრისხანე პორუჩიკს მანდილოსანი. ინაბეზოდა ადგილზედ და ერთ-თავად მოწიწებით თავს იხრიდა, თან იცდიდა მოუთმენრადა, რომ ბოლოს იმასაც აღირსებდნენ პასუხის მიცემასა.

— არაფერი ხმაურობა და ჩხუბი არა მქონია, ბ-ნო კაპიტენო,—დააყარა უცბად მანდილოსანმა, თითქოს ეს არის ლობიოს ტომარას მოჰხსნეს პირიო; თან ნემეცურს გამოთქმას ატანდა რუსულს ლაპარაკსა,—არაფერი „შკანდალი“ არა მქონია; მთვრალი მოვიდა ისინი, მე სულ ყველაფერი გითხრა, ბ-ნო კაპიტენო, დამნაშავე არა ვარ... კეთილშობილი სახლი მაქვს და ქცევაც კეთილშობილი, ბ-ნო კაპიტენ, ამიტომაც არასოდეს „შკანდალი“ არა მქონია. ისინი კი მთვრალი მოვიდა და კიდევ სამი „პუტილკა“ მოითხოვა; მერე აიწია ფეხები და ფეხებით ფორტეპიანო დაუკრა. კეთილშობილ სახლში ეს არ ვარგა და უნდოდა „განც ფორტეპიანო“ გაეტეხა; აქ არაფერი „მანერა“ არ არის-მეთქი, უთხარი. იმან კი აიღო „პუტილკა“ და ყველას დაუწყო უკანიდან ცემა. მეც მაშინვე „დვორნიკს“ დაუძახე და მოვიდა კარლი. აიღო იმან კარლი და თვალში დაარტყა, გენრიეტსაც თვალში დაარტყა, მეც ხუთჯერ ლოყაში დამარტყა. ეს კი კეთილშობილ სახლში, ბ-ნო კაპიტენ, კარქი არ არის და ვიყვირე მეც. იმან კი გაიღო ფანჯარა არხისაკენა და პატარა ღორივით ჭყვირილი დაიწყო; სირცხვილია ესა. როგორ იქნება ქუჩაში, ფანჯარაში, პატარა ღორივით ჭყვირილი? ფუჰ-ფუჰ-ფუჰ! კარლმა მაშინ ფრაკში გასწია, ფანჯარას მოაშორა და მართალია, ბ-ნო კაპიტენ, „ზეინ როკ“ ჩამოახია. იყვირა მაშინ, რომ „მან მუს“ თხუთმეტი მანეთი „შტრაფი“ გადაეხადა. და მე მივეცი თითონ „ზეინ როკ“ ხუთი მანეთი. კეთილშობილი სტუმარი არ იყო, ბ-ნო კაპიტენ, სულ „შკანდალს“ აკეთებდა! თან ამობდა, ერთი დიდი „სატირ გედრუქტ“ დავწერო, ყველა გაზეთში დავწერო თქვენზედა.

— ეტყობა, მაშ, მჩხაპნელთაგანი ყოფილა, ჰა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დიახ, ბ-ნო კაპიტენ, მერე რა ბრიყვი რამ არი, ბ-ნო კაპიტენ. კეთილშობილ სახლში...

— ნუ-ნუ-ნუ! კმარა! დიდი ხანია ნათქვამი მაქვს, ნათქვამი, ნათქვამი...

— ილია პეტროვიჩ! — შეეხმაურა კვალად მნიშვნელოვანად საქმის მწარმოებელი.

სწრაფად მიჰხედა პორუჩიკმა და საქმის მწარმოებელმაც ოდნავ თავი დაუქნია.

— ...ასე, მაშ, პატივცემულო ლავიზა ივანოვნა, იცოდე ეს ჩემი უკანასკნელი სიტყვა, — განაგრძობდა პორუჩიკი, — მაგრამ თუ ერთხელაც არის მოხდება რამე სკანდალი კიდევ შენს კეთილშობილს სახლშია, იცოდე, მაშინ შენ თვითონ გიკრამ „ცუგუნდერში“ თავს. გესმის? მაშ, აგრე, ჰა, ლიტერატორი იყო თუ მჩხაპნელი, ხუთი მანეთი აგაგლიჯა კალთის ჩამოხევისათვის, ჰა? ვერა ჰხედავთ ამ მთხუზველებსა! — შესძახა პორუჩიკმა და რასკოლნიკოვს ზიზღით გადაჰხედა. — ამ სამის დღის წინად „ტრაქტირშიაც“ აგრე ექმნა ერთსა: ესადილნა ლამაზად და ფულს კი თურმე არ იხდიდა; „სატირას დაგიწერთ ამისთვისაო“, ეთქვა. მეორეს კიდევ გემზედ დაელანძღა წარსულს კვირას პატივცემული ოჯახობა სტატსკი სოვეტნიკისა; ცოლსა და ქალსაც კი უწმაწური სიტყვებით თურმე მიჰმართა. წელან კიდევ საკანდიტეროდან გამოაპანღურეს ერთი. აი, ჰხედავთ, რა შვილებიცა ბრძანდებიან ყველა ეს მთხუზველები, ლიტერატორები, სტუდენტები და მქადაგებლები... ფუჰ! მაგრამ წაეთრიე! თვითონ შემოგივლი... მაგრამ მიფრთხილდი მაშინ! გესმის?

ლუიზა ივანოვნამაც აჩქარებითა და თავაზიანად დაუწყო ყველას თავის კვრა და დაბლა თავ-მოხრით კარებამდის მიაღწია. მაგრამ კარებში უცბად უკან მიმავალი ვიღაცა წამოსადეგს ოფიცერს წააწყდა, რომელსაც სახე მშვენივრად დასწითლებოდა და ორად გაყოფილი, ხშირი ქერა წვერი საამურად გაჰშლოდა. ეს იყო თვითონ უბნის ზედამხედველი ნიკოდიმ ფომიჩი. ლუიზა ივანოვნამ მაშინვე საჩქაროდ მიწამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დე თავი დაუკრა და აჩქარებულის, ხშირის ნაბიჯითა და ხტუნვით კანტორიდან გავარდა.

— ისევ და ისევ გრგვინვა-ქუხილი, ისევ ელვა და ქარიშხალი! მიჰმართა მხიარულად და მეგობრულად ნიკოდიმ ფომიჩმა ილია პეტროვიჩს,—ეტყობა კიდევ გაგაჯავრათ ვინმემ და აგაღელვათ! კიბეზედვე შემომესმა ხმა.

— რა ვუყო! —უპასუხა კეთილშობილურის დაუდევრობით ილია პეტროვიჩმა და ქაღალდებით დატვირთულმა მეორე მაგიდისაკენ გასწია; თან თვითოეულ ფეხის გადადგმაზედ მხრებს ათამაშებდა: საითაც ფეხს გადასდგამდა, მხარსაც იქით გადაიხრიდა. თქვენ თვითონ განსაჯეთ: ბატონი შემთხზველი, თუ სტუდენტია, სულ ერთია, ნასტუდენტარი, ფულს არ იხდის, ვექსილებს უწერს, ბინას არა სცლის, ერთ-თავად უჩივიან; აქ კი საყვედურს მიცხადებს, რომ იმის წინ პაპიროსს მოვუკიდე! თვითონ საძ-ძ-ძაგლობენ, თორემ შეჰხედეთ, აბა: აგერა, თვითონ მათი მშვენივრებაც!

— სიღარიბე რა დასაძრახია, მეგობარო, რა ვუყოთ რომა!—რასაკვრელია, თოფის წამალი შეურაცხყოფას ვერ აიტანდა.—უთუოდ თვითონ გეწყინათ რამე იმათგანა და თავი ველარ შეიმაგრევით, არა, —ეკითხებოდა თავაზიანად ნიკოდიმ ფომიჩი რასკოლნიკოვსა, — მაგრამ ტყუილად გინებებიათ: უ-უ-კეთილშობილესი კაცია, მოგახსენებთ, მაგრამ ცეცხლია, ცეცხლი! თოფის წამალივით იფეთქებს და აენთება ხოლმე, მაგრამ იქვე ჩაჰქრება! გადაუვლის და ბოლოს მხოლოდ ოქროს გულის პატრონი კაცი შეგრჩებათ ხელში. პოლკშიაც მაგიტომ ეძახდნენ: „თოფის წამალა-პორუჩიკსა“...

— რა პ-პ-პოლკი იყო, მერე! შესძახა ილია პეტროვიჩმა, ნასიამოვნებმა, რომ ასე საამურად გააპატიოსნეს, მაგრამ მაინც ცოტა ნაწყენად ეჭირა თავი.

მოუნდა უცბად რასკოლნიკოვს ყველასათვის ესიამოვნებინა.

— არა, გეთაყვათ, კაპიტანო,—მიჰმართა უცბად ცოცხლად და თამამად ნიკოდიმ ფომიჩს,—ახლა ჩემს გარემოება-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საც დაუკვირდით... მზადა ვარ, თუნდ ბოდიშიც მოვიხადო, თუ კი დავაშავე რამე. მე ერთი ღარიბი და ავადმყოფი სტუდენტი ვარ, სიღარიბით დაჩაგრული (ასე სთქვა სწორედ: „დაჩაგრულიო“). ნასტუდენტარი ვარ, იმიტომ, რომ შეძლება აღარა მაქვს, მაგრამ მივიღებ კი... დედა და და ნ—ის გუბერნიაში მყვანან... გამომიგზავნიან და... გადავუხდი. დიასახლისი კეთილი დედაკაცია, მაგრამ გამიბრაზდა, გაკვეთილები რომ დავკარგე და მეოთხე თვეა, ფული ვეღარ მივეცი და სადილსაც-კი აღარ მაჭმევს... მაგრამ არ მესმის სწორედ, რა ვექსილია ეგ ვექსილი. ახლა ამ ბარათითა მთხოვს ვალის გადახდასა! მაგრამ იფიქრეთ, აბა, საიდან მივცემ!..

— აბა, ეგ რა ჩვენი საქმეა... შეჰნიშნა კვალად საქმის მწარმოებელმა.

— მოითმინეთ, მოითმინეთ, სრულიად გეთანხმებით, რომ თქვენი საქმე არ არის, მაგრამ ნება მომეცით აგიხსნათ, დასძინა ისევ რასკოლნიკოვმა საქმის მწარმოებლის საპასუხოთ, მაგრამ ისევ ნიკოდიმ ფომიჩს-კი ელაპარაკებოდა; თანაც სცდილობდა, იმავე დროს ილია პეტროვიჩისათვისაც გაეგებინებინა ნათქვამი, თუმცა იგი განგებ ქაღალდებს ჰფურცლავდა და ზიზღით აგრძნობინებდა, რომ არავითარ ყურადღებას არ აქცევდა;—ნება მომეცით, აგიხსნათ და განგიმარტოთ, რომ დიდი ხანია, თითქმის სამი წელიწადი, რაც იმასთანა ვცხოვრობ; ერთი სიტყვით, მას შემდეგ, რაც პროვინციიდამ ჩამოვედი... თავიდამვე... რატომ არ უნდა გამოვტყდე ვითომ?.. პირობა მივეცი, შენს ქალს შევირთავ-მეთქი, მაგრამ პირობა სიტყვიერი, თავისუფალი... ეს იყო... ქალი... მაგრამ მომწონდა კიდეც თითქმის... თუმცა შეყვარებული არა ვყოფილვარ... ერთი სიტყვით, ახალგაზრდობით მომივიდა, ესე იგი მინდა ვსთქვა, რომ დიასახლისი მაშინ ბევრს მენდობოდა და მეც ცოტა თავისუფლად... ფუქსავატადა ვცხოვრობდი...

— მაგისთანა საიდუმლოების გამჟღავნებას არავინა გთხოვთ, მოწყალეო ხელმწიფეო, და არც დრო გვაქვს თავისუფალი, ფომ...—გააწყვეტინა ბრიყვულადა და მკვახედ ილია პეტრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიჩმა, მაგრამ რასკოლნიკოვმა გაცხარებულმა შეაყენა იგი, თუმცა უცბად ლაპარაკი გაუძნელდა ცოტათი.

— მაგრამ მომითმინეთ, ნება მომეცით, ცოტათი მაინც არის გაგაცნოთ... როგორ არის საქმე... ჩემ მხრივ... თუმცა სულ მეტი არის, გეთანხმებით, ეს ლაპარაკი,—მაგრამ გიამბობთ მაინც: ამ ერთის წლის წინად ქალი საოფლეთი მოუკვდა, მე-კი ისევე მდგმურათ დავრჩი, როგორც წინადა; და დიასახლისი რომ ახლანდელს ახალს ბინაზედ გადმოვიდა, მითხრა... მითხრა მეგობრულადა... რომ მენდობოდა სრულიადა და ყველაფერშიც დამეხმარებოდა... მაგრამ... იქმნება ამ ას თხუთმეტი მანეთის თამასუქი მომცეო, ესე იგი რაც ფული მემართა, იმისი. მომითმინეთ: მითხრა, სახელდობრ, რომ, მივცემდი თუ არა ამ ქალალდს, მაშინვე ისევ მენდობოდა, რამდენსაც-კი მოვისურვებდი და არასოდეს თავის მხრივ ამ თამასუქის ბარათით არ ისარგებლებდა,—ეს იმისავე საკუთარი სიტყვებია,—ე. ი. არ გადამახდევინებდა, სანამდის თვითონ მე არ გავუსწორდებოდი... და აი, ახლა, როცა გაკვეთილებიც დავკარგე და საჭმელადაც აღარა მაქვს-რა, უჩივლია და უნდა გადამახდევინოს. რა უნდა ვსთქვა, აბა?

— ყველა ეს დაწვრილებითი საგრძნობელი ამბები, მოწყალეო ხელმწიფეო,—მოუჭრა უსინდისოდ ილია პეტროვიჩმა, - ჩვენ არ შეგვეხება; თქვენ უნდა მოგვცეთ პასუხი და ვალდებულება, ხოლო რაც შეეხება ამ ტრაგიკულს განმარტებასა და იმასა, რომ ვიღაცა გყვარებიათ, ეს საქმეს სრულიად არ უდგება.

— შენც, ერთი... სასტიკად ებყრობი... ჩაიბუტბუტა ნიკოდიმ ფომიჩმა, მიუჯდა მაგიდასა და ქალალდებს დაუწყო ხელის მოწერა. თითქოს შერცხვა როგორღაცა.

— დასწერეთ,—მიჰმართა საქმის მწარმოებელმა რასკოლნიკოვსა.

— რა დავსწერო?—ჩაეკითხა როგორღაც მკვახედ რასკოლნიკოვი.

— გეტყვით, რაც უნდა დასწეროთ.

ეჩვენა რასკოლნიკოვსა ვითომ ამ აღსარების შემდეგ საქმის მწარმოებელიც როგორღაც უგულოთა და ზიზღით ებყრობოდა,—მაგრამ უცნაური საქმე დაემართა,—უცბად მთლად შეეცვალა აზრი: აღარაფრად აგდებდა, ვინ რას ეტყოდა, რას იფიქრებდა. რასაკვრელია, ცოტაც არის რომ დაჰკვირებოდა გარემოებას, გაიკვირვებდა უთუოდ, როგორ ჩაიდინა ისეთი საქმე და უამბო ისეთი რამეები, ან როგორ აეკვიატა თავისის გრძნობებითა? ან საიდან გაუჩნდა ეს გრძნობები? პირიქით, ახლა რომ უცბად ოთახი თავისს საუკეთესო მეგობრებით გაჰვსებოდა და არა უბნის ზედამხედველებითა, ამ მეგობრებისთვისაც-კი ვერ იპოვიდა ადამიანურს სიტყვასა, ისე დაუცალიერდა უცბად გული. დაღვრემილობის გრძნობა მტანჯველ და უსაზღვრო განმარტოებისა უცბად ცნობიერად დაეტყო მისს სულსა. თავისს გულითად გამოტეხვის სიმდაბლემა და ილია პეტროვიჩის გამარჯვების სიმდაბლემ-კი არ შეუცვალა უცბად გული. ეჰ, რა ესაქმებოდა და რა დარდი ჰქონდა თავისს საკუთარ საძაგლობასა და პორუჩიკის თავზიანობასთანა; ან ეს ნემეცი ქალები, ფულის გადახდევინება, კანტორა და სხ. ვილას აგონდებოდა! თუნდ დაწვაც გადაეწყვიტათ ემავ წამში, მაშინაც-კი ყურს არ შეიბერტყდა და იქნება განაჩენისთვისაც-კი არ დაეგდო ყური რიგიანადა. რაღაცა მთლად უცნობი, ახალი და მოულოდნელი ცვლილება შეეპარა. ვერ შეეგნო სავსებითა, მაგრამ ჰგრძნობდა ნათლადა, რომ არამცთუ წელანდელივით გრძნობები და გული არ უნდა გადაეშალა, პირ-იქით, არც-კი უნდა მიემართნა რისთვისმე ამ ხალხისათვისა, თუნდაც უბნის პორუჩიკები და ზედამხედველები-კი არა, მისი საკუთარი და-ძმანიც ყოფილიყვნენ; არასოდეს სიცოცხლეში ეს არ უნდა ექმნა. არსად აქამდის ასეთი უცნაური და საზარელი რამ არ უგრძვნია. მერე, სტანჯავდა უფრო ის, რომ ეს იყო მხოლოდ გრძნობა და არა შეგნება და ცნობიერი შესმენა. ეს იყო პირდაპირი, მტანჯველი შეგრძნება ყველა იმისა, რაც-კი რამ დღემდის ეგრძნო სიცოცხლეშია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკანანახა საქმის მწარმოებელმა, ჩვეულებრივ ამ გვარს შემთხვევაში რა რიგ პასუხს აძლევენ ხოლმე, — ესე იგი: რომ ახლა გადახდა არ შეეძლო, რომ პირობასა სდებდა, ამა და ამ დროს (ოდესმე) გადაუხდიდა, ქალაქიდამ არსად წავიდოდა, ქონებას არ გაჰყიდიდა, არც გააჩუქებდა და სხვ.

— რა ამბავია, წერას ძლივს ახერხებთ, კალამი ხელიდან გვარდებათ, — შეჰნიშნა საქმის მწარმოებელმა და ცნობის მოყვარეობით შეჰხედა რასკოლნიკოვსა. — ავათ ხომ არა ხართ?

— დიახ... თავი მიბრუის... მითხარით, კიდევ რა უნდა!

— აღარასფერი. ხელი მოაწერეთ.

საქმის მწარმოებელმა ქაღალდი ჩამოართვა, ახლა სხვებს მიუბრუნდა.

რასკოლნიკოვმაც კალამი დაუბრუნა, მაგრამ იმის მაგივრად, რომ წამომდგარიყო და წასულიყო, ორთავე ნიდაყვით მაგიდას დაეყრდნო და ხელები მაგრა თავზედ მოიჭირა, თითქოს ეს არის ლურსმანს ურჭობენ თავშიო. უცნაურმა ფიქრმა გაურბინა უცბად: მისულიყო ახლავ ნიკოდიმ ფომიჩთანა და გუშინდელი ამბავი ყველაფერი დაწვრილებით ეამბნა, წაეყვანა მერმე თავისს ბინაზედა და კუთხეში დამალული ნივთები ეჩვენებინა. იქამდის ძლიერა ჰგრძნობდა ამ მოთხოვნილებასა, რომ წამოდგა კიდეცა. — „მაგრამ იქნება სჯობდეს ვიფიქრო ცოტა!“ მაგრამ უცბად გაქვავებულისავით გაშეშდა: ნიკოდიმ ფომიჩი გაცხარებული ილია პეტროვიჩს ელაპარაკებოდა.

— არა, ეგ შეუძლებელია. ორთავეს გაანთავისუფლებენ. ჯერ ერთი, რომ ყველაფერი წინააღმდეგს ამტკიცებს; იფიქრეთ, აბა: მეეზოვეს რაღად დაუძახებდნენ, რომ მართლა დამნაშავენი ყოფილიყვნენ? რაო, თვითონვე გასცემდნენ თავიანთ თავსა, თუ როგორ არის საქმე? ან იქნება ეშმაკობითა ქნეს? მაგრამ, არა, მეტის-მეტია ეგ ეშმაკობა! და მეორეც, სტუდენტი პესტრიაკოვი ორსავე მეეზოვესა და მოქალაქის ცოლს დაენახათ ეზოს კარებთან, სწორედ იმ დროს, რომ შედიოდა თურმე. სამნი თურმე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოდიოდნენ, მაგრამ ეზოს კარებთან გამოეთხოვა თავისს მეგობრებსა და იქვე, იმათ თვალ-წინ, თურმე ჰკითხა მეეზოვესა, სადა სცხოვრობსო. როგორა გგონია, იმ განზრახვით რომ მისულიყო, მეეზოვეს დაუწყებდა, განა, კითხვასა? კოხი კი, ვიდრე ბებრუხანასთან ავიდოდა, მთელი ნახევარ-საათი ძირს, ოქრომჭედელთან, თურმე იჯდა და რვას რომ ჩარეჭი აკლდა, მაშინ-ღა თურმე ავიდა ბებრუხანასთანა. იფიქრეთ — მაშ, აბა...

— მაგრამ მოითმინეთ, ეს წინააღმდეგობა რაღასა ჰნიშნავს, მაშა: ირწმუნებიან თვითონვე, რომ უკაკუნებდნენ კარებსა, მაგრამ დაკეტილი იყო და მერე კი, სამის წამის შემდეგ რომ მეეზოვე აიყვანეს, კარები უცებ ღია დაჰხვდათ?

— საქმეც ეგ არის: მკვლელი მაშინ შიგ იჯდა უთუოდ და კარები ჰქონდა გადაკეტილი; და დაიჭერდნენ კიდეც უთუოდ, კოხს რომ არ ჩაედინა სისულელე და მეეზოვესთან არ წასულიყო დასაძახებლადა. **იმანაც** ისარგებლა ამ წასვლითა, ჩამოვიდა კიბეზედა და გაუსხლტათ, გაეპარათ როგორმე. ორისავე ხელით პირჯვარს იწერს კოხი და იფიცავს: „რომ არ წავსულიყავ, გამოვარდებოდა უთუოდ და მეც ცულით მიმაწვენდაო.“ ამბობს, რუსული პარაკლისი უნდა გადავახდევინოო, — ხე, ხე, ხე!...

— მერე, მკვლელი-კი არავის დაუნახნია?

— საიდამ დაინახავდნენ, აბა? ნოეს კიდობანსა ჰგავს სახლი, შეჰნიშნა საქმის მწარმოებელმა, რომელიც ყურს თურმე უგდებდა ლაპარაკსა.

— აშკარა საქმეა, აშკარა! ფიცხობდა ნიკოდიმ ფომიჩი.

— პირ-იქით, დაასკვნა ილია პეტროვიჩმა.

რასკოლნიკოვმა შლიაპა აიღო, კარებისაკენ გასწია, მაგრამ კარამდე ველარ მიაღწია...

გონს რომ მოვიდა, ნახა, რომ სკამზედ იჯდა და მარჯვნივ ვიღაცა კაცს ეჭირა, მარცხნივაც სხვა კაცი ედგა გვერდითა და ხელში რაღაცა ყვითელ წყლიანი ჭიქა ეჭირა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიკოდიმ ფომიჩი კიდევ წინ დასდგომოდა და ყურადღებით ჩაჰშტერებოდა; რასკოლნიკოვი სკამიდამ წამოდგა.

— რა არის, ავათა ხართ? ჩაეკითხა მკვახედ ნიკოდიმ ფომიჩი.

— წელანაც, ხელს რომ აწერდნენ, კალამი ძლივს ეჭირათ,—შეჰნიშნა საქმის მწარმოებელმა და თავისს ადგილზედ დაჯდა, ისევ ქაღალდებს დაუწყო ფურცვლა.

— დიდი ხანია ავადა ხართ? შეუყვირა ახლა ილია პეტროვიჩმა თავისს ადგილიდამა და ქაღალდებს დაუწყო შლა.

რასაკვირველია, გული რომ წაუვიდა, ესაც ჰსინჯავდა ავადმყოფსა, მაგრამ მოსცილდა იმავ წამს, როგორც-კი გონს მოვიდა.

— გუშინდლიდამა... წაიდუდუნა საპასუხოდ რასკოლნიკოვმა.

— მერე გუშინ შინიდამ არსად არ გასულხართ?

— როგორ არა.

— ავადმყოფი?

— ავადმყოფი.

— რომელ საათზედა?

— საღამოს რვა იქნებოდა.

— მაინც, სად იყავით, შეიძლება გკითხოთ?

— სადა და ქუჩაში.

— ეგაც თქვენი მოკლე და ნათელი პასუხი.

უპასუხებდა რასკოლნიკოვი მკვახედ და სხარტად, მთლად გადაფითრებული და თან თავისს ანთებიანს შავს თვალებს ილია პეტროვიჩს არ აშორებდა.

— ფეხზედ ძლივსა სდგას კაცი და შენ კი...—შეჰნიშნა ნიკოდიმ ფომიჩმა.

— არ-ა უშ-ავს-რა! უპასუხა როგორღაც საგანგებო კილოთი ილია პეტროვიჩმა.

უნდოდა კიდევ რაღაცა ეთქვა ნიკოდიმ ფომიჩსა, მაგრამ შეჰხედა საქმის მწარმოებელს, რომელიც ასრევე თვალს არ აშორებდა მასა და გაჩუმდა. უცბად ყველანი გაჩუმდნენ. უცნაური იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კარგით, მაშ,—დასძინა ილია პეტროვიჩმა,—შეგიძლიანთ წახვიდეთ.

გამოვიდა რასკოლნიკოვი, მაგრამ ყური მოჰკრა გამოსვლისათანავე, შიგნით როგორ ისევ ცხარე ლაპარაკს მოჰყვნენ და როგორ ეკითხებოდა ხმა მაღლა რაღასაც ნიკოდიმ ფომიჩი... გამოვიდა თუ არა ქუჩაში, მთლად გამოერკვა რასკოლნიკოვი.

„გამჩხრეკენ, ახლავ გამჩხრეკენ!“ იმეორებდა თავისთვისა და შინისაკენ მიეშურებოდა.—ყაჩაღები! ეჭვიანობენ!“ და წეღანდელმა შიშმა თავით ფეხთამდე დაურბინა ისევა.

II

„მერე, რომ გავეჩხრიკოთ კიდეცა? შინ რომ დამიხვდნენ, რა ვქნა?“

მაგრამ აი, მისი ოთახიც. არავინა სჩანს. არავის შეუხედნია. ნასტასიაც კი არ მიჰკარებია. ღმერთო! როგორ დასტოვა ყველა ეს ნივთები ამ ნახვრეტში?

ეცა კუთხესა, ჩაჰყო ხელი შპალერს ქვეშ ნახვრეტში და დაუწყო ნივთებს ჯიბეში ჩალაგება. სულ რვა ცალი აღმოჩნდა. ორი პაწია კოლოფი საყურეებითა თუ სხვა რაღაცა, კარგად არ გაუსინჯნია; ოთხი მეშის მომცრო ბუდე: ერთი ძეწკვი უბრალოდ იყო გაზეთის ქაღალდში შეხვეული. კიდევ ერთი სხვა რაღაცა იყო გაზეთის ქაღალდში გახვეული, ვგონებ, ორდენი...

ჩაილაგა ყველა ეს სხვა-და-სხვა ჯიბეებშია, ზოგი შარვლის ჯიბეებში, ზოგი პალტოსაში, რომ არ შეენიშნათ; ქისაც ჯიბეში ჩაიდო და გამოვიდა ოთახიდამა; კარები მთლად ღია გაუშო.

საჩქაროდ და მტკიცე ნაბიჯით მიდიოდა. მართალია, ჰგრძნობდა, რომ მოშლილი იყო, მაგრამ გონიერება მაინც მრთელად ჰქონდა შერჩენილი. ეშინოდა, არ გამოსდგომოდნენ; ეშინოდა, რომ რაღაცა ნახევარ საათისა ან თხუთმე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტის წამის შემდეგ უთუოდ განკარგულებას მოახდენდნენ, რომ ყველგან თვალ-ყური ედევნებინათ. მაშასადამე, დროებით უნდა უთუოდ მიემალა როგორმე ყველაფერი. უნდა ყველაფერი მოეწყო და მოეგვარებინა, ვიდრე დრო ჰქონდა კიდევ და მსჯელობა შეეძლო... მაგრამ სად წასულიყო, სადა?

დიდი ხანია გარდაწყვეტილი ჰქონდა: „გადაეყარა ყველაფერი არხშია და სამუდამოდ მოესვენა.“ ასე გარდასწყვიტა გუშინ ღამვე სიცხეში, რომა ჰბოდავდა; რამდენჯერმე, გონს რომ მოვიდა, კიდევაც უნდოდა ამდგარიყო და წასულიყო: „ჩქარა, ჩქარა გადავყარო ყველაფერიო.“ მაგრამ გადაყრაც გაუძნელდა.

ნახევარ საათზედ მეტი იხეტიალა ეკატერინის არხის ნაპირზედა და არხზედ ჩასავალ კიბეებსაც უთვალთვალა, სადაც-კი შემოჰხვდა, მაგრამ განზრახვის შესრულება გულშიაც-კი ვერ გაივლო: ან ტივები იდგა ხოლმე იქვე ჩასავალთანა და ზედ მოსარეცხე დედაკაცები ჰრეცხდნენ საცვლებსა, ან-და ნავები მოეყენებინათ ნაპირზედ და ხალხი ირეოდა ყველგანა. მაგრამ უამისოდაც ხომ ყველა მხრიდგან შეჰნიშნავდნენ და ეჭვს აიღებდნენ, რაკი საგანგებოდა ჩავიდოდა და წყალში რაღაებსაც გადაჰყრიდა. მერე, რომ არ ჩაძიროს და მოიტივტივოს? რა თქმა უნდა ასე იქმნება. ყველა დაინახავს. უამისოდაც ყველანი როგორღაც სხვა თვალით უყურებენ, გაფაციცებით ჰსინჯავენ.—„რათაო, ნეტა? ან იქნება მე მეჩვენება ასე“, ფიქრობდა რასკოლნიკოვი.

იფიქრა ბოლოს, იქნება სჯობდეს სადმე ნევის პირად წავიდეო? ხალხიც ცოტაა იქა, ვერ შემნიშნავენ და უმთავრესი-კი ის არის, რომ აქაურს არე-მარეზედ შორს ვიქნებიო და გაიკვირვა უცბად: როგორ მოხდა ესა, რომ ნახევარ საათზედ მეტს ხანს ასე დანაღვლიანებული და შეწუხებული დაძრწოდა საშიშს ადგილებშია და ადრევე ვერ მოიგონა ესა. იმიტომ დავკარგე სწორედ უაზროდ მთელი ნახევარ საათი, რომ სიზმარში სიცხიანმა გადავწყვიტე ასრე ბოდვის დროსაო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

თან საშინელი გულმავიწყობა ერეოდა და ჰხედავდა კიდეც ამასა. საჭირო იყო სწორედ აჩქარებულიყო!

და ვ—ის პროსპექტით ნევისაკენ გასწია. მაგრამ გზად უცბად სხვა აზრმა გაურბინა თავში! „რა საჭიროა, რომ ნევაზედ მივდივარ? წყალში გადაყრა რა საჭიროა? არა სჯობიან, წავიდე სადმე შორსა, თუნდაც ისევ კუნძულებზედა და იქ სადმე, განმარტოვებულს ადგილას, ტყეში დავფლა ბუჩქის ძირში და დავიხსომო?“ მართალია, ჰგრძნობდა, რომ არ შეეძლო ყველაფერი ეს გარკვევითა და საღად მოეფიქრა იმ ჟამად, მაგრამ აზრი მაინც მოეწონა.

არ ეწერა მაინც კუნძულებზედ გასვლა, სხვა რამ შეემთხვა: ის კი იყო ვ—ის პროსპექტიდამ მოედანზედ გამოვიდა, რომ უცბად მარცხნივ მთლად მიყრუებული ეზოს შესავალი შეჰნიშნა. მარჯვნივ, ეზოს შესავლიდამვე, მეზობელ ოთხ-სართულიან სახლის გაულესელი კედელი იწყებოდა და შორს იყო ეზოში შესული. მარცხნივ, ეზოს კარებიდამვე, კედლის გასწვრივ, ფიცრული ღობე იყო ჩავლებული ასე ოცს ნაბიჯზედა და მერე-ღა უხვევდა მარცხნივ. ეს იყო რაღაცა ყრუდ შემოღობილი ცალიერი ადგილი, სადაც რაღაცა სხვა-და-სხვა მასალა ელაგა. ეზოს შუაგულვე, შორს, შორს მოსჩანდა კუთხე რაღაცა გამჭვარტლულ ქვის სარაიისა თუ სახელოსნოსი. უთუოდ ან საზეინკლო სახელოსნო იყო იქა, ან საკარეტე, ან სხვა რამ ამ გვარი შენობა. ეზოს კარებიდამვე დაწყებული ყველგან ნახშირის მტვერი იდო ბლომადა. „აი, სადა სჯობს შევაგდო და გავსწიო!“ გაიფიქრა უცბად. მაგრამ რაკი არავინ შეჰნიშნა ეზოში, მაშინვე ბღლაძანი მოიღო და ვნახოთ, დაინახა იქვე, ეზოს კარებთანა, რომ ფიცრულ ღობესთან ღარი დევს (როგორც ეს მუდამაა ხოლმე ამ გვარს სახლებში, სადაც მომუშავე ხალხია ბლომადა); ღარის თავზედ-კი, ფიცრულზედ, ჩვეულებრივი წარწერა არის ცარცითა: „Сдѣсь становитца возъ прещено.“ მაშასადამე, ამითაც კარგია, რომ ეჭვს არავინ მიიტანდა, რისთვის შევიდა და დადგა. „მოდი, აქ დავყრი სადმე ერთად და წავალ!“ — გაიფიქრა.

ეროვნული ბიბლიოთეკ

ერთხელ კიდევ მიიხედ-მოიხედა და ხელიც ჩაიყო ჯიბეში, რომ უცბად გარეთა კედელთან, ეზოს კარებსა და ღარს შუა, სადაც მხოლოდ ერთი ნაბიჯის სიგანე ადგილი იყო დარჩენილი, დიდი, გაუთლელი ქვა შეჰნიშნა, ასე ფუთ-ნახევარი სიმძიმისა, რომელიც პირდაპირ ქუჩის პირად გავლებულ ქვის კედელთან ეგდო. კედელს იქით ქუჩა იყო, ფილაქანფენილი, ისმოდა, როგორ მიდი-მოდიოდნენ გამვლელ-გამომვლელნი. მაგრამ ეზოს კარებს მოფარებულს, ქუჩიდან ვერავინ დაინახავდა რასკოლნიკოვსა, თუ თვითონ ეზოში არ შემოვიდოდა. ეს კი, რასაკვრელია, ადვილი შესაძლებელი იყო, ამიტომაც საჭირო იყო აჩქარებულიყო.

დასწვდა ქვასა, ჩასჭიდა ორთავე ხელი, შემოიკრიბა მთლად თავისი ძალა და ღონე და გადმოაბრუნა. ქვის ქვეშ პატარა აღმოღრმავებული ადგილი ამოჩნდა: დაუწყო მაშინვე ყველაფერს ჯიბიდან ამოლაგება და ქვის ქვეშ ჩაყარა. ქისა სწორედ ზემოდან მოჰხვდა სულა, მაგრამ ამოღრმავებული მაინც არ ამოვსებულა. დაავლო მერე ისევ ქვას ხელი და ერთის გადმოწევით ისევ თავისს ადგილას მიაგორა; ეს იყო მხოლოდ ცოტა თითქოს მაღლა დადგა ქვა; მაგრამ აქეთ-იქიდან მიწა მიუხვეტა ფეხითა, მიატკეპნა და აღარა ეტყობოდა-რა.

გამოვიდა მერე და მოედნისაკენ გასწია. საშინელმა, თავდაუჭერელმა სიხარულმა გაიტაცა წელანდელივითა, კანტორაში რომ იგრძნო ერთს წამსა. „მივაფარე! არა, ან კი ფიქრად ვის მოუვა, იქ, იმ ქვის ქვეშ, დაუწყოს ძებნა? ვინ იცის, იქნება, რაც სახლი აუშენებიათ, იქა ძევს სულა და ერთს იმდენს ხანს კიდევ იდოს? და ან რო იპოვონ, ვინ იფიქრებს, რომ ჩემი ნაქმნარია? მორჩა ყველაფერი! ეჭვის მოსატანი აღარა არის-რა!“ და გაეცინდა. მოაგონდა მერე, რომ ჩუმად ჩაბჟირდა და იცინოდა დიდ-ხანს, ვიდრე მოედანს მთლად გაივლიდა. მაგრამ გავიდა თუ არა კ-ის ბულვარზედ, სადაც ამ სამის დღის წინად ქალი შემოჰხვდა, სიცილმა უცბად გადუარა. სხვა ფიქრები აეშალა უცბად. ეჩვენა, ვითომ იმ სკამის გვერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დით გავლა, სადაც ქალის წასვლის შემდგომ იჯდა და ფიქრობდა მარტოდ, საშინლად ეზიზღებოდა; ვითომ აბაზიანი რომ მისცა, იმ ულვაშიან პოლიციელის ნახვაც საშინლად ემძიმებოდა: ,,ეშმაკმა იცის იმისი თავი და ტანი!''

მიდიოდა და გარშემო როგორღაც დაფანტულად და გაბოროტებული იყურებოდა. მთლად მისი ფიქრები ახლა ერთის რომელიღაც დიდმნიშვნელოვან საგნის გარშემო ტრიალებდნენ,—და ჰგრძნობდა თვითონვე, რომ ეს საგანი მართლაც დიდმნიშვნელოვანი რამ იყო; რომ განსაკუთრებით ახლა ჰგრძნობდა ამ საგანთან პირის-პირ თავსა,—რომ ამგვარი რამ, ორი თვეა აგერ, ჯერ არსად არ უგრძვნია.

„ეჰ, ეშმაკმა უწყის ყველა ეს!—გაიფიქრა უცბად საშინლად გაბოროტებულმა.—„დაიწყო და დაიწყოს ახალი ცხოვრება, რა ვუყო! რა სისულელე რამ არის, ღმერთო!.. მერე, რამდენი ვიცრუე და ვისაძაგლე დღესა! როგორ ვულაქუცებდი წელან საზიზღარს ილია პეტროვიჩსა! მაგრამ ესაც სისულელეა! რას დავეძებ ყველა იმათა, ან იმას, რომ ველაქუცებოდი და გულის მოგებასა ვცდილობდი! საქმე ეს არ არის, არა!''

მაგრამ შედგა უცბადა; ახალმა, სრულიად მოულოდნელმა და მეტად უბრალო კითხვამ მთლად დავთრები დაუბნია, განაცვიფრა:

,,თუ რომ მართლა ყოველივე ეს შეგნებულად ჩაიდინა და არა ტუტუცურად, თუ მართლა გარკვეული და მტკიცე რამ აზრი ჰქონდა, როგორ მოხდა, მაშ, რომ აქამდის ქისაში არც კი ჩაიხედა და არ გაიგო, რა მიიღო იმის სამაგიეროდ, რომ ამოდენა ტანჯვა და შეწუხება გამოიარა, ასეთი საძაგელი და საზარელი საქმე ჩაიდინა? არა, ეხლა არ იყო, წყალში ვუპირებდი გადაყრასა ქისასაცა და იმ ნივთებსაც, რომლებიც აქამდის არ მინახავს კიდევ, რისგან შესდგებიან... როგორ მოხდა ესა?''

მაგრამ ისეა, ისე. წინადაც იცოდა, რომ ასე იქნებოდა; ახალი აქ არა არის-რა მისთვის. ჯერ საღამოთივე გარდას-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყვიტა უყოყმანოდ და პირდაპირ, ვითომ სხვაფრივ არც კი შეიძლებოდა მოქცეულიყო... წინადვე იცოდა და ესმოდა, რომ ასე უნდა მომხდარიყო: გუშინვე გარდასწყვიტა თითქმის, ყუთთან რომ იჯდა და კოლოფებს ჯიბეებში ილაგებდა... ასეა ხომა!..

„ეს იმიტომ, რომ ავადა ვარ," გარდასწყვიტა ბოლოს დაღვრემილმა,—„თვითონვე გავტანჯე და გავაწვალე ჩემი თავი და არ ვიცი, რა ვქმნა... გუშინაც, გუშინ წინაც, სულ ერთთავადა ვტანჯავდი ჩემს თავსა... გამოვკეთდები და... ალარ ვიწვალებ... მერე, რო არ გამოვკეთდე მთლადა! ოჰ, ღმერთო! როგორ მომძულდა ყველა ეს!?.. და არ შემდგარა, მიდიოდა. საშინლად უნდოდა თავი როგორმე გაერთო და გული გადაეყოლებინა რისთვისმე, მაგრამ არ იცოდა, როგორ და რა ნაირად მოეხერხებინა ესა. ახალი რამ უძლევი გრძნობა თან-და-თან მეტის ძალით იპყრობდა მთელს მისს არსებასა: ეს იყო რაღაც უსაზღვრო ზიზღი ყველაფრისა, რაც-კი რამ გარს ეხვია, ზიზღი მწვავე, გაბოროტებული, სიძულვილით აღსავსე. ეზიზღებოდა ყველა, ვინც-კი შემოჰხვდებოდა, ეზიზღებოდა მათი მოძრაობა, სიარული. პირდაპირ პირში შეაკურთხებდა და დაჰკბენდა უთუოდ, იმ დროს რომ ხმა ვისმე გაეცა...

გავიდა თუ არა პატარა ნევის პირად, ბასილის კუნძულზედ, უცბად შედგა ხიდის ყურთანა. „აი, აქ სცხოვრობს, ამ სახლში", გაიფიქრა.—„როგორ მოხდა? ეტყობა, მაშ, რაზუმიხინთან მოვსულვარ! მაშინდელი ამბავი დამემართა ისევა... არა, მაინც საყურადღებოა: თვითონ მოვედი განგებ, თუ ვიხეტიალე და უნებურად მოვადექი ამ სახლსა? სულ ერთიამეთქი, ვსთქვი ამ სამის დღის წინადა... ამას შემდეგ წავალ, მეორე დღესა-მეთქი! და მერე, რა რო? ავალ კიდეცა! არ შემიძლიან, განა, ახლავ ავიდე..."

და რაზუმიხინთან ავიდა მესამე სართულში.

შინ დაუხვდა რაზუმიხინი, თავისს ქოხში, რაღაცასა სწერდა. კარებიც თვითონ გაუღო. ოთხი თვე იყო სრული,

ერთმანერთი არ ენახათ. იჯდა რაზუმიხინი თავისს მთლად დაფლეთილ, ძონძებად ქცეულ ხალათითა, თმა აწეწილი, დაუბანელი, გაბურძგნილი, შიშველა ფეხები ჩუსტებში წაეყო და მუშაობდა. დაინახა თუ არა რასკოლნიკოვი, სახეზედ უცბად განცვიფრება აღებეჭდა.

— რა ამბავია?—შეჰყვირა რაზუმიხინმა და შესულს ამხანაგს თავით ფეხამდე თვალიერება დაუწყო. გაჩუმდა მერე და დაუსტვინა.

— ნუ-თუ აგრე ცუდათაა საქმე? შენ, ძმაო, მგონი ყველას გვაჯობებ,—დასძინა რაზუმიხინმა და რასკოლნიკოვის ძონძებს დაუწყო ისევ თვალიერება.—დაჯექი, ვიცი, დაიღლებოდი!

კლიონკა გადაკრულს ოსმალურს დივანზედ რომ დაჯდა, მაშინ-ღა შეჰნიშნა უცბად რაზუმიხინმა, რომ ავად იყო რასკოლნიკოვი.

— გეტყობა მართლა ავათა ხარ, იცი?

და მაჯის სინჯვა დაუწყო, მაგრამ რასკოლნიკოვმა მაშინვე ხელი გამოსტაცა.

— არ მინდა,—შეუძახა,—მოვედი... იცი, რათა? გაკვეთილები აღარა მაქვს... მინდოდა... მაგრამ, არა, არ მინდა გაკვეთილები...

— იცი, რა არის? შენ, ძმაო, ჰბოდავ მგონი!—შეჰნიშნა ყურადღებით დაკვირვების შემდეგ რაზუმიხინმა.

— არა, არ ვბოდავ...

და რასკოლნიკოვი დივნიდამ წამოდგა. არ უფიქრია სრულებით, რაზუმიხინთან რომ ადიოდა, თუ პირის-პირ ნახვა მოუხდებოდა. ახლა-კი უცბად დარწმუნდა გამოცდილებით, რომ იმ ჟამად ვისიმე პირადად ნახვა სრულიად არ შეეძლო და ნაღველმა თითქმის გაასია. შედგა თუ არა რაზუმიხინის ოთახში ფეხი, კინაღამ მაშინვე ბრაზმა დააღრჩო.

— მშვიდობით! უთხრა უცბადა და კარებისაკენ გასწია.

— შენ ეი, ტუტუკო, მოიცა!

— არ მინდა... გაუმეორა ისევ გაბრაზებულმა და ხელი გამოჰგლიჯა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მაშ, თუ აგრე იყო, რაღა ეშმაკი მოგარბეინებდა? ჭირიანი ხომ არა ხარ? ეს ხომ... საწყენიც-კია. არ გაგიშვებ.

— ყური დამიგდე, მაშა: მოვედი შენთან იმიტომ, რომ შენს მეტს არავის ვიცნობ, რომ ჩემი გაგება შეეძლოს. იმიტომ, რომ შენ ყველაზედ გულ-კეთილი და გონიერი ხარ და შეგიძლიან მოისაზრო... ახლა-კი ვხედავ, რომ არა მინდა-რა, გესმის, არა მინდა-რა... არავისი დახმარება და შემწეობა არ მინდა... მე თვითონ... მარტოდ... მაგრამ კმარა! თავი დამანებეთ!

— პატარა ხანს მოიცა, შენ ეი ბუხრის მოწმენდავო! გადარეულა! როგორც გინდა, რა მენაღვლება! გაკვეთილები, გესმის, არც მე მაქვს და არც თუ დავეძებ, მაგრამ „ტოლკუ-ჩკაზედ“ წიგნებით მოვაჭრე ქერუბიმოვია ვინმე, ესაც თავისებური გაკვეთილია. ამ ქერუბიმოვს ახლა არც ხუთს ვაჭრების გაკვეთილზედ გავცვლიდი. იცი, რა გამოცემებსა და საბუნებისმეტყველო-სამეცნიერო წიგნაკებს აბეჭდვინებს, ან როგორ იყიდება ეს წიგნები? მარტო სათაურებიც-კი რათაც უნდა ღირს! აი, მაგალითად, მუდამ ირწმუნებოდი შენა: ტუტუცი ხარო, მაგრამ, ღმერთმანი, ჩემზედ ტუტუცები კიდევ სხვები არიან! ახლა თითქოს მიმართულებაც გამოარკვია. თვითონ, რასაკვრელია, არა გაეგება-რა, ჩურჩუტია, მაგრამ რა მენაღვლება, ვაქეზებ და ვამხნევებ. აი, აქაც ორ ფურცლამდე ნემეცური დედანი მაქვს გადასათარგმნი;—ჩემის აზრით, სულელური რამ არის; ერთი სიტყვით, იმაზეა ლაპარაკი, ადამიანია ქალი, თუ არა? და, რასაკვრელია, მტკიცდება დიდის ამბითა, რომ ადამიანია. ქერუბიმოვი ამას დედათა კითხვისათვის ამზადებს და მეც ვუთარგმნი. გასჭიმავს ამ ორ ფურცელ ნახევარს ექვსათა, ერთ ნახევარ გვერდს მშვენიერს წინასიტყვაობას წავუმძღვარებთ და გავუშვებთ ათ შაურად გასასყიდადა. ჩაივლის, არა უშავს-რა! თარგმანში ფურცელში ექვს მანეთს იძლევა; მაშასადამე, სულ თხუთმეტ მანეთამდე მერგება, რომლიდამაც ექვსი მანეთი კიდევაც წინადვე წამოვიღე. გავათავებთ ამასა, ახლა ვეშაპების შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავიწყებთ თარგმნასა, მერე Confessions-ის მეორე ნაწილს შევუდგებით; რაღაცა მოსაწყენი, უხალისო ჭორები ამოვინიშნეთ. ვიღასაც უთქვამს ქერუბიმოვისათვის, ვითომ რუსსო რადიშჩევს ჰგავდეს. რასაკვრელია, წინააღმდეგობას არ ვუწევ, დეე, ეგონოს! გინდა, მაშ, მეორე ფურცელი **ადამიანია ქალისა** შენ შოგცე? გადასთარგმნი? თუ გინდა, ახლავ წაიღე დედანი, კალმებიც, ქაღალდიც—ყველაფერი ეს სახაზინოა — და სამი მანეთიც: რაკი წინადვე გამოვართვი პირველისაც და მეორისაც. სამი მანეთი, მაშ, შენ გერგება. გაათავებ მთელს ფურცელსა და სამს მანეთს კიდევ სხვას მიიღებ. რა უნდა გითხრა კიდევ, მართლა: დახმარებათ და სიკეთეთ კი არ მიიღო ჩემ მხრივა. პირ-იქით, შემოხვედი თუ არა, მაშინვე გავიფიქრე, რითი გამომადგებოდი. ჯერ ერთი, ორფოგრაფიაში სუსტი ვარ ძლიერ და მეორეც, ნემეცურში ხომ ზოგჯერ მთლადა ვფასობ; ასე რომ მეტ ნაწილად ჩემითა ვთხზავ და თავს იმითი ვიმშვიდებ, რომ უკეთ გამოდის ვითომ. მაგრამ უკეთ გამოდის თუ არა, ეგ ვინ იცის, იქნება უარესადაც გამოდის... აიღებ თუ არა?

ჩუმად აიღო რასკოლნიკოვმა ნემეცური ფურცლები და სამი მანეთი და სიტყვა არ უთქვამს, გამოვიდა. გაკვირვებულმა შეჰხედა რაზუმიხინმა. მაგრამ მივიდა თუ არა კუნძულის პირველ ხაზთანა, მობრუნდა უცბად რასკოლნიკოვი, ავიდა ისევ რაზუმიხინთანა და ისევ ისე სიტყვის უთქმელად ნემეცური ფურცლები და სამი მანეთი მაგიდაზედ დაუწყო და წავიდა.

— რაო, ჰბოდავ, თუ რა დაგემართა? შეჰღრიალა ბოლოს გულმოსულმა რაზუმიხინმა. —რასა ჰსულელობ? ლამის არის მეც დავთრები დამიბნიო... მაშ, რაღასთვის მოეხეტებოდი?

— არ მინდა... თარგმანები... წაიდუდუნა რასკოლნიკოვმა იმ დროს სწორედ, კიბეზედ რომ ჩამოდიოდა.

— მაშ, რა ეშმაკი და ქაჯი გინდა? დაჰყვირა ზემოდამ რაზუმიხინმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ რასკოლნიკოვს აღარა უთქვამს-რა, ისე ჩაიარა კიბე.

— შენ, ეი! სადა სცხოვრობ?

პასუხი არ აღირსა.

— არ გინდა და, ეშმაკმა იცის შენი თავი!..

რასკოლნიკოვი ამ დროს ქუჩაში გადიოდა უკვე. ერთმა მეტად უსიამოვნო შემთხვევამ ერთხელ კიდევ გამოარკვია ნიკოლოზის ხიდზედა: ვიღაცა მეეტლემ ზორბად გააწნა ზურგში შოლტი, იმიტომ რომ სამჯერ-ოთხჯერ დაუყვირა, მომეცალეო, მაგრამ მაინც კინაღამ ცხენებს ჩაუვარდა ფეხქვეშა. ისე ემწვავა შოლტი რასკოლნიკოვსა, რომ იმავ წამს ქუჩის მოაჯირთან გაჩნდა (შიგ შუა ქუჩაში მიდიოდა, სადაც ეტლები დაიარებიან და არა ფეხით მოსიარულეები) და გამწარებულმა კბილებს-ღა დააწყებინა ღრჭიალი. ირგვლივ, რასაკვრელია, სიცილი წაჰსკდა ყველასა.

— აგრე უნდა!

— ვიღაცა გაქნილი მაწანწალაა!

— მოიმთვრალებს თავსა, ეტლს ძალათი ჩაუვარდება და პასუხი კი შენ უნდა აგო.

— ხელობათა აქვთ, ჩემო კარგო, გადაქცეული, ხელობათა!..

მაგრამ იმ დროს სწორედ, მოაჯირთან რომ იდგა და გაბოროტებული როგორღაც უგუნურად გაჰყურებდა გაქროლებულს ეტლსა და თან ზურგს იფხანდა, იგრძნო უცბადა, რომ ვიღამაც ხელში ფული ჩაუდო. შეჰხედა რასკოლნიკოვმა: გვერდთ უდგა ხნიერი, თბილ ქუდიანი და თბილ ფეხსაცმლიანი ვაჭრის ცოლი, რომელსაც თან შლაპიანი და მწვანე ქოლგიანი ქალიშვილი ახლდა. „მიიღე მამავ, ქრისტეს გულისათვის“. გამოართვა რასკოლნიკოვმა და იმათაც გაიარეს. აბაზიანი მიეცათ. მართალია, ტანისამოსითა და გარეგნობით ქუჩის მათხოვარას ძაანა ჰგავდა, მაგრამ აბაზიანი უთუოდ შოლტმა გამოამეტებინათ.

დაკუმშა ხელში აბაზიანი, ათიოდე ნაბიჯი გაიარა, პირი ნევისაკენა ქნა და სასახლისაკენ გაიხედა. არსად ცა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზედ ღრუბელი არა სჩანდა; ნევას ლურჯად გაჰქონდა კრიალი, რაც მეტად იშვიათია ხოლმე. არსაიდგან ტაძრის გუმბათი ისე მშვენივრად არ მოსჩანს, როგორც აქედამა, სამლოცველო ნიშის მახლობლად, ხიდიდმა. გუმბათს კრიალი გაჰქონდა; შეიძლებოდა თვითოეული ცალკე ქანდაკება გაერჩია ადამიანსა. შოლტისაგან ნატკენი ნელ-ნელა დაუამდა, დაავიწყდა თითქმის. მხოლოდ ერთი რამ მოუსვენარი და გამოურკვეველი ფიქრი-ღა აწუხებდა ახლა. იდგა და გაიყურებოდა შორს, შორს საითღაც; მაგრამ ეს ადგილი როგორღაც საგანგებოდ ემცნაურებოდა. უნივერსიტეტში რომ დაიარებოდა ხოლმე, შინისაკენ მიმავლობის დროს ხშირადა მდგარა ამავე ადგილასა და უცქერია მართლაც-და საუცხოვო სანახაობისათვის. მაგრამ იმავ დროს გაუკვირვებია რაღაც რამ გამოურკვეველსა და გარდაუწყვეტელს შთაბეჭდილებასა. როგორღაც შეჰყინავდა ხოლმე თითქოს ეს დიდებული სანახაობა; არასფერს ცხოველს არ აგრძნობინებდა, უტყვი იყო ხოლმე იგი... ჰკვირობდა მუდამ თავისს ასეთს დაღვრემილობასა და გამოურკვეველ შთაბეჭდილებასა და მისს ახსნასა და განმარტებას სულ სამერმისოდ ინახავდა, თავისს თავს არ ენდობოდა თითქოს. მოაგონდა უცბად ყველა ეს წარსული კითხვები და მიუმხვდარობანი და ეჩვენა, ვითომ უნებლიედ და მოულოდნელად არ გაჰხსენებია იგინი. გააკვირა და უცნაურად ეჩვენა თვითონ ის გარემოებაც, რომ წინანდელივით იმავე ადგილას შედგა და იმავე ფიქრებს მიეცა, თითქოს მართლაც შესძლებოდა წარსულ საგნებითა და სურათებით გატაცება, ან მათზედ ფიქრი... როგორც წინადა. კინალამ გაისასაცილოვა კიდეც, მაგრამ გულიც შეჰხუთა და ატკინა იმავ დროსა. სადღაცა ღრმად, მისს ფეხთა ქვეშ, გამოჩნდა მთლად მისი წარსული, წარსული ფიქრები, შთაბეჭდილებანი, წარსული სასურველი საგნები და მათთან ერთად... იგიც თითქოს... მაგრამ, აგერა, გაფრინდა სადღაც და თვალთაგან მიეფარა... უცბად უნებურად ხელი გაიქნია როგორღაცა და იგრძნო, რომ მუჭაში აბაზიანი უჭირავს. გაშალა მუჭი, დაა-

ეროვნული ბიბლიოთეკ

კვირდა აბაზიანსა და საჩქაროდ წყალში გადაუძახა. მობრუნდა მერე და შინისაკენ გასწია. ეჩვენა, ვითომ ქვეყანას მოსწყდა უცბადა.

საღამო ჟამი იყო უკვე, შინ რომ დაბრუნდა; მაშასადამე, მთელი ექვსი საათი ეარა. როგორ და რა ნაირად დაბრუნდა უკან, აღარ ახსოვდა. გაიხადა მაშინვე აცახცახებულმა ტანისამოსი, მიწვა დივანზედა, მიიხურა თავისი თბილი პალტო და იმავ წამს დავიწყებას მიეცა.

უკვე ხშირი ბინდი იყო, რომ საშინელმა ყვირილმა გამოაღვიძა. ოჰ, ღმერთო, რა საზარელი ყვირილი იყო, არსად ჯერ ასეთი არაბუნებრივი ხმები, წივილ-კივილი, ბღავილი, ქვითინი, ცრემლი, ცემა და ლანძღვა-გინება არა ჰსმენია, არ უნახავს. ასეთს სიმხეცესა და შიშის ზარს წარმოდგენითაც-კი ვერ წარმოიდგენდა. წამოწვა ზარდაცემული ლოგინზედა, მაგრამ შიშისგან ყოველს წამს გული მისდიოდა, იტანჯებოდა საშინლადა. ჩხუბი, ქვითინი და ლანძღვა-გინება თან-და-თან მწვავდებოდა. და აი, უცბად გასაკვირველი რამ მოხდა: დიასახლისის ხმა მოესმა. წიოდა საბრალო და მოსთქვამდა, ასე რომ სიტყვების გარჩევა არც-კი შეიძლებოდა, მაგრამ ის-კი აშკარადა სჩანდა, რომ კიბეზე ვიღასაც ემუდარებოდა, ისე უწყალოდ აღარ ეცემათ, გაეშვათ. მცემელის ხმა იქამდის საზარელი, ბრაზითა და ბოროტით აღსავსე იყო, რომ მთლად მიხრინწიანებულიყო, ხრიალი-ღა გაჰქონდა; მაგრამ თავს მაინც არ ანებებდა და საჩქაროდ, ნაწყვეტ-ნაწყვეტად რაღასაც უყვიროდა. უცბად რასკოლნიკოვს ფოთოლსავით ცახცახი დააწყებინა: იცნო, ვისი ხმაც იყო. ეს იყო ილია პეტროვიჩის ხმა. ის არის სწორედ, ისა. დიასახლისსა სცემს! წიხლითა სცემს, თავს კიბეზედ უგლის,—აშკარად ისმის; ხმაზედ, ტირილზედ, ცემაზედ ეტყობა! რა ამბავია ესა, ქვეყანა ხომ არ გადაბრუნდა? ისმოდა, როგორ იკრიბებოდა ხალხი ყველა სართულებიდამა და კიბეებიდამა, ხმაურობდნენ, ჰკვირობდნენ და ყვიროდნენ, ადიოდ- ჩადიოდნენ, აბრაგუნებდნენ, კარებებს აღებდნენ, მირბოდნენ. „მაგრამ რათა სცემს, რათა, ან

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორ შეიძლება!“ იმეორებდა თავისთვისა და თანა ფიქრობდა, ჭკუიდამ ხომ არ შევიშალეო. მაგრამ არა, არა, ნათლად ესმის ყველაფერი!.. ეტყობა, მაშ, რაკი აგრეა, იმასთანაც მალე მოვლენ, „იმიტომ, რომ... გუშინდელ ამბის გამოა უთუოდ ყველაფერი... ღმერთო!“ უნდოდა კარები გადაერაზა, მაგრამ ხელი აღარ ემორჩილებოდა... თუმცა უსარგებლოც იყო! შიშმა უცბად სული შეჰყინა, გასტანჯა, გააშეშა... მაგრამ, ჰა, ჩაჩუმდა ბოლოს თითქოს მთელი ეს ხმაურობა, რომელიც ათს წამს გაგრძელდა მხოლოდ. კვნესოდა და ოხრავდა დიასახლისი, ილია პეტროვიჩი-კი ჯერ ისევ ემუქრებოდა და ილანძღებოდა... მაგრამ ისაც გაჩუმდა თითქოს; აღარა ისმის-რა. „ნუ თუ წავიდა! ღმერთო!“ აგერა დიასახლისიც მიდის, მაგრამ ჯერ ისევ კვნესის და სტირის... აგერა, კარებიც მიიჯახუნა... აგერა, ხალხიც ნელ-ნელა იშლება, ყველა თავისს ბინისაკენ მიდის,—ოხრავენ, კამათობენ, ერთმანეთს ეხმაურებიან; ხან თითქოს ყვირიან კიდეც, ხან-კი ჩურჩულით ლაპარაკობენ. ეტყობა ბლომად იყვნენ. მთელი სახლი იქ იყო, ვგონებ. „მაგრამ ნუ-თუ, ღმერთო, ყველა ეს შესაძლებელია! ან რათ მოვიდა აქა, რათა!..“

და ფიქრში წასული, დაუძლურებული დივანზედ დაეცა, მაგრამ თვალი აღარ მოუხუჭნია. მთელი ნახევარ საათი ისეთს საზარელს ტანჯვასა და შიშს ჰგრძნობდა, ისე როგორღაც მოუსვენარად იყო, რომ არასფერი იმგვარი ჯერ არ გამოეცადა არსადა. უცბად ოთახი რაღამაც გააკაშკაშა: კარები გაიღო და შემოვიდა ნასტასია, რომელსაც ხელში სანთელი და მათლაფით წვენი ეჭირა. დააცქერდა კარგადა, მაგრამ, რომ ნახა, არა სძინავსო, სანთელი მაგიდაზედ დადგა და დაუწყო დალაგება: პურსა, მარილსა, თეფშსა და კოვზსა...

— ვიცი, გუშინდლიდამ არა გიჭამია-რა. მთელი დღე დაეხეტებოდი და გაბაბანებს-კი.

— ნასტასია... დიასახლისს რათა სცემდნენ?

გაშტერებული უყურებდა ნასტასია.

— ვინა, ვინ სცემდა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ახლა არ იყო... ამ ნახევარ საათის წინად, ილია პეტროვიჩი, უბნის ზედამხედველის თანაშემწე, სცემდა კიბეზედა... რათა სცემდა, ან რათ იყო?

დაღვრემილი უყურებდა ჩუმად დიდ-ხანს ნასტასია და ყურადღებით აკვირდებოდა. არ ესიამოვნა რასკოლნიკოვს ასეთი ცქერა, პირ-იქით შეეშინდა კიდეცა.

— რას გაჩუმებულხარ, ნასტასია? ჩაეკითხა ბოლოს რასკოლნიკოვი გაუბედავად და ნელის ხმითა.

— ეგ უთუოდ სისხლია მიზეზი,—უპასუხა ბოლოს დაბალის ხმით ნასტასიამა, თითქოს თავისთვის ამბობსო.

— სისხლი!.. რის სისხლი?.. ბუტბუტებდა გაფითრებული რასკოლნიკოვი და თან კედლისაკენ იწევდა უკან-უკანა. ნასტასია-კი ისევ ისე ჩუმად განაგრძობდა ცქერასა.

— არავისაც არ უცემია,—უპასუხა ბოლოს სასტიკადა და მტკიცედ.

შეჰყურებდა რასკოლნიკოვი ნასტასიასა და ძლივს-ღა ჰსუნთქავდა.

— მე თვითონ გავიგონე... არ მძინებია.., ვიჯექი,—ჩაილაპარაკა უფრო გაუბედავადა,—დიდ-ხანს ვუგდებდი ყურსა... ზედამხედველის თანაშემწე მოვიდა... ყველანი კიბეებზე გამოცვივდნენ შინიდამა...

— არავინაც არ მოსულა. სისხლი გალაპარაკებს უთუოდ. აგრე იცის... რომ შედეედდება... სჭამ რასმე, თუ არა?

რასკოლნიკოვი პასუხს არ აძლევდა. იდგა ნასტასიაც ერთ ადგილასა და გაშტერებული უყურებდა.

— წყალი დამალევინე... ნასტასუშკა.

ჩავიდა ქვევით ნასტასია და ორის წამის შემდეგ თიხის თეთრ ტოლჩით წყალი ამოუტანა. მაგრამ მერე რაღა მოხდა, ეს აღარ ახსოვდა რასკოლნიკოვსა. ახსოვდა მხოლოდ, რომ მოსვა ცოტათი ცივი წყალი და გულზედაც გადაისხა. მერე ისევ უგონოდ შეიქმნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

III

მაგრამ მთელი ეს ხანი, რაც ავად იყო, უგონოდ როდი ყოფილა: აციებდა და ჰბოდავდა, მაგრამ ნახევრად თითქმის ყველაფერს ჰგრძნობდა. ბევრი რამაც მოიგონა შემდეგ: ეჩვენებოდა ზოგჯერ, ვითომ მის მახლობლად ხალხი იკრიბებოდა და უნდოდათ სადღაც წაეყვანათ, გარეთ უნდოდათ ვითომ გაყვანა, ერთმანეერთს ეკამათებოდნენ და ეჩხუბებოდნენ, ისევ სულ იმის თაობაზედა. ხან-კი უცბად მარტოს სტოვებდნენ ოთახში, ეშინოდა ყველას და იშვიათად კარებს-ღა აღებდნენ ოდნავად, რომ შეეხედათ როგორმე; ემუქრებოდნენ, ერთმანერთში რაღასაც ლაპარაკობდნენ, იცინოდნენ, აჯავრებდნენ. ნასტასიასაც ხშირად ჰხედავდა თავისს გვერდითა. არჩევდა კიდევ ერთს ვიღაცა ნაცნობს კაცსა ვითომ, მაგრამ ვინ იყო ეს კაცი, ვერ მიმხვდარიყო და საშინლად ჯავრიანობდა ამაზედ! თითქმის სტიროდა კიდეც. ეგონა, ვითომ მთელი თვეა აგერა, ასე წევს. სხვა დროს კიდევ — ვითომ ის დღეა ისევ, მაგრამ **ის-ჯი**, — **ის** მთლად დაივიწყა. ახსოვდა მხოლოდ მუდამ წამს, რომ რაღაცა დავიწყებული ჰქონდა, რის დავიწყებაც არ შეიძლებოდა და იტანჯებოდა, სწვალობდა, ოხრავდა; ზოგჯერ-კი ბრაზობდა და შიშობდა კიდეცა საშინლადა. მზად იყო ამ დროს წამომხტარიყო და გაქცეულიყო იგი, მაგრამ იჭერდნენ მუდამა და ისიც მოეშვებოდა, უგონოდ შეიქმნებოდა ხოლმე. ბოლოს სულ მთლად მოვიდა გონსა.

დილის ათი საათი იყო, ეს რომ მოხდა. დილ-დილაობით ამ დროს მზე სწორედ ოთახის მარჯვენა კედელს მიეფინებოდა ხოლმე გრძელ ზოლათა და კარებ გვერდით კუთხეს გაუნათებდა. ლოგინთან იდგნენ ნასტასია და კიდევ ვიღაცა სრულიად უცნობი კაცი, რომელიც ყურადღებით დაჰყურებდა მასა. ეს იყო რუსულს კაბაში გამოწყობილი ახალგაზრდა წვეროსანი, გარეგნობით რომელისამე სავაჭრო ამ-

ეროვნული ბიბლიოთეკ

ხანაგობის კაცი. ნახევრად ღია კარებიდამ დიასახლისი შემოიყურებოდა. რასკოლნიკოვი წამოჯდა.

— ვინ არის, ნასტასია? ანიშნებდა ახალგაზდაზედ და ეკითხებოდა.

— ეჰე, გონს მოვიდა, შესძახა ნასტასიამა.

— გონს მოვიდნენ,—გამოეხმაურა ახალგაზრდა.

მიჰხვდა თუ არა დიასახლისი, მობრუნდაო, ღია კარებიდამ ქურდულად ცქერას თავი გაანება, მაშინვე კარები მიიხურა და მიიმალა, თუმცა მართალია უიმისოდაც მუდამ მოკრძალე იყო და ლაპარაკსა და განმარტებას ვერასოდეს ვერ იტანდა. ხნით უკვე ორმოცისა იყო, მსხვილი და ჩასუქებული, შავთვალ-წარბა, სიზარმაცისა და სიმსუქნისაგან გაგულკეთილებული. საკმაოდ ეშხიანიც-კი იყო, მაგრამ გადაჭარბებით იცოდა მორცხვობა.

— ვინა ხართ?.. ეკითხებოდა ისევ სავაჭრო ამხანაგობის წარმომადგენელს.

მაგრამ ამ დროს სწორედ კარები გაიღო ყურთამდე და შემოვიდა წელში ოდნავ მოხრილი რაზუმიხინი, რადგან ტანათ მაღალი ისე არ შემოეტეოდა.

— გემის ხუხულაა, რა უბედურებაა,—შეჰყვირა, როგორც-კი ფეხი შემოდგა,—უნდა უთუოდ შუბლი შევარტყა ხოლმე. ესაც ბინაა, რალა! შენა, ძმაო, გონს მოხვედი? ეს არის, პაშენკამ მითხრა.

— ეს-კი იყო გამოერკვა,—შეჰნიშნა ნასტასიამა.

— დიახ, ეს-ეს არის,—დაადასტურა სავაჭრო ამხანაგობის წარმომადგენელმა ღიმილით.

— თქვენა, თქვენ ვინ-ღა ბრძანდებით?—მიჰმართა უცბად რაზუმიხინმა უცნობს.

— მე აი, გესმისთ, ვრაზუმიხინი გახლავართ. რაზუმიხინი-კი არა, როგორც ყველანი ინებებენ წოდებასა, ვრაზუმუხინი, სტუდენტი, აზნაურის შვილი. ეს-კი ჩემი მეგობარია. თქვენა, თქვენ ვილა ბრძანდებით?

— მე კიდევ ჩვენს კანტორაში ვმსახურობ, ვაჭრის შელოპაევის კანტორაში-ს და აქ საქმისათვის გიახელით-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ინებეთ, სკამზედ დაბრძანდით, — თვითონ-კი მეორე სკამზედ დაჯდა მაგიდის მეორე მხარესა. — კარგად ინებე, ძმაო, რომ გონს მოხვედი, — ეუბნებოდა რაზუმიხინი რასკოლნიკოვსა. — მეოთხე დღეა, ძლივსა სჭამ და ჰსვამ. მართალს გეუბნები, ჩაის კოვზობით გასმევდით. ორჯელ ზოსიმოვიცა მყავდა შენთან. გახსოვს ზოსიმოვი? გაგსინჯა ყურადღებითა და უცბად გადასწყვიტა: უბრალო რამ არის, თავში რამ აჰვარდნიაო. რალაცა ნერვების ოხრობა ყოფილა, თუ რალაცა, პივა და მაგარი სასმელები ცოტა უსვამს და იმიტომ დაჰმართვნია, მაგრამ არა უშავს-რა, გადაუვლისო. ყოჩაღი რამ არის ზოსიმოვი! დიდკაცურათა სწამლობს. აბა, მე თქვენ არას დაგიშლით, მიჰმართა ისევ სავაჭრო ამხანაგობის კაცსა, — ინებეთ გაგვაგებინოთ, რისთვის გარჯილხართ? იცი, როდიონ, ამათ კანტორიდამ ეს მეორეთა გკითხულობენ. მაგრამ წინად სხვა იყო, ვილაპარაკეთ კიდეც. თქვენ წინად ვინ იყო აქა?

— გუშინ-წინ იქნებოდა უთუოდ, დიახ. ალექსეი სემონიჩი იქნებოდა. ჩვენს კანტორაში მსახურობს ისაცა.

— ის უფრო თქვენზედ მოხერხებული და გაგებული იქნება, არა, როგორ გგონიათ?

— დიახ-ს, უფრო დარბაისელია.

— კარგით, მაშ, განაგრძეთ, აბა.

— მოგახსენებთ. აფანას ივანიჩ ვახრუშინისაგან, რომელიც, უეჭველია, კარგად მოგეხსენებათ, დედი თქვენის თხოვნით ჩვენმა კანტორამ თქვენს სახელზედ ფული მიიღო, — დაუწყო სავაჭრო ამხანაგობის კაცმა რასკოლნიკოვსა. — თუ შეგიძლიანთ და გონზედა ხართ, მაშასადამე, სამ თუმან ნახევარი ჩაიბარეთ, რადგან სემონ სემონიჩმა აფანას ივანიჩისაგან თქვენის დედის თხოვნით წინანდებურად ცნობა მიიღო ამის თაობაზედა. ხომ მოგეხსენებათ-ს?

— დიახ... მახსოვს... ვახრუშინი... ჩაილაპარაკა დაფიქრებულმა რასკოლნიკოვმა.

— გესმისთ? ვაჭარი ვახრუშინი სცნობია! — შეჰყვირა რა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზუმიხინმა.—როგორ არ არის გონზედა? მაგრამ გატყობთ, თქვენც გაგებული კაცი ყოფილხართ. მერე, მერე! ჭკვიანური რამ მუდამ საამო გასაგონია.

— ის არის სწორედ დიახ, ვახრუშინი, აფანას ივანიჩი, რომელმაც დედი თქვენის თხოვნით ერთხელ კიდევ წინადაც გამოგზავნა ასე; ახლაც არ უთქვამს უარი სემონ სემონიჩსა, და უკისრნია, რომ სამ თუმან ნახევარი გადმოგცეთ, დიახ. უკეთესის მოლოდინში, დიახ-ს.

— აი, სწორედ ეგ ,,უკეთესის მოლოდინი'' მოგვიდათ კარგადა. არც ,,დედი თქვენის'' შესახებ იყო ურიგოდ. მაინც, როგორ არის ახლა, თქვენის ფიქრითა, თავისს ჭკვაზეა, თუ არა—ჰა?

— ჩემთვის ორივე ერთია. ბარათს მომცემდნენ ოღონდა, თორემ.

— დასჩხაპნის! არა უშავს-რა. წიგნი რამა გაქვთ, თუ როგორ არის?

— დიახ, წიგნი მაქვს, აი.

— მოიტათ აქა. აბა, როდიონ, წამოჯექ. მე დაგიჭერ; დაიჭი კალამი და მოუწერე: რასკოლნიკოვი-თქო, თორემ ხომ იცი, ძმაო, როგორ გვიჭირს ფული.

— არ მინდა,—უპასუხა რასკოლნიკოვმა და კალამს აუკრა ხელი.

— რა არ გინდა?

— ხელს არ მოვაწერ.

— ფუჰ, ეშმაკო, და როგორ გინდა, მაშა, შე ოჯახ-ქორო?

— ფული... არ მინდა...

— როგორ, ფული არ გინდა? არა, ძმაო, მიჰქარავ, თორემ მოწმე ვარ აგერ! ნუ სწუხართ, გეთაყვათ. ამბობს ისე, რაღა... ჰბოდავს ისევა. თუმცა ცხადლივაც ემართება ხოლმე ასე... ვიცი, შეგნებული კაცი ხართ. ავიღებთ და ვუხელმძღვანელებთ ჩვენცა, ესე იგი მოვაწერინებთ და მორჩა, გათავდა. დაიწყეთ, აბა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რათაო, შემიძლიან სხვა დროსაც შემოვიარო.

— არა, არა; რათ უნდა შესწუხდეთ. შეგნებული კაცი ხართ... აბა, როდიონ, ნულარ აცდევინებ სტუმარსა... ხომ ჰხედავ, იცდის და მოემზადა მართლა, ძალათი მოეწერინებინა ხელი.

— გამიშვი, თვითონ... მოვაწერ... წაიდუდუნა რასკოლნიკოვმა, აიღო კალმი და ხელი მოაწერა.

სავაჭრო ამხანაგობის კაცმაც მაშინვე ფული გადაუთვალა და წავიდა.

— „ბრავო“! ახლა რას იტყვი, არასა სჭამ?

— შეიძლება ვსჭამო,—მიუგო რასკოლნიკოვმა.

— წვენი გაქვთ?

— გუშინდელი, დიახ! მიუგო ნასტასიამ, რომელიც მთელი ეს ხანი იქვე იდგა.

— კართოფილითა და ბრინჯითა?

— დიახ.

— ზეპირად ვიცი. მოიტა, მაშ, წვენი და ჩაიც მოაყოლე.

— მოვიტან.

ყოველსავე ამას რასკოლნიკოვი როგორღაც ღრმად განცვიფრებული, გაშტერებული და თითქმის შეშინებული უყურებდა, მაგრამ გარდასწყვიტა გაჩუმებულიყო და ეცადნა, რა იქნებოდა შემდეგ? „მგონი, არ ვბოდავ“,—ფიქრობდა, „მგონია, ყველაფერი ეს ნამდვილად ხდება“.

ორის წამის შემდეგ ნასტასიამ წვენი შემოიტანა და გამოაცხადა, რომ ახლავ ჩაისაც მოიტანდა. წვენს მოჰყვა თან ორი კოვზი, ორი მათლაფა და სხვა მოწყობილობა სუფრისა: სამარილე, სამდოგვე და საპილპილე ხორცისათვისა და სხ., რაიცა დიდი ხანია ამ წესით აღარ უნახავს რასკოლნიკოვსა. სუფრაც სუფთა იყო.

— ურიგო არ იქნება, ნასტასუშკა, პრასკოვია პავლოვნამ ერთი ორი ბოთლი ლუდიც წარმოგზავნოს; გიახლებოდით, დიახ.

— შენ კი არა ხარ, ალაწოდავ!—წაიდუდუნა ნასტასიამ და ბრძანების შესასრულებლად გავიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირდაღებული შეჰყურებდა გაშტერებული რასკოლნიკოვი. გადაჯდა რაზუმიხინი დივანზედა, დათვისავით მოუხეშავად მოჰხვია მარცხენა ხელი თავზედა, თუმცა თვითონაც კარგად შეეძლო ადგომა, წამოსვა ლოგინზედა, აიღო მარჯვენა ხელით წვენი კოვზითა, რამდენჯერმე შეუბერა, რომ პირი არ დასწვოდა და მიაწოდა. მაგრამ წვენი ოდნავ ძლივს იყო თბილი. ხარბად შეხვრიპა რასკოლნიკოვმა ჯერ ერთი, მერე მეორე და მესამე კოვზი. მაგრამ შეახვრიტა თუ არა რამდენიმე კოვზი, შედგა უცბად რაზუმიხინი და გამოუცხადა, რომ მეტს ველარ აჭმევდა; ზოსიმოვს ღნდა ვკითხოთო.

შემოვიდა ნასტასიაცა და ორი ბოთლი ლუდი შემოიტანა.

— ჩაი არ გინდა?

— მინდა.

— მოიტა ჩქარა, ნასტასია, ჩაისაც ხომ ფაკულტეტის დაკითხვა არა სჭირია. აგერა ლუდიც!—გადაჯდა ისევ თავისს სკამზედა, მიიდგა წვენი და ხორცი და დაუწყო მადიანად ჭამა, თითქოს სამი დღეა, გემოთ არა უნახავს-რაო.

— მე, ძმაო როდიონ, ახლა ყოველ დღე ასე ვსადილობ თქვენსა, წაიბუტბუტა რაზუმიხინმა და თან პირი გამოეტენა ხორცითა;—მერე, იცი, ვისი წყალობაა? პაშენკასი, შენი დიასახლისისა; ასე სცდილობს სულითა და გულით მასიამოვნოს. მე, რასაკვრელია, არც ძალას ვატან, მაგრამ არც თუ ვეწინააღმდეგები. აგერა, ნასტასიასაც ჩაი მოაქვს. რა მარდი რამ არის! ნასტენკა, ლუდი არ გინდა?

— ნუ მასხრობ ერთი-და!

— ჩაი?

— ჩაი რატომ, შეიძლება!

— დაისხი. მაგრამ არა, მოიცა, თვითონ დაგისხამ. მიუჯექ, აბა, მაგიდასა.—გაამზადა ყველაფერი, დაასხა ერთი ფინჯანი, მერე მეორე, გაანება თავი ჭამასა და ისევ დივანზედ გადაჯდა. წელანდელივით მარცხენა ხელი ისევ თავზედ შემოჰხვია, წამოსვა და დაუწყო კოვზით ჩაის დალევინება რასკოლ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიკოვსა. თან გაცხარებული უბერავდა კოვზსა, თითქოს ეს იყო სწორედ უმთავრესი და ამას შეეძლო ავადმყოფი ფეხზედ დაეყენებინა. იყო ჩუმად რასკოლნიკოვი და წინააღმდეგობას არ უწევდა სრულებით, თუმცა კარგადა ჰგრძნობდა, რომ შეეძლო არამც თუ წამოჯდომა და კოვზის დამაგრება, ან სხვისა დაუხმარებლად ჭამა, შეეძლო სიარულიც კი. მაგრამ რაღაც რამ უცნაურის, წმინდა პირუტყვულის ეშმაკობით მოისურვა უცბად, ყველა ეს დრომდე დაეფარა და ისეც კი ეჩვენებინა თავი, ვითომ ჯერ კიდევ გონს ვერ მოსულა, რომ ყველაფერი, რაც კი რამ მის გარშემო ხდებოდა, გაეგო და მოესმინა. მაგრამ ვერ შეიმაგრა თავისი საკუთარი ზიზღის გრძნობა: შეჰსვა ერთი ათიოდე კოვზი ჩაი, მერე უცბად გამოჰგლიჯა თავი ბაზუმიხინსა, ჰკრა ხელი კოვზსა და ბალიშზედ მიეგდო. თავ ქვეშ მართლაც ნამდვილი ბალიშები ეწყო ახლა, წმინდა ბუმბულისა—სუფთა საურებიანი; ესაც იგულისხმა, რასაკვრელია.

— პაშენკამ უნდა დღესვე მჟოლის მურაბა ამოგვიგზავნოს, რომ წყალში ჩავუყაროთ ხოლმე და ისე დავალევინოთ,— უთხრა რასკოლნიკოვმა ნასტასიასა და ისევე წვენსა და ლუდს მიუჯდა.

— მერე, სად უნდა გიშოვნოთ მჟოლი?—ეკითხებოდა ნასტასია და თან გაფარჩხულს ხუთს თითზედ ჩაის ლამბაქი დაედგა და შაქარს იწუწნიდა, ჩაისა ჰსვამდა.

— სადა და დუქანში, ჩემო მეგობარო. ჰხედავ, როდიონ, უშენოდ აქ მთელი ამბავი მოხდა. გახსოვს, ისე ავაზაკურად რომ გამომექეცი და ბინაც კი არ გამაგებინე, სადა სცხოვრობდი, უცბად ისე გამაბრაზა ამანა, რომ გადავწყვიტე მაშინვე, მეპოვნე როგორმე უთუოდ და დამესაჯნე კიდეცა. ძებნას იმავე დღეს შევუდექი. ვიარე, ვიარე, გეძებე, გეძებე! ეს, ახლანდელი ბინა, სრულებით დავიწყებული მქონდა, თუმცა, მართალი რომ ვსთქვა, არც თუ როდისმე მხსომებია, იმიტომ რომ არც ვიცოდი. წინანდელი კი მახსოვდა, რომ ხუთ კუთხესთან (Пять Угловъ) იყო, ხარდამო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვის სახლში. ვეძებე, ვეძებე ეს ხარდამოვის სახლი და გამოდგა, რომ ხარდამოვისა კი არა, ბუხისა ყოფილა; ხომ ჰხედავ, ზოგჯერ ასოების ერთხმოვანება როგორ მოატყუებს კაცსა. და ძალიან გავჯავრდი. გავჯავრდი და მეორე დღეს საადრესო სახლისაკენ გავსწიე და წარმოიდგინე, როდიონ: ორს წამში უცბად მიპოვნეს, სადა სცხოვრობდი. იქა სწერიხარ.

— ვწერივარ!

— რასაკვრელია, ვიღაც გენერალი კობელევი კი ვერაფრის გულისათვის ვერ იპოვეს. მაგრამ რა გავაჭიანურო. მოვედი თუ არა, მაშინვე ყველა შენი საქმეები გავიგე; ყველა, ძმაო! ყველაფერი ვიცი. აგერა, იმანაც ნახა; ნიკოდიმ ფომიჩიც გავიცანი, ილია პეტროვიჩიც დამანახვეს, მეეზოვეც, ბატონი ზამეტოვიც, ალექსანდრე გრიგორიჩი, აქაურ კანტორის საქმის მწარმოებელი და ბოლოს, პაშენკაც გავიცანი. და ამითი დავაგვირგვინე საქმე. თორემ აი, ამანაც იცის...

— დაშაქრა, —წაიდუდუნა ნასტასიამა და ეშმაკურად გაიღიმა.

— რატომ შაქარს არ ჩაიგდებთ, ნასტასია ნიკიფოროვნა.

— გეყოფა, კარგი, მოუსვენარო! —შეჰყვირა უცბად ნასტასიამა და სიცილისაგან ჩაბჟირდა.—პეტროვნა ვარ და არა ნიკიფოროვნა,—დასძინა ბოლოს, სიცილი რომ შეიმაგრა.

— გვეხსომება. ასე მაშ, ძმაო, ბევრი რომ არ ვილაპარაკო, მინდოდა პირველადვე ელექტრონის ტალღა მიმეშვა, რომ ყველა ადგილობრივი ცრუმორწმუნოება უცბად ამომეგდო ძირიან-ფესვიანადა, მაგრამ პაშენკამ მაჯობა. არ მეგონა, ძმაო, თუ ასეთი... იქნებოდა... ჰა? შენ რას იტყვი?

სდუმდა რასკოლნიკოვი, თუმცა არც ერთს წამს შეშფოთებული თვალს არ აშორებდა და შესანიშნავად გულმოდგინეთ მიჰშტერებოდა.

— ძალიან გოგო ყოფილა თურმე,—განაგრძობდა რაზუმიხინი, —და ვითომ განგებ ადასტურებსო პასუხსა, თამამად განაგრძობდა,—ძალიან ყოფილა, ძალიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვერა ჰყურობთ! შეჰყვირა ნასტასიამ, რომელსაც, ეტყობოდა, განსაკუთრებით იამებოდა ეს ლაპარაკი.

— ცუდი გიქნია, ძმაო, რომ თავიდგანვე საქმეს რიგზედ არ შესდგომიხარ. ასე როდი უნდა მოჰქცეოდი. ხომ სრულიად მოულოდნელი ხასიათისაა! მაგრამ ხასიათის შესახებ შემდგომ... არა, როგორ მიიყვანე საქმე იქამდის, რომ სადილსაც აღარ გაჭმევდა? ან ეს თამასუქი რამ დგაწერინა? გაგიჟდი თუ რა იყო, რომ თამასუქზედ ხელს უწერდი. ან ეს განზრახული ჯვრის წერა, ქალი, ნატალია ეგოროვნა რომ ჯერ ისევ ცოცხალი ჰყავდა... ყველაფერი ვიცი! მაგრამ ვხედავ, რომ ყოველივე ეს გრძნობისა და გულის საქმეა და მე ვირი ვარ; მაპატიე. მაგრამ, მართლა, სისულელე ვახსენევი: როგორა გგონია, პრასკოვია პავლოვნა არც თუ ისე ტუტუცი არის, პირველს ნახვაზედ რომ ეჩვენება ადამიანსა, არა?

— მართალია... წარმოსთქვა ძლივს რასკოლნიკოვმა; თან სხვა მხარეს იყურებოდა და არ ესმოდა, თუ ლაპარაკისათვის მხრის დაჭერა სახეირო იყო.

— ხომ აგრეა, არა?—შეჰყვირა რაზუმიხინმა, თითქოს გაიხარა, რომ უპასუხესო,—მაგრამ არც თუ ჭკვიანია, განა? სრულიად მოულოდნელის ხასიათისაა! ცოტა არ იყოს, ძმაო, დავიბენ კიდეცა. გარწმუნებ... ორმოცისა ხომ ნამდვილად იქნება. თვითონ, მართალია, იძახის, ოც-და-თექვსმეტისა ვარო, თუმცა უფლებაცა აქვს. მაგრამ რა საჭიროა, გეფიცები, უფრო მეტაფიზიკურადა ვჰმსჯელობ, გონებით, იმის შესახებ; აქ, ძმაო ისეთი ამბავანა აგვიჩნდა, რომ შენი ალგებრაც-კი ვერას გახდება! არა მესმის-რა! მაგრამ ყველა ეს სისულელეა. ნახა, ძმაო, რომ სტუდენტად აღარ ითვლებოდი და გაკვეთილებიც დაჰკარგე; ნახა, რომ ტანთაც შემოგაცვდა და ქალიც მოუკვდა; მაშასადამე, ნათესავურის კავშირით ვეღარ გიყოლიებდა სახლში და შეეშინდა. და რაკი შენც მთლად განმარტოვდი და ძველი ერთობა მოჰსპევი, მოინდომა ბინდამ დაეთხოვნე. დიდი ხანია თურმე უნდოდა განზრახვის შესრულება, მაგრამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამასუქი თურმე ენანებოდა. მით უფრო, რომ არწმუნებდი თურმე, დედა გადაგიხდისო...

— მართალია ვეუბნებოდი, მაგრამ იმიტომ მხოლოდ, რომ გაფუჭებული ვიყავი... თვითონ დედა თითქმის რომ მოწყალებასა თხოულობს... მე-კი ვცრუობდი და ვატყუებდი განგებ, რომ ბინიდამ არ გავეგდევი... და საქმელი ეძლია,— უპასუხა გარკვევით და ხმა-მაღლა რასკოლნიკოვმა.

— ეგ არაფერი, გონივრულად მოქცეულხარ. საქმე იმაშია მხოლოდ, რომ ეშმაკად საიდამღაც ნადვორნი სოვეტნიკი და საქმიანი კაცი ბატონი ჩებაროვი ასჩენია. უიმისოდ პაშენკა სულ ვერას მოიფიქრებდა, იმიტომ რომ მორცხვია მეტად. საქმიანი კაცი-კი ურცხვი და მოხერხებულია; მაშინვე თურმე იკითხა: არის რამ იმედი, რომ თამასუქი გავანაღდოთო? პაშენკასაც უთქვამს: არისო; იმიტომ. რომ დედასა აქვს თორმეტი თუმანი პენსია, თვითონ არასა სჭამს და როდიონს კი გამოიხსნისო და და ჰყავს, რომელიც მზად არის ძმისათვის თუნდაც მონობა იკისროსო. ჩებაროვსაც მეტი არა უნდოდა რა... რას იჩმუჩნები? ყველა შენი ამბავი დაწვრილებით ვიცი, ტყუილად-კი არ უერთებდი სულსა და გულს პაშენკასა, ნათესავობას რომ უპირებდი. მიყვარხარ და იმიტომ გეუბნები... მაშ, რა გგონია: პატიოსანი და მგრძნობიარე ადამიანი გულ-ახდილია, საქმიანი-კი უსმენს და სჭამს; ბოლოს-კი სულაც გადაჭყლაპავს. აიღო პაშენკამცა და თამასუქი ჩებაროვს დაუთმო, ვითომ-და სყიდვით; ჩებაროვმა-კი არ დაირცხვნა და ნამდვილად მოითხოვა ვალის გადახდა. მინდოდა, გავიგე თუ არა, სინიდისის გასაწმენდად იმისთვისაც მეჩვენებინა სუსხი, მაგრამ, ვაი, რომ იმ დროს მე და პაშენკას უკვე სრული ჰარმონიული განწყობილება გვქონდა; ავდექი და ვუბრძანე ძირიან-ფესვიანად სრულიად მოესპოთ საქმე; დავპირდი, თვითონვე გადაგიხდისთ-მეთქი. გესმის, ძმაო, თავდებობა ვიკისრე შენი? დავუძახეთ ჩებაროვსა, ათიოდ მანეთი გადავაყლაპეთ და ქაღალდი უკან დავიბრუნეთ. აგერა, თამასუქიც, დახეულია. დაიჭი, სიტყვითაც გენდობიან.

ეროვნული ბიბლიოთეკ

და რაზუმიხინმა ჯიბიდამ თამასუქი ამოიღო. შეეხედა რასკოლნიკოვმა, მაგრამ არა უთხრა-რა და პირი კედლისაკენ იბრუნა. რაზუმიხინსაც-კი როგორღაც ეჩოთირა ესა.

— ვხედავ, ძმაო, რომ სისულელე ჩაგიდინე,—გამოელაპარაკა რამდენისამე წამის შემდეგ;—მინდოდა გამეხალისებინე როგორმე უბედობითა და დაგანაღვლიანე-კი ისევა.

— შენ იყავ, მაშა, რომ ბოდვის დროს ვერა გცნობდი? შეეკითხა რასკოლნიკოვი მცირე სიჩუმის შემდეგ, ისევე ისრე ზურგ-შექცეული.

— მაშა, მე ვიყავ. ერთხელ კინაღამ მთლად გადირიე, ზამეტოვი რომ მოვიყვანე.

— ზამეტოვი?.. საქმის მწარმოებელი?.. რათაო, რაო?

გადმობრუნდა უცბად რასკოლნიკოვი და თვალები რაზუმიხინს მიაშტერა.

— რაო, რა იყო, რა დაგემართა... რამ შეგაშფოთა? უნდოდა გაეცანი. თვითონვე მოინდომა, იმიტომ რომ ბევრი გვქონდა შენ შესახებ ნალაპარაკევი... მაშ, აბა, ვისგან შევიტყობდი შენ შესახებ ამდენს ამბებსა. მშვენიერი ახალგაზრდაა, საუცხოვო რამ არის... რასაკვრელია, თავისს გვარადა. ახლა უკვე მეგობრები ვართ. თითქმის ყოველ დღე ერთმანერთს ვხვდებით. მეც ხომ ამ ნაწილში გადმოვედი. არ იცი ჯერა? ეს არის გადმოვედი. ორჯელ ლავიზასთანაც ვიყავით მე და ისა. გახსოვს ლავიზა, ლავიზა ივანოვნა?

— მერე, ვბოდავდი რასმე?

— ჰბოდავდი და აგრე! აღარა გაგეგებოდა-რა.

— რასა ვბოდავდი?

— რა ვიცი, რასა ჰბოდავდი? არ იცი, რასა ჰბოდავენ ხოლმე... მაგრამ ტყუილად რომ დრო არ დავკარგოთ, საქმეს შევუდგეთ.

წამოდგა სკამიდამა და ქუდს ეძა.

— რასა ვბოდავდი?

— რას ჩამაცივდა? იქნებ გგონია საიდუმლო რამ გამოამჟღავნე? ნუ გეშინიან: გრაფინაზედ არა გითქვამს-რა,

ეროვნული ბიბლიოთეკ

რაღაცა ბულდოგზედ, საყურეებზედ, ძეწკვებზედ, კრესტოვსკის კუნძულზედ, ვიღაცა მეეზოვეზედ, ნიკოდიმ ფომიჩზედა და ილია პეტროვიჩზედ-კი, ზედამხედველის თანაშემწეზედ, ბევრი რამ იყო ნათქვამი. და გარდა ამისა, საკუთარს წინდაზედ ინებეთ როგორღაც მეტის-მეტად ბევრი ლაპარაკი! იხვეწებოდით: მომეცით, წინდა მომეცით, სხვა არა მინდა-რა თქვენიო. თვითონ ზამეტოვი დაეძებდა ყველა კუთხეებში შენს წინდებსა და სუნნელოვან წყლებით დაბანილ და ძვირფას ბეჭდებით აჭრელებულ ხელით მოგაწოდა ეს საძაგლობა. მაშინ-ღა დაჰმშვიდდი და მთელი დღე-ღამე ხელიდამ აღარ გაგიშვია: გამოგლეჯაც-კი ვეღარ შევძელით. ახლაც უთუოდ საბანს ქვეშ სადმე გექნება ლოგინში. ეს არასფერი. ახლა 'მარვლის დაძონძილ ტოტის ბოლოსა თხოულობდი და იხვეწებოდი საცოდავათა! ბევრს ვეცადეთ და ვკითხულობდით: რა ძონძებიაო? მაგრამ ვერა გაგვაგებინე-რა.. აგრე, მაშ, საქმეს შევუდგეთ! აგერ, აქ სამ თუმან ნახევარია. აქედან თუმანს წავიღებ და ანგარიშს ორი საათის შემდეგ წარმოგიდგენ. თან ზოსიმოვსაც შევატყობინებ, თუმცა უამისოდაც უნდა შემოევლო, მეთორმეტე საათია. თქვენ-კი, ნასტენკა, ხშირ-ხშირად შემოჰხედეთ ხოლმე, იქნება ან წყალი მოუნდეს, ან სხვა რამე. პაშენკას-კი, რაც საჭიროა, მე თვითონ ვეტყვი ახლავე. ნახვამდის!

— ჰმ, პაშენკას ეძახის! ოი, შე ეშმაკო, შენა! მიაძახა უკანიდამ ნასტასიამა; გამოაღო მერე კარი და ყური მიუგდო, მაგრამ ვერ მოითმინა და თვითონაც ქვევით გაქანდა.

საშინლად უნდოდა გაეგო, დიასახლისს რას ელაპარაკებოდა; საზოგადოდ-კი ეტყობოდა, რაზუმიხინისათვის მთლად გადარეული იყო.

მოიხსნა თუ არა კარები, ავადმყოფი მაშინვე გიჟივით წამოვარდა ლოგინიდამა. ათრთოლებული ელოდა მოუთმენელად, როდის წავიდოდნენ ორივენი, რომ საჩქაროდ საქმეს შესდგომოდა. მაგრამ რომელს საქმესა, რომელსა?— თითქოს განგებაო, მთლად დაავიწყდა ახლა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ღმერთო! გამაგებინე ერთი: ყველაფერი იციან უკვე, თუ არა ჯერა? მერე, რომ იცოდნენ და მხოლოდ თავს მაჩვენებდნენ განგებ, ვითომ არა იციან-რა, ისიც დროებით მხოლოდ, სანამ ლოგინში ვწევარ; მერე-კი უცბად შემოვიდნენ და მითხრან: დიდი ხანია ყველაფერი ვიცით და მხოლოდ ისე, განგებ, გიმალავდითო... რა ჰქმნას? მაგრამ, აი, უბედურება, დაავიწყდა უცბად, თუმცა ეს-ეს იყო ახსოვდა!“

იდგა შუაგულ ოთახში და ვერას მიმხვდარიყო, იტანჯებოდა, გარშემო იყურებოდა. მივიდა მერე კარებთანა, გამოაღო, ყური მიუგდო; მაგრამ, არა, ეს არ უნდოდა. მოაგონდა უცბად, ეცა კუთხესა და შპალერებს ქვეშ, ნახვრეტში, ხელი შეჰყო, მიუსვ-მოუსვა, მაგრამ არც ეს უნდოდა. მივიდა ღუმელთანა, გამოაღო კარები და დაუწყო ხელით ნაცარს ქექვა: შარვლის დაძონძილი ნაჭერი და ჯიბის ნაგლეჯი ისევ ისე იქ ეყარა; მაშასადამე, არავის უნახავს! მოაგონდა უცბად, რაზუმიხინი რომ წინდაზედ უამბობდა. მართალია, აგერ, დივანზედა დევს საბანს ქვეშა, მაგრამ იქამდის გადალესილი და გაჭუჭყიანებულია, რომ, რასაკვრელია, ზამეტოვი ვერას გაარჩევდა.

— ვაჲ, ზამეტოვი!.. კანტორა!.. კანტორაში რათ მეძახიან?.. უწყება სად არის? ვაი!.. ავირიე: — მაშინ იყო, რომ მეძახდნენ! მაშინაც წინდას ვსინჯავდი, ახლა-კი... ახლა ავად ვიყავი. მერე, ზამეტოვი რალათა ყოფილა აქა? რაზუმიხინს რათ მოუყვანია?.. დუდუნებდა დაუძლურებული და დივანზედ ჩამოჯდა. რა არის ესა? ვბოდავ ისევა, თუ ყველაფერი ნამდვილად ხდება? ვგონებ, მართლა ხდება... ჰო, მოგონდა: უნდა გავიქცე! ჩქარა გავიქცე უთუოდ, გავიქცე! დიახ... მაგრამ სადა? ჩემი ტანისამოსი სადღაა? ფეხსაცმელები რომ არ არის! წაუღიათ! დაუმალიათ! მესმის, მესმის! მაგრამ ტანისამოსი, აი, დაჰრჩენიათ! ფულიც, აი, მაგიდაზეა, მადლობა ღმერთს! აგერ თამასუქიც... ავიღებ ფულსა და წავალ, სხვა ბინას დავიჭერ, ველარ მიპოვიან!.. მაგრამ, ე-ე, საადრესო სახლი? მიპოვიან, მიპოვიან! რაზუმიხინი მიპოვის.

ეროვნული ბიბლიოთეკ

სჯობს, სულ გავიქცე სადმე... შორს... ამერიკაში... დეე-მეძებონ! თამასუქიც ხომ ხელში მაქვს... გამომადგება... რა წავიღო კიდევ? ჰგონიათ, ვითომ ავად ვიყო. ის კი არ იციან, რომ სიარული შემიძლიან, ხე-ხე-ხე-ხე!.. თვალებზედ შევატყე, რომ ყველაფერი იციან! ერთი ე კიბეებს ჩავცილ-დე როგორმე და! მერე, რომ დარაჯი და პოლიციელები ჰყავდეთ დაყენებული! ეს რა არის, ჩაია? აგერა, ლუდიც და-რჩენილა, ნახევარ ბოთლია, ცივ-ცივი!

ეცა ბოთლსა, რომელშიაც მთელი ჭიქა ლუდი კიდევ იდგა და სიამოვნებით გადახუხა, თითქოს ცეცხლი ჩაანელაო. მაგრამ არ გასულა ერთი წამი, რომ ლუდმა უცბად თავში დაჰკრა და ზურგში რაღაცა სასიამოვნო ჟრუანტელმა დაურ-ბინა! მიწვა მაშინვე და საბანი წაიხურა. უიმისოდაც არე-ული და სნეული ფიქრები თან-და-თან უფრო აებნა და მა-ლე ნელ-ნელა სუბუქსა და სასიამოვნო ძილს მისცა თავი. სიამოვნებით მოსძებნა თავით ბალიში. ლამაზად გაეხვია და-ბამბულ'ა და რბილს საბანში, რომელიც ახლა ძველის დაგ-ლეჯილ პალტოს მაგივრად ეხურა, წყნარად ამოისუნთქა და მაგრა და ტკბილად ჩაეძინა.

ფეხის ხმამ-ღა გამოაღვიძა. გაახილა თვალი და დაინახა, რომ ყურთამდე ღია კარებში რაზუმიხინი დგას და აღარ იცის, შემოვიდეს თუ არა? წამოჯდა საჩქაროდ დივანზედ რასკოლნიკოვი და რაზუმიხინს მიაშტერდა, თითქოსა სცდი-ლობს რაღაცა მოიგონოსო.

— ეჰე, არა გძინავს, აგერა მეც მოვედი! ნასტასია, მო-იტა ე ბოხჩა! ჩაჰყვირა რაზუმიხინმა ზემოდამ.—ახლავე ანგა-რიშსაც მიიღებ.

— რომელი საათია?—დაეკითხა რასკოლნიკოვი და შეშ-ფოთებულმა აქეთ-იქით მიმოიხედა.

— ბლომადა გძინებია, ძმაო! შებინდდა უკვე, ექვსი იქმნება. თითქმის რომ ექვს საათზედ მეტი გძინებია.

— ღმერთო ჩემო! რა ამბავია!..

— რაო, რა არის? ღმერთმა შეგარგოს! სად მიეჩქარე-

ბი! შეხვედრას ხომ არავისას აპირებ? მთელი დრო ახლა ჩვენ ხელთ არ არის. სამი საათია აგერა, გიცდი. ერთი ორჯელ შემოველ კიდეცა, მაგრამ გეძინა. ორჯელ ზოსიმოვისას ვიყავ საკითხავადა: შინ არ არის და არა! მაგრამ არა უშავსრა, მოვა... ჩემ საქმეზედაც ვიყავი სხვაგან. დღეს გადავედი ბანიდამა, ბიძიასთან საცხოვრებელად. ახლა ხომ ბიძია მყავს ჩემთანა... მაგრამ რა დროს ეს არის, საქმეს შევუდგეთ!.. ნასტენკა, ბოლჩა მოიტა. ახლავე. სხვა, თავს როგორა ჰგრძნობ, ძმაო?

— კარგათა, არა მიჭირს-რა, ავად არა ვარ... დიდი ხანია, აქა ხარ?

— გეუბნები, სამი საათია-მეთქი გიცდი.

— არა, წინად?

— რა წინადა?

— რამდენი ხანია, რაც ჩემსას დაიარები?

— წელან არ იყო გიამბობდი; რაო, აღარ გახსოვს განა?

დაფიქრდა რასკოლნიკოვი. წელანდელი ყველაფერი სიზმარივით-ღა ახსოვდა. ვერ მოეგონებინა ვერაფრითა და გაშტერებული შეჰყურებდა რაზუმიხინსა.

— ჰმ! – ჩაილაპარაკა რაზუმიხინმა,— დამავიწყდა. წელანვე ისე მეჩვენებოდა, განა არა, ვითომ ჯერ კიდევ შენს გონზედ არ იყავი... ახლა ხომ გამოერკვი ძილიდამა... გეუბნები, უკეთ გამოიყურები. ყოჩაღ! აბა, საქმესაც შევუდგეთ! ახლავ ყველაფერს მოიგონებ. აქეთ შემოიხედე, აბა, მეგობარო!

და ბოლჩას დაუწყო ხსნა, რომელსაც, ეტყობოდა, მთლად შთაენთქა მისი ყურადღება.

— იცი, ძმაო, იქნება არ დაიჯერო კია, მაგრამ ყველაზედ მეტად ეს მაწუხებდა. იმიტომა, ძმაო, რომ საჭიროა უთუოდ კაცად გაქციო. შევუდგეთ, მაშა: თავიდამ დავიწყოთ, ჰხედავ ამ ქუდსა? დაიწყო რაზუმიხინმა და ბოლჩიდამ საკმაოდ შნოიანი, მაგრამ იმავე დროს ჩვეულებრივი რამ უბრალო და იაფ-ფასიანი ქუდი იმოიღო.— გაისინჯე, აბა!

ეროვნული ბიბლიოთეკ

— მერე, მერე,--ჩაილაპარაკა რასკოლნიკოვმა და როგორ-ღაც ზიზღით გააქნია ხელი.

— არა, ჩემო როდიონ, ნუ აიხირებ, თორემ გვიანღა იქნება. და აღარც შე დამეძინდება მთელს ღამეს, იმიტომ-რომ გაუსინჯავად ვიყიდე ანდეთი. მშვენივრად გადგია! შე-ჰყვირა გახარებულმა,—თითქოს განგებ შეუკერვინებიათო თავის სამკაული, ჩემო ძმაო, უმთავრესი რამ არის, პირველ-ლად ქუდით იცნობენ ადამიანსა. ჩემი მეგობარი, ტოლსტია-კოვი, გაცხარებული ჩაჩს მოიგლეჯს ხოლმე მაშინვე, რო-გორც კი სადმე დიდს შეკრებულობაში ან გამოსაჩენს ად-გილას მოჰხვდებოდა, სადაც კი ყველა სხვას ქუდი ახურავს. ჰგონია ყველას შიშითა და მოკრძალებით მისდისო, ის-კი არა, თავისს საბუდრის მზგავს ჩაჩისა სცხვენიან; მორცხვი კაცია, რას იზამს! აბა, ნასტენკა, ეს თავის სამკაული რო-გორ უნდა ღირდეს: ერთია პალმერსტონი (და კუთხიდამ რა-სკოლნიკოვის რგვალი, დაღრეცილ-ჩაზნექილი ქუდი ამო-იღო, რომელსაც სრულიად უმიზეზოდ პალმერსტონი უწოდა სახელად), მეორე მშვენიერი რამ წმინდა ნამუშავარი? აბა, როდიონ, რას მივცემდი, როგორ გგონია? ნასტენკა, შენა, შენ რაღას იტყვი? მიუბრუნდა ახლა ნასტიას, რომ ნახა რას-კოლნიკოვი ხმას არ იღებდა.

— აბაზს მაინც მისცემდი,—უპასუხა ნასტიამ.

— აბაზსაო, ტუტუცი! შეჰყვირა წყენით რაზუმიხინმა,— აბაზათ ხომ შენც ვერ გიყიდი,—ოთხი აბაზი მივეცი! და ისიც იმიტომ მხოლოდ, რომ ნახმარი არის. მაგრამ პირობით არის ნაყიდი: ამას გასცვეთამ, სხვას მოგცემენ. ღმერთს გეფიცებით! აბა, ახლა ამერიკის შეერთებულს შტატებს შე-ვუდგეთ, როგორც გიმნაზიაში იცოდნენ ხოლმე. მაგრამ გაფრთხილებ,—შარვლით სწორედ თავი მომაქვს,—არსად ლაქა, არსად გახეული არ მოეძებნება და საკმაოდ რიგიანიც არის, თუმცა ცოტა ნახმარი არის და რასკოლნიკოვს წინ საზაფხულო, სუბუქი შარვალი გადაუშალა;—ჟილეტიც ასე-თივეა, ერთფერი, როგორც „მოდა“ მოითხოვს! რაც შეეხება

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმას, რომ ნახმარი არის, ეს-კი უნდა გითხრა, უკეთესიცაა: უფრო რბილი და ნაზია... ჰხედავ, როდიონ, ჩემის აზრით, თუ გინდა საზოგადოებაში ფასი და გასავალი გქონდეს, უთუოდ დროის შესაფერად უნდა გეცვას. თუ იანვარში სატაცურს არ მოითხოვ, რამდენიმე მანეთი ჯიბეში დაგრჩება. ასეა ამ ნავაჭრის შესახებაც. ახლა ზაფხულია და ამიტომაც ჩასაცმელი ზაფხულისა გიყიდე, მით უფრო, რომ შემოდგომისათვის უფრო თბილი რამ დაგჭირდება და ესენი-კი უნდა გადაგეყარა... მით უფრო, რომ იმ დროსთვის ყველაფერი ეს საკმაოდ მოძველდება, თუ არ იმითი, რომ უკეთესი რამ გაგიჩნდება, თავისს თავად მაინც. აბა, დააფასე მაშ! როგორა გგონია, რა უნდა ღირდეს?—სულ თერთმეტი აბაზი და ერთი შაური! მაგრამ გახსოვდეს, ისევ იმავ პირობით: გასცვეთამ, მერმის სამაგიეროდ სხვას მიიღებ მუქთადა! ფედიაევის მაღაზიაში ყველაფერს ასე ჰყიდიან: რაკი ერთხელაც არის იყიდი რასმე, შენს სიცოცხლეში აღარა გინდა-რა, იმიტომ, რასაკვრელია, რომ თვითონ აღარ წახვალ და აღარას მოსთხოვ მეორეთა. აბა ახლა წაღები ვნახოთ,—როგორებია, ჰა? რასაკვრელია, ეტყობა, რომ ნახმარებია, მაგრამ ორს თვეს მაინც გატარებენ, იმიტომ, რომ მასალაც და მუშაობაც საზღვარგარეთისაა: ინგლისის-საელჩოს მდივანს გაუყიდნია წარსულს კვირასა; სულ რაღაცა ექვსი დღე უტარებია, მეტი არა, მაგრამ ფული დასჭირებია და... სულ მანათ ნახევარი მივეცი. ზორბა რამ არის, არა?

— მერე, გამოადგება-კი?—შეჰნიშნა ნასტასიამ.

— გამოადგებაო! მერე, ეს რაღა არის, არა? და ჯიბიდამ რასკოლნიკოვის მთლად გახროკილი, ძველის-ძველი, დაგლეჯილი და ტალახიანი წაღა ამოიღო,—წინადვე თადარიგი გავსწიე თუ არა? ამის ზომაზე ამირჩიეს, მაშა. ყველაფერი ეს მშვენივრად მოვაწყეთ. რაც შეეხება საცვლებს, ამის შესახებ-კი დიასახლისს მოველაპარაკე. პერანგს სამს შეგიკერვენ, ტილოსას, მაგრამ ზემოდამ დროის შესაფერად იქნება გამშვენებული... აგრე, მაშ: ოთხი აბაზი „კარტუზი", ორი მანეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ხუთი შაური დანარჩენი ჩასაცმელი, სულ სამი მანეთი და ერთი შაური. მანეთ- ნახევარიც წაღები,—იმიტომ, რომ მეტად კარგებია, სულ ოთხი მანეთი და თერთმეტი შაური. და ხუთი მანეთიც საცვლები ყველა, ერთად გავრიგდით,— შესდგება სულ ცხრა მანეთი და თერთმეტი შაური. ცხრა შავი შაურიანი-კი, როგორც ხურდა, უკან მიიღე, ჩემო ძმაო. მაშასადამე, ტანისამოსი მთლად აღდგენილი გაქვს, როდიონ, იმიტომ რომ, ჩემის აზრით, შენს პალტოს ჯერ კიდევ შეუძლიან სამსახური და გარდა მაგისა, განსაკუთრებული კეთილშობილური შეხედულობაცა აქვს: ჰხედავ, რა არის შარმერთან ტანისამოსის შეკერვა! რაც შეეხება წინდებსა და სხვას, ეს შენთვის მომინდვია, ჩემო კარგო. ფულადა გრჩება კიდევ მთელი ოც-და-ხუთი მანეთი, მაგრამ პაშენკასი და ბინის ქირისა დარდი ნუ გაქვს ჯერა. ნათქვამი მაქვს: რამდენსაც გინდა, გენდობიან. ახლა-კი, ძმაო, ნება მომეცი, საცვალი გამოგიცვალო, თორემ პერანგში-ღაა ავადმყოფობა ახლა, სხვაგან აღარსადა...

— თავი დამანებე! არ მინდა! უარობდა რასკოლნიკოვი, რომელიც ერთ-თავად ზიზღით უგდებდა ყურსა რაზუმიხინის განგებ სამასხარო ლაპარაკს ტანისამოსის შესახებ.

— არა, ძმაო, არ შეიძლება; მაშ, ე წაღები რაზე დავიგლიჯე!—ატანდა ძალას რაზუმიხინი.—ნასტასუშკა, ნუ გცხვენიანთ, მომეხმარეთ. ჰო, აგრე!

და მიუხედავად იმისა, რომ რასკოლნიკოვი ეწინააღმდეგებოდა, საცვალი მაინც გამოუცვალა. მიეგდო რასკოლნიკოვი ისევ ბალიშზედა და მთელი ორი წამი ხმას არ იღებდა.

„ნეტა თუ არ დამეხსნებიან!“ ფიქრობდა იგი თავისთვის.

— მერე, რა ფულით იყიდე ყველაფერი ეს? ჩაეკითხა ბოლოს და თან კედელს დააშტერდა.

— რა ფულითა? ეჰე, შენის საკუთარ ფულითა. წელან არ იყო ვახრუშინისაგან კაცი იყო, დედის გამოგზავნილი ფული მოგიტანა? იქნება დაგავიწყდა?

— მახსოვს, მახსოვს... ჩაილაპარაკა რასკოლნიკოვმა ხანგრძლივის დაღვრემისა და ფიქრის შემდგომ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაზუმიხინიც დაღვრემილი შეჰყურებდა, შეშფოთებული.

ამ დროს უცბად გაიღო კარი და ვიღაც მაღალ-მაღალი ჩასხმული კაცი შემოვიდა; ესაც თითქოს ნაცნობი იყო რასკოლნიკოვისა.

— ზოსიმოვი! ძლივს არ გვეღირსა! შეჰყვირა რაზუმიხინმა, გახარებულმა.

IV

ზოსიმოვი იყო მაღალ-მაღალი, ჩასუქებული, ცოტათი სახე შესიებული, წვერ გაპარსული, ქერა თმა, სათვალებიანი კაცი. სიმსუქნისაგან გასიებულს თითზედ ვეება ოქროს ბეჭედი ჰქონდა წამოცმული. ხნით, ასე ოც-და შვიდის წლისა იქნებოდა. ტანთ ეცვა კოხტად: განიერი ზაფხულის პალტო, ასეთივე ბაცი შარვალი. საზოგადოდ ყველაფერი ძვირფასი და შნოიანი ეცვა; საცვლები საუცხოვო და სუფთა, საათზედ თოქმა ოქროს ძეწკვი; მიმოხვრა მძიმე და უსიცოცხლო, მაგრამ ეტყობოდა განგებ ჰქონდა შეთვისებული. სცდილობდა დაემალა, მაგრამ ვერ ახერხებდა და ეტყობოდა აშკარადა, რომ ბევრის მცოდნედ და დიდ კაცად მოჰქონდა თავი. ყველანი მძიმე ხასიათის კაცათა სცნობდნენ, მაგრამ ამბობდნენ, თავისი საქმე გაეგებაო.

— მე, ძმაო, ორჯელ შემოგიარე... ჰხედავ, მობრუნდა,— შეჰყვირა რაზუმიხინმა.

— ვხედავ, ვხედავ; სხვა, ახლა თავს როგორა ვგრძნობთ, ჰა?—ჩაეკითხა ზოსიმოვი რასკოლნიკოვსა და თვალი თვალში გაუყარა, დივანზედ ჩამოუჯდა, ფერხთით.

— ჭინჭყლიანობს სულა,—განაგრძობდა რაზუმიხინი.— ეს იყო, საცვლები გამოვუცვალეთ, მაგრამ კინაღამ იტირა.

— რასაკვრელია, თუ არ უნდოდა, მერეც შეიძლებოდა. მაჯა მშვენივრად უცემს. თავი ისევა გტკივათ ცოტაი, არა?

— კარგათა ვარ, სრულიად კარგათა! უპასუხა დაბეჯითებით და გულმოსულად რასკოლნიკოვმა და თან უცბად

ეროვნული ბიბლიოთეკა

დივანზედ წამოიწია, თვალები გააკვესა, მაგრამ მაშინვე ისევ ლოგინზედ მიეგდო, კედლისაკენ გადაბრუნდა.

ზოსიმოვიც ყურადღებით აკვირდებოდა.

— კარგათ არის ძალიან... ყველაფერი რიგზეა,—ჩაილაპარაკა მძიმედ ზოსიმოვმა.—სჭამა რამე? უამბეს, რაც აჭამეს და ჰკითხეს, რა შეიძლება ვაჭამოთო.

— ყველაფერი... წვენი, ჩაი... სოკო და კიტრი, რასაკვირველია, არ უნდა აჭამოთ, არც ხორცი უნდა... მაგრამ რალასა ვუბედობ!.. და რაზუმიხინს გადაჰხედა.—მიქსტურა ალარ უნდა, ალარც სხვა რამე, ხვალ-კი შემოვივლი და ვნახავ, როგორ იქნება... დღესაც შეეძლო ბარემ... მაგრამ...

— ხვალ საღამოთი სასეირნოდ წავიყვან! გარდასწყვიტა რაზუმიხინმა.—უსუპოვის ბაღში, მერე-კი იქიდამ „პალე-დე-კრისტალ“-ში შევივლით.

— სჯობდა, ხვალ სულ ფეხი არ გაედკა, მაგრამ ცოტათი... ვნახოთ რა იქნება.

— ეჰ, აფსუს, დღეს სწორედ ახალს ბინაზედ გადასვლას ვდღესასწაულობ, სულ რალაცა ორი ნაბიჯია აქედამა. კარგი იყო, ესაცა ყოფილიყო. თუნდაც დივანზედ წამოწოლილიყო ჩვენთანა! შენა, შენ ხომ იქნები? მიჰმართა უცბად რაზუმიხინმა ზოსიმოვსა.—გესმის არ დაგავიწყდეს, მაშა.

— იქნება მოვახერხო, მაგრამ ცოტა გვიან-კი. რაო, რა გექმნება?

— არაფერი: ჩაი, არაყი, „სელიოდკა“. „პიროგსაც“ მოგვიტანენ, შინაურები იქნებიან.

— მაინც ვინა?

— ვინა-და, აქაურები, სულ ახლები იქნებიან, გარდა ბებერ ბიძიასი, მაგრამ ისაც ახალი კაცია: რალაცა საქმეებისა გამო გუშინ ჩამოვიდა პეტერბურგს; ხუთ წელიწადში ერთხელ ძლივს ვნახავთ ხოლმე ერთმანერთსა.

— რა მოხელეა?

— რა-და, მთელი თავისი სიცოცხლე სამაზრო ფოსტის გამგეობაში გაატარა... პენსიას იღებს, სამოც-და-ხუთის წლისაა,

ლაპარაკათ არც-კი ღირს... მაგრამ მიყვარს-კი. პორფირი პეტროვიჩი იქმნება: აქაური ბოქაული საგამომძიებლო საქმეებისა... სჯულის მცოდნეა. მაგრამ ხომ იცნობ.

— ისაც რაღაცა ნათესავია შენი, არა?

— ჰო, მაგრამ მეტად შორეული; რას იღრიჯები, რაო? იმიტომ, რომ წალაპარაკდით ერთხელა? იქნება აღარც-კი მოხვიდე?

— ფეხებზედაც არა მკიდია...

— აგრე სჯობიან. იქნებიან კიდევ: სტუდენტები, მასწავლებელი, მოხელე ერთი, მემუსიკე, ოფიცერი, ზამეტოვი...

— მითხარ, გეთაყვა, ან შენ, ან მაგას,—რასკოლნიკოვზედ ანიშნა ზოსიმოვმა,—საერთო რა გაქვთ ზამეტოვთანა?

— ოჰ, ეს თქვენი უკადრისობა!? ეს პრინციპები!.. თითქოს მთლად ამ პრინციპებზედ იყოთ მართლა აშენებულნი: არსაით თქვენს ნებასა და სურვილზედ მიბრუნ-მობრუნება არ შეგიძლიანთ. ჩემის აზრით-კი, კარგია კაცი, შენი პრინციპიც ის არის, ამის მეტი სხვა არა მწამს-რა. ზამეტოვი საუცხოვო ადამიანია.

— და ხელებსაც საუცხოვოდ ითბობს, არა!

— მერე, რაო? ითბობს და ითბობდეს, მე რა! რა არის, რომ ითბობს!—შეჰყვირა უცბად როგორღაც არაჩვეულებრივ გაბრაზებულმა რაზუმიხინმა.—მერე, გიქევი, განა, რომ ხელებს ითბობს-მეთქი? ის გითხარ მარტო, თავისს გვარად კარგია-მეთქი, მორჩა და გათავდა! მაგრამ თუ ყოველ მხრივ გავსინჯავთ ხალხსა, ბევრი გამოირჩევა, განა, კარგი? დარწმუნებული ვარ, იქნება მაშინ მთლად შიგნეულობიანად შემწვარ ხახვათაც არავინ მიყიდოს, ისიც თუ შენც თან გამომყვებოდი!..

— ცოტაა ძაან. მე კი თუნდა ორსაც მივცემდი შენში...

— მე კი ერთის მეტს არ მივცემდი! გაჰბედე კიდევ, აბა! ზამეტოვი ჯერ ბავშვია ისევ; შეიძლება ყურებიც კი ავუწიოთ, იმიტომ, რომ უნდა მივიზიდოთ და არა გავდევნოთ. განდევნით კი კაცს ვერ გაასწორებ. ვერ გაასწორებ მით უფრო ბავშვსა.

ეროვნული ბიბლიოთეკ

ბავშვთან მეტი სიფრთხილე გვმართებს მუდამ. ეჰ, თქვე დაწინაურებულო ჩურჩუტებო, რომ არა გესმისთ-რა! ადამიანს პატივს არა სცემთ, თქვენს თავს თქვენვე შეურაცხჰყოფთ... მაგრამ თუ გინდა გაიგო, მართლა, საერთო საქმეცა გვაქვს უკვე.

— რატომაც არა.

— საიმისო არა არის-რა, ისევ იმ მხატვარზეა საქმე... გვინდა ვიხსნათ როგორმე! ვიხსნით კიდეცა! მაგრამ საშიშიც-კი აღარა არის-რა. აშკარა საქმეა!

— ვინ მხატვარია?

— როგორ? არ მიამბნია განა? იქნება? მაგრამ, ჰო, თავი გიამბე მარტო... აის, ბებრუხანა რომ მოჰკლეს, მევახშე, მოხელის ქვრივი... იმ საქმეში ახლა მხატვარიც გარიეს...

— ეგ მკვლელობა-კი შენზედ უწინაც ვიცოდი; მინდოდა კიდეც ნამდვილი როგორმე შემეტყო... მეტადრე... ერთის შემთხვევის გამო... გაზეთებიდანაც მახსოვს!

— ლიზავეტაც ხო მოკლეს!—წამოიძახა უცბად ნასტასიამ და რასკოლნიკოვს გადაჰხედა.

მთელი ეს ხანი ნასტასიაც ოთახში იდგა, კარებზედ მიყუდებული და ლაპარაკს უგდებდა ყურსა.

— ლიზავეტა? წაიდუდუნა რასკოლნიკოვმა ოდნავ.

— ჰო, ლიზავეტა! არ იყო, ვაჭრობდა კიდეცა; არ გახსომს, განა? ქვეით დაიარებოდა ხოლმე. ერთხელ პერანგიც დაგიკერა.

რასკოლნიკოვი კედლისაკენ გადაბრუნდა, გახუნებულსა და ჭუჭყიანს შპალერზედ სადღაც ერთგან მიხაკის ფერ ხაზებიანი თეთრი ყვავილი ამოირჩია და სინჯვა დაუწყო: რამდენი ფოთოლი ჰქონდა, როგორ იყვნენ დაკუწუბებულები, რამდენი ხაზი ჰქონდა გავლებული და სხ?.. ჰგრძნობდა, რომ ხელ-ფეხი მთლად მოუდუნდა და მოეშვა, მაგრამ თვალს მაინც არ აშორებდა, განძრევა ვერ მოეხერხებინა.

— მერე რაო, რა გვინდაო? გააწყვეტინა რაღაცა განსაკუთრებულის უკმაყოფილებით ლაპარაკი ნასტასიას ზოსიმოვმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამოიოხრა ნასტასიამა, გაჩუმდა.

— რაო-და, მკვლელად ჩასწერეს! განაგრძნობდა ფიცხად რაზუმიხინი.

— საბუთები რამ უპოვნეს, როგორ იყო?

— რის საბუთები, რას ამბობ! მაგრამ არა, საბუთები-კი იყო ვითომა, მაგრამ რა საბუთები, დამტკიცება არ უნდა? ესაც იმასა ჰგავს, პირველად რომ... რა ჰქვიან, აის... კოხი და პესტრიაკოვი დაიჭირეს. ფუჰ! რა სულელურად იქცევიან, გული მემღვრევა სწორედ! იქნება დღეს პესტრიაკოვმაც შეშოიაროს... მართლა, როდიონ, ეს ამბავი ხომ იცი კიდევაცა; ავადმყოფობამდე მოხდა, სწორედ წინა დღეს, კანტორაში რომ გული წაგვიდა; არ გახსოვს, მაშინ ლაპარაკობდნენ ამ ამბავზედა...

ყურადღებით გადაჰხედა ზოსიმოვმა რასკოლნიკოვსა. მაგრამ არ განძრეულა იგი.

— იცი, რა არის რაზუმიხინ? მოუსვენარი რამა ხარ,— შეჰნიშნა ზოსიმოვმა.

— არა უშავს-რა, დავიხსნით მაინც! შეჰყვირა რაზუმიხინმა და მაგიდას მუშტი დაჰკრა.—ყველაზე მეტად, იცი, რა არის აქ საწყენი? ის-კი არა, როიმ სტყუიან, ტყული მუდამ ეპატიება ადამიანსა; და კარგიც-კი არის, იმიტომ, რომ სიმართლეს აჩენს ბოლოსა. ის არის საწყენი, რომ სტყუიან და თავიანთ სიმტყუვნეს თვითონვე ადიდებენ. პორფირი პეტროვიჩს პატივსა ვსცემ, მაგრამ... იცი, თავიდამვე რამ აუბნიათ გზა-კვალი? კარები დაკეტილი იყო და მეეზოვე რომ მიიყვანეს, მაშინ-კი ღია დაჰხვდათ: ეტყობა, მაშ, კოხმა და პესტრიაკოვმა დაჰხოცესო! ეს არის იმათი მსჯელობა.

— ჰო, მაგრამ ძაან ნუ ცხარობ; დაიჭირეს მხოლოდ, სხვა ხომ არა უქმნიათ-რა. მაგრამ რა ექმნათ ან-კი... მართლა: ი კოხი ხომ მეც მინახავს; ბებრუხანასაგან გამოუსყიდველს გირაოებს ყიდულობდა ხოლმე, არა?

— ჰო, ვილაცა გაიძვერაა! თამასუქებსაც ყიდულობს თურმე. მაგ საქმეებშია გართული. მაგრამ ჯანაბამდის გზაცა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰქონია? იცი, მე რა მაბრაზებს? ის მაბრაზებს, რომ გონება მთლად დაჰხშობიათ, ხავსი მოჰკიდებიათ, გაბრიყვებულ-გასაძაგლებულან... აქ-კი, ამ საქმეში, შეიძლება სრულიად ახალთ-ახალი გზა აღმოჩნდეს. მარტოდ ფსიხოლოგიური საბუთებიცა კმარა, რომ დაინახოთ, როგორ შეიძლება ჭეშმარიტს კვალს მიაგნოს ადამიანმა. „ჩვენ აქ ფაქტები გვაქვს ხელთაო!“ მაგრამ საქმე ხომ ფაქტები არ არის; ნახევრად მაინც საქმე იმაზეა დამოკიდებული, ვინ როგორ მოიხმარს ფაქტებსა!

— მერე, შენ-კი შეგიძლიან ფაქტების მოხმარება?

— არ იცი, განა, რომ არ შეიძლება გაჩუმება, როცა ჰგრძნობ პირდაპირა, რომ შეგიძლიან საქმეს უშველო; ოღონდ... მაგრამ, ეჰ!.. მერე, იცი-კი სავსებით, საქმე როგორ არის?

— რომ აღარა მითხარი-რა.

— კარგი, მაშ, ყური დამიგდე: მესამე დღეს მკვლელობის შემდეგ, დილა ადრიან, ჯერ ისევ კოხსა და პესტრიაკოვს რომ მისჩერებოდა ყველა, — თუმცა თვითოეული თავისი ნაბიჯი ორივემ ნათლად დაუმტკიცათ! — უცბად მოულოდნელი ამბავი გამოცხადდა. ვიღაცა გლეხს დუშკინს სწორედ იმ სახლის პირდაპირ სასმლის დუქანი ჰქონებია: მისულა კანტორაში, მიუტანია ძვირფას ნივთის ბუდე ოქროს საყურეებითა და უამბნია: „მხატვარმა მუშამ, სახელად მიკოლამ (წინა დღითაც შემოირბინა ჩემთანა) მომიტანა ეს კოლოფი ოქროს საყურეებითა და ქვებითა და გირაოში ორი მანეთი მთხოვა. როცა ვკითხე: ვინ მოგცა-მეთქი? მითხრა — ქუჩის ქვაფენილზე ვიპოვეო. ამის მეტი აღარა მიკითხნია-რა მაშინა, — ამბობს დუშკინი, — „გამოვუტანე მანეთიანი ქაღალდი“, ე. ი. მანეთი და „მივეცი, იმიტომა, ვიფიქრე, რომ მე არა, სულ ერთია, სხვას დაუგირავებდა და შესჭამდა; სჯობს, მაშ, ისევ ჩემთან იდოს-მეთქი ნივთი: ხომ არ შევჭამ, შენახული იქნება, ხმა რამ დავარდება და გამოცხადდება და მეც გამოვაჩენ-მეთქი“. მაგრამ სტყუის, რასაკვირველია, იმიტომ, რომ თვითონ იგირავებს და მონაპარს ინახავს ეს დუშკინი; ამიტომაც იყო, რომ მიკოლასაგან სამ თუმნიანი ნივთი მანეთად დაიგირავა და არა

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმიტომ, რომ გამოეცხადებინა. მაგრამ შეეშინდა. თუმცა ჯანაბამდის გზა აქვს. ყური დამიგდე, რას ამბობს დუშკინი: „ამ გლეხს, მიკოლა დემენტიევს-კი, პატარაობიდამვე ვიცნობ, ჩვენი გუბერნიიდან არის, ზარაის მაზრიდამა, იმიტომ, რომ ჩვენ თითონ რიაზანიდამა ვართო. მიკოლა, მართალია, ლოთი არ არის, მაგრამ გადაკვრა კი უყვარს და ვიცოდით ისიცა, რომ ისა და მიტრეი სწორედ იმ სახლში მუშაობდნენ, წამალს უსვამდნენ; მიტრეი და ის კი ორივე ერთი მხრიდან იყვნენ. მიიღო თუ არა მანათიანი, დაახურდავა მაშინვე, დალია ზედი-ზედ ორი ჭიქა არაყი, წაიღო ხურდა და წავიდა; მიტრეი მაშინ იმასთან არა ყოფილა. მეორე დღეს გავიგე მხოლოდ, რომ ალენა ივანოვნა და იმათი და ელიზავეტა ივანოვნა ცულით მოეკლათ, ჩვენ კი ვიცნობდით იმათა; ეს იყო სწორედ, რომ ეჭვი შემეპარა საყურეების შესახებ; იმიტომ, რომ ვიცოდით, განსვენებული გირაოთი ფულს ასესხებდა. წაველი მაშინვე და ვიკითხე ჩუმათა: მიკოლაი შინ არის, თუ არა მეთქი? მითხრა მაშინ მიტრეიმ, მიკოლაი ქეიფობს, დილით მოვიდა გათენებისას მთვრალი, ასე ათი წამი იყო შინა და ისევ წავიდაო; ამის შემდეგ მიტრეისაც აღარ უნახამს, მარტო მუშაობს. სამუშაო კი სწორეთ ერთ კიბეზე აქვთ, იმ სახლის მეორე სართულში, სადაც ალენა ივანოვნა მოჰკლეს. გავიგეთ ესა, მაგრამ მაშინ არავის-რა ვუთხარითო“,— ამბობს დუშკინი,—„ხოლო რაც შეეხება მკვლელობას, ყველაფერი გავიგეთ და ისევე ისე ეჭვით სახლში დავბრუნდით. დღეს კი დილით, რვა საათზე“, ე. ი. მესამე დღეს. გესმის?—„ვნახოთ, შემოვიდა მიკოლაი, გადაკრულშია, მაგრამ არც ისე იყო, რომ ლაპარაკის გაგება არ შესძლებოდა. დაჯდა ტახტზე და არის ჩუმათა. სწორედ იმ დროს დუქანში მარტო ერთი კაცი იყო უცხო, მეორესაც იქვე ეძინა ტახტზე, ნაცნობობითა და ორიც ჩვენი ბიჭი იყო.—მიტრეი ნახე-მეთქი?—ვეკითხები,—არაო, არ მინახავსო.— აქ არა ყოფილხარ-მეთქი?—მესამე დღეა, არა ვყოფილვარო.—მერე, დღეს სად გეძინა-მეთქი?—რიყეზედაო.

ეროვნული ბიბლიოთეკ

საყურეები ვინ მოგცა-მეთქი მაშინა?—ქვაფენილზე ვიპოვნეო,—და თან ისე ამბობს ამასა, თითქოს იგონებსო და პირდაპირ არ იყურება.—მერე, არა გაგიგია-რა, იმ ღამესა და იმ დროს სწორედ იმ კიბეზე რა მოხდა-მეთქი?—არა, არა გამიგია-რაო, და თან კი თვალები დააჭყიტა და გაფითრდა მთლადა. ველაპარაკები ასე და ვნახოთ, ქუდს ეცა, წასვლა დააპირა. აქ კი მოვინდომე დამეჭირა: მოიცა, მიკოლა, არას დაჰლევ-მეთქი? თან ბიჭს თვალი ჩავუკარ, რომ კარები დაეჭირა და დახლიდან გამოვედი. მაგრამ გამისხლტა უცბად, გავარდა ქუჩაში, მოუხვია შესახვევში და სადღაც გაჰქრა, თვალი ველარ მოვკარი. აქ კი მთლად დავრწმუნდი და გადავწყვიტე, იმიტომ, რომ ცოდვამ გააქციაო...“

— რასაკვირველია!.. ჩაილაპარაკა ზოსიმოვმა.

— მოიცა! მოიცა, ბოლოს დაუგდე ყური! რასაკვირველია, მაშინვე მიკოლას ძებნას შეუდგნენ; დუშკინი-კი დაიჭირეს და გაჩხრიკეს. მიტრეიც დაიჭირეს. მთელი რიყე გადაჩხრიკეს და მხოლოდ ამ სამის დღის წინად-ღა მოიყვანეს თითონ მიკოლა;—სკის საბაჟოს მახლობლად თურმე დაიჭირეს ბაკებში. მისულა იქა, შეუხსნია ვერცხლის ჯვარი გულიდამა და არაყი მოუთხოვია. მიუციათ. რამდენისამე წამის შემდეგ დედაკაცი ძროხების მოსაწველად შესულა და ჯუჯრუტანიდამ დაუნახნია, რომ მიკოლას ბოძზე სარტყელი ჩამოუბამს და მარყუჟი გაუკეთებია, შემდგარა კუნძზე და თავი თურმე უნდა გაყოს მარყუჟშია. დედაკაცს უცბად უკივლია ამ დროსა და მიცვივნილან: „ეჰე, ჰხედავთ, ვინა ბრძანებულა!“—„ამა და ამ ნაწილში წამიყვანეთ, ყველაფერში დაგნებდებითო“, უთქვამს. და აკი წარმოადგინეს კიდეცა, როგორც რიგი და წესი იყო. გამოიძიეს, ვინა ხარო, საიდამა, რამდენი წლისა? „ოც-და-ორისაო“, და სხ. და სხ. როცა ჰკითხეს: „შენ და მიტრეი რომ მუშაობდით, კიბეზე ხომ არავინ გინახამთ ამა-და-ამ დროსაო?“ უპასუხათ თურმე: „იქნება გაიარა ვინმემ კიდეცა, მაგრამ ვერ შევნიშნეთო“.—„ყვირილი, ან სხვა რამ ხმაურობა ხომ არ გაგიგიათო?“—

ეროვნული ბიბლიოთეკა

„არა გაგვიგია-რა მაგისთანაო“. — „მერე, იცოდი შენ, მიკოლამ, რომ სწორედ იმ საღამოსა და იმ დღეს ესა და ეს ქვრივი და იმისი და მოჰკლეს და გაძარცვესო“. — „არც არა ვიცოდი-რა და არც არაფერი. პირველად ეს ამბავი აფანასი პავლიჩისაგან გავიგე მესამე დღესა, იმის დუქანშიო“. — „მერე, საყურეები ვინ მოგცაო?“ — „ქვაფენილზე ვიპოვნეო“ — „რატომ მეორე დღეს მიტრეისთან ერთად სამუშაოდ აღარ მიხვედი?“ — იმიტომ, რომ ვქეიფობდიო“ — „სადა ქეიფობდიო? — „აქა და აქაო“. — „დუშკინისაგან რათ გაიქეო?“ — „იმიტომა, რომ ძალიან შამეშინდაო“. — „რისა შაგეშინდაო?“ — „რისა და იმისა, რომ სამართალში მიმცემდნენო“ — „როგორ შეგეშინდა, როცა დანაშაული არაფერში არ იყავიო?..“ გჯერა თუ არა, არ ვიცი, მაგრამ სიტყვა-სიტყვით ასე თურმე ეკითხებოდნენ, იმიტომ, რომ ვიცი ნამდვილათა; ასე გადმომცეს! როგორია, ჰა? როგორა გგონია?

— არა, გასამტყუვნებელი საბუთები კი არის.

— იმას ხომ არ ვამბობ, არ არის-მეთქი; გეუბნები მხოლოდ, კითხვებს როგორ აძლევდნენ, თავისი დანიშნულება როგორ ესმისთ! მაგრამ ეშმაკმა იცის იმათი თავი!.. წურეს საწყალი, წურეს და დაემორჩილა ბოლოს: „ქვაფენილზე კი არა, ბინაზე ვიპოვნე, რომელსაც მე და მიტრეი ვუსვამდით წამალსაო“. — „როგორ იყო, როგორაო?“ — „როგორ იყო და ასე იყო: მე და მიტრეი მთელი დღე იატაკს წამალს ვუსვამდით, რვა საათამდინ და წამოსვლა რომ დავაპირეთ, აიღო მიტრეიმ წამლის წასასმელი და პირზე წამისვა; წამისვა წამალი და გაიქცა; მეც უკან გამოვეკიდე. მივდევ ასე უკანა და ვყვირი. კიბიდამ რომ ეზოს კარისკენ შევუხვიე, უცბად მეეზოვესა და ვიღაც ბატონებს წავაწყდი, მაგრამ რამდენნი იყვნენ, არ მახსოვს; მეეზოვემ შემომიკურთხა; მეორე მეეზოვემაც ლანძღვა დამიწყო, მეეზოვეს ცოლი გამოვიდა, იმანაც გაგვლანძღა; ეზოში ვიღაცა კაცი და ქალი შემოდიოდნენ, იმანაც შემოგვიკურთხა, იმიტომ, რომ მე და მიტკა გზაში გავიჩხირენით. მიტკას თმაში წავავლე ხელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და წავაქციე, მუშტით დავუწყე ცემა, მიტკამაც თმაში წამავლო ხელი და მუჯლუგუნები დამაყარა; მაგრამ სიბრაზითა და ჯავრით კი არა ვცემდით ერთმანეთს, სიყვარულითა ვცემდით, ვეხუმრებოდით. გამისხლტა მერე მიტკა და ქუჩაში გავარდა; მეც უკან გამოვეკიდე, მაგრამ ვერ დავეწიე და უკანვე დავბრუნდი მარტოკა ბინაზე,—იმიტომ, რომ მისალაგებელი იყო იქაურობა. შევკრიბე ყველაფერი და მიტრეის დავუწყე ცდა, იქნება მოვიდეს-მეთქი. ვნახოთ, უცბად დერეფანში, კარებს უკან, კუთხეში, რაღაცა კოლოფს ფეხი დავადგი. ვხედავ, ქაღალდში რაღაცა არის გახვეული. გავშალე ქაღალდი და ვნახოთ, რაღაცა პატარა კავებია; კავები ავხსენი, ვნახო, შიგ კოლოფში საყურეებია“...

— კარებს უკანა? კარებს უკან იდო? კარებს უკანა?— შეჰყვირა უცბად რასკოლნიკოვმა როგორღაც შეშინებულმა და ამღვრეულმა და თან რაზუმიხინს დაუწყო ყურება, დივანზედ დაყრდნობილმა მძიმ-მძიმედ წამოიწია.

— დიახ... მერე, რაო? რა დაგემართა? შენ რამ შეგაკრთო?

რაზუმიხინმაც წამოიწია.

— არასფერი!.. ჩაილაპარაკა ოდნავის ხმით რასკოლნიკოვმა და ისევ ბალიშზე მიესვენა, კედლისაკენ იბრუნა პირი. ერთ ხანად ყველა გაჩუმდა.

— ჩასთვლიმა უთუოდ და ნამძინარევმა წამოიძახა,— სთქვა ბოლოს რაზუმიხინმა და ზოსიმოვს ჩაკითხვით გადაჰხედა.

ზოსიმოვმა ოდნავ თავი გააქნია უარის ნიშნად.

— განაგრძე, აბა, რა იცი კიდევ,—შეჰნიშნა ზოსიმოვმა.

— რაღა გავაგრძო! დაინახა თუ არა საყურეები, იმავ წამს ყველაფერი დაავიწყდა: მიტკაცა და ბინაცა,—ეცა ქუდსა და დუშკინისაკენ გაქანდა; მიიღო იმისაგან, როგორც იცი, მანეთი; მოატყუა, ქვაფენილზე ვიპოვნეო და დაიწყო ქეიფი. რაც შეეხება მკვლელობას, ისევ იმასვე იმეორებს, რაც უწინ უთქვამს: „არა ვიცი-რა, არა გამიგია-რა, მხოლოდ მესამე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს-ღა შევიტყეო.“—„მერე, აქამდის რატომ არ გამოცხადდიო?“—„მეშინოდაო“.—„თავი რაღად უნდა ჩამოგეხრჩოვო?“—„დარდისაგანაო.“—„რა დარდისაგანაო?“—აიმ დარდისაგან, რომ მიჩივლებდნენო.“—ეს არის მთელი ისტორია. როგორა გგონია ახლა, რა შეიტყეს და გაიგეს აქედამა?

— რა ფიქრი უნდა აქა, ავად თუ კარგად, კვალისათვის მიუგნიათ. ფაქტი ხელთა აქვთ. მაშ, ხომ არ გაანთავისუფლებდნენ ამ შენს მხატვარსა!

— მერე, მკვლელათ რომ იმასა სთვლიან პირდაპირა! ეჭვიც-კი აღარა აქვთ.

— სტყუიხარ, ფიცხობ. ეს საყურეები? დამეთანხმე, რომ, თუ იმავ დღესა და იმავ საათს ბებრუხანას ყუთიდამ საყურეები მიკოლას ამოაჩნდა, საიდანმე უნდა ჩაეგდო ხელთა თუ არა? ეს-კი ძაან დიდი რამ არის გამოძიების დროსა.

— საიდამმე ჩაეგდო ხელთა! საიდამმე! შეჰყვირა რაზუმიხინმა.—მერე, შენ, როგორც ექიმი, რომელსაც ბევრნაირი საშუალება გაქვს ხელთ ადამიანის ბუნების შესასწავლად, ნუ-თუ არ ჰხედავ ყველა ამიდამ, რა ბუნებისაც არის ეს მიკოლაი? ნუ-თუ არ ჰხედავ, რომ, რაც-კი უჩვენა გამომძიებელს, ყველაფერი ეს წმინდა სიმართლე არის? ეჭვი არ არის, ისე ჩაუვარდა სწორედ ხელში, როგორც უჩვენა. უცაბედად ფეხი დაადგა კოლოფსა და აიღო!

— წმინდა სიმართლე! მერე, პირველად რომ იცრუა და მერე-კი თვითონვე გამოტყდა!

— ყური დამიგდე ყურადღებით, ყური: მეეზოვეც, კოხიც, პესტრიაკოვიც და მეორე მეეზოვეც, აგრეთვე ცოლი პირველის მეეზოვესი და ის დედაკაციც, რომელიც მეეზოვეს ოთახში თურმე იჯდა იმ ჟამადა, აგრეთვე ნადვორნი სოვეტნიკი კრიუკოვი, რომელიც ის-ის იყო ეტლიდამ თურმე გადმოხტა და მოდიოდა ვიღაცა მანდილოსანთან ერთად ხელი-ხელ გაყრილი,—ყველანი ერთხმად ამტკიცებენ, რომ მიკოლას მიტრეი წაექცია ეზოს შემოსავალს კარებშია და სთეთქვავდა თურმე; მიტრეისაც თმებში ეტაცნა ხელი და მუჯლუგუნებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

უხურებდა გვერდებსა. იწვნენ თურმე გასავალს გზაშია და აღარავის უშვებდნენ. გამვლელ-გამომვლელნი თურმე ჰლანძღავენ, აგინებენ, ისინი-კი „პატარა ბავშვებივით“ (ასე ახასიათებენ თვითონ მოწმები) ერთმანერთს აგორავებენ, ჰყვირიან, იცემებიან, სასაცილოდ დათხუპნულები სიცილით იგუდებიან და ერთმანერთს ქუჩაში მისდევენ დასაჭერადა. გესმის? იგულისხმე მაშ ახლა: მოკლულთა გვამები-კი იქ, ზემოდ, ჯერ ისევ თბილები ყრია, ასე იპოვეს! როგორა გგონია ახლა, მართლა რომ იმათი დახოცილები ყოფილიყვნენ, ან თუნდაც მარტო მიკოლასი და გაეძარცვოთ, ყუთი გაეტეხოთ, მითხარი გეთაყვა: უდგება ასეთი სულიერი განწყობილება,—ე. ი. ყვირილი, სიცილი, ბავშვური ცემა-ტყეპვა და სირბილი,—ცულსა, სისხლსა, ბოროტს განზრახვასა, სიფრთხილესა და ძარცვასა? ეტყობა, მაშ, ის არის, ათისა თუ ხუთის წამის წინად დაუხოცნიათ,—იმიტომ, რომ მკვლელთა გვამები ჯერ ისევ თბილები იყო,—გაუნებებიათ უცბად თავი მოკლულებისათვისა და ბინისათვისა და ბავშვებივით იქვე, მიწაზედ, დაუწყვიათ ბღლაძუნი და მასხარობა, თუმცა იცოდნენ კარგად, რომ ეს არის კაცებმა აიარეს იქითა და ყველაფერს ნახავდნენ და გაიგებდნენ. ამასა ჰმოწმობს ერთხმად ცხრა თუ ათი კაცი!

— რასაკვრელია, უცნაურია! რასაკვრელია, მაგრამ...

— არა, ძმაო, საქმე ეგ **მაგრამ** კი არა, ის არის, რომ თუ მართლა მიკოლას საყურეები ამოაჩნდა და ეს ამტყუვნებს,—თუმცა ყველაფერს ამას თავისი ახსნაცა აქვს და **საგამართლო**,—ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე მისს გამამართლებელსა და **უტყუარს** საბუთებსაცა. მერე, როგორა გგონია, ჩვენის მართლმსაჯულების ხასიათი რომ ვიცოდ, მიაქცევენ ყურადღებას ასეთს ფაქტს, როგორიც არის, მაგალითად, ფსიხოლოგიური ახსნა და შეუძლებლობა დანაშაულობისა აღნიშნულს გარემოებებში, ე. ი. მათი სულიერი განწყობილება, თუ უმთავრესად ნივთიერად გამამტყუვნებელს საბუთებს მიაქცევენ ყურადღებასა? რასაკვრელია, არ მიიღე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბენ პირველს და მთლიანად დაემყარებიან მეორეს; იმიტომ, რომ კოლოფი უპოვეს და მეორეც, თავის ჩამოხრჩობა უნდოდა, „რასაც, ეჭვი არ არის, არ იზამდა, თუ ბრალი და დანაშაული არა ჰქონოდაო!“ აი, რა არის უმთავრესი საკითხი და რისთვისა ვცხარობ! გაიგე?

— დიახ, მეც ვხედავ, რომა ცხარობ. მაგრამ მოიცა, დამავიწყდა, მეკითხა: რითი დამტკიცდა, რომ კოლოფი ღა საყურეები სწორედ ბებრუხანას ყუთიდამ იყო წამოღებული?

— ეგ-კი დამტკიცებულია,—უპასუხა დაღვრემით რაზუმიხინმა.—კოხმა იცნო და დამგირავებელიც დაასახელა, რომელმაც დაამტკიცა ნამდვილათა, რომ ნივთი მართლაც იმისი იყო.

— ეგ ცუდი არის. მაგრამ ერთი კიდევა: არავის უნახავს მიკოლა იმ დროს სწორედ, კოხი და პესტრიაკოვი რომ ზევით იყვნენ და, თუ უნახავთ, არ შეიძლება დამტკიცდეს რითიმე ესა?

— საქმეც ეგ არის, რომ არავის უნახავს,—უპასუხა გულნაკლულად რაზუმიხინმა,—ცუდიც ეგ არის. კოხსა და პესტრიაკოვსაც-კი არ დაუნახავთ, ზემოდ რომ აიარეს, თუმცა იმათს მოწმობას ახლა არც ისე დიდი მნიშვნელობა აქვს. „დავინახეთო, ამბობენ, რომ ბინა ღია იყო, რომ შიგ უთუოდ მუშაობდა ვინმე, მაგრამ ყურადღება არ მივაქციეთ და არ გვახსოვს კარგად, იყვნენ იქ იმ ჟამად მუშები, თუ არაო.“

— ჰმ!.. სჩანს, მაშ, მაგ ერთმანერთის ჟეპვისა და ხარ-ხარის მეტი სხვა გასამართლებელი არა აქვთ-რა. მართალია, თავისს-თავად ეგაც დიდი საბუთი არის, მაგრამ... ნება მომეცი, გკითხო: თვითონ შენ როგორა ჰხსნი საქმესა? რითი ჰხსნი ამ საყურეების პოვნასა, თუ-კი მართლა ნამდვილს ამბობს, რომ იპოვნა?

— რითი ვხსნი? ასახსნელი არც-კი რამეა: აშკარა საქმეა! გზა მაინც, რომლითაც საქმე გამოირკვევა და დამტკიცდება, აშკარაა,. კოლოფმა დაამტკიცა. კოლოფი დაჰკარგვია ნამდვილს მკვლელსა. მკვლელი ყოფილა მაღლა, კოხსა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

პესტრიაკოვს რომ უბრაგუნებიათ; მაგრამ კოხს სისულელე ჩაუდენია და ქვევით წამოსულა. უსარგებლნია ამ დროს მკვლელსა და თვითონაც ქვევით დაშვებულა; იმიტომ, რომ მეტი გზა არცა ჰქონდა. კიბეზედ ცალიერს ბინაში დაჰმალვია კოხსა, პესტრიაკოვსა და მეეზოვესა, ეს სწორედ იმ დროს, მიტრეი და მიკოლა რომ გამოცვივდნენ, და მერე, ფეხის ხმა რომ მიწყნარებულა, გამოვარდნილა კარებს უკანიდამა და მშვიდობიანად ჩამოუვლია კიბე, იმ დროს სწორედ, მიტრეი და მიკოლა რომ ქუჩაში გაცვივდნენ და ეზოს კარებში სულ ალარავინ იყო. იქნება დაინახა კიდეც ვინმემ, მაგრამ ყურადღება არ მიაქცია: გამვლელ-გამომვლელი ცოტაა, განა? კოლოფი-კი ჯიბიდამ ამოჰვარდა იმ დროს სწორედ, კარებს უკან რომ იყო დამალული და ვერა შეჰნიშნა-რა; იმიტომ, რომ იმისთვის არა სცხელოდა. კოლოფივე ამტკიცებს ნამდვილად, რომ იქა ყოფილა მკვლელი დამალული. აი, რაშია საქმე!

— ეშმაკობაა დიდი! არა, ძმაო, დიდი ეშმაკობაა! ყველაზედ საოცარი, აბა, თუ გინდა, ეს არის!

— რათაო მერე, რათა?

— იმიტომა, რომ ყველაფერმა ასე როგორღაც მშვიდობიანად ჩაუარა... თითქოს თეატრში ყოფილიყოს მოქმედებაო.

— ე-ეჰ! შეჰყვირა რაზუმიხინმა, მაგრამ ამ დროს სწორედ კარი გაიღო და ოთახში ვიღაცა სრულიად უცნობმა ადამიანმა შემოჰყო თავი.

ინ-ანი.

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ეკლესია და მისი დასაწყისი

(იმერეთის ეპისკოპოსს ლეონიდს უძღვნის ავტორი).

I

ისტორიული გარემოებანი

დიოკლეტიანეს დევნულობით მოქანცულმა ქრისტიანობამ სიამოვნებით ამოისუნთქა, როდესაც რომის იმპერიის დასავლეთის ერთ-ერთ ტახტზე ქრისტიანთა მწყალობელი და გულით ქრისტიანი კონსტანტინე დიდი ავიდა (306 წ.). კონსტანტინეს გამეფება ახალი ხანის მომასწავებელი იყო არა მარტო რომის ქრისტიანთა მდგომარეობაში, არამედ მთელ კაცობრიობის ცხოვრებაშიაც. ქრისტიანთა დახმარებით მილვიის ხიდთან მაქსენტიზე გამარჯვებამ (312 წელს) კონსტანტინეს ნახევარი იმპერია მოუპოვა და მისი გული კიდევ უფრო გადახარა ქრისტიანობისაკენ. ამას შედეგად მოჰყვა მილანის ედიქტი (313), რომელმაც ქრისტიანობა უფლების მხრივ ძველ წარმართულ სარწმუნოებას გაუთანასწორა და ქრისტიანობრივს ღვთის-მსახურებას თავისუფლება მიანიჭა. მალე ბაზილიკები ეკლესიებად იქცა და კონსტანტინემ არ დააყოვნა ქრისტიანთა სამღვდელოებისათვის ყველა ის უპირატესობანი მიენიჭებია, რომლებითაც წარმართთა ქურუმები სარგებლობდენ.[1])

---

[1]) შეადარე *Дж. Рабертсонъ.* Исторія христіанской церкви. Спб. 1890 г. т. I, стр. 139—140; 167—170.—Lebeau: Histoire du Bas—Empre. Nouv. edit. t. I, p. 122—123.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს იყო რომის იმპერიის დასავლეთში.

აღმოსავლეთში კი ამ დროს ჯერ ისევ ლიკინი მბრძანებლობდა და მფარველობდა წარმართობას. კონსტანტინემ ამისკენაც გამოილაშქრა. ადრიანოპოლის ომი (323 წ.) ერთი იმ ისტორიულ წუთთაგანია, რომელიც კაცობრიულ საზოგადოებათა ბედ-იღბალს გადასწყვეტს ხოლმე. ეს ბრძოლა ჭეშმარიტათ ორი სარწმუნოებისა და ორ სხვა და სხვა საზოგადოების ბრძოლა იყო—წარსულისა და მომავალის. გაიმარჯვა კონსტანტინემ და მასთან ერთად ჯვარმაც გაიმარჯვა: ქრისტიანობა სახელმწიფოებრივი სარწმუნოება შეიქმნა.[2])—ამავე დროს სავალდებულო სარწმუნოებად გამოაცხადეს ქრისტიანობა სომხის ერშიაც, თრდატ მე-III-ის მეფობაში, 318 წლის მახლობლათ.[3])

ასეთი იყო ქრისტიანობის გარეგანი მდგომარეობა მე-IV საუკუნის პირველ მეოთხედში ორი ჩვენი მეზობელი სახელმწიფოს, რომისა და სომხეთის, მკვიდრთა შორის. საჭიროდ არ მიგვაჩნია აქ იმ საანბანო ჭეშმარიტების დამტკიცებას გამოვუდგეთ, რომ როგორც იმპერატორი კონსტანტინე, ისე თრდატ მე-III-ეც თვის ქვეშევრდომებში ქრისტეს მოძღვრების პირველი შემტანნი კი არ ყოფილან, არამედ მხოლოდ გამომხატველნი, ხელის-შემწყობნი და დამაკანონებელნი იყვენ იმ ისტორიული ფაკტისა, რომელსაც ქრისტიანობის გამარჯვება და წარმართობის დამარცხება ეწოდება. დღეს ყველამ ვიცით, რომ როგორც რომის იმპერიაში ქრისტიანობამ პირველი საუკუნიდანვე მოიკიდა ფეხი და მესამე საუკუნეში თვით უძლეველ მეფეთა და მმართველთა დევნულობასაც კი ბრწყინვალეთ გაუმკლავდა, – აგრეთვე ქრისტიანობის პირველ კერიის—პალესტინის მახლობლათ მდებარე სომხეთშიაც ქრისტეს მოძღვრებამ პირველი სამი საუკუნის განმავლობაში უკ-

---

[2]) *Дж. Рабертсонъ.* loc. cit. стр. 171—173.—Lebeau, loc. cit. p. 210—220.

[3]) *Ал. Аннинскій*: Исторія Армянской Церкви. Кишиневъ. 1900 г., стр. 11.

ეროვნული ბიბლიოთეკ

ვე საკმაოთ ძლიერი ნაბიჯი წარსდგა და მიმდევარი ათასობით და ათი-ათასობით გაიჩინა. [4])—გვაქვს საბუთები ვიფიქროთ, რომ მსგავსსავე ანუ დაახლოებით მაინც მსგავსსავე მდგომარეობაში უნდა ყოფილიყო ქრისტეს მოძღვრების შეთვისებისა და გავრცელების საქმე პირველი სამი საუკუნის განმავლობაში ქართველი ტომის ხალხთა შორისაც, განსაკუთრებით კი იმ ქართველთა შორის, რომელნიც სომხეთსა და რომის იმპერიას უახლოვდებოდენ, მათთან ჰქონდათ ხშირი მისვლა-მოსვლა, ასეთი თუ ისეთი პოლიტიკური და საღვთმიცემო ურთიერთობა და სხვა. ჩვენ ვამბობთ ეგრეთ წოდებულ „მოსხებზე“ ანუ მესხებზე და დასავლეთის საქართველოზე, რომელსაც ძველათ ბერძნები კოლხიდას უწოდებდენ, მე-V-VI საუკუნეში ლაზიკა დაარქვეს და დღეს-კი ლიხთ-იმერეთს ვეძახით. ეს ორი მხარე, იმავე დროს, საკმაოთ დაშორებული იყო გეოგრაფიულათ მთელი საქართველოს პოლიტიკურ და სარწმუნოებრივ ცენტრზე, მცხეთაზე, და, მაშასადამე, სარწმუნოების მხრივაც მისი ძლიერი გავლენის გარეშე იმყოფებოდა. მხედველობაში მისაღებია ის გარემოებაც, რომ თვით წარმართული სარწმუნოება, რომელიც იმ დროს საქართველოში ოფიციალურ კულტად ითვლებოდა, ისეთს არას წარმოადგენდა, რომ ხალხის შეგნებულ ნაწილს მისთვის თავი გამოედვა და გულწრფელად გამოქომაგებოდა. ისტორიამ ქართველ ერს ისეთი ტერიტორია არგუნა საცხოვრებლად, რომ

---

4) შეადარე: Исторія Арменіи *Мойсея Хоренскаго*. Новый переводъ Эмина. Москва. 1893 г. стр. 82—83.—Stéphan. Orbélian, Hist. de la Siounie. ch. IV. უკანასკნელი ციტატა ბ-ნ ა. ანნინსკის თხზულებიდან მოგვაქვს (Ист. Арм. Церкви, стр. 6, примѣчаніе). მართალია, თვით ანნინსკი სტეფანოზის მოწმობას უსაფიძვლოს ეძახის, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია ამ შემთხვევაში მის სასტიკს მსჯავრს არ დავეთანხმოთ: ის გარემოება, რომ სომხები შემდეგში მართლმადიდებლობითს ეკლესიას ჩამოშორდენ, ნებას არ გვაძლევს და არც გვავალებს მაინც და მაინც სომეხთა ეკლესიის მოციქულებრივი ჩამომავლობა უარვჰყოთ, სწორეთ ისე, როგორც სომეხთა ეკლესიის მოციქულებრივი ჩამომავლობა სრულებით არ ამტკიცებს მისს ღღევანდელს მართლმადიდებლობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ დარჩენილა თითქმის არც ერთი დიდებული სახელმწიფო აზიისა და ევროპისა, რომელსაც პოლიტიკურად თუ სარწმუნოებრივათ რაიმე კვალი არ დაეტოვებინოს ქართველი ერის ცხოვრებაში და ცნობიერებაში. სემიტების გავლენას უკან მოჰყვა სპარსეთის ბატონობა; სპარსეთის გავლენას ზედ დაერთო ბერძენ-რომაელთა ზედმოქმედება და სხვ. პირველმა საქართველოს შესძინა **გაცი** და **გაიმი**, მეორემ **არმაზი** (Ahura-Mazda), ხოლო მესამემ—ნიადაგი მოუმზადა ახალი სარწმუნოების შეთვისებას,—ყველამ კი ძირი გამოუთხარა ძველს ადგილობრივს კულტს და იმდენად გადაახალისა იგი, რომ თვით ჩვენს მემატიანეებსაც ველარ გაურჩევიათ, თუ რომელია აქ დასახელებულ ღმერთებში წმინდა-ქართულ-ნაციონალური და რომელია ნასესხები.[5]) ადვილი მისახვედრია, რომ ამ გვარს გარემოებაში ხალხის უმრავლესობა ძველ სარწმუნოებაზე გულს ველარ დაიმყარებდა და ეჭვის თვალით დაუწყებდა ცქერას როგორც ამ სარწმუნოებას, აგრეთვე ყველა იმ წარმართულ კულტებს, რომელნიც ისე გულმოდგინეთ სცდილობდენ ერთმანეთის შესუსტებას და დამარცხებას. ცხადია, მე-II-III საუკუნის ქართველთა მოწინავე ნაწილს წარმართობა ველარ დააკმაყოფილებდა და ადრე თუ გვიან იძულებული გახდებოდა სხვა უკეთესი სარწმუნოებისათვის დაეთმო ადგილი. ამიტომ, თუ მართალია ბიზანტიელ მწერალთა მიერ შენახული გარდამოცემა, რომ ანდრია პირველწოდებულმა ქრისტიანობა რიონის (ფიზისის) ნაპირებზე და აფხაზეთში იქადაგა, ხოლო მისმა ძმამ, პეტრე მოციქულმა, ჩვენს მოსამზღვრე და ქართველთა ტომით დასახლებულ **პონტში** და **კაპადოკიაში**,[6])

---

5) უფრო ვრცლათ ამ საგნის შესახებ იხ. ილ. ფერაძის: „საქართველოს საეკლესიო ისტორია“ (=„მოგზაური“ 1902 წ. № VII—VIII და XI—XII). შეად. *Н. Марръ*. Боги яз. Грузіи по др.-груз. источникамъ. Спб. 1901 г.

6) პეტრე მოციქულის ქადაგებას მოიხსენებს ორიგენი (100—258 წ.); ხოლო ანდრიას ქადაგებას კოლხიდაში და აფხაზეთში წმ. ღოროთეოს ტი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ ისტორიულ ფაქტად მისამჩნევია ის ამბავი, რომ იმპერატორის ტრაიანის მიერ შავიზღვის ჩრდილო ნაპირებზე განდევნილს რომის მღვდელმთავარს კლემენტოსს († 100 წ.), წმ. ირინეის მოწმობით (130—202 წ.), დიდი გავლენა ჰქონდა კოლხიდელებზე,—[7]) თუ რწმენის ღირსია ის ისტორიული ცნობა, რომ პონტის ეპისკოპოსი პალმი და მისი შვილი, მწვალებელი მარკიონი (მე-II საუკ. დასაწყისში), კოლხიდის

რელი ეპისკოპოსი (307—322 წ.), ეპიფანე კვიპრელი ეპისკოპოსი († 403 წ.), იერონიმეს მეგობარი სოფრონი († 390 წ.), ნიკიტა პაფლაგონელი († 873 წ.), ეკუმენი (მე-X საუკუნ.) და სხვანი. ვრცელი გამოკვლევა ამ საგნის შესახებ იხ. *Архим. Макарія*, Исторія христіанства въ Россіи до равноапостольнаго князя Владиміра. Спб. 1846 г. стр. 9—19. აქ ნაჩვენებია ყველა ის ადგილები, სადაც კი ანდრია მოციქულის ქადაგებაზეა ლაპარაკი.—ამ ხუთიოდე წლის წინად ბ. ივ. ჯავახიშვილმა კრიტიკულად გაარჩია ზემოდ დასახელებული თქმულება ანდრია მოციქულის ქადაგების შესახებ (იხ „მოამბე“ 1900 წ. IV, გვ. 35—50), მაგრამ ყველა ზემორე ჩამოთვლილ ბიზანტიელ მწერლებში იგი მხოლოდ ორიგენისა და ნიკიტა პაფლაგონელის მოწმობას შეეხო, დანარჩენებზე კი (მაგალ. სოფრონიზე, ეკუმენზე) ან სრულებით არა სთქვარა, ან ძლიერ ბუნდეთ და გაკვრით მოიხსენია (მაგალ. დოროთეოზი და ეპიფანე კვიპრელი). ამითი უნდა აიხსნებოდეს, ალბათ, ნაჩქარები დასკვნა, რომელსაც მისი წერილის ბოლოს ვკითხულობთ ანდრია მოციქულის საქართველოში ქადაგების წინააღმდეგ. იმედია, მკვლევარი დაგვეთანხმება, რომ იმ მტკიცე გარდამოცემის დასარღვევად, რომელსაც ბიზანტია თითქმის ყოველ საუკუნეში იმეორებდა წერილობით, საკმაო არ არის ის ფაქტები და მოსაზრებანი, რომელნიც მას თავის წერილში აქვს მოტანილი. პონტის ნაპირებზე მდებარე ქვეყნებში ანდრია მოციქულის ქადაგება, მეცნიერულის მხრით, სარწმუნოდ მიაჩნია ცნობილს რუს-ისტორიკოსს, აწ გარდაცვალებულს, პროფესორს ი. მალიშევსკის. ნახ. მისი: „Сказаніе о посѣщ. русск. страны св. Ап. Андреемъ“ въ „Тр. К. Дух. Акад“ за 1888 г. іюнь, стр. 300—350, განსაკუთრებით სამი უკანასკნელი გვერდი.

7) *М. Сабининъ*: Исторія Груз. Церкви до конца VI-го вѣка. Спб. 1877 г. стр. 21. შეად. *Пл. Іоселіани*: Краткая Исторія Грузинск. Церкви. Спб. 1843 г. стр. 8, примѣчаніе 11-ое. შეად., აგრეთვე, ი. მალიშევსკი, loc. cit., стр. 349, примѣчаніе 1-ое.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მკვიდრნი იყვენ ჩამომავლობით,—[8]) უკანასკნელ, უკეთუ არა უგულვებელ-საყოფელია ის ფაქტიც, რომ ქართველი ხალხის მიერ თითქმის იმ თავითვე ეროვნულ წმინდანად აღსარებულმა კაპადოკიელმა ქრისტეს მხედარმა, წმ. გიორგიმ, სწორეთ მე-IV საუკუნის იმ პირველ მეოთხედში მიიღო წამება († 305 წ.), რომელსაც მირიანის მოქცევა ეკუთვნის,—ვგონებთ, სრულიად საბუთიანად უნდა ჩაითვალოს ის ისტორიული ჰიპოტეზა, რომ ქრისტეს სარწმუნოებას, მე-III საუკუნის დამლევს და მე-IV-ის დამდეგს, ქართველთა შორის მარტო შორიდან მცნობელნი კი არა, მიმდევარნიც საკმაოთ უნდა ჰყოლებოდა, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში, ანუ კოლხიდაში, და მესხეთში. უამისოთ ჩვენ ვერ გაგვიგია ჩვენთა მემატიანეთა სიჩუმე იმის შესახებ, თუ რა იყო მიზეზი, რომ წმ. ნინომ ქრისტიანობა თითქმის მთელს აღმოსავლეთის საქართველოს უქადაგა,[9]) ხოლო მესხეთ-კლარჯეთისა და მთელი დასავლეთის საქართველოს მოქცევის შესახებ კი უბრალო ანდერძიც არავისთვის დაუტოვებია. უეჭველია, მაშინ იქ მოსაქცევი ბევრი აღარავინ იქნებოდა და, მაშასადამე პირველდაწყებითი ქადაგებაც ზედმეტი უნდა ყოფილიყო. ეს მით უმეტეს საფიქრებელია, რომ იგივე „ქართლის ცხოვრება“, სადაც ეს ამბავი სხვა წყაროებზე უფრო ვრცლათ არის მოთხრობილი,[10]) გადაჭრით ამბობს, რომ მირიანი ჰფლობდა არა მარტო აღმოსავლეთის საქართველოს, არამედ დასავლე-

---

8) *Архим. Макарій*, Исторія хр. въ Россіи до кн. Владиміра. Спб. 1846 г. стр. 122 примѣч. 282-ое; *М. Сабининъ* loc. cit. стр. 21—22, სადაც მოტანილია ტერტულიანის მოწმობა, რომელიც ამ საგანს შეეხება; შეად. *Пл. Іоселіани*, loc cit. стр. 8.

9) შეად. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ (თ. ჟორდანია, „ქრონიკები“ I, გვ. 32—33. 37—39).—რომ წმ. ნინოს მოღვაწეობა უმთავრესათ აღმოსავლეთის საქართველოში გამოიხატა, ამას სომხის წყაროებიც სავსებით ეთანხმებიან. შეად., მაგალ., Исторія Арменіи Моисея Хоренскаго, нов. пер. Эмина. Москва. 1893 г. стр. 133.

10) შეად. „ქართლ.-ცხოვრება“, გამოც. ზაქ. ჭიჭინაძისა. ნაწ I. გვ. 134—135.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თისასაცო: „მეფობდა მირიან ქართლს, რანს, ჰერეთს და მოვაკანს, და **აქვნდა ეგრისიცა ეგრის წყლამდე**“ [11]). საყურადღებოა, აგრეთვე, ის ცნობაც, რომ საბერძნეთიდან გზად მომავალნი მირიანის მოციქულები **ერუშეთში** ტაძრის ასაგებლათ ხუროებს სტოვებენ, თვით ადგილობრივ მკვიდრთა **მოქცევაზე კი** ერთი სიტყვაც არაა ნათქვამი; სჩანს, ქრისტიანობა იქ უკვე გავრცელებული ყოფილა. [12]) ამასვე უნდა ამტკიცებდეს, ჩვენი ფიქრით, „ქართლის ცხოვრებისა“ და ბიზანტიელ მწერალთა სიჩუმეც მე-IV-V საუკუნეში დასავლეთის საქართველოს ანუ ლაზიკის მკვიდრთა მოქცევის შესახებ. ყველა ამ წყაროებში, თუმცა ლაზიკაზე ლაპარაკი არის, მაგრამ ქრისტიანობა ყველგან ნაგულისხმებია, როგორც უკვე არსებული სარწმუნოება, და მის პირველ დაწყებაზე კრინტიც არაა დაძრული. „ქართლის ცხოვრების“ თქმით, მირიანის მემკვიდრეები, **ბაქარ** და **მირდატ**, ქრისტიანობას ავრცელებენ ან **„კავკასიანთა“** შორის, ე. ი. მთის მცხოვრებლებში, ან **რანში**, [13]) ხოლო ერუშეთსა და კლარჯეთში მათი მოქმედება მარტო-ოდენ ეკლესიების **გამშვენება-აღშენებაშ**ი და მღვდლების **„დადგინებაში“** გამოიხატა; მოქცევით კი მათ იქ არავინ მოუქცევიათ. [14] მხოლოდ მე-VI საუკუნის ბიზანტიელი მწერალი პროკოპი მოგვითხრობს იმპერატორ იუსტინიანეს მიერ (527—565 წ.) აფხაზთა შორის ქრისტიანობის განმტკიცებას; [15]) მაგრამ, როგორც ვიცით, აფხაზეთი იმ დროს ბერძენთა სამფლობელო იყო და არა ნაწილი ლაზიკისა, რომლის ქართველი ტომის მკვიდრნი, თვით ბერძნულისავე წყაროების მოწმობით, არა თუ მე-VI საუკუნეში, არამედ მე-V-შიაც უკვე მტკიცე ქრისტიანებად ირიცხებოდენ და მამა-

---

11) იქვე, გვ. 85.

12) იქვე, გვ. 126.

13) იქვე, გვ. 139.

14) იქვე, გვ. 140.

15) შეად. *Архим. Макарія*, loc. cit. стр. 155, примѣчаніе 327.

ეროვნული ბიბლიოთეკ

პაპათაგან ნაანდერძევს ქრისტეს სარწმუნოებას გასაოცარის მამაცობით იცავდენ.[16])

ამ რიგათ, ორ მეზობელ სახელმწიფოში—რომში და სომხეთში—ჯვრის ძლევა-მოსილი ძლიერება, ხოლო შინ, საკუთარ ქვეშევრდომთა შორის, საკმაო რიცხვი ახალი მოძღვრების მიმდევართა,—ასეთი იყო ისტორიული გარემოებანი, რომლებშიაც მეფე მირიანს წილად ჰხვდა მბრძანებლობა და მართვა-გამგეობა საქართველოსი. მაგრამ იყო კიდევ ერთი გარემოება, რომელიც ქართულ წყაროებში არ არის ჩართული, თუმცა მსოფლიო ისტორიაში კი მოხსენებულია. ჩვენ ვგულისხმობთ, სპარსეთის შაჰის ნარსესა და რომის იმპერატორთა დიოკლეტიანეს და გალერის შორის მომხდარს ხელშეკრულობას (298 წელს), რომლის ძალითაც „ივერიის მეფენი ვალდებულნი გახდენ თვისი სამეფო უფლების ნიშნები (τα σύμβολα) რომაელებისაგან მიეღოთ“. პროფესორის ვ. ვ. ბოლოტოვის სიტყვით, ეს წესი 363 წლის ხელშეკრულობითაც არ გაუქმებულა.[17]) ცხადია, იმ დროს, რომელსაც ქართველთა მოქცევა ეკუთვნის, საქართველო რომის სავასალო ყოფილა. ამიტომ, მას შემდეგ, რაც კონსტანტი-

---

16) ამის შესახებ იხ. Dubois, Uoyage autour du Caucase t. II. ამ თხზულებიდან ამოკრებილი ადგილები ნახ. „ისტორიული ნარკვევი“ ალ. ჭყონიასი. ტფილისი. 1890 წ. გვ. 334, 335 და სხვ.

17) *В. В. Болотовъ*: Отзывъ о сочиненіи ст. Георгія Гамрекелова, въ „Христ. Чтеніи“ за 1898 г., апрѣль: „Журналы Совѣта Академіи“, стр. 258.—შეადარე თავ. ს. ბარათაშვილის „საქართველოს ისტორია“, რვეული I. ქუთაისი. 1895 წ. გვ. 158, სადაც აღნიშნულია გიბბონის აზრი ამავე საგნის შესახებ. ბიზანტიელ მწერალთა შორის აღნიშნულ ფაქტს იხსენიებს იუსტინიანე I იმპერატორის თანამედროვე (527—565 წ.) ისტორიკოსი პეტრე მაგისტროსი. ნახ. Византійскіе историки, перев. съ Греческ. Спир. Дестунисомъ. Спб. 1860 г., стр. 303—304; აქ ამ ფაქტის თარიღად 297 წელია ნაჩვენები, თუმცა შეცდომით, რადგან იქვე ნათქვამია, რომ ეს მოხდა დიოკლეტიანეს მეფობის მე-14 წელსო, ხოლო ეს წელი უდრის 284+14=298 და არა 297 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნემ ქრისტიანობა ნება-დართულ სარწმუნოებად აღიარა და ჯვარის სახელით ორი თვისი უუძლიერესი მეტოქე დაამხო (312—323 წ.),—მას შემდეგ, რაც რომის იმპერატორის ვასსალმა სომხეთის მეფემ, თრდატ მე-III-ემ, უარჰყო მამაპაპური წარმართული სარწმუნოება და წმ. გრიგოლ პართელის აღფრთოვანებულ ქადაგების მიმდევარი შეიქნა,—ქართველთა მეფეს, რომელიც, აგრეთვე, რომის ვასსალად ითვლებოდა, განა შეეძლო მისი დროის ზოგადს მიმდინარეობას არ დამორჩილებოდა, თვისი ერის საუკეთესო ნაწილის მისწრაფებათა და სარწმუნოებრივ მოთხოვნილებათათვის იმ დროის შესაფერი პასუხი არ გაეცა და სასტიკს ისტორიულს აუცილებლობას არ გასწორებოდა? განა შეეძლო ქრისტიანობა სასურველ, საჭირო და სავალდებულო სარწმუნოებად არ აღეარებია?..

ერთი სიტყვით, ახალი სარწმუნოების მისაღებად როგორც თვით ქართველ ერში, ისე მისი უმაღლესი გამგის გულში ნიადაგი უკვე მზად იყო: საჭირო იყო მხოლოდ ნაპერწკალი, რომ სარწმუნოებრივი განახლების დაფარულ ცეცხლს ერთბაშათ ალი ავარდნოდა და ურწმუნოთა გულნიც მსგავსისავე ცეცხლით გაეთბო და გაემსჭვალა. და, აი, სწორეთ ამგვარ ნაპერწკლად მოევლინა ჩვენს ქვეყანას წმ. მოციქულთა სწორი, ქართველთა განმანათლებელი, ქალწული ნინო.

II

წმ. ნინო და მარიან მეფე.

ვინ იყო ქართველთა განმანათლებელი და როგორი იყო მისი ჩამომავლობა?

„მეოთხე საუკუნის დამდეგს საქართველოში ქრისტიანობა იქადაგა ტუგემ; ქართველი მატიანები მას ნინოს უძახიან,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სომხური ნუნეს. იმის ჩამომავლობისა და გვარტომობის შესახებ არა ვიცით-რა“ [18]).

ასეთია სასტიკი, მაგრამ საკმაოდ დასაბუთებული დასკვნა ბიზანტიურ, ქართულ და სომხურ წყაროთა კრიტიკულ-შედარებითი შესწავლისა ქართველთა განმანათლებელის ვინაობისა და ჩამომავლობის შესახებ. თვით უძველესი პირველ-წყარო ჩვენის მატიანისა, რომელსაც ჩვენამდე მოუწევია, სახელდობრ ქრონიკა „**მოქცევაჲ ქართლისაჲ**“ ნინოს ჩამომავლობის შესახებ არას ამბობს და, ბიზანტიელ მწერლების თანახმად, ისიც მას „**ტყვეს**“ ეძახის.[19]) მეოთხე საუკუნის ბიზანტიელმა მწერალმა რუფინმა (340—420 წ.), რომელსაც ქართველთა მოქცევის ამბავი ქართველი მეფის „ბაკურისაგან“ ჰქონია გაგონილი, წმ. მოციქულთა სწორის შესახებ მხოლოდ ის იცის, რომ იგი „**ვინმე ტყვე-ქალი**“ იყო. [20])

რაც შეეხება „ქართლის მოქცევისა“ და მოსე ქორენელის თქმულებას, რომელიც წმ. ნინოს რიფსიმიანთა მეგობრად სთვლის და საბერძნეთიდან მათ სივლტოლას მოგვითხრობს,[21]) ეს თქმულება, როგორც სამართლიანათ ჰფიქრობს ბ-ნი ივ. ჯავახიშვილი,[22]) რუფინისა და ბაკურის შემდეგ უნდა იყოს მიმატებული, რადგან ამ თქმულებასთან მჭიდროთ შეკავშირე-

---

18) ივ. ჯავახიშვილი. „ანდრია მოციქ. და წმ. ნინოს მოღვაწეობა საქართველოში“ (ნახ. „მოამბე“ 1900 წ. VI, გვ. 33).

19) თ. ჟორდანია: „ქრონიკები“ I, გვ. 28: „ტყვე ერთი დედაკაცი შუენიერი, სახელით ნინო“.

20) „Per idem tempus etiam Jberorum gens, quae sub axe Pontico jacet, verbi Dei foedera et fidem futuri succeperat regni. Sed huius tanti boni praestitit causam mulier quaedam captiva...“ ნახ. *А. Хахановъ* Источники по введенію христіанства въ Грузіи. Москва. 1893 г. стр. 4.—რუფინის ნათქვამს იმეორებენ მე-IV—V საუსუნის ისტორიკოსნი: **სოკრატი**, სოზომენი და თეოდორიტე. ნახ. იქვე გვ. 6. 8. 10.

21) ნახ. „ქრონიკები“ I, გვ. 28. შეად. Исторія Арменіи Моисея Хоренскаго, нов. пер. Эмина. 1893 г. стр. 132.

22) ნახ. „მოამბე“ 1900 წ. VI, გვ. 33—34.

ბულია იმავე მოსე ქორენელის თქმულება წმ. გრიგოლ განმანათლებელთან ქართველ მოციქულების გაგზავნის შესახებ,[23]) ხოლო ამ უკანასკნელი ამბისა რუფინმა და მისმა მეგობარმა ივერთა მეფემ ბაკურმა არა იციან რა, თუმცა, როგორც ქართველთა მოქცევის თანამედროვეთ, მათ უფრო კარგათ უნდა ცოდნოდათ ეს ამბავი;[24]) მაგრამ იგინი გადაჭრით ამბობენ, რომ ქართველთა მეფემ მოციქულები სამღვდელოების მოსაყვანად კონსტანტინე იმპერატორთან გაგზავნაო,[25]) რასაც სავსებით ეთანხმება იმავე „ქართლის მოქცევისა“ და „ქართლის ცხოვრების“ თქმულებანიც.[26]) არც ის შეგვიძლია ვიფიქროთ, ვითომც მეფე ბაკურს განგებ გადაემახინჯებიოს სომხეთში ქართველ მოციქულთა გაგზავნის ამბავი და ისე მოეთხროს რუფინისთვის, რადგან ამგვარი გადამიხინჯების მიზეზი სომეხთადმი ნაციონალურ-სარწმუნოებრივი უკმაყოფილება უნდა ყოფილიყო, ხოლო, როგორც ვიცით, ამნაირი უკმაყოფილება ქართველთა და სომეხთა შორის მე-IV მსოფლიო კრების (451 წ.) ადრე არ

---

[23]) История Арменіи М. Хоренскаго. стр. 132. შეად. Хаханова loc. cit. стр. 13.

[24]) ჩვენ, რასაკვირველია, ვეთანხმებით, რომ მოსე ქორენელი († 489 წ.) თითქმის თანამედროვე იყო რუფინისა, მაგრამ როცა ამ უკანასკნელის მოწმობას უფრო მაღლა ვაყენებთ, სახეში გვაქვს ალფრედ ფონ-გუტშმიდისა და ფრანგ არმენისტის კარიერის გამოკვლევანი, რომელთ აზრითაც დღემდე მოსე ქორენელის სახელით ცნობილი „ისტორია სომხეთისა“ ამ მწერალს არ ეკუთვნის, არამედ სრულიად სხვა პირისაგანაა დაწერილი „არა უადრეს მე-VIII საუკუნის პირველი წლებისა“. ნახ. Христ. Чтеніе, за 1898 г. апрѣль, стр. 255—отзывъ проф. В. В. Болотова.

[25])აი ეს ადგილი: „Postea vero quam Ecclesia magnifice constructa est, et populi fidem Dei majore ardore sitiebant, captiva monitis ad imperatorem Constantinum totius gentis legatio mittitur... sacerdotes mittere oratur“. ნახ. Хахановъ, Источники по введенію хр. въ Грузіи. стр. 6. შეად. გვ. 8, 10, 11.

[26]) ნახ. „ქრონიკები“. I, გვ. 31.—„ქართლ.-ცხოვრ.“ I, გვ. 120, 124, 125; შეად. გვ. 126.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაწყებულა, ე. ი. იმ დროს, როცა აღარც ბაკური და არც რუფინი ცოცხალი აღარ ყოფილან.—მეორე მხრით, უსაფუძვლო არ იქნება ვიფიქროთ, რომ „ქართლის მოქცევის“—ქრონიკისა და წმ. ნინოს „ცხოვრების“ ის ადგილი, რომელიც რიფსიმესა და წმ. ნინოს ნაცნობობ-მეგობრობას აღიარებს და, ბ-ნ ივ. ჯავახიშვილის სამართლიანი შენიშვნით, „სომხურ და ქართულ ეკკლესიების პირვანდელ ერთობას გვიხატავს“,[27])—იმ დროს უნდა იყოს შეთხზული და შეტანილი ქართულ წყაროებში, როდესაც სომეხთა და ქართველთა საეკლესიო განწყობილებაში ჯერ კიდევ მეგობრობა სუფევდა, ე. ი., ჩვენი ფიქრით, არა უგვიანეს მე-V საუკინის დამლევისა, როდესაც ხალკიდონის კრების (451 წ.) განაჩენთა წინააღმდეგობამ სომეხთა შორის უკვე საკმაოთ გარკვეული სახე მიიღო და ამ ორი ერის სამღვდელოების ერთმანეთთან დაშორებას ნიადაგი მოუმზადა.[28])

თუ ყოველივე ზემოთ თქმული რწმენის ღირსია,—ძლიერ საეჭვოდ უნდა ჩაითვალოს ის აზრი, რომელიც, აღნიშნული თქმულების ძალით, ქართველთა განმანათლებელს „**სომხის ქალად**“ აღიარებს.[29])

მერმინდელ ჩანამატს უნდა წარმოადგენდეს წმ. ნინოს „ცხოვრების“ ის ადგილიც, რომელიც მის ბრწყინვალე ჩამომავლობისა და ნათესაობის ისტორიას აგვიწერს. მარ-

---

[27]) „მოამბე“ 1900 წ. VI, გვ. 34.—ორ-აზროვნობის თავიდან ასაცდენად აქვე შევნიშნავთ, რომ აქ სიტყვა «ერთობა» ჩვენ იმ აზრის გამომხატველ ტერმინად მიგვაჩნია, რომელსაც რუსები ხატავენ სიტყვით: „единеніе, общеніе“ და არა—единство.

[28]) სახეში გვაქვს ვალაშკერტის კრება 491 წლისა (ნახ. Аннинскій, Ист. Арм. Церкви. გვ. 69). სამუდამოდ განშორება სომხის და ქართველ სამღვდელოებისა შედარებით უფრო გვიან მოხდა, სახელდობრ დვინის კრების დროს, 596 წელს (იქვე, გვ. 86).

[29]) „Santa Nina,—ამბობს ავრელიო პალმიერი,—seconda le nostro congetture, é una vergine armena, che le persecuzione di Tiridate constrinsero a cercare un asilo traimoutanari del Caucaso“. ნახ. P. Aurelio Palmieri, La Chiesa Gorgiana e la sue origini. Roma. 1901. p. 48.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თლაც, ძნელი დასაჯერებელია ნინოს მამას ისეთი დიდი ღვაწლი გაეწიოს რომის იმპერიისა და ქრისტეს ეკლესიისათვის („ბრანჯთა“ დაპყრობა და მათი მოქცევა),—როგორც ეს წმ. ნინოს „ცხოვრებაშია“ მოთხრობილი,[30])—და მეოთხე საუკუნის ბიზანტიელ მოღვაწეებს კი (რუფინსა და ბაკურს) ან მსოფლიო ისტორიას ამ ამბის შესახებ არა ცოდნოდესთ რა.[31]) აღარას ვიტყვით „**იერუსალიმის პატრიარქზე, იაბენალზე**“, რომელიც ვითომ ნინოს დედის ძმა ყოფილიყოს და წმ. ნინოს აღზრდა ეტვირთნოს:[32]) იერუსალიმის **პატრიარქს** ხალკიდონის კრებამდე მსოფლიო ისტორია არ იცნობს. იმ დროს რომელსაც წმ. ნინოს ცხოვრება და მოღვაწეობა ეკუთვნის, იერუსალიმის მღვდელმთავარი „**ელიის ეპისკოპოსად**“ იწოდებოდა და კესარიის (პალესტინაშია) მიტროპოლიტს ექვემდებარებოდა.[33]) იერუსალიმის კათედრამ საპატრიოარქო უფლებანი მხოლოდ ხალკიდონის მსოფლიო კრებაზე (451 წ.) მოიპოვა,—და ამ დროს, მართლაც, იერუსალიმის კათედრას „პატრიარქი იუვენალი“ განაგებდა.[34]) ცხადია, წმ. ნინოს „ცხოვრების“ ავტორს ან რედაქტორს მე-V საუკუნის პირი მე-IV საუკუნეში გადაუყვანია,—და ქართველთა განმანათ-

---

[30]) ნახ. ე. თაყაიშვილის მიერ გამოცემული შატბერდისეული „ცხოვრება“ წმ. ნინოსი შემდეგი სათაურით: „ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა ანუ მეორე ნაწილი ქართლის მოქცევისა“. ტფილისი. 1891 წ. გვ. 4—7. შეად. „ქ.-ცხოვრ.“ I, გვ. 86—88 და აგრეთვე სხვა ვარიანტებიც წმ. ნინოს „ცხოვრებისა“.

[31]) ამ საგანზე ვრცლათ იხ. ივ. ჯავახიშვილის წერილი. „მოამბე“ 1900 წ. V. გვ. 68—69 და VI, გვ. 18—21.

[32]) იხ. ე. თაყაიშვილი, „ახალი ვარიანტი...“ გვ. 7.

[33]) შეად. **პირველი მსოფლიო კრების** (325 წ.) **მეშვიდე** კანონი და ამ კანონის განმარტება ზონარასი, არისტინისა და ვალსამონის (Правила св. вселенскихъ соборовъ съ толкованіями. Часть I. Москва. 1877 г. стр. 28—29, აგრეთვე გვ. 26—27).

[34]) ნახ. *Н. Суворовъ*, Учебникъ Церковнаго права. Ярославль. 1898 г. стр. 44.—შეად. Прав. всел. соборовъ съ толкованіями. ч. I. стр. 27.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებელის ისედაც დაბნელებული გენეოლოგია კიდევ უფრო მეტათ აურევია და დაუბნელებია. რომ ნინოს ბრწყინვალე ჩამომავლობის ისტორია მერმინდელი შეთხზულია, ამას „ქართლის მოქცევის“ ქრონიკაც საკმაოდ ცხადჰყოფს: იგი ნინოს უწოდებს „ტყვედ“ და მისი ჩამომავლობის შესახებ არა იცის-რა. უეჭველია, წმ. ნინოს დიდებული ჩამომავლობის შესახები თქმულება მე-VII საუკუნეზე ადრე არ უნდა იყოს შეთხზული, ე. ი. იმ საუკუნეზე, რომლითაც „ქართლის მოქცევის“ უძველესი ნაწილი თავდება.[35])

ასეა თუ ისე, დღეს გადაჭრით მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ ქართველთა განმანათლებელის ჩამომავლობისა და გვარტომობის გასარკვევად ჯერ-ჯეროობით საკმაო საბუთები არ მოგვეპოვება. ადვილ-შესაძლოა, წმ. ნინოს მშობლებს სწორედ ის სახელები რქმეოდესთ, როგორც ეს ქართულ წყაროებშია მოხსენებული; ძლიერ სარწმუნოა ის ცნობაც, რომ წმ. ნინო კაბადოკიის მკვდირი იყო და პირველდაწყებითი აღზრდაც ერთ-ერთ სირიელ მღვდელმთავრის ხელმძღვანელობით ჰქონდა მიღებული; მაგრამ ისიც ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ყველა ამ საგანთა შესახებს იმ პირვანდელ თქმულებას, რომელიც თვით წმ. ნინოსაგან უნდა ყოფილიყოს გარდამოცემული, დროთა მსვლელობაში ფრიად დიდი ცვლილება განუცდია. ასე რომ, დღეს მეტად ძნელია იმის

---

[35]) ვინც „ქართლის მოქცევას“ დაკვირვებია, უეჭველია, შენიშნავდა, რომ ამ ქრონიკის მოთხრობა სტეფანოზ მე-II-ის (639—663 წ.) მეფობის შემდეგ ერთბაშად სწყდება: თუ მანამდის თითქმის ყოველი მეფის ცხოვრებიდან თითო-ოროორი ღირსშესანიშნავი ფაქტი მაინც ნაჩვენებია, მას შემდეგ უბრალო სახელები-ღაა მიყოლებული. ამ საბუთის ძალით ჩვენნი მკვლევარნი სრულიად სამართლიანადჰფიქრობენ, რომ აღნიშნული ქრონიკის უუძველესი ნაწილი (სტეფანოზ მე-II-მდე) გაცილებით უფრო ადრე უნდა იყოს შედგენილი ვინემ ის ნაწილი, რომელიც სტეფანოზის მეფობას მოსდევს. შეად. ე. თაყაიშვილი, „სამი ისტ. ქრონიკა“, ტფილისი, 1890 წ. გვ. XCIV; თ. ჟორდანია, „ქრონიკები“ I, გვ. 104; *Хаханов*ъ, Очерки по исторіи Груз. словесности. вып. II, стр. 144.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოცნობა, თუ რა ეკუთვნის ამ თქმულებაში თვით წმ. ნინოს და რა—მერმინდელს რედაქტორს. ის კი ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ქართველთა განმანათლებელი დიდი ჩამომავლობისა არ უნდა ყოფილიყო. რაც შეეხება იმ მოსაზრებას, თითქოს წმ. ნინოს თავისი თავისთვის „ტყვე“ იმ აზრით ეწოდებიოს, რომ იგი „ტყვე იყო ქრისტესი“, ე. ი. ქრისტეს მცნების მორჩილი და მოსამსახურე,—არ უარვჰყოფთ, რომ თავის-თავად არც ეს მოსაზრებაა ერთგვარს საფუძველს მოკლებული, მაგრამ მთელი ის ისტორიული მასალა, რომელიც დღეს ამ საგნის შესახებ მოგვეპოება, და ამ მასალის კრიტიკული შესწავლა უფრო მეტს საბუთებს იძლევა იმ აზრს დავადგეთ, რომ წმ. ნინო **ტყვე** იყო, ამ სიტყვის პირდაპირის მნიშვნელობით, რამდენათაც კითხვა საქართველოში მისი მოსვლის მიზეზს შეეხება; ხოლო ზნეობრივის მხრით, იგი „ტყვე“ იყო მაცხოვრისაც. ეს ორი ცნება ერთმანეთს არ ეწინააღმდეგება და ადვილათ შეიძლება წმ. ნინოს ერთსა და იმავე დროს მიეწეროს. ვიმეორებთ, წმ. ნინო **ტყვე** იყო ამ სიტყვის როგორც პირდაპირის, ისე არა-პირდაპირის მნიშვნელობით,—და, რა თქმა უნდა, მისი დატყვევება იმ ხელშეკრულობაზე ადრე (298 წ.) უნდა მომხდარიყო, რომელმაც საქართველო რომის სივასსალოდ აღიარა. ამიტომ წმ. ნინოს **სამხობა** გინდ **ბერძნობა** იგეთივე მცირე საფუძვლიანი ჰიპოტეზაა, როგორც მისი **ქართველობა**.[36]) ის გარემოება, რომ წმ. ნინო ქართულსა და ბერძნულ წყაროებში „ტყვედ“ იწოდება მაინც და მაინც მის უცხო-ტომობას არ ნიშნავს: შესაძლებელი იყო მცხეთელებს ტყვედ ჩავარდნოდათ ხელში რო-

---

[36]) წმ. ნინოს **ქართველობის** შესახებ აზრს ამ ოთხიოდე წლის წინად ჩვენ შევხვდით ბ-ნ **ალ. ხახანაშვილის** ერთ-ერთ წერილში; სამწუხაროთ ველარ მოგვიგონია, თუ სახელდობრ რომელ რუსულ ჟურნალში იყო ეს.— **გაკვრით** წმ. ნინოს ქართველობა ყველაზე უწინ მოხსენებული აქვს **ლ. ჩუბინაშვილს** (=ნახ. ალ. ჭყონიას: „ისტორიული ნარკვევი“ ტფილისი. 1890 წ. გვ. 52). შეად., აგრეთვე, პ. **კარბელაშვილის** „იერარქია საქართველოს.“, გვ. 10.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გორც სომხისა და ბერძნის ქალი, ისე რომის იმპერიის იმ პროვინციათა მკვიდრიც, რომელნიც შიგა და შიგ ქართველ ტომის ხალხით იყო დასახლებული, როგორც, მაგალ., პონტი და კაბადოკია. [37]) მაშასადამე წმ. ნინოს იმნაირათვე შეგვიძლია **ქართველობა** მივაწეროთ, რანაირათაც **ბერძნობა**, გინა **სომხობა**.—მაგრამ შეგნებულ ქართველისა და ჭეშმარიტ ქრისტიანისათვის განა სულ ერთი არაა, როგორი ჩამომავლობისაც გინდა ყოფილიყო ის პირი, ვისაც ისტორიულმა ცხოვრების მიმდინარეობამ ქართველთა განმანათლებლობა არგუნა? ნუ თუ ქართველს დაამცირებს, რომ წმ. ნინო ტომით სომეხი აღმოჩნდეს ან ბერძენი? ან, კიდევ, რა უნდა შეემატოს ქართველი ერის უკვე განვლილს ცხოვრებას, თუნდ რომ წმ. ნინოს ქართველობა დამტკიცდეს? ქართველი ხალხის ეროვნულ ღირსებას მისი განმანათლებელის უცხო-ტომელობა კი არ დაამცირებდა, არამედ ის, რომ ქართველ მეფესა და მოწინავე წოდებას თავისი დროისათვის ალღო ვერ აერთმიათ და დახავსებულ კერპთ-თაყვანისმცემლობაში ჩაკეტილიყვენ მაშინ, როცა ირგვლივ მეზობელ სახელმწიფოებში უკვე ცხოვრების პირობები შეიცვალა და ყოველი ადამიანი **ჯვარმა** და ჯვრის უძლეველმა ძლიერებამ აალაპარაკა.

ჩვენი საეკლესიო ისტორიის პირველი პიონერის, პლატონ. იოსელიანის აქეთ, ზოგიერთ მკვლევართა შორის აზრი დაიბადა, ვითომც ჩვენი განმანათლებელის სახელი „**ნანო**“ მისი საკუთარი სახელი არ ყოფილიყოს. [38]) ამ აზრს გაკვრით იმეორებს აკადემიკოსი მარი ბროსეც, თუმცა გადაჭრით კი არას

---

[37]) რომ პონტი და კაპადოკია უუძველეს დროიდან ქართველი ტომით იყო დასახლებული, ამაზე ნახე **ალ. ხახანაშვილის**: „Древнѣйшіе предѣлы разселенія грузинъ по малой Азіи“. Москва. 1890 г.— შეადარე ჩუბინაშვილისა და Hyd Clarc-ის გამოკვლევანიც (ა. ჭყონია, „ისტორ. ნარკვევი.“ გვ. 46—53).

[38]) ნახ. *Пл. Іоселіани*: Кратк. Исторія Грузинской церкви Спб. 1843 г. стр. 8—9, примѣчаніе 13-ое.

ამბობს. მისი ფიქრით, ქართული „ნინო“ და სომხური „ნუნე“ წარმომდგარია ლათინური „ნონნა“-საგან, რომელიც **მონაზონს** ნიშნავსო.[39]) ამ რიგად, გამოდის, რომ თავისი განმანათლებელის ნამდვილი სახელი ქართველებს დაკარგული ჰქონებიათ, ხოლო სახელწოდება „ნინო“, რომლითაც მას ყველა ჩვენი საისტორიო და საეკლესიო წიგნები იცნობს, მხოლოდ საზოგადო სახელი ყოფილა. მაგრამ ამ ხუთიოდე წლის წინად ბ-მა „Л. Л.“-მა სიხარულით აუწყა ყველას, „ვისაც კი საქართველოს ისტორია ეინტერესება“, რომ წმ. ნინოს დღემდე დაკარგული სახელი დღეს უკვე „აღმოჩენილია“: მისი ნამდვილი სახელი იყო „**თეოგნოსტა**“.[40]) ეს აზრი პატივცემულ ავტორს დამყარებული აქვს **არაბულ, ეთიოპურ** და **კოპტურ სვინაქსრებზე**. თქმულებაზე, სადაც მოთხრობილი ყოფილა „თითქმის სიტყვა-სიტყვით“ („почти буквально“) ყოველივე ის, რაც რუფინისა და ქართული წყაროებიდან მირიანის სასწაულებრივ მოქცევასა და სვეტის აღმართვაზე ვიცით, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ იქ ქართველი მეფის სახელი მოხსენებული არ ყოფილა, საქართველოს მაგივრად „**ინდოეთი**“ და „**ტეიგერია**“ (Теиверія) წერებულა, რომის იმპერატორის კონსტანტინეს მაგივრად—**ჩონიერი** და **არკადი** ყოფილან მოხსენებული, ხოლო ნინოს ნაცვლად—**თეოგონოსტა**. როგორც ვხედავთ, აქ ყველაფერი არეული ყოფილა: სახელი ქვეყნისა, რომელსაც ჩვენ **ქართლს** ვეძახით, ხოლო რუფინი და მისი მიმდევარნი—**იბერიას**; სახელი იმპერატორისა, რომელსაც იგივე რუფინი (=მეფე ბაკური) **კონსტანტინეს** უწოდებს და, უკანასკნელ, სახელი იმ ტყვე ქალისა, რომელსაც ეს ქვეყანა გაუნათლებია და რომელსაც ქართული და სომხუ-

---

[39]) იხ. Brosset, Histoire de la Géorgie. I, Spb. 1849. p. 90, not. 2.

[40]) ნახ. *Л. Л.*: „Настоящее имя просвѣтительницы Грузіи“ („Кавказъ“ за 1899 г. № 230). შეადარეთ კრებული „Весь Кавказъ“ за 1903 годъ, отд. II, стр. 51—53, სადაც იგივე სტატიაა უკრიტიკოდ გადმობეჭდილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი წყაროები მხოლოდ **ნანას** და **ნუნეს** სახელით იცნობენ, ხოლო ანტიოქეურნი კი—**ნანნას** ეძახიან.[41]) ახლა ვიკითხოთ: ნუ თუ ამდენი არევ-დარევის შემდეგ შესაძლებელია ბ-ნ „Л. Л.“-ის მიერ დასახელებულ სვინაქსრებს ქართველთა განმანათლებელის, ვიღაც ტყვე ქალის, სახელი **სისწორით** შეენახოსთ, როცა იგინი თვით ბიზანტიის იმპერატორისა და მთელი ჩვენი ქვეყნის სახელსაც კი ისე აუკულმართებენ?! განა დასაჯერებელია ეს, მკითხველო?!... ნუ თუ ქართველთა განმანათლებელი იმდენად უმნიშვნელო პირი იყო და თვით ქართველები კი—იმდენად უმადურნი, რომ ქართველ სამღვდელოებას და ერს მისი საკუთარი სახელიც კი სისწორით ვერ შეუნახავსთ?! ნუ თუ შესაძლებელია—სადღაც შორს, ცხრა მთას გადაღმა, უფრო კარგად შენახულიყოს ეს სახელი, ვინემ იმ ერში, რომელიც უფრო დაინტერესებული იყო (და არის) ამ ძვირფასი სახელიდან ერთი ასოც კი არ დაკარგულიყო?! ჩვენ „ღრმათ დარწმუნებული“ ვართ, რომ ქართველთ განმანათლებელის საკუთარი სახელი არც დაკარგულია და არც შეიძლებოდა—დაკარგულიყო. ამიტომ სრულებით ზედმეტად მიგვაჩნია ამ **უსაფუძლო კითხვის გარკვევა**: „ნინო“ საკუთარი სახელია წმ. ნინოსი თუ არაო? ჩვენ უარჰვყოფთ ამგვარათ კითხვის დაყენებას და ჩვენს შენიშვნას ამ საგნის შესახებ პატივცემულის პროფესორის ვ. ვ. ბოლოტოვის ავტორიტეტული მსჯელობით ვათავებთ: „ჩემის აზრითაო,—ამბობს განსვენებული,—ივერიის განმანათლებელი **ტყვე-ქალი** იყო, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. რომ მას **ნანას** ეძახდენ,—ამ ცნობის წინააღმდეგ საფუძვლიანი კამათი შეუძლებელია. ის კი შესაძლოა, რომ ქართველების **ნინო** გადასხვაფერებული ქალური სახელი **ნანნა** იყოს, რომელიც კაპადოკიაში

---

[41]) შეად. მაგალ. ანტიოქელი მღვდელ-მონაზონის ნიკონ მთაშაველის (მე-XI საუკ.) მოწმობა (=„Правосл. Палестинск. Сборникъ“, т. VI, вып. I, стр. 46) და ანტიოქელისავე მღვდლის **მიხეილ ბრეკის** სიტყვები („Труды Кіевск. Дух. Акад.“ за 1874 г. т. II, 369 страница). აქ ორივეგან ნინო სახელწოდებულია „ნონნად“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იხმარებოდა. **ნანნას** სახელს ატარებენ წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველის დედა და ძმისწული. მცირეოდენი საფუძველიც არა გვაქვს ეს სახელი საზოგადო სახელად (=მონაზონად) მივიღოთ. რომ წმ. ნინო ჩამომავლობით კაპადოკიელი იყო,—ამის უარსაყოფელადაც, აგრეთვე, საფუძველს ვერა ვპოებთ".[42])

„ქართლის მოქცევის" ქრონიკით, წმ. ნინო იყო „დედაკაცი შვენიერი"[43]), ხოლო ბერძნული წყაროებით, ეს სიმშვენიერე განსაკუთრებით სულის მაღალ ღირსებებში გამოიხატებოდა. მაღალ-ზნეობრივი ცხოვრება, მოთმინება, მარხულობა, ლოცვა-ვედრება და სნეულთა მკურნალობა,—აი რით დაუმსახურებია წმ. ნინოს ქართველთა ყურადღება და ნდობა-სიყვარული.[44]) ამგვარს მოღვაწეობაში დაუყვია წმ. ნინოს მცხეთელთა შორის რამოდენსამე ხანს და მოუსწრია, როგორც დედოფლის ნანას მოქცევა, ისე მეფის მირიანისაც.[45])

აქ საჭიროა შევჩერდეთ და შემდეგი კითხვა გავარჩიოთ: ვინ იყო ის მეფე, რომლის დროსაც ქართველებმა ქრისტიანობა მიიღეს—**მირიანი** იყო იგი, თუ **ბაკური**?—დარწმუნებული ვართ, ეს კითხვა ბევრს გააოცებს,—და ჩვენც ჩვენი მხრით სრულიად ხელს ავიღებდით ამგვარი კითხვის გარჩევაზე, უკეთუ მას ისეთი საპატიო პირი არ უჭერდეს მხარს, როგორიც აწ განსვენებული პროფესორი ვ. ვ. ბოლოტოვი იყო. მართალია ამ საგნის შესახებ პატივცემული პროფესორი გადაჭრით არაფერს ამბობს, იგი მხოლოდ ჰიპოტეტიურათ შენიშნავს, რომ ვგონებთ უფრო სარწმუნოა ქართველებს ქრისტიანობა ბაკურის დროს მიეღოსთ, ვინემ მირიანის დროსაო,—მაგრამ, როგორც ვხედავთ, ეს ჰიპოტეზა თავისთავად იმდენათ ორიგინალურია, რომ უნებლიეთ იქცევს ყურადღებას და საღაპარაკოთ გვიწვევს.

---

[42]) „Христ. чтеніе" за 1898 г. апрѣль: Журналы Совѣта Академіи, стр. 263 და აგრეთვე შენიშვნაც იმავე გვერდზედ.

[43]) თ. ჟორდანია: „ქრონიკები" I, გვ. 28.

[44]) შეად. *А. Хахановъ*, Источники по введ. Хр. въ Грузіи. стр. 4. 6. 8. 10

[45]) „ქრონიკები" I, გვ. 28—29.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უმთავრესი საბუთები, რომლის ძალითაც პატივცემულ პროფესორს პირველ ქართველ ქრისტიან მეფის შესახებ ქართული წყაროების ცნობა უარუყვია და აღნიშნულ ჰიპოტეზისათვის მიუმართავს, არის სამი:

ა) საზოგადოთ, ქართულ წყაროებში ნაჩვენები სია ქართველი მეფეებისა ზოგან სრულებით არ ეთანხმება ბიზანტიელ მწერალთაგან შენახულ სახელებს ქართველ მეფეებისას, ზოგან კი თუმცა სახელები და ეპოქა ორივეგან ერთნაირათაა აღნიშნული, მაგრამ ანაქრონიზმების წყალობით ძლიერ ძნელი ხდება მათი შეთანხმება;[46]) ამას გარდა, არის რამოდენიმე ფაქტი, მაგალ., 298 წლის ხელშეკრულობა, რომელსაც მსოფლიო ისტორია იცნობს, ქართული წყაროები კი მათ შესახებ არას ამბობს; ყოველივე ეს ძლიერ საეჭვოდ ჰხდის უკანასკნელთა ისტორიულს ღირსებას; [47])

ბ) კერძოთ იმ დროს, რომელსაც ივერთა მოქცევა ეკუთვნის, ბიზანტიელი მწერალი, **ამმიან მარცელინი** (დაიბ. 330 წ.), იხსენიებს სამ ქართველ მეფეს: **მერიბანს** (Meribanes) 360 წლის მახლობლათ, **სავრომაკს** (Sauromaces) — რომაელებისგან დაყენებულს 368 წლიდან, და **ასპაკურს** (Aspacures)— სპარსელებისაგან დადგენილს იმავე წლიდან; ვახუშტის ქრონოლოგიით კი **მარიანი**, რომელიც ადვილი საცნობია **მერიბანში**, უკვე 265 წლიდან მეფობდა; ძნელი საფიქრებელია, მაშასადამე, ამ მეფეს 360 წლამდე ეცოცხლოს; რაც შეეხება სავრომაკს და ას-პაკურს, — ამათ ქართული წყაროები არ იცნობოს; [48])

გ) უკანასკნელ, რააბეს მიერ გამოცემულ (1895 წ.) პეტრე ივერიელის სირიულ „ცხოვრებაში“ **პირველ ქრისტიან**

---

[46]) ნახ. „Христ.—Чтеніе“ за 1898 г. апрѣль, Журналы Совѣта Академіи, стр. 257—258.

[47]) იქვე, გვ. 258 და 260: ავტორის აზრით, „научную исторію Грузіи въ древнѣйшій періодъ можно писать только при строжайшемъ, принципіальномъ недовѣріи къ показаніям ъ Цховреба и другихъ источниковъ того же типа“.

[48]) იქვე გვ. 258—259, შეად. გვ. 257.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეფედ მოხსენებულია პეტრე ივერის პაპა (=დედის მამა), **„დიდი ბაკური“** და არა მირიანი; ძნელი დასაჯერებელია, დასძენს ბ-ნი ბოლოტოვი, პეტრე ივერს არ ცოდნებოდეს, თუ რომელ მეფის დროს მიიღო ივერიამ ქრისტიანობა, ან განგებ მიეწეროს ეს საქმე თვის პაპა ბაკურისთვის. [49])

ამ საბუთების მიხედვით პატივცემული პროფესორი იძულებული გამხდარა შემდეგი ჰიპოტეზა შეექმნა:

„იმ საგენეალოგიო შტოს მიხედვითო,—ამბობს იგი,—რომელიც სირიულ **ცხოვრებაშია** ნაჩვენები, შესაძლო ხდება ის დასკვნა გამოვატანოთ, რომ „დიდი ბაკური“ 333 წლის მახლობლათ საკმაოთ შეღერებული ჭაბუკი („во цвѣтѣ лѣтъ“) უნდა ყოფილიყო. ვეჭობ, საქმე ასე არ მომხდარიყოს. ივერიელებს ქრისტიანობა მართლა ბაკურის დროს მიუღიათ. მაგრამ „ბაკური—Pakoros“ საკუთარი სახელია, რომელიც არა-იშვიათად სასანიდების მიერ სპარსეთში დამხობილს არსაკიდების დინასტიაში გვხვდება. შესაძლებელია, იმ ქართველ სამეფო სახლს, რომელსაც ბაკური ეკუთვნოდა, რაიმე ნათესაობა (შორეული ნათესაობა მაინც) ჰქონებოდეს სპარსეთის არსაკიდებთან, ან-და თვისი პოლიტიკური ტრადიციებით მათი თანამგრძნობელი ყოფილიყოს. სპარსეთის გავლენას ივერიაში (ხოლო, შეიძლება, წარმართთა პარტიის რეაქციასაც ქრისტიანობის წინააღმდეგ) საქმე იქამდის მიუყვანია, რომ ბაკურის სიკვდილის შემდეგ (sic) სამეფო გვირგვინი მერიბან-მირიანს რგებია, რომელიც ჩამომავლობით სასანიდების მომხრე გვარისა ყოფილა. ჯერ ერთია—და პეტრე ივერიელის **ცხოვრებიდან** არა სჩანს, რომ ბაკურის მემკვიდრე მისი შვილი ყოფილიყოს. მეორეა და—**ქართლის ცხოვრებით** მირიანი პირველი ხოსროიანი ანუ სასასიანი იყო ივერიის ტახტზე და სამეფო გვირგვინიც თვისი წინამოადგილის, არსაკიდ ასფაგურის, ქალის ხელთან-ერთად ჰქონდა მიღებული, მესამეთ—ის ბაკური, რომლისაგანაც რუფინს ივერთა შორის ქრის-

---

[49]) იქვე გვ. 263.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტიანობის გავრცელების ამბავი ჰქონებია გაგონილი, იყო „მეფე ამ ერისა“ („царь этого народа“), მაგრამ 380 წლის მახლობლათ უკვე ბიზანტიის სამსახურში ითვლებოდა. ყველა ეს დაწვრილებითი ცნობანი თითქოს („какъ будто“) ამტკიცებენ იმ აზრს, რომ მე-IV საუკუნის ნახევრის მახლობლათ ერთი ქართველ-სამეფო გვართაგანი, სახელდობრ, სახლი ბაკურისა, ტახტიდან ჩამოუგდიათ. მაგრამ შემდეგში, როდესაც ქრისტიანობა საუდამოთ დამყარებულა ივერიაში, მირიანის დინასტიის მომხრეებს ქრისტიანობის პირველი შემოღება ტენდენციურათ ამ მეფისთვის მიუწერიათო“.[50])

ასეთია პატივცემულის ვ. ვ. ბოლოტოვის ჰიპოტეზა. როგორც ვხედავთ, ჩვენ მიერ ზემოთ ჩამოთვლილის უმთავრესი საბუთების გარდა, თვით ამ ჰიპოტეზაში კიდევ სამი ახალი საბუთია ნახსენები: **პარგელი** – ის, რომ წმ. პეტრე-ქართველის სირიულ ცხოვრებაში ნაჩვენები არ ყოფილა, თითქოს ბაკურის მემკვიდრე მისი შვილი ყოფილიყოს; **მეორე** — „ქართლის-ცხოვრებით“ მირიანი ხოსროიანი ანუ სასანიანია, — და **მესამე** -- ის, რომ რუფინის მთხრობელი ბაკური იყო „მეფე ამ ერისა“ ე. ი. ივერიელებისაო.

ამ საბუთების განხილვა ბოლოდან დავიწყოთ.

იმ ბაკურის შესახებ, რომელსაც რუფინისათვის ქართველთა მოქცევის ამბავი გადაუცია, თვით რუფინი შემდეგს ცნობას იძლევა: ეს ჩვენ გადმოგვცაო, —ამბობს იგი, —ფრიად სარწმუნო კაცმა **ბაკურმა, მეფემ ამ ერისამ**; იგი იყო ძლიერ მორწმუნე და სათნო ადამიანი და, ბოლოს დროს, პალესტინის საზღვრების სარდლობას ასრულებდაო. [51]) როგორც ვხედავთ, ამ ცნობიდან სრულიადაც არა სჩანს, თითქოს ბაკური თვით ის მეფე ყოფილიყოს, რომლის

---

[50]) იქვე გვ. 263—264.

[51]) ნახ. Хахановъ, Источники по введ. Хр. въ Грузіи, стр. 6: „Haec nobis ita gesta, fidelissimus vir Bacurius, gentis ipsius rex, et apud nos Domesticorum comes (cui summa erat cura et religionis et veritatis) exposuit cum nobiscum Palaestini tunc limitis Dux, in Hierosolymis satis unanimiter degeret“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროსაც ივერიელებს ქრისტიანობა მიუღიათ. ივერთა მეფეს (=„მეფეს იმ ერისას“) შეეძლო ქართველების მოქცევაზე გაცილებით უფრო გვიან ემეფნა და რუფინს აღნიშნულ. ამბავს მოჰყოლოდა, - მაგრამ ნუ თუ მასზე არ შეიძლებოდა თქმულიყო, რომ იგი „მეფე იყო იმ ერისაო“ ე. ი. ქართველებისაო?! ცხადია, აღნიშნული სიტყვები თავისთავათ არაფერს არ ამტკიცებს. უკეთუ რუფინს იმ აზრის გამოხატვა ნდომოდა, რომ ბაკური თვით ის მეფე იყო, რომლის დროსაც ივერიელები მოიქცენო, რა თქვა უნდა, პირდაპირ იტყოდა: „თვით ის მეფეო“ და არა „მეფე იმ ერისაო,“ როგორც ნათქვამი აქვს;—ამას გარდა, ვერ გაგვიგია: თუ მირიან—მერიბანი მართლა „ბაკურის **სიკვდილის** შემდეგ“ გამეფებულა, რაც 361 წელზე გვიან ვერ მოხდებოდა, რადგან მარცელინით ამ წელს მერიბანი უკვე ივერთა მეფე იყო,—მაშ როგორღა მომხდარა, რომ 380 წლის მახლობლათ იგივე ბაკური კიდევ **ცოცხალი** ყოფილა და რუფინისთვის თავის თავგადასავალი უამბნია?! ცხადია, ამ ჰიპოტეზის შეთხზვის დროს პატივცემული პროფესორი საკუთარ სიტყვებს სრულის მეცნიერული სისასტიკით არ მოპყრობია, თორემ ხომ არც ამგვარს წინააღმდეგობაზე აშენებულს ჰიპოტეზას შეჰქმნიდა.

სწორედ აგრეთვე, ჩვენ ძლიერ გასაოცრად დაგვირჩა, როცა პატივცემულ პროფესორის ჰიპოტეზაში ერთ-ერთ საბუთად, სხვათა შორის, „ქართლის ცხოვრების“ თქმულება დავინახეთ მირიანის ხოსროიანობის შესახებ. [52]) როგორც აღვნიშნეთ, განსვენებულის პროფესორის აზრით, საქართველოს ძველი დროის სამეცნიერო ისტორიის დაწერა შეიძლება მხოლოდ იმ პირობით, უკეთუ „ქართლის ცხოვრების“ ცნობებს სასტიკის, პრინციპიალურის უნდობელობით მოვეპყრობით (ნახ. ზემოთ შენიშვმ. 47). და ჩვენც სავსებით ვე-

---

[52]) ნახ. „ქართლის-ცხოვრება“ I, გვ. 80: „მირიან, ძე სპარსთა მეფისა, ხოსროიანი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანხმებით, რომ „ქართლის ცხოვრებაში“ ყველაზე უფრო საეჭვოდ ის ცნობები უნდა ჩაითვალოს, რომელნიც მსოფლიო ისტორიაში ვერავითარს პარალელს ვერ ჰპოებენ და იმავე დროს თვით ქართული უუძველესი წყაროების ცნობებსაც ეწინააღმდეგებიან. ამგვარია, მაგალითად, უკვე აღნიშნული თქმულება მირიანის სპარსელობის შესახებ, აგრეთვე—აზონის ბერძნობაზე, ალექსანდრე მაკედონელის შემოსევაზე [53]) და სხვანი. ერთი უუძველესი პირველ-წყარო ჩვენი ისტორიისა, სახელდობრ, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ მთელი საქართველოს პირველ მეფედ სთვლის **ასზოს**, ძეს ქართლის მეფის არანისას; ხოლო ფარნავაზს—მეორე მეფედ და მასთანავე მის სპარსელობაზე არას ამბობს; [54]) აგრეთვე მირიანს უწოდებს ქართველი მეფის **ლეკის ძედ** [55]) და სრულიად უარყოფს „ქართლის ცხოვრების“ თქმულებას, თითქოს მირიანი სპარსეთის შაჰის შვილი და ქართველი მეფის, ასფაგურის, სიძე ყოფილიყოს.—მთელი საუკუნეების განმავლობაში საქართველო სპარსეთის ძლიერი გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, მისი მეფეები ხშირათ სპარსეთის შაჰებისაგან ღებულობდენ სამეფო გვირგვინს,—და რა გასაკვირია, რომ „ქართლის ცხოვრების“ მოთხრობას, რომელიც უმეტესათ მეფის კარზე და სეფე-კაცებისაგან იწერებოდა ან მათის რედაქციით გამოდიოდა, ამგვარი ტენდენცია ემჩნეოდეს: მემატიანე ცდილობს ყველა ჩვენი შესანიშნავი მეფეები ძველი პერიოდისა (ბაგრატიონებამდე) ან სპარსელებად დასახოს (როგორც, მაგალ., მირიანი) ან სპარსეთის მონათესავე პირებად, როგორც, მაგალითად, ფარნავაზი და ვახტანგ. გორგასლანი. [56]) „მოქცევაჲ ქართლისაჲ“—კი უმთავრესად საეკლესიო მატიანეა და, როგორც აგეთი, მოკლებულია

---

[53]) შეად. „ქართლ.-ცხოვრ.“ I, გვ. 32—33.

[54]) თ. ჟორდანია: „ქრონიკები“ I, გვ. 12—13.

[55]) იქვე, გვ. 18—19.

[56]) „ქართლ.-ცხოვრება“ I, გვ. 154. შეად. გვ. 35.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღნიშნულ ტენდენციას, და ამიტომ საფიქრებელია, რომ იგი უფრო სისწორით უნდა გვიხატავდეს ჩვენი მეფეების გენეოლოგიას, ვინემ სპარსეთის თაყვანისმცემელ პირთა რედაქტორობით შემდგარი და გამოსული „ქართლის ცხოვრების“ უუძველესი თქმულებანი.—თუ ჩვენი მოსაზრება შესაწყნარებელია, გადაჭრით შეგვიძლია ვთქვათ, რომ პატივცემულის ვ. ვ. ბოლოტოვის მიერ აღნიშნული საბუთი მირიანის სპარსელობისა (=სასანიანობისა), რომელიც მას მისგანვე სასაცილოდ აგდებულის „ქართლის ცხოვრებიდან“ მოაქვს,[57])—ძლიერ საეჭვო ღირსების საბუთად უნდა ჩაითვალოს, ან უკეთ რომ ვთქვათ, იგი საისტორიო საბუთად ვერ გამოდგება.

რაც შეეხება იმას, რომ წმ. პეტრე-ქართველის სირიულ **ცხოვრებაში** ბაკურის მემკვიდრედ მისი შვილი არ ყოფილა მოხსენებული, ამას არც ჩვენი უუძველესი საისტორიო წყარო უარჰყოფს: „ქართლის მოქცევით“ ბაკურის შემდეგ გამეფდა „ძმაი მისი თრდატ“ და არა „ძე მისი მირდატ,“ როგორც „ქართლის-ცხოვრება“ ამბობს.[58]) მაგრამ, იმავე „ქართლის მოქცევით,“ ბაკური შვილი-შვილი (ძის-ძე) და მემკვიდრე იყო მირიანისა და არა მისი წინამოადგილე, როგორც ეს პატივცემულს პროფესორს ჰგონია. ცხადია, მაშასადამე, რომ სიჩუმე სირიული „ცხოვრებისა“ ბაკურის მემკვიდრის შესახებ თავისთავათ სრულიადაც ვერ დაამტკიცებს იმ აზრს, თითქოს ბაკურის შემდეგ გვირგვინი მირიანზე გადასულიყოს და არა წინა-უკმო.

უმთავრესი საბუთი, რომელმაც პატივცემულ პროფესორს აღნიშნული ჰიპოტეზა წარმოათქმევინა და ჩვენი წყა-

---

[57]) ბ-ნ ვ. ბოლოტოვის აზრით, „Этотъ списокъ царей, ე. ი. ქართლის-ცხოვრება, (до Гурама exclusiv...) представляетъ плодъ досужнаго сочинительства какогонибудь поздняго грамотея, который... большею частью писалъ отъ вѣтра главы своея“. („Хр. Чт.“ 1898 г. апрѣль, стр. 260).

[58]) ნახ. „ქრონიკები“ I, გვ. 41. შეად. „ქ.-ცხოვრ.“ I, გვ. 140.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როების საეოთო მოწმობაზე პირველი ქრისტიანი მეფის შესახებ ეჭვი შეატანია, — როგორც უკვე ნათქვამი გვაქვს, — გერმანელი მეცნიერის **რახარდ რაბეს** მიერ გამოქვეყნებული წმ. პეტრე-ივერიელის სირიული „ცხოვრების“ სიტყვები ყოფილა. მხოლოდ ამ საბუთისაგან ღებულობს შესაფერს ძალას და მნიშვნელობას ყველა ის ზემოთ ჩვენ მიერ გარჩეული საბუთები, რომელთაც თავისთავათ არაფრის დამტკიცება არ შეუძლიათ. საჭიროა, მაშასადამე, ეს უმთავრესი საბუთი გავარჩიოთ და მის ისტორიულს ღირსებას შეძლების დაგვარათ კრიტიკა ვუყოთ.

ამ ცხრა წლის წინათ ბ-ნ ნიკ. მარრმა წმ. პეტრე ქართველის ორი ქართული „ცხოვრება“ გამოსცა და თავის გამოცემას შესაფერი წინასიტყვაობაც წარუძღვანა. [59]) ამ წინასიტყვაობაში პატივცემული მკვლევარი რაბესაგან გამოცემულ სირიულ „ცხოვრებასაც“ შეეხო და, სხვათა შორის, საკმაოთ დაასაბუთა, ის აზრი, რომ რაბეს გამოცემა არ წარმოადგენს იმ პირველ-ორიგინალს, რომელიც აღნიშნული **ცხოვრების** პირველ შემდგენელის ზაქარია მაიუმელის (წმ. პეტრე-ქართველის მოწაფის) ხელიდან გამოსულა და რომლითაც შემდეგში ქართული ტექსტის მთარგმნელს მაკარ-მღვდელს უსარგებლნიაო. [60]) ეს გარემოება ჩვენთვის იმითია საყურადღებო, რომ წმ. პეტრეს „ცხოვრების“ ქართულ ტექსტში ამ წმინდანის მამად დასახელებულია „**დიდი ვარაზ-ბაკურ, მეოთხე მეფე... მირიან მეფეთგან**“ [61]) და ერთი სიტყვაც არაა ნათქვამი მის ვითომ-პაპა „**დიდ ბაკურზე,**“ როგორც ეს რაბეს მიერ გამოცემულ სირიულ ტექსტში ყოფილა. ამავე წინასიტყვაობაში ბ-ნ ნ. მარრს პარალლელურათ ნაჩვენები აქვს თითქმის ყველა ის ადგილები, რომლითაც ქარ-

---

[59]) ნახ. „Правосл. Палест. Сборникъ“ т. XVI, вып. 2: „Житіе Петра царевича-подвижника и епископа Майумскаго V вѣка“. Спб. 1896 г. XXXIX+126.

[60]) იქვე გვ. XXII—XXIII; შეად. გვ. XXXII და XXXV.

[61]) იქვე გვ. 3 და 61.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თული ტექსტი რააბეს ტექსტისაგან განსხვავდება, სახელდობრ აღნუსხულია ყველა ის განსხვავებანი, რომელნიც, მკვლევარის აზრით, „დაუჯერებლად ჰხდიან ქართული თარგმანის დამოკიდებულობას რ. რააბეს მიერ გამოცემულ სირიულ ტექსტისაგან“.[62]) მაგრამ ამ განსხვავებათა სიაში ჩვენ ვერ შევხვდით პეტრეს მამის გინა პაპის შესახებს ცნობას, თუმცა ბ-ნ მარრს შემთხვევა ნებას აძლევდა ამ საგნითვისაც ყურადღება მიექცია.[63]) ამით, რასაკვირველია, ჩვენ იმის თქმა კი არ გვინდა, თითქოს პროფ. ვ. ბოლოტოვს განგებ შეეთხზას პეტრეს გენეოლოგიის შესახები ცნობა,—ეს ჩვენი მხრით დიდი კადნიერება იქნებოდა,—არამედ მხოლოდ იმისი, რომ შესაძლოა პატივცემულს პროფესორს ის ადგილი რააბეს ტექსტისა, რომელიც პეტრეს ჩამომავლობას შეეხება, მთლად სისწორით ვერ ჰქონდეს წაკითხული ან გაგებული. ამას ჩვენ გვაფიქრებინებს შემდეგი გარემოება: როგორც სირიულ „ცხოვრებაში“ პეტრეს **ბაბად** (დედის-მამად) **„დიდი** ბაკური ყოფილა დასახელებული, აგრეთვე ქართულ ტექსტშიაც პეტრეს **მამად** დასახელებულია **„დიდი** ვარაზ-ბაკურ“; ამავე დროს ის ადგილი, სადაც ეს ცნობაა მოყვანილი, ქართულ ტექსტში იმნაირადაა სინტაქსიურის მხრით აშენებული, რომ, თუ ძალიან არ დააკვირდით, ერთი და ორი წაკითხვითაც კი გეგონებათ, თითქოს წმ. ნინოს ქადაგება და ქრისტიანობის გავრცელება ამ ვარაზ-ბაკურის დროს მომხდარიყოს.[64]) შესაძლოა, რააბეს ტექსტსაც ამგვარის კონსტრუქციით შეეყვანოს შეცდომაში პატივცემული პროფესორი. მაგრამ, იქნება, სულაც სირიული ტექსტის ავტორი **„ანონიმი“** იყოს დამნაშავე: შესაძლოა მას ხელთ ჰქონებოდეს ბიზანტიელი მწერლების ცნობა რუფინის მთხრობელ ბაკურ-მეფეზე, რომელსაც თვით რუფინი უწოდებს: „Bacurius, gentis ipsius rex“ (=„ბაკურ, მეფე იმ ერისა“), და ეს ფრაზა სწორედ ისე გაეგოს, როგორც იგი

---

[62]) იქვე გვ. XXIII და ქვევით; განსაკუთრებით გვ. XXV—XXIX.

[63]) იქვე გვ. XII, სტრიქ. 1—3.

[64]) იქვე გვ. 3—4, თავი მე-3.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე-XIX საუკუნეში ერთმა ჩვენმა მკვლევარმა გაიგო,[65]) სახელდობრ იმ აზრით, თითქოს აქ თვით იმ მეფეზე ყოფილიყოს ლაპარაკი, რომლის დროსაც ქართველებს ქრისტიანობა მიუღიათო. ეს მით უმეტეს სარწმუნოა, რომ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ანონიმის ტექსტი არ ყოფილა იმ პირველი ორიგინალის პირი, რომელიც ზაქარია მაიუმელის ხელიდან გამოსულა და ქართულ თარგმანს საფუძვლად დასდებია. ყოველივე თქმული იძულებულს გვხდის, შემდეგს დასკვნას დავადგეთ: განსვენებულის ვ. ვ. ბოლოტოვის მიერ ნაჩვენები ცნობა რააბეს ტექსტისა ისეთს არას წარმოადგენს, რომ მისი ძალით შესაძლო იყოს ქართული წყაროების და ზეპირგარდმოცემის ის საერთო რწმენა უარ-ვჰყოთ, რომ პირველი ქრისტიანი მეფე საქართველოში იყო მირიანი,—პაპა და წინამოადგილე ბაკურისა და არა ამ უკანასკნელის ტახტის უზურპატორი, როგორც ეს ვ. ბოლოტოვის ჰიპოტეზით გამოდის.

ამ რიგად, უმთავრესი საფუძველი, რომელზედაც აშენებულია აღნიშნული ჰიპოტეზა, ძლიერ საეჭვო ღირსების საბუთია და, როგორც აგეთი, სხვა საფუძვლების საფუძვლად ვერ გამოდგება; ამასთან ერთად მნიშვნელობას ჰკარგავს ყველა ის წვრილმანი საბუთები, რომელნიც აღნიშნულ საფუძველზე იყვენ დამყარებულნი.

რაც შეეხება ორს დანარჩენ საფუძველს,—უთმავრესი მოსაზრება, რომელიც მათ სარჩულად უძევს, მოკლედ ასე გამოიხატება: რომაულ და ბერძნულ წყაროებში შენახულია რამდენისამე ქართველი მეფის სახელი, რომელთაგან ზოგი სრულებით არ მოიპოება ქართული წყაროების მეფეთა სიაში, ზოგი კი ისეთს დროს არის ნაჩვენები, რომ მეტად ძნელია მათი შეთანხმება ქართული წყაროების თანამოსახელე მეფეთა ქრონოლოგიასთან; ეს კი იმის დამამტკიცებელია, რომ ქართული წყაროები თანამედროვე პირთაგან არ ყოფილა დაწერილი და, მაშასადამე, არც მათი ცნობები გამოდგება სა-

---

[65]) შეად. Пл. Іоселіани: „Кр. Ист. Груз. Церкви“, стр. 18--19.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეცნიერო ისტორიისთვისაო.—ასეთია ზემოთ აღნიშნულ ორ საფუძვლის არგუმენტები და იქიდან გამომდინარი დასკვნა,— და ჩვენც სავსებით დავეთანხმებოდით ამ დასკვნას, უკეთუ იგი ერთად-ერთი შესაძლო დასკვნა იყოს; მაგრამ იმავე არგუმენტებიდან შეგვიძლია სხვანაირი დასკვნაც გამოვიტანოთ, სახელდობრ: უკეთუ ქართული წყაროების ზოგიერთ მეფეთა სახელები ბერძნულ-რომაულს წყაროებში შენახულ სახელებს არ ეთანხმება,—სჩანს, ან უკანასკნელთა ავტორებს სისწორით არ სცოდნიათ და, მაშასადამე, ვერც სისწორით ჩაუწერიათ ქართველი მეფეების სახელები ან-და შემდეგში გადამწერლებს ვერ ამოუკითხავთ იგინი სისწორით და აურევიათ; მეორე მხრით, უკეთუ ზოგიერთ მეფეთა სახელები ქართულსა და ბერძნულ-რომაულ წყაროებში თანახმად არის ნაჩვენები, მაგრამ მათი მეფობის დრო კი განსხვავებულია,— სჩანს, ამ შემთხვევაში ბრალი იმ პირს უნდა დაედვას, რომელმაც ქართველ მეფეთა ქრონოლოგია დაადგინა და შესაფერი კრიტიკა ვერ უყო იმ საისტორიო და საქრონოლოგიო მასალას, რომლითაც სარგებლობდა; მაშასადამე, ჩვენი მოვალეობაა არა სრულიად ხელის აღება ქართული წყაროების ცნობებზე, არამედ მათი კრიტიკულად განხილვა და, შეძლებისადაგვარად, ბერძნულ-რომაულ წყაროების და საზოგადოთ მსოფლიო ისტორიის ცნობებთან შეთანხმება. სწორეთ ამ-გვარ ცნობებად უნდა ჩაითვალოს ის ცნობები, რომელნიც დღეს გვაინტერესებს, სახელდობრ:

ა) ცნობა მსოფლიო ისტორიისა 298 წლის ხელშეკრულობის შესახებ, რომლითაც რომის იმპერატორებს ქართველ მეფეთა დამტკიცების უფლება მინიჭებიათ;

ბ) ცნობა „ქართლის მოქცევისა“ იმის შესახებ, რომ მირიანი იყო ძე ქართველთა მეფის ლევისა, რომელსაც ასფაგურის შემდეგ უმეფნია, და არა სიძე ასფაგურისა და ძე სპარსთა მეფის ქასრე არდაშირისა, როგორც „ქართლის-ცხოვრება“ მოგვითხრობს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) ცნობა თანამედროვე ამმიან მარცელინისა (დაიბადა 330 წ.) იმის შესახებ, რომ 361 წელს ივერიაში მეფედ იჯდა მერიბანი (=მირიანი); [66])

დ) ცნობა „ქართლის მოქცევისა," რომ მირიანს შემდეგ ტახტი დაიჭირა მისმა ძის-ძემ (შვილიშვილმა) ბაკურმა და არა „ძემ", როგორც „ქართლის-ცხოვრება" გვარწმუნებს; ხოლო ბაკურს შემდეგ—მისმა **ძმამ** თრდატმა და არა „ძემ მირდატმა", როგორც იგივე „ქართლის-ცხოვრება" ამბობს;

ე) აგრეთვე, ცნობა იმავე მარცელინისა იმის შესახებ, რომ 368 წლიდან საქართველოს ტახტზე ორი მეფე ყოფილა დადგენილი: ერთი სპარსელებისაგან—**ასპაკური** და მეორე—რომაელებისაგან **საგრამაკი**; [67])

ვ) მსგავსადვე, ცნობა „ქართლის-მოქცევისა" იმაზე, რომ თრდატის შემდეგ ტახტი რგებია ვარაზ—ბაკურს, რომლის დროსაც სპარსელების გავლენა შესამჩნევათ გაძლიერებულა საქართველოში, და რომლის ჩამომავლობაზედაც აღნიშნული ქრონიკა არას ამბობს. „ქართლის-ცხოვრება" კი გვარწმუნებს, თითქოს იგი ძე ყოფილიყოს „მირდატისა", რომელსაც ვარაზ-ბაკურის წინ „ქართლის მოქცევა" არ იცნობს; [68])

ზ) ცნობა რუფინისა და ბიზანტიის ისტორიისა იმის შესახებ, რომ 380 წლის მახლობლად ბიზანტიაში იმყოფებოდა ერთი ქართველთ მეფეთაგანი, მაშინ უკვე მეფობიდან გადამდგარი, **ბაკური**, რომელიც 394 წელს ტირანს ევგენიოზთან ბრძოლაში მოკლულა; [69])

Თ) უკანასკნელ, ცნობა წმ. პეტრე მაიუმელის „ცხოვრებისა" იმის შესახებ, რომ მამა პეტრესი, „დიდი ვარაზ-

---

[66]) ნახ. *Ганъ*: Извѣстія древнѣйшихъ греч. и римск. писателей о Кавказѣ. Тифлисъ. 1884 г. ч. I, стр. 181.

[67]) იქვე გვ. 185.

[68]) თ. ჟორდანია: ქრონიკები I, გვ. 41—42. შეად. „ქ.-ცხოვრება" I, გვ. 141. 146—147.

[69]) Lebeau, Histoire du Bas-Empire. t. III, p. 337 n. 2; V, 45. 46. 53.

ბაკურ“ თეოდოსე მცირის (408—450 წ.) მეფობის პირველ ნახევარში ცოცხალი ყოფილა. [70])

ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ცნობების შესათანხმებლად საჭიროდ მიგვაჩნია დროებით „ქართლის-ცხოვრების“ დეტალები დავივიწყოთ, საეჭვოდ დავდვათ მისი თქმულება მირიანის სპარსელობაზე და, აგრეთვე, გვერდი ავუაროთ ვახუშტის ქრონოლოგიასაც, რომელიც უმთავრესათ „ქართლის-ცხოვრების“ ცნობებზეა დამყარებული.

უკეთუ ამ ორ პირობას შევასრულებთ, მაშინ შეგვეძლება ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების უმთავრესი ფაქტები, ასფაგურიდან დაწყებული და ვარაზ—ბაკურის მეფობით გათავებული, შემდეგის თანდათანობით წარმოვიდგინოთ:

ასფაგურის სიკვდილის შემდეგ, რომელსაც ვახუშტი 265 წელს დასდებს, საქართველოს ტახტზე ასულა მეფე ლევი, „მამაჲ მირიანისი“, რომელსაც, ჩვენის ფიქრით, უნდა ემეფნოს დაახლოვებით იმ წლამდე, როდესაც რომის იმპერიასა და სპარსეთს შორის ნიზიბისის ხელბეკრულობა მოხდა (298 წ.), რომლის ძალითაც საქართველო რომისგან დამოკიდებულ სამეფოდ იქმნა აღიარებული და ქართველი მეფეები იძულებული გახდენ სამეფო ნიშნები რომის იმპერატორებისაგან მიეღოთ; დაახლოვებით ამავე წელს უნდა მომხდარიყო ლევის ძის, მირიანის, სამეფო ტახტზე ასვლაც. სავსებით ვეთანხმებით განსვენებულის ვ. ვ. ბოლოტოვის აზრს, რომ ამმიან მარცელინის „მეფე მერიბანში გაუჭირვებლად შეგვიძლია ქართული წყაროების მირიანი ვიცნოთ“ [71]), ხოლო მისი მეფობის უკანასკნელ წლად დაახლოვებით ის წელი ვიგულოთ (361

---

[70]) ნახ. Правосл. Палест. Сборникъ. т. XVI, вып. 2: „ცხოვრება პეტრე ქართველისა“ გვ. 3 და 60—61. როგორც სჩანს, რააბეს მიერ გამოცემულ სირიულ ტექსტშიაც პეტრე-ქართველის მამად ვარაზ-ბაკური ყოფილა დასახელებული. შეად. ნ. მარრის სიტყვები, იქვე გვ. XII, სტრიქ. 1—3.

[71]) Христ.-Чтеніе, за 1898 г. апрѣль. стр. 258.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წელი), როდესაც მას ამმიან მარცელინი იხსენიებს. მართალია, ეს თარიღი არ ეთანხმება ვახუშტი ბატონიშვილის თარიღს, რომლითაც მირიანის გარდაცვალება 342 წელს არის ნაჩვენები, მაგრამ ჩვენ უკვე შენიშნული გვაქვს, რომ ვახუშტის ქრონოლოგია უმთავრესად „ქართლის-ცხორების“ ცნობებზეა დამყარებული, ჩვენი კი—„ქართლის მოქცევისა“ და თანამედროვე ამმიან მარცელინისაზე; მაშასადამე, ჩვენთვის სავალდებულო არ არის ის შეცდომები გავიმეოროთ, რომელნიც ვახუშტს ვერ აუცდენია.

ნიზიბისის ხელშეკრულობით დამყარებული წესი, როგორც უკვე შენიშნული გვაქვს, 363 წელსაც ისევ ძალაში ყოფილა დარჩენილი; მაშასადამე, ცხადზედ უცხადესია, რომ მე-III საუკუნის დამლევს და მე-IV-ის პირველ ნახევარში საქართველო რომის სავასსალო ყოფილა, რითაც ძლიერ ადვილი ასაღსნელი ხდება ის ფაქტი, რომ მე-IV საუკუნის პირველ მეოთხედში, იმპერატორის კონსტანტინეს თვით-მპყრობელობის დროს ქართველთა მეფემ ისე ადვილათ მიიღო ქრისტიანობა, რომელსაც ამ დროს სპარსეთმა უკვე ცუდის თვალით დაუწყო ცქერა, როგორც მოქიშპე იმპერიის სახელმწიფოებრივს რელიგიას.[72]) შესაძლოა მირიანი 298 წელზე ცოტა უფრო გვიანაც ასულიყოს ტახტზე, მაგრამ ის კი ყოველ ეჭვს გარეშე უნდა ჩაითვალოს, რომ მისი მეფობა იმ ეპოქას ეკუთვნის, როცა, აღნიშნული ხელ-შეკრულობის ძალით, რომსა და საქართველოს შორის განსაზღვრული პოლიტიკური ურთიერთობა დამყარდა. თქმულის მიხედვით, მირიანის (=მერიბანის) გარდაცვალების წლად ჩვენ 361 წელი მიგვაჩნია, ხოლო ტახტზე ასვლის თარიღად კი 298 ან 300 წელი. ამ ქრონოლოგიით მირიანის მეფობის ხანგრძლივობა 63 წელს არ აღემატება (361—298=63; 361—300=61), რაც, ცხა-

---

[72]) თუ როგორს პოლიტიკას დაადგა სპარსეთი ქრისტიანების მიმართ მას შემდეგ, რაც რომის იმპერატორებმა ქრისტიანობა სახელმწიფოებრივ სარწმუნოებად აღიარეს,—ამის შესახებ ნახ. დიუბუა დე-მონპერეს აზრი (ალ. ჭყონია, ისტორიული ნარკვევი. გვ. 334).

ეროვნული ბიბლიოთეკა

დია, უფრო სარწმუნოა, ვინემ ვახუშტის ქრონოლოგიის ჩვენება, რომლითაც აღნიშნული მეფობის ხანგრძლივობა 77 წლამდე აღწევს (342—265=77).

მირიანის მემკვიდრედ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ მის შვილიშვილს ბაკურს აღიარებს: „და მოკვდა მირიან მეფე და დაეფლა... და დაჯდა მეფედ ბაკურ ძე რევისი“.[73]) ერთადერთი ფაქტი, რომელსაც „ქართლის მოქცევა“ ამის მეფობაში უჩვენებს, არის წილკნის ეკლესიის აშენება. თუ მაშინდელი ეკლესიების არხიტექტურას მივიღებთ მხედველობაში, ვეჭობთ ამ საქმეს 3—4 წელზე მეტი დრო მოანდომებოდეს. ამიტომ იმავე ქრონიკის ცნობა, ვითომც ბაკურს წილკნის ეკლესიის აშენებაზე 25 თუ 34 წელი დაეხარჯოს, ძლიერ საეჭვო ქრონოლოგიურ ცნობად უნდა ჩაითვალოს. საყურადღებოა, აგრეთვე, ის გარემოებაც, რომ ბაკურის სიკვდილს „ქართლის მოქცევა“ წილკნის ეკლესიის დასრულებისათანავე მოიხსენებს: „ამან ბაკურ დაიწყო წილკნისა ეკლესიასა და განიშორა... და მოკვდა“.[74]) ბაკურის მიერ წილკნის ეკლესიის აგებას და მის გარდაცვალებას „ქართლის ცხოვრება“-ც „ქართლის მოქცევის“ თანახმათ აღწერს, თუმცა წლებს არ აღნიშნავს.[75])

ბაკურის შემდეგ, „ქართლის მოქცევით“, საქართველოს ტახტი მის ძმას **თრდატს** რგებია, რომლის მეფობაშიაც, აგრეთვე, ერთი ეკლესიის (ნეკრესის) განსრულებაა აღნიშნული, ხოლო რუსთავში—რუჲს გამოღება და ეკლესიის საფუძვლის დადება. ამისავე დროს იწყებს მღვდელ-მთავრობას საქართველოში სომხის კათალიკოსის ნერსეს ნადიაკვნარი იობ.[76]) დაახლოვებით ამავე ფაქტებს იხსენიებს „ქართლის-ცხოვრება“ **მირდატის** მეფობაშიაც: მისი ყურადღება უმეტესათ სამხრეთის საქართველოსკენ (კლარჯეთი, ერუშეთი, წუნდა)

---

[73]) ქრონიკები I, გვ. 39—40

[74]) იქვე გვ. 40—41.

[75]) ქართლ.-ცხოვრება I, გვ. 139—140.

[76]) ქრონიკები I, გვ. 41.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო მიქცეულიო,[77]) სადაც, სხვათა შორის, იმყოფებოდა რუსთავიც, რომლის ეკკლესიის საფუძვლის ჩაგდებას „ქართლის-მოქცევა“ თრდატს მიაწერს. „ქართლის ცხოვრებითვე“ მირდატის დროს „მოკვდა იაკობ ეპისკოპოსი და დაჯდა იობ სომეხი, ნერსე კათალიკოზისა დიაკონი“.[78]) მეორე მხრით, სიტყვები „მირდატ“ და „თრდატ“ იმდენათ ჰგავს ერთმანეთს, რომ საკმაო უნდა ყოფილიყო, ხუცურათ გინა მხედრულად დაწერილს მარცვალ-„მი“-ში, რომელიც ძველ ხელთ-ნაწერებში თითქმის მუდამ გადაბმულათ იწერება („მი“), ასოს „მ“-ს თავი წაშლოდა ან სიტყვა—„თრდატ“-ში „თ“-ნს ზემოდან მცირეთ მოხრილი ხაზი მიბმოდა, და ეს ორი სახელი ერთმანეთში არეულიყო. ყოვლისავე თქმულის მიხედვით, გადაჭრით შეგვიძლია ვთქვათ, რომ „ქართლის ცხოვრების“ **მირდატ** და „ქართლის მოქცევის“ **თრდატ** ერთი და იგივე პირია.

ამ რიგათ, მირიანს შემდეგ (+361 წ.), ჩვენი წყაროებით, ორ პირს უმეფნია: ბაკურსა და თრდატს (=მირდატს). საკმაო საფუძველი არა გვაქვს ამ ორ მეფეთა სინამდვილე უარ-ვჰყოთ; მხოლოდ საჭირო ხდება მათი მეფობის დროდ 361—368 წელი დავნიშნოთ, რადგან 368 წლიდან ამმიან მარცვლინი მოიხსენებს უკვე ორს ივერთა მეფეს, როგორც თანამედროვეებს: **სავრომაკს** და **ას-ბაკურს**, რომელთაგან პირველი რომაელებისაგან ყოფილა დადგენილი, უკანასკნელი კი—სპარსელებისაგან. სავრომაკს ქართული წყაროები არ იხსენიებს, ალბათ მიტომ, რომ მისი **ფაქტიური** მეფობა საქართველოში ფრიად მცირე ხნოვანი უნდა ყოფილიყო. რაც შეეხება **ას-ბაკურს**, როგორც ქართული წყაროების ცნობა, ისე ამმიან მარცვლინის მოწმობა ერთობით ხელს გვიწყობს ამ სახელში „ქართლის მოქცევის“ **გარაზ-ბაკური** დავინახოთ. ამიან მარცელინის თქმით, რომელიც თანამედროვეა მის მიერ აღწერილი ამბებისა (დაიბ.

---

[77]) ქ.-ცხოვრება I, გვ. 140.
[78]) იქვე გვ. 140.

330 წ.), ას-პაკური საქართველოში სპარსელებისაგან ყოფილა დადგენილი, მაშასადამე, იმ დროს სპარსელების გავლენა ამ ქვეყანაში უკვე საკმაოდ გაძლიერებულა. და „ქართლის-მოქცევაც“ მოგვითხრობს, რომ თრდატის შემდეგ „დადგა ვარაზ-ბაკურ მეფედ; და მისაზევე სპარსთა მეფისა მარზაპარნი შემოვიდეს სივნიეთა, და იგი ხიდარდ უკუჯდა, და მთავარ-ეპისკოპოსი იყო იგივე იობ; და მაშინ მოვიდა ქრამ-ხუარ-ბორ-ზარდ სპარსთა მეფისა პატიახში ტფილისად ქალაქად ციხედ და ქართლი მისსა ხარკსა შედგა და სომხითი და სივნიეთი და გუასპურაგანი“.[79]) თვით ამმიან მარცვლინისავე მოწმობით, სავრომაკი სპარსელების მიერ იქნა განდევნილი საქართველოდან და მხოლოდ რომაელთა ლეგიონების წყალობით ეღირსა ტახტის დაბრუნება, თუმცა სულ კი ვერა: ნახევარ სამეფოს გამგედ სპარსელებისაგან დადგენილი ას-პაკურივე დარჩენილა.[80]) ამათ შემდეგ მე-VI საუკუნემდე ბიზანტიური წყაროები ქართველ მეფეებს აღარ იხსენიებს. თვით მარცელინმა არ იცის, თუ საბოლოოოთ რა ბედი ეწიათ სავრომაკსა და ას-პაკურს. ეს გარემოება ნებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ სავრომაკს ფაქტიურათ დიდხანს აღარ უნდა ემეფოს საქართველოში. რაც შეეხება **ასპაკურს**, რომელშიაც ჩვენ მცირეოდნათ სახელ-შეცვლილს **ვარაზ-ბაკურს** ვცნობილობთ, იგი 368 წლიდან მოკიდებული უცვლელად საქართველოს მეფედ დარჩენილა და 412 წელს მამა გამხდარა წმ. პეტრე ქართველისა. ნიკ. მარრისა და ჟორდანიას ანგარიშით, წმ. პეტრე 412 წელს უნდა დაბადებულიყო;[81]) მაშასადამე, ვირაზბაკურის (ასპაკურის) სიკვდილი ამ წლის შემდეგ უნდა მომხდარიყო და არა 394 წელს, როგორც ვახუშტის ქრონოლოგია უჩვენებს. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ იმ დროს,

---

[79]) ქრონიკები I, გვ. 42—43.

[80]) *Ганъ*, Извѣстія... стр. 187—188.

[81]) ქრონიკები I, გვ. 43 შენიშვნ. 86.—Прав. Пал. Сборникъ т. XVI, вып. 2. стр. XXXVII.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა თორმეტის წლის მურვანოზი (=პეტრე) ბიზანტიაში მძევლად წაიყვანეს, მამა მისი ვარაზბაკური ცოცხალი იყო (ნახ. ზემოთ შენიშენ. 70),—ყოველ ეჭვს გარეშე უნდა ჩაითვალოს, რომ უკანასკნელის სიკვდილი 424 წელზე ადრე ვერ მოხდებოდა. ამ საბუთების მიხედვით, ვარაზ-ბაკურის (=ას-პაკურის) მეფობას ჩვენ დავდებთ 368—425 წელს.

ახლა ვიკითხოთ: ვინ იყო ის ივერთა „მეფე ბაკური", რომელსაც რუფინისთვის ქართველთა მოქცევის ამბავი გადუცია და 380 წელს უკვე ბიზანტიელთა სამსახურში ყოფილა ჩარიცხული, ხოლო 394 წელს ტირანს ევგენიაზთან ბრძოლაში მოკლულა? ცხადია, ეს ბაკური ვარაზ-ბაკური არ არის, რადგან უკანასკნელი 425 წლამდე ცოცხალი იყო და საქართველოს ტახტი არ დაუტოვებია. მაშ ვინ უნდა აყოს იგი? გადაჭრით შეგვიძლია ვთქვათ, რომ რუფინის ბაკური (Bacurius) არის ჩვენი მეფე ბაკური, რევის ძე და მირიანის მემკვიდრე, რომელსაც, ჩვენის ანგარიშით, სულ სამს ან ოთხს წელს უნდა ემეფნა (361—364 წ.). მხოლოდ საჭიროა ის, რასაც ამ მეფის შესახებ პროფ. ბოლოტოვი და ბ. თ. ჟორდანია [82]) ამბობენ, შემდეგნაირად გადავაკეთოთ: 364 წელს ან მის მახლობლათ მირიანის მემკვიდრე ბაკური არ მომკვდარა; არამედ ან თვისი ძმის თრდატისაგან ძალით ტახტიდან ჩამოგდებულა, ან თვითვე დაუთმია მისთვის ტახტი და საბერძნეთში წასულა, სადაც იგი შესაფერისი პატივით მიუღიათ და პალესტინის საზღვრებზე ჯარის-უფროსობა მიუნდვიათ. ამ ბაკურს რუფინი დიდათ მორწმუნე და სათნო ადამიანად ჰხადის, და ქართულ წყაროებშიაც საბუთები გვაქვს მის ამგვარს ღახასიათებას სავსებით დავეთანხმოთ.

ამ რიგათ, ჩვენი საბოლოო დასკვნა შემდეგს აზრს შეიცავს:

პირველი ქრისტიანი მეფე საქართველოსი იყო მირიანი; ამას მოწმობს როგორც ყველა ქართული, ისე სომხური

---

[82]) შეად. ქრონიკები I, გვ. 41, შენიშვნ. 82.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყაროები;[83]) ამას არ ეწინააღმდეგება რუფინის მოწმობაც, ხოლო ამმიან მარცელინის თქმულება (მერიბანზე), „ქართლის მოქცევის“ ცნობასთან (ლევიზე) ერთად, სრულიად ახალ შუქსა ჰფენს ამ მეფის ცხოვრების ქრონოლოგიას. მირიანი არც სპარსი ყოფილა და არც სპარსთა მიერ დაყენებული, არამედ რომის ვასსალი იყო და იქიდანვე ჰქონდა სამეფო ნიშნები მიღებული 298 წლის მახლობლათ. იგი თანამედროვეა, როგორც იმპერატორის კონსტანტინე დიდისა (306—337 წ.), აგრეთვე მისი მემკვიდრეებისაც 361-წლამდე. ხოლო თუ მისი მეფობის დრო ვახუშტს შეცდომით აქვს ნაჩვენები, ეს მარტო ამ მეცნიერი ბატონიშვილის ბრალი არ არის, არამედ იმ საქრონოლოგიო და საისტორიო მასალისაც, რომელიც მას ხელში ჰქონებია (უმთავრესათ „ქართლის-ცხოვრება“). ამ მასალის უმთავრესი ტენდენცია ქართველ მეფეთა შესახებ, როგორც უკვე შენიშნული გვაქვს, იმაში გამოიხატება, რომ თითქმის ყოველ წარჩინებულ მეფეს ძველი პერიოდისას სპარსულ ჩამომავლობას მიაწერს; „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-კი ამ ტენდენციას მოკლებულია და ამდენათ ჩვენს მოსაზრებას უფრო ამართლებს.

ახლა კი დროა გაწყველილ სიტყვას დავუბრუნდეთ და ქართველთა მოქცევის ისტორია განვაგრძოთ.

როცა მეფე მოიქცაო,—ამბობს რუფინი,—შეჰყარა ერი, შეატყობია, რაც მას და დედოფალს შეემთხვათ, და წინადადება მისცა ახალი სარწმუნოება მიეღო; ერთი სიტყვით, იგი შეიქნა მოციქული თვისის ერისა; ამავე დროს დედოფალი ქალებში მოქმედობდა: ამ საერთო მოღვაწეობის შედეგი ყოფილა ის, რომ ხალხს თანხმობა გამოუცხადებია სარწმუნოების გამოცვლაზე[84]) და, რამდენისამე ხნის შემდეგ, ეკლე-

---

[83]) შეად. Исторія Арменіи, Моисея Хоренскаго. Нов. перев. Эмина. 1893 г. стр. 132.

[84]) „Jgitur rex totius gentis populo convocato, rem ab initio quae erga se ac reginam gesta fuerat, exponit fidemque edocet et nondum initiatus in sacris fitsuae gentis apostolus. Credunt viri per regem, feminae per reginam: cunctisque idem volentibus Ecclesia extruitur instanter“. Хахановъ, Источники... გვ. 5. შეად. იქვე გვ. 7 და 9.

ეროვნული ბიბლიოთეკ

სიის აშენებასაც შესდგომია. ეს ის ეკლესიაა, —მოკლედ შენიშნავს „ქართლის მოქცევა,“—სადაც „სვეტი იგი იყო ძელისა, რომელი თვით აღემართაო“.[85]) ხოლო როცა ეკლესია განსურლებულ-იქმნაო,—განაგრძნობს რუფინი,—ტყვის რჩევით კონსტანტინე იმპერატორთან ელჩები გაგზანეს, საქმის მიმდინარეობა აცნობეს და სამღვდელოება ითხოვესო; იმპერატორს ძლიერ სასიხარულოდ დაურჩა ეს ამბავი, ელჩებს ყოველივე სათხოვარი აუსრულა და დიდის პატივით გამოისტუმრაო.[86])

აქ რუფინის მოთხრობა ერთბაშათ სწყდება. მას აღარ აინტერესებს არც ის, თუ სახელდობრ რა და რა ღირსების სასულიერო პირთაგან შესდგებოდა ის სამღვდელოება, რომელიც კონსტანტინემ საქართველოში გამოგზანა, და არც ის, თუ რა ბედი ეწია ახლად დანერგულს ივერთა ეკლესიას, როცა იქ სამღვდელოება გაჩნდა და მოქმედება დაიწყო. ამ ნაკლს მცირეოდნათ თეოდორიტე კირელი ავსებს, როცა ამბობს, რომ „როდესაც კონსტანტინემ მოციქულთა მოსვლის მიზეზი შეიტყო, ელჩები დიდის სიხარულით მიიღო, მერე ამოარჩია კაცი შემკული სარწმუნოებითა, გონებითა და კეთილის ცხოვრებით, ღირსქმნილი ეპისკოპოსობისა, გაგზანა (საქართველოში) საქადაგებლად და თანაც მრავალი საჩუქარი გაატანაო“.[87]) მაგრამ ყველაზე უფრო გარკვეულათ ამ საგნის შესახებ, როგორც მოსალოდნელიც იყო, ისევ „ქართლის მოქცევის“ ქრონიკა მოგვითხრობს. იგი ამბობს: „და ვითარცა აღაშენეს ეკლესია, წარავლინა (მეფემან) მოციქული და წიგნი ნინოსი საბერძნეთა მეფისა კოსტანტინესა თხოვად მღუდელთა; ხოლო იგინი მსწრაფლ მიიწინეს; და მოსცა მეფემან (კოსტანტინემ) **ალვანე ეპისკოპოსი და ორნი მღუდელნი და ერთი დიაკონი**

---

[85]) ქრონიკები I, გვ. 29.—ამ ამბავს უფრო ვრცლად ბიზანტიური წყაროები მოგვითხრობს. შეად. Хахановъ, loc. cit. стр. 5. 8. 9.—ნახ. მსგავსივე მოთხრობა წმ. ნინოს „ცხოვრების“ ყველა ვარიანტებში.

[86]) Хахановъ, Источники... стр. 6.

[87]) *Хахановъ*, Источники... стр. 11.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და წიგნი ელენე დედოფლისაჲ და ხატი მაცხოვრისაჲ და ძელი ცხოვრებისაჲ ნინოჲსთვის. **და ვითარცა მოვიდეს, ნათელი მაიდო მიერვან მეფემან და დედოფალმან და ყოვნლმან სახლმან მათმან**".[88])

საინტერესოა, რომ არც სამღვდელოების რიცხვზე, არც ელენე დედოფლის წერილზე, არც მაცხოვრის ხატზე და არც „ძელი-ცხოვრების" (მაცხოვრის ჯვრის ნაწილთა) გამოგზავნაზე არავითარ ცნობას არ იძლევა ეგრედ წოდებული „ახალი" ანუ შატბერდისეული ვარიანტი წმ. ნინოს „ცხოვრებისა". იგი ამბობს მხოლოდ: „მაშინ მოვიდეს მოციქულნი საბერძნეთით, მღვდელთ-მოძღვარი, მღვდელნი და დიაკონი, და იწყეს ნათლისცემად, **ვითარცა ზემო წერილი არს**". [89]) მაგრამ „ზემო" კი ერთი სიტყვაც არაა ნათქვამი ამ საგნის შესახებ. რას ნიშნავს ეს? ნუ თუ ზმნისართი „ზემო" იმ სიტყვებს ეკუთვნის, რომელნიც ჩვენ „ქართლის მოქცევის" ქრონიკიდან ამოვწერეთ, იმ ქრონიკიდან, რომელიც შატბერდისეულ კრებულში წმ. ნინოს „ცხოვრებას" წინ უზის და მასთან ერთად ატარებს სათაურს: „მოქცევაჲ ქართლისაჲ".[90]) მაგრამ მაშინ ხომ აშკარათ გამოჩნდება, რომ წმ. ნინოს „ცხოვრების" ის მე-11 თავი, სადაც აღნიშნული სიტყვებია მოტანილი, სიდონიას დაწერილი კი არ ყოფილა, როგორც ამ თავის სათაური და პირველ-პირული მოთხრობა გვარწმუნებს, არამედ სრულიად სხვა პირისა, რომელსაც „ქართლის მოქცევის" ქრონიკის უუძველესი ნაწილის გადაწერის შემდეგ უნდა ეცხოვრა, ე. ი. არა უადრეს მე-VII საუკუნისა. ჩვენთვის კი უამისოთაც ცხადია, რომ შატბერდისეული ვარიანტი, თუმცა პირველი-პირითაა დაწერილი, მაგრამ მაინც ყოვლად შეუძლებელია წმ. ნინოს „ცხოვრების" უუძველეს ვარიანტად ჩაითვალოს. მასზე ბევრათ უფრო ძველი ის ვარიანტი უნდა ყოფილიყო, რომელიც „ქართლის მოქცევის"

---

[88]) ქრონიკები. I, გვ. 31.

[89]) ე. თაყაიშვილი: „ახალი ვარიანტი..." გვ. 50.

[90]) ნახ. წერა-კითხვ. საზოგ. ხელნაწერი № 1141, გვ. 433—496.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქრონიკას უძევს საფუძველად და რომლითაც, უეჭველია, უნდა ესარგებლინოსთ შემდეგში ეგრედ წოდებულის „Chronique Armeniene"-ისა და „ქართლის ცხოვრების" შემდგენელთ, აგრეთვე შემდგენელთ წმ. ნინოს „ცხოვრების" იმ ვარიანტებისა, რომელთაც კი ჩვენ ხელი მიგვიწვდა და რომელნიც „ქართლის-მოქცევის" ქრონიკასთან, „Chronique Armeniene"-სა და „ქართლის ცხოვრებასთან" ერთათ აღიარებენ, რომ კონსტანტინესაგან მოსული ეპისკოპოსი იყო იოანე, რომ იმ დროს ელენე დედოფალი ცოცხალი იყო და „ძელი ჭეშმარიტიც" აღმოჩენილიო.[91]) „ქართლის ცხოვრება" მოგვითხრობს, რომ კონსტანტინესაგან მირიანმა მიიღო „ერთი ეპისკოპოსი იოანე, ორი მღვდელი და სამი დიაკონი", მიიღო აგრეთვე, საჩუქრები, წიგნი თვით იმპერატორისა და ელენე დედოფლისა, ხოლო რამდენისამე ხნის შემდეგ ახლად აღმოჩენილის „ძელი პატიოსნის' ნაწილები და კალატოზებიცაო.[92]) ამასვე იმეორებს „Chronique Armeniene"-იც, თუმცა იგი ელენე დედოფლის წერილზე არას ამბობს, მაგრამ შენიშნავს კი, რომ კონსტანტინეს სიხარულს ქართველთა მოქცევის გამო ელენე დედოფალიც თანაუგრძნობდაო[93]). რაც შეეხება იმ გარემოებას, რომ წმ. ნინოს „ცხოვრების" შატბერდისეულ ვარიანტში აქ დასახელებული ცნობები არ მოიპოება, ამისი აღსნა მეტათ ადვილია მისთვის, ვინც მხედველობაში მიიღებს, რომ აღნიშნული ვარიანტის პირდაპირი მიზანი აპოლოგეტიურ და მოძღვრებითი ხასიათისაა და არა რაიმე ისტორიულ-მეცნიერული ცნობების მოწოდება. ამ ვარიანტის დამწერი ცდილობს მკითხველებს დაუმტკიცოს,

---

[91]) შეად· საბინინის: „საქართველოს სამოთხე", გვ. 143; აგრეთვე საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერები № 160, გვ. 308—309; № 170, გვ. 348. 352; № 176; აგრეთვე არსენ კათალიკოზის (მე-X საუკ.) მიერ შედგენილი „ცხოვრება წმ. ნინოსი", გამოც. საეკლ. მუზეუმისა. ტფილისი 1902 წ. გვ. 35—36, და სხვანი.

[92]) ,,ქართლის-ცხოვრება'' I, გვ. 125. 126.

[93]) Brosset: Addit. et eclaircissem., p. 28.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ქართველთა განმანათლებელი ჩამომავლობითაც ღირსეული პირი იყო და თვის მოქმედებაშიაც ყოველ ნაბიჯზე ზესთა-ბუნებრივ ძალთა შემწეობით ხელ-მძღვანელობდაო, —რომ ქართველთა მოქცევა და ახალ რჯულზე განმტკიცება მთლათ ერთიანათ ამ ზესთა-ბუნებრივ მოვლენათა შედეგი იყო და არა ქვეყნიურ გარემოებათა და კერძო პირთა მოქმედებით გამოწვეული მოვლენაო. მარტო ამ მიზნით აიღსნება აღნიშნული ვარიანტის თითქმის სრული უყურადღებობა **ისტორიულ გარემოებათადმი** და იმავე დროს ფრიად დიდი ყურადღების მიქცევა **სასწაულებზე**; ამავე მიზნით აიღსნება მისი გარეგანი ფორმაც: მოთხრობა პირველი პირით, მესამე პირის ნაცვლათ, და მოამბეებადაც თანამედროვე პირების გამოყვანა (ნინო, სალომე უჯარმოელი, სიდონია, აბიათარ, იაკობ და მირიანი).[94]) ამით, რასაკვირველია, ჩვენ იმის თქმა კი არა გვსურს, თითქოს ის სასწაულ-მოქმედებანი, რომელნიც წმ. ნინოს „ცხოვრების“ შატბერდისეულ ვარიანტშია მოხსენებული, მისი ავტორის გამოგონილი იყოს ან განგებ გაზვიადებული; ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ „ცხოვრების“ ავტორს ამ სასწაულთა შესახებ მხოლოდ თქმულებათა შეკრება და წინდაწინვე განსაზღვრულ გეგმაზე დალაგება უნდა ეკუთვნოდეს და არა მათი შეთხზვა: შეთხზული ამბით, თუ მას თვით ხალხის თქმულებაში არა აქვს საფუძველი, ვერავის დაარწმუნებთ,—და ეს, რასაკვირველია, „ცხოვრების“ შემდგენელსაც კარგად ეცოდინებოდა. ამ მხრით ჩვენი „ცხოვრების“ ავტორი ძლიერ მიემსგავსება ბიზანტიელს მღვდელ-ისტორიკოსს რუფინს, რომელსაც ბაკურ-მეფის ნაამბობიდან მხოლოთ ის შეუტანია თავის „საეკლესიო ისტორიაში“, რაც უფრო მეტათ აოცებს და იზიდავს მორწმუნე ადამიანის გულსა და გონებას, სახელდობრ საკმაოთ ვრცელი თქმულებანი წმ. ნინოს მიერ მოხდენილ სასწაულებზე და სვეტის აღმართვაზე,—[95]) და თითქმის სრულიად უყურადღებოდ დაუტო-

---

[94]) თაყაიშვილი. ,,ახალი ვარიანტი...'', გვ. 3, 20, 29, 51, 55 68

[95]) Хахановъ, Источники... 4—5.

ეროვნული ბიბლიოთეკ

ვებია ის ისტორიული მოვლენანი და გარემოებანი, რომელნიც პოლიტიკურ და საეკლესიო სფერაში ქართველთა მოქცევას წინაურბოდა, ზოგი თან ახლადა და ზოგთაც ბიზანტიიდან სამღვდელოების მოსვლის შემდეგ უნდა ჰქონებოდა ადგილი. ერთ ამგვარ მოვლენად უნდა ჩაითვალოს, რა თქმა უნდა, ქრისტეს სარწმუნოების გავრცელება მცხეთიდან საქართველოს სხვა და სხვა პროვინციებში; ეს ამბავი საკმაო სისრულით აწერილია, როგორც „ქართლის მოქცევის“ ქრონიკაში, ისე „ქართლის ცხოვრებაშიაც“; ძნელი დასაჯერებელია ამ მოვლენის შესახებ ბაკურ-მეფესაც არა ცოდნოდეს რა და თვის მეგობარ რუფინისათვის არაფერი ეამბოს, მაგრამ უკანასკნელი მის შესახებ ერთ სიტყვასაც არ ამბობს, შატბერდისეული ვარიანტი კი მხოლოთ გაკვრით იხსენიებს, რომ „მაშინ დაუტევა წმიდამან ნინო მცხეთა ქალაქი და წარვიდა მთეულთა ხარებად პირუტყვთ-სახეთა მათ კაცთა და შემუსვრად კერპთა მათთაო“,[96] და იმწამსვე ისევ სასწაულების აღწერას უბრუნდება. ცხადია, როგორც რუფინს, ისე შატბერდისეული ვარიანტის ავტორს ზესთა-ბუნებრივი მოვლენანი უფრო აინტერესებს, ვინემ ქვეყნიურ და ბუნებრივ მოვლენათა დეტალები. რაღა თქმა უნდა, ამგვარს ავტორებს ჩვენ ისეთს დაწვრილებითს ცნობებს ვერ მოვსთხოვთ, როგორიცაა, მაგალითად: საბერძნეთიდან მოსულ სამღვდელო პირთა სახელი, ხარისხი და რაოდენობა, ელენე დედოფლის თანამედროვეობა ამ მოვლენისა, წმ. ნინოს თაოსნობით შემდგარი მისსიის ორგანიზაცია, მისი სამოქმედო რაიონის სივრცე და მოქმედების ხასიათი და სხვ. ამ გვარს ცნობებს მარტო „ქართლის მთქცევის“ ქრონიკა და „ქართლის ცხოვრება“ იძლევა, რაც თავისთავათაც ადვილი გასაგებია, რადგან, როგორც ისტორიულ წყაროებს, მათ უფრო ისტორიული გარემოებანი და ქვეყნიურ მოვლენათა დეტალები ეინტერესება, ვინემ სასწაულები და სხვა მსგავსი ზესთა-ბუ-

---

[96]) თაყაიშვილი. ახალი ვარიანტი... გვ. 59.

ეროვნული ბიბლიოთეკ

ნებრივი მოვლენანი. ეს განსაკუთრებით „ქართლის მოქცევის“ ქრონიკაზე უნდა ითქვას.

ამ ქრონიკაში ჩვენ ვკითხულობთ: „მაშინ,—ე. ი. როცა თითქმის მთელი ბარის ქართლი „წარემართა“ ქრისტეს სარწმუნოებაზე,—ნეტარმან მან დედაკაცმან ნინო წარიყვანა იაკობ მღვდელი, საბერძნეთით მოსრული, და ერისთავი ერთი, წარვიდა, და დადგა წობენს და მოუწოდა მთეულთა: ჭართალელთა და ფხოელთა და წილკანელთა და უქადაგა სარწმუნოებაჲ ქრისტესი; ხოლო მათ განუყარეს თავი და ერისთავმან მცირედ წარმართა მახვილი და შიშით მოსცნეს კერპნი მათნი დალეწად; და გარდავიდა ერწუდ და დადგა ჟალეთს, დაბასა ედემს, და ნათელსცა ერწუ-თიანელთა; და ყუარელთა ესმა ესე და გარდაკრბეს თოშეთა...; და ნინო შთავიდა კხოეთა და დადგა კაწარეთს და მონათლნა კხოელნი და სოჯნი ერითურთ მათით; და გარდავიდა კახეთა და დადგა ქცელდაბას და მოიყვანნა კაცნი მთავარნი და მონათლნა“ [97]). დაახლოვებით ამავე ადგილებს უჩვენებს მოსე ქორენელის ისტორიაც: „ნეტარი ნუნუ გაემგზავრა—რათა თვისი წმინდა ბავით დაემოძღვრა ივერიის სხვა ოლქებიც;... გავკადნიერდებით და ვიტყვითო, განაგრძობს იგი,—რომ მას შემდეგ, რაც იგი მოციქული შეიქნა, მან იქადაგა კხარჩებიდან დაწყებული ალანის ბჭეთა \ და კასბის მახლობლათ მასკუტების საზღვრებამდეო“.[98]) ალანის ბჭენიო, განმარტებს პროფ. ემინი,—ეს კასპიის ჭიშკრებია, რომელსაც ძველები იცნობდენ, მასკუტები—მასსაგეტებია, ხოლო **კხარჩა**—დიდ სომხეთში, გუგრის ოლქშიაო.—[99]) ამ თავისთავადაც ძვირფას ისტორიულ ცნობებს „ქართლის-ცხოვრება“ დასძენს, რომ, როცა მეფე მირიანმა წმ. ნინოს და ეპისკოპოსს თავისი სურვილი განუცხადა: „მნებავს ესრეთ, რათა იძულებით, მახვილითა მოვაქციენით მთეულნი და სიძე ჩემი ფროზიო,“—მაშინ წმ. ნინომ

---

[97]) ქრონიკები I, გვ. 32—33.
[98]) „Исторія Арменіи Моис. Хоренск.“ стр. 133.
[99]) იქვე გვ. 266.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უპასუხაო: „არა ბრძანებულ არს უფლისაგან მახვილისა აღებაჲ.., არამედ... სახარებითა და პატიოსნითა ჯვარითა ვუჩვენოთ გზა ჭეშმარიტებისა, მიმყვანებელი ცხოვრებად საუკუნოდ და მადლმან ღვთისამან განანათლოს ბნელი იგი გულთა მათთა.“ ხოლო, როცა ზოგიერთმა მთიულებმა მართლაც უარი განაცხადეს ახალი სარწმუნოების მიღებაზეო,— ამბობს იგივე მატიანე,—მაშინ მეფემ ერთგვარი საშუალება იხმარაო, სახელდობრ, „დაუმძიმა მათ ხარკი“,[100]) ე. ი. ნივთიერ ღონისძიებას მიმართაო, რასაც, რასაკვირველია, საკმაო გავლენა ექნებოდა იმ მთის მცხოვრებლებზე, რომელნიც საზოგადოთ ყველა ისტორიულ ეპოქებში და თითქმის ყველა ქვეყნებში თვისი კონსერვატორობით არიან ცნობილნი.

ამ რიგად: მღვდელი, თვით წმ. ნინო და ერთიც ერისთავი (მათ-მათი მხლებლებით, რასაკვირველია),—აი ვისგან შესდგებოდა ის პირველი მისსია, რომელმაც მირიანის დროს საქართველოში მოქმედება დაიწყო;

თითქმის მთელი აღმოსავლეთის საქართველო და მთიულეთი, —აი ამ მისსიის სამოღვაწეო ასპარეზი;

ზოგან „მცირედ წარმართვა მახვილისა“, ზოგან „დამძიმება ხარკისა“, უმთავრესად კი—სახარების ქადაგებით და სწავლა-მოძღვრებით ჭეშმარიტი გზის ჩვენება,—აი, მოკლედ, ამ მისსიის მოქმედების ხასიათი.

ამგვარს მოღვაწეობაში დაჰყო წმ. ნინომ რამდენსამე წელს; შემდეგ, ბევრი ჯაფისაგან „დასნეულდა და წარმოემართა მცხეთად; და ვითარცა მოიწია კხოეთას დაბასა, რომელსა ჰრქვიან ბოდინი (=ბოდბე), ვერღარა ეძლო სლვად... და (მუნ) შეჰვედრა სული თვისი ხელთა ღვთისათა“.[101])

ასე დასრულდა ამ დიდებული დედაკაცის მოციქულებრივი მოღვაწეობა საქართველოში.

ს. გორგაძე.

(შემდეგი იქნება)

---

[100]) ქ.-ცხოვრება I, გვ. 134.
[101]) ქრონიკები I, გვ. 37—41.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანამედროვე ევე ცარია

ბ. ბერლინისა.

(დასასრული *)

თავისუფალი პოლიტიკური დაწესებულებანი თითქმის სულ წვრილმა ბურჟუაზიამ ჩაიგდო ხელში. მუშათა კლასი მაშინ მცხოვრებთა სულ მცირე ნაწილს შეადგენდა და თავისს შეხედულებითა და ხასიათით ამ წვრილ ბურჟუაზიას უახლოვდებოდა. პირველად რომ მუშებმა კავშირების შედგენა დაიწყეს, არც კი ესმოდათ, თუ კლასობრივის ინტერესებისათვის ბრძოლა რა ხილი იყო.

მუშათა პირველს კავშირს სახელად „ადამიანთა ზნეობრივი საზოგადოება“ ერქვა და აზრადა ჰქონდა აღეზარდა ისეთი მოქალაქენი, რომელთაც კარგად სცოდნოდათ თავისი უფლება-მოვალეობანი. პირველად ეს კავშირი ცხადათა ჰგმობდა ყოველსავე კლასობრივს ბრძოლას. როდესაც ბლიუნჩლიმ თავისს მოხსენებაში შვეიცარიის მუშათა კავშირს სახელად „ხელოსანთა კავშირი უწოდა, რომელიც პოლიტიკურს გაერთიანებას ცდილობსო“, მაშინ მუშათა კავშირმა უპასუხა, რომ „კავშირები მუშათა განსაკუთრებულს ინტერესებს არ იცავენ, პირ-იქით, ყველა წოდებათა ძმობა-ერთობასა სცდილობენ და უნდათ მთელ ხალხთა შორის ბედნიერება დაამყარონო“.

---

*) იხ. „მოამბე“ № II.

ეროვნული ბიბლიოთეკ

ვხედავთ ამრიგად, რომ პოლიტიკურ თანასწორობის ატმოსფერაში ეკონომიური უთანასწორობა-განხეთქილება სრულიად იკარგებოდა. ყოველივე ეს გაბატონებულს კლასებს „სოციალურ მშვიდობიანობის“ ნიადაგზე აყენებდა; არსებულ წეს-წყობილების შეცვლის შიში რეაქციის მორევში არა ჰფლავდა შვეიცარიის ბურჟუაზიას.

ყველგან და ყოველთვის, ყველა დაწესებულებაში, ქალაქისა თუ კომუნალურს თვით-მართველობაში, სხვა-და-სხვა კლასების წარმომადგენელნი მუდამ ერთად მოქმედებდნენ, როგორც თანასწორნი; პოლიტიკური თანასწორობა აყუჩებდა იმ ჭრილობებსა და ტკივილებს, რომელსაც სოციალური უთანასწორობა ჰქმნიდა; ჰქრებოდა თვით ამ უთანასწორობის შეგნებაც.

აი, ამ სუბიექტიურმა ფაქტორებმა შეუწყეს ხელი იმ გარემოებასა, რომ შვეიცარიის დემოკრატიზმმა გადააფუჩეჩა სოციალური განხეთქილება და მის წინააღმდეგ ბრძოლას ძირი გამოუთხარა.

როგორც ზევით დავინახეთ, ობექტიური პირობებიც ამას უწყობდა ხელსა. წარმოების წვრილი ფორმის ბატონობა და კერძო მესაკუთრეთა სიმრავლე ჰფარავდა და აყუჩებდა კლასობრივ უთანასწორობა-განხეთქილებასა.

ყველა ზემოდ ჩამოთვლილმა მიზეზებმა კი შეათანხმა შვეიცარიის ცხოვრების ერთმანეთის მოწინააღმდეგე ელემენტები, რომლებიც სხვა ქვეყნებში ერთმანეთს ებრძვიან და ეხეთქებიან. ფართო პოლიტიკური თავისუფლება-თანასწორობა, სხვა-და-სხვა კლასის წარმომადგენელთა ერთად მოქმედება კომუნალურ და ქალაქურ ცხოვრების გასაუმჯობესებლად, ამავე დროს მსხვილი წარმოების განუვითარებლობა,— ყოველივე ეს ოპოზიციონურს ხასიათს უკარგავდა შვეიცარიის პროლეტარიატს; ამავე გარემოებაში მყოფი ბურჟუაზია კი ნაკლებ მშიშარა და უფრო დამთმობი ხდებოდა, ვინემ ეგ სხვა ქვეყნებშია. მუშათა მოძრაობას აქ ჯერ კიდევ ბევრი რამ აკლია, ვიდრე ისეთს გარკვეულს ხასიათსა და სახეს მიიღებდეს, როგორც ეს გერმანიასა და საფრანგეთშია.

ეროვნული ბიბლიოთეკ

ზემოხსენებულ პირობებს გარდა, კლასობრივ უთანასწორობის დამალვა-გადაფუჩეჩებას ძალიან შეუწყო ხელი აგრეთვე ხალხის სწავლა-განათლების დემოკრატიულად მოწყობა-მოწესრიგებამაც. შვეიცარიის სკოლაში ყველა თანასწორია. მუშის შვილი აქ სრულიათაც არა ჰგრძნობს თავს დაჩაგრულად, არ არის ბურჟუაზიისაგან განკერძოვებულ-განცალკევებული, როგორც ეს სხვა სახელმწიფოებშია; მას საქმე აქვს უმაღლეს ბურჟუების შვილებთან, როგორც თანასწორს თანასწორთან. სკოლის ასეთ დემოკრატიზაციის წყალობით მუშათა შვილები ნაკლებად შურს ჰგრძნობენ მდიდართა წინააღმდეგ, ნაკლებ უკვირდებიან მათს ქონებრივს უთანასწორობას, რასაც ყოველ ფეხის გადადგმაზედ ჰგრძნობენ მოსწავლე ბავშვები სხვა ქვეყნებში, თვით საფრანგეთსა და გერმანიაშიც-კი.

სკოლის შემდეგ ხომ ყველა კლასთა წარმომადგენელნი ერთმანეთს უდგანან მხარში საზოგადო სარბიელზე, სადაც კლასობრივ უთანასწორობისა ხსენებაც კი არსად არის.

ამ გვარად, როგორცა ვხედავთ, ფართო პოლიტიკურ თავისუფლება-თანასწორობის წყალობით შესძლო შვეიცარიამ დღემდე აეცილებინა თავიდამ სოციალური განხეთქილება. ამის მიზეზად უნდა ჩაითვალოს დემოკრატიული აღზრდა, სწავლა-განათლების დემოკრატიულს ნიადაგზედ მოწყობა, დემოკრატიული დაწესებულებანი და, ერთი სიტყვით, მთელის პოლიტიკურ და ადმინისტრატიულ წესყობილების სრული დემოკრატიზაცია.

მაგრამ აი, საკითხი: დიდხანს შეუძლიან ამ ჯადოქარს დემოკრატიას სოციალურ უთანასწორობის დამალვა-გადაფუჩეჩება; დიდხანს შეუძლიან ისე მოაწყოს საქმე, რომ „თხა და მგელი ერთათა სძოვდეს?“

თუ კარგად გავიცნობთ შვეცარიის ახალს ისტორიას, დავრწმუნდებით, რომ არ შეუძლიან.

უკანასკნელს წლებში წარმოება შვეიცარიაში წარმოუდგენელის სისწრაფით იზრდება. 1882 წლიდან 1895 წლამდე ქარხ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნების რიცხვმა 124% ააწია და მუშათა რიცხვიც ისეთს ქარხნებში, რომლებიც საფაბრიკო კანონებს ემორჩილებიან, 200, 199-მდე გაიზარდა, მაშინ როცა 1882 წელს მხოლოდ 134, 862 მუშა ითვლებოდა. 1882 წელს საწარმოო დაწესებულებათა რიცხვი, რომლებიც ბუნებრივის ამამოძრავებელ ძალით არა სარგებლობდნენ, 1170 იყო: ისეთ დაწესებულებათა რიცხვი კი, რომლებიც სარგებლობდნენ ამ ძალით, უდრიდა 1.472-ს. 1895 წელს ეს რიცხვები იმდენად გაიზარდა, რომ პირველი გადიქცა 1.630-ად, მეორე 3.303. აქედან სჩანს, რომ პირველი რიგის წარმოებას 40 პროცენტი მოჰმატებია, მეორეს-კი მთელი 124 პროცენტი.

ამავე დროს თან-და-თან ვითარდება და იზრდება მწარმოებელ მუშათა კონტინგეტიც, რომელებიც დაქირავებულ შრომით სცხოვრობენ. ახლა იგინი უკვე ყოველს კავშირსა სწყვეტენ მიწასთან, კაპიტალისტურს ჭახრაკში ცვივიან და მესაკუთრეთა რიცხვს არა თუ შედარებით, აბსოლიუტურადაც-კი ამცირებენ.

ამასთან ერთად იღვიძებს და იზრდება კლასობრივ მოძრაობის შეგნებაც შვეიცარიელ მუშათა შორის; უფრო და უფრო ერთდებიან და ჰქმნიან ძლიერს პოლიტიკურს პარტიას. ახალი მოძრაობა შიშის ზარსა ჰგვრის შვეიცარიის ბურჟუაზიას; პოლიტიკურს დემოკრატიზმში ახლა სოციალურ განხეთქილებისა და ქარიშხლის ამცდენს საშუალებას-კი აღარა ჰხედავს, არამედ დიდი ხანია მას სოციალურ რევოლიუციის იარაღით წარმოუდგა. ასეთს შიშს ქვეშ მყოფი ბურჟუაზია ხშირად ივიწყებს საუკუნოების მიერ შემუშავებულს დემოკრატიულ ტრადიციებსა და რეაქციისაკენ აწვდის ორსავე ხელებს.

რეაქცია იხატება იმით, რომ ივიწყებს ღღეს თავისს „სოციალურს მშვიდობიანობასა“ და სცდილობს მუშათა პოლიტიკური უფლებანი შეზღუდოს. 1890 წელს შაფგაუზენის ერთის მსხვილ ქარხნის დირექციამ მუშათა **ფერეინის** (ამხანაგობის) გაუქმება მოითხოვა. ამავე წლებში ციურიხმა შეიმუშავა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი პოლიტიკური წესები; წესებს აზრად ჰქონდათ დაეცვათ „მუშები, რომელთაც მუშაობა ჰსურდათ“ ისეთ მუშათაგან, რომელთაც მუშაობა „არა ჰსურდათ,“ ნამდვილად კი აღნიშნული კანონი შვეიცარიის მუშათა პოლიტიკურ უფლების შეზღუდვა იყო.

ასეთი მაგალითები ბლომად შეგვიძლიან მოვიყვანოთ შვეიცარიის ახალ ისტორიიდგან; ყველა ისინი ნათლად გვიმტკიცებენ, რომ პოლიტიკურმა დემოკრატიამ მხოლოდ დამალა, დადაფუჩეჩა და ძნელად დასანახი გახადა სოციალური უთანასწორობა, თორემ მოსპობით სრულიადაც არ მოუსპია იგი და არც-თუ შეეძლო მისი მოსპობა. მაგრამ ყოველს შემთხვევაში ეჭვს გარეშეა ის გარემოება, რომ შვეიცარიის დემოკრატიამ შესძლო უკანასკნელ დროამდე კლასების გაერთიანება დაახლოვებით და ხელი შეუშალა მათ განკერძოება—დაყოფვას, რასაც ჩვენ ევროპის სხვა ქვეყნებში ვხედავთ.

კლასობრივ დაყოფვის სისუსტე-კი წარმოშობა ის გარემოება, რომ შვეიცარიაში არ არსებობენ მკაფიოდ გამორკვეული პოლიტიკური პარტიები შემუშავებულის პროგრამებით. ყველა, ვინც კი შვეიცარიას ეცნობა, ჰხედავს ამ მოვლენას, რომელიც შვეიცარიის დამახასიათებელ თვისებად უნდა ჩაითვალოს. თვითეულ პარტიის პროგრამაში აქ ბევრი სიყალბეა, ბევრი რამ არის ნასესხები, რომელიც სულ სხვა სოციალურ ელემენტებისაგან შესდგება.

სულ შვეიცარიაში ხუთი უმთავრესი პოლიტიკური პარტიაა: **თავისუფალ მოაზრეთა, დემოკრატებისა, კონსერვატორებისა, კლერიკალებისა** და **სოციალ-დემოკრატებისა**.

ა) **თავისუფალ მოაზრეთა პროგრამა** (შედგენილია 1892 წელს) შეიცავს: შვეიცარიის დემოკრატიულ კანონმდებლობის პროგრესიულს განვითარებას; სახალხო სკოლის სარწმუნოებრივს სრულს ნეიტრალობასა და სხვა. სცდილობენ რკინის გზების გადაცემას სახელმწიფოს ხელში, სახელმწიფო დაზღვევის განვითარებას, ასანთსა (спичка) და თამბაქოზედა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელმწიფო მონოპოლიის შემოღებას, საქარხნო კანონმდებლობის განვითარებასა და სხვა. უნდა შევნიშნოთ, რომ თუმცა ყველა ეს მოთხოვნილება აღნუსხულია თავისუფალ მოაზრეთ პროგრამმაში, მაინც ბევრნი მათგანნი ხშირად თვალსაჩინოდ მოქმედებენ ჩამოთვლილ სოციალურ—პოლიტიკურ მოსაზრებათა წინააღმდეგ. მაგალითად, ეგრედ წოდებულ სახელმწიფო სოციალიზმის შესახებ პარტია ორ, ერთმანეთის მოწინააღმდეგე, ჯგუფათ გაიყო.

ბ) **დემოკრატების პროგრამა** არსებითათ არ განსხვავდება თავისუფალ მოაზრეთა პროგრამისაგან და ნაციონალურ საბჭოში ორივე პარტია ერთად ჰმოქმედებენ. დემოკრატებს მხოლოდ უფრო გარკვეულად და ნათლად მოჰყავთ იგივე პრინციპები. დემოკრატთა პარტია, სხვათა შორის, თხოულობს შვეიცარიის პოლიტიკურ წყობილების მეტს რემოკრატიზაციას; თხოულობს, რომ თვითონ ხალხი ირჩევდეს „კავშირის საბჭოს“, რომელსაც, როგორც ვიცით, დღეს კავშირის კრება ირჩევს ხალხის დაუსწრებლად. დემოკრატების პროგრამა უფრო დასაბუთებულია. ისინი, სხვათა შორი, თხოულობენ მუშათა დაზღვევას მოხუცებულობისა და მუშაობის შეუძლებლობის დროს, თხოულობენ ათ საათიან სამუშაო დღის შემოღებასა (ახლანდელი სამუშაო დღე თერთმეტ საათიანია), თხოულობენ პურით ვაჭრობაზედ სახელმწიფო მონოპოლიის შემოღებასა და სხვ.

გ) **კონსერვატორები** მსხვილ ბურჟუაზიას წარმოადგენენ; მათ ცენტრი უჭირავთ ნაციონალურს საბჭოში. ისინი მთელის შვეიცარიის პოლიტიკურად გაერთიანების ძლიერი მომხრენი არიან; ეწინააღმდეგებიან ბიუროკრატიულ ტენდეციებს, უნდათ დაიცვან „კავშირის საბჭოს“ არჩევის ძველი წესი, ე. ი. სცდილობენ, რომ მას კავშირის კრება ირჩევდეს და არა პირდაპირ ხალხი. კონსერვატორები თხოულობენ ფრთხილს თვალყურის დევნებას სარწმუნოების თავისუფლებაზე; ისინიც, როგორც სხვებიც, თხოულობენ მუშათა დაზღვევას სიბერისა და უძლურების („ინვალიდობის“) დროს, თამბაქოზედ მონოპოლიის შემოღებასა და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც მკითხველი ჰხედავს, შვეიცარიელ კონსერვატორს არაფერი „მართლა კონსერვატიული“ არ შეაქვს თავის პროგრამმაში და მათს პროგრამმას ყველა ლიბერალი სიამოვნებით მოაწერს ხელსა.

მაგრამ დიდი შეცდომა იქმნება, იმავე დროს თუ ვიფიქრეთ, რომ შვეიცარიელი კონსერვატორები უილბერალესი ადამიანები არიანო. საქმე იმაშია, რომ შვეიცარიელ პარტიების პროგრამები ხშირად სტყუიან; მათ უფრო გარეგნული სახე აქვთ, ვინემ ნამდვილი შინაარსი და გვიხატავენ იმ პოლიტიკურს პოზიციას, რომელიც ხსენებულს პარტიას უჭირავს.

დასამტკიცებლად ავიღოთ თუნდ ასეთი მაგალითი: კონსერვატიულს პარტიას თავისს პროგრამმაში ერთი ასეთი მოთხოვნილება აქვს: —„დაარსებულ იქმნას კავშირის ბანკი ქალალდის ფულის მონოპოლიით, რომლის შემოსავალშიაც ყველა კანტონები მონაწილენი იყვნენო“.

შემდეგ-კი, როცა ასეთი სახელმწიფო ბანკის დაარსების შესახებ მართლა ლაპარაკი აღიძრა, მისი მოწინააღმდეგენი კონსერვატორები გამოვიდნენ. აქ დემოკრატიულ ნიღაბს ქვეშ ნათლად გამოჩნდა მათი კლასობრივი ინტერესები. მოითხოვეს, რომ ამ ბანკში კერძო კაპიტალისტებსაც შესძლებოდათ მონაწილეობის მიღება და შემოსავლის განაწილება. პროგრამმაშიკი კრინტიც არა ყოფილა ამის შესახებ დაძრული.

კონსერვატორების პროგრამმა მხოლოდ იმის მაჩვენებელია, რომ ისეთ დემოკრატიულს ქვეყანაში, როგორიც შვეიცარიაა, ვერც ერთი პარტია ვერ ჰბედავს თავისს კლასობრივ ინტერესების განცხადება-გამომზეევებასა და ყველა დემოკრატიულს ტყავში ეხვევა.

დ) **კლერიკალებს** არავითარი პროგრამმა არ წარმოუდგენიათ და მიზნად აქვთ ითქოს ყოველთვის და ყველაფერში შვეიცარიის მართებლობის წინააღმდეგნი იყვნენ.

ე) **სოციალ-დემოკრატები** პოლიტიკურს სარბიელზედ პირველად 1888 წელს გამოვიდნენ. მათი პროგრამმა არსე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბითად იგივეა, რაც თავისუფალ მოაზრეთა პროგრამმა. ახლა ციფრები ვნახოთ, ნაციონალურს საბჭოში არჩევნების დროს პარტიებმა რამდენი ხმა მიიღეს:

	მარცხენა (თავისუფ. მოაზრენი და დემოკრატები)	ცენტრი (კონსერვატორები)	მარჯვენა (კლერიკალები)
1881 წელი	169.788	77.687	97.976
1884 „	186.585	79.818	99.310
1887 „	173.028	67.747	80.099
1890 „	215.848	58.068	89.342

არჩეულ დეპუტატთა რიცხვი უდრიდა:

	მარცხენა	ცენტრი	მარჯვენა
1881 წელი	83	26	36
1884 „	88	22	35
1887 „	87	24	34
1890 „	92	19	36
1893 „	94	19	31

სოციალ-დემოკრატების პარტიამ თავისი ორი კანდიდატი ნაციონალურს საბჭოში პირველად 1884 წელს წამოაყენა ციურიხში. (მაშინ ეგ პარტია არ იყო ჯერ გაერთიანებული). ორივე კანდიდატი გააშავეს. ერთმა მათგანმა მიიღო მხოლოდ 1.636 ხმა, მეორემ 1.955 ხმა, მაშინ როდესაც დემოკრატების კანდიდატმა 5.321 ხმა მიიღო, ლიბერალებისამ 7.416 ხმა. 1888 წელს სოციალ-დემოკრატებმა ძლივს-ძლიობით 2100 ხმა იშოვეს; სამაგიეროდ 1890 წელს სოციალ-დემოკრატმა ფოგელზანგერმა, დემოკრატების დახმარებით, 11952 ხმა მიიღო და კიდევაც არჩეულ იქმნა. 1893 წელს 14 საარჩევნო ოლქში ს.-დემოკრატებმა 15 კანდიდატი წამოაყენეს; მათ საერთოდ 30.000 ხმა მიიღეს. 1896 წამოაყენეს 21 კანდიდატი და მიიღეს 40.000 ხმა· დაბოლოს, 1899 წელს, სოციალ-დემოკრატებმა ყველა ამრჩეველთა ხმების ნახევარი მიიღეს ციურიხში, ბილში, ბერნში, ბაზელში, ზოლოტურნეში, ლოზანში და ნეინბურგში. 1899 წლის არჩევნებმა მემარცხენეებს 80 წარმომადგენელი მისცა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

კლერიკალებს—34, ხოლო ცენტრის პარტიას—13. სოციალ-დემოკრატებმა პირველი კანდიდატი (1). ნაციონალურს საბჭოში 1893 წელს გაიყვანეს; 1896 წელს მათ ორი წარმომადგენელი ჰყავდათ, და 1899 წელს კი უკვე 3.

სხვა წვრილ პარტიებსა და ჯგუფებს არ შევეხებით.

როგორც ზემოდ მოყვანილი ცხრილი გვიჩვენებს, 1890 წელს ნაციონალურს საბჭოში უმრავლესობას თავისუფალი მოაზრენი და დემოკრატები შეადგენდენ ამ დროდგან სასწორი სულ მარცნივ იხრება. შემდეგ არჩევნების დროს პარლამენტში უკვე ახალი პარტიის—სოციალ-დემოკრატების—წარმომადგენელი გაჩნდა,

რადიკალებმა (მემარცხენეებმა) 1895 წელს 95 წარმომადგენელი წარმოგზავნეს, 1899 წელს კი—მხოლოდ 80; ცენტრს 1896 წელს 17 წარმომადგენელი ჰყავდა; 1899 წელს-კი მხოლოდ 13. მოემატა მხოლოდ კლერიკალურს პარტიას (მარჯვენას), რომელსაც შორეულ კანტონების მცხოვრებნი ეჭირა ხელში, რადგან ეგ კუთხეები სოციალურ-ეკონომიურს პროგრესს ჩამორჩენოდა. ამავე დროს სოციალ-დემოკრატების ძალა დღითი-დღე იზრდება, ყოველს არჩევნებზე მათს ხმებს უფრო და უფრო ემატება. სამის—1896—1899 წლის განმავლობაში მათ 10.000 ხმა მოემატა, თუმცა ასეთი ზრდა ძალიან სუსტია, მაგალითად, გერმანელ სოციალ-დემოკრატების ზრდასთან შედარებით. თვით შვეიცარიის პარლამენტშიაც ჯერ ძლიერ მცირეა სოციალ-დემოკრატების წარმომადგენელთა რიცხვი. (147 დეპუტატზე 3 სოციალ-დემოკრატია).

მაგრამ ამ სამ დეპუტატსაც დიდი მნიშვნელობა აქვს. ჯერ ერთი, რომ ს.-დემოკრატთა რიცხვი დღითი-დღე მატულობს და მეორე, ეს ზრდა იმის მაჩვენებელია, რომ შვეიცარიის ხალხში სოციალური დიფერენციაცია თან-და-თან ძლიერდება, მისი პარტიული ორგანიზაციები თან-და-თან მტკიცდებიან, რასაც საბოლოოდ ძირითადი ცვლილებანი უნდა მოჰყვეს. მსხვილი წარმოება თან და თან ფეხს იკიდებს, ბატონდება,

ეროვნული ბიბლიოთეკ

აერთიანებს პოლიტიკურს ელემენტებს, ერთგვარებს ერთათ-ულრის თავს; ხდება სოციალურ ელემენტების დანაწილება, რაც სოციალურს განვითარებაში განსაზღვრულ ხანის მაჩვენებელია. საბოლოოდ კი ასეთ პროცესს ის მოჰყვება, რომ საზოგადოების ყველა ძალები ორ რაზმად გაიყოფვიან და ორს, ერთმანეთის მოწინააღმდეგე, ბანაკში ამოჰყოფენ თავსა.

შვეიცარიის ხალხის დემოკრატიული წარსული, ფართო პოლიტიკური თავისუფლება და ძალების თანასწორობა აქ არასოდეს არ მისცემენ სოციალურს ბრძოლას იმ მკაცრს ხასიათს, როგორც ეს ევროპის სხვა კუთხეებშია; მით უმეტეს, რომ ფართო დემოკრატიული წყობილება ხელს უწყობს უმრავლესობის მომწიფებულ საჭიროებათა დაკმაყოფილებასა.

მაგრამ შვეიცარიის ახალ ისტორიის ზოგიერთი სიმპტომები იმის მაჩვენებელნი არიან, რომ შვეიცარიაშიაც იგივე პოლიტიკური პარტიები შემუშავდებიან, როგორც ეს მის შეზობელ საფრანგეთშია; თუმცა ეს შემუშავება არ დაჰკარგავს თავისს ნაციონალურს ხასიათს. დღევანდელი პარტიულად დაუნაწილებლობა მხოლოდ სოციალურ ჩამორჩენის ბრალია.

დასასრულ, შევჩერდებით იმ წინააღმდეგობაზე, რომელიც ჩვენის წერილის დასაწყისში მოვიხსენიეთ. — აღწერილს გარემოებაში ცხოვრება ძლიერი, მდიდარი, შინაარსიანი უნდა იყოს; ნამდვილად კი ერთობ უფერული და ღარიბია. ამ ერთგვარს აუღელვებელს ცხოვრებას ზოგიერთი უცხოელი მკვლევარი მოთმინებიდან გამოჰყავს, ათასნაირს საყვედურს უცხადებს შვეიცარიის დემოკრატიას, რომელმაც ვითომ ამ მდგომარეობამდე მიიყვანა შვეიცარია, გაამეფა უშინაარსო თვითკმაყოფილება და მომავლის ფართო და ნათელ პერსპექტივის გზები დაუხშო.

მაგრამ საკმაოა სულ უბრალო დაკვირვება, რომ გავიგოთ, დემოკრატიზმი აქ რა შუაშია. ცხადზე უცხადესია, რომ უდემოკრატიზმოთ დღეს შვეიცარიას არც იმისი მეასედი განათლება ექმნება, რაც დღესა აქვს, რაიცა ყოველთვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადვილი დასანახია. თუ რომ შვეიცარიის ცხოვრება არა ჰღელავს და არა შფოთავს, სამაგიეროდ უსვენებლივ წინ მიდის იგი და ამ წინსვლას თითონ ხალხი უძღვის მუდამ.

მართლა მოუთმენარი მეთვალყურე ვერ ამჩნევს ამ მართლაც-და ნელს წინსვლასა და შვეიცარია მას ერთს წერტილზე მიყინული ჰგონია, მაგრამ უფრო დაკვირვებული გამოკვლევა, ისტორიული მსვლელობის აწონ-დაწონვა და გათვალისწინება ნათლად გვიმტკიცებს, თუ როგორის თან-და-თანობით მიდის აქ წინ კულტურული განვითარება და მუშაობა.

თუ რომ თანამედროვე შვეიცარიის დემოკრატიზმმა ვერ შეჰქმნა ახალი გაბედული საზოგადოებრივი, პოლიტიკური და ოჯახური იდეალები, თუ ვერ გვაკვირვებს თანამედროვე ცხოვრების საჭირ-ვარამო კითხვების წამოყენებითა და გარდაწყვეტით, სამაგიეროდ არსად დედამიწის ზურგზედ არ არის მეორე კუთხე, სადაც ცხოვრების ურთიერთობის მოსაწყობად გადადგმული ნაბიჯი ისეთი მკვიდრი, ნაყოფიერი და შეურყეველი იყოს, როგორც აქ, შვეიცარიაშია.

შვეიცარიელი ოცჯერ გაჰსჯის, სანამ გარდასწყვეტდეს რასმე, მაგრამ გარდაწყვეტის შემდეგ არასოდეს უკან აღარ დაიხევს, მის მიერ შექნილს პირობებს აღარ დაემალება. როგორც ყველგან, შვეიცარიაშიაც დგება დრო და დრო ისეთი მომენტები, როცა ხალხი ცოცხლდება, ცხოვრება ჰღელავს; არიან ისეთი წამებიც, როცა ყველაფერი ყუჩდება, თითქოს მაჯის ცემა შესწყდაო, მაგრამ ასეთი ცვლილებანი არსად ისე სუსტი და შეუმჩნეველი არ არის, როგორც შვეიცარიაში. ამის მიზეზია ხალხის ძვალსა და რბილში გამჯდარი ფართო დემოკრატიზმი, რომლის სალს კლდებზედაც იმსხვრევა რეაქციის დროებითი ტალღები.

და ვინ, რომელი მიუდგომელი მკვლევარი იქმნება, რომ შვეიცარიის დემოკრატიზმის ეს ისტორიული ღვაწლი უარჰყოს!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ ჩვენ აქ ვერა ვხედავთ ძლიერს საზოგადოებრივს ტალღებსა და ამიტომ შვეიცარიის ცხოვრება უფერულად გეჩვენება, სამაგიეროდ რეაქციის მდორე გუბეებსაც ვერ ვამჩნევთ, რამაც სხვა-და-სხვა მოდგმათა მუშაობა თუნდ ერთი წუთითაც არის შეაჩეროს. და, აი, ეს შეუწყვეტელი მუშაობა ერთი თაობიდგან მეორეში გარდამავალი განახორციელებს იმ კულტურულს პროგრესს, რომელსაც შვეიცარია ჰქმნის.

ყოველთვის, როდესაც-კი შვეიცარიის უფერულსა და ერთგვარს ცხოვრებას ვუკვირდები, ეჭვი შემაქვს, პროგრესიულად წინ მიდის, თუ არა-მეთქი და ვხედავ მაშინ, რომ თავისებურად „მირბის და დგას“, რაც მაგონებს ჩვენს მოგზაურობას შვეიცარიის მთებში...

გულიან ძილის შემდეგ რამდენიმე ამხანაგი ხალისიანად გავუდგებოდით ხოლმე მთებისაკენ. თავს შესანიშნავად კარგადა ვგრძნობდით, წმინდა ცხოველსმყოფელი ჰაერი თავისს კეთილს გავლენას არ გვაკლებდა და ჩვენც მივრბოდით ხოლმე, მივხტოდით მწვერვალისაკენ. გზაში ხშირად ვხვდებოდით გარეგნობით მოუხეშავსა, მაგრამ მაგარსა და ამტანს შვეიცარიელს, რომელიც ფილოსოფიურად დინჯად და აუჩქარებლად მიაბიჯებდა ხოლმე. მახსოვს, ჩვენ მუდამ დავსცინოდით ხოლმე შვეიცარიელებს, რომლებიც ისე მიიზლაზნებოდნენ, თითქოს ორსულად არიანო... დარწმუნებულნი ვიყავით მუდამ, რომ სანამ ის მწვერვალს მიაღწევდა, ასვლასაც მოვასწრებდით და დაბრუნებასაც... მაგრამ გადიოდა საათები, ვზომავდით ბილიკებსა და ვგრძნობდით, როგორ გველეოდა ხოლმე ღონე. მძიმე საცმელები ფეხებს საშინლად გვილესავდა, მხარზედ გადაგდებული უბრალო ჩანთა ვეებერთელა ტვირთათ გვეჩვენებოდა, თავსა და პირში სისხლი გვაწვებოდა. მივდიოდით ხოლმე ცალკ-ცალკე და ერთმანეთზედა ვბრაზობდით. მერე ვისვენებდით, სულ ვისვენებდით.

საქმე თავდებოდა იმითი, რომ „საზიზღარი“ შვეიცარიელები ჩვენთან ერთად,—ან ხშირად უფრო ადრეც,—მწვერვალზედ მოექცეოენენ ხოლმე. მაგრამ მაშინ, როდესაც ჩვენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაქანცულ-დაღალულნი მკვდრებივით დავეყრებოდით ხოლმე მიწაზედ, ისინი, სრულიად დამშვიდებულის სახითა და აუღელვებელად, გასცქეროდნენ ხოლმე მაღლობიდან არე-მარესა და თვალის წარმტაც სურათების ცქერითა სტკბებოდნენ. ჩვენგანს ვის ჰქონდა მაგისი თავი!..

არ გავცვლი მაინც ჩვენს ცოცხალსა და ხალისიანს მოგზაურობას შვეიცარიელის ერთ გვარსა და მძიმე მოძრაობაზედ, თუმცა ეს მოგონება ნათლად მიჩვენებს, თუ როგორ შესძლო აუღელვებელმა და ზანტმა შვეიცარიელმა ასეთი ნელი თანაბარი სიარული და თან კი განათლების მწვერვალზედ მოექცა? ეჭვი არ არის, აქაც, ამ კურტულურ გზაზედაც, ისევე აუღელვებლად, მაგრამ შეუსვენებლივა და თანაბრის ნაბიჯით, მიდის შვეიცარიელი, როგორც იქ, მთებში მოგზაურობის დროს.

მ. ნანიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხოვრება და ღვაწლი

თ-დის გრიგოლ ორბელიანისა

XX

(დასასრული *)

„ზენა-სჯული“, რომელსაც ასე „უშიშრად“ ელოდა პოეტი იუბილეის დღიდამ, აღსრულდა: 21 მარტს 1883 წ., დღესა ორშაბათს, ორბელიანი გარდაიცვალა.

ავათმყოფობა მისი არ გაგრძელებულა დიდხანს. ის შეიქნა უძლებად შუა თებერვალს, შემდეგ ერთის საათის სეირობისა დიდუბეს, საცა, ამბობენ, ვიღაცასგან გაჯავრებული წასულა ის „სევდიანი, ფიქრთ გასართველად“. ამ სეირნობაში პოეტი გაციებულა და იმას გაუჩნდა ნაწლევის ანთება. სწამლობდა იმას მისი შინაური ექიმი, დოქტორი კასპარიანცი. ჯეჭველია, კასპარიანცი კარგი ექიმია, მაგრამ იმ ანდაზისა არ იყოს „ერთი ჭკუა კარგია და ორი უკეთესიო“, რიგი იყო ნათესავებს მოეწვიათ სხვა ექიმებიც შესანიშნავის ავათმყოფის სანახავად, გარნა, სამწუხაროდ, ეს არ მოხდა და ერთი თვის შემდეგ, შუა მარტს—ვინ იცის ეგებ კასპარიანცის მიუხვდომლობით—უეცრივ ქალაქში გავრცელდა ხმა, რომ

---

*) იხ. „მოამბე“, № II.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორბელიანი სიკვდილის პირზეარისო. გაზეთმა „მშაკმა“ პირველად დაბეჭდა ბიულლეტენი იმის ავადმყოფობაზე, შემდეგ „დროებამ“ და „კავკაზმა“. 18 მარტს „კავკაზში“ დაბეჭდილი იყო შემდეგი ბიულლეტენი:

„У князя Григорія Дмитріевича брюшной тифъ. Вчера, 16 марта, былъ 34 день болѣзни. Въ 10 часовъ вечера температура 38, 1, пульсъ 96 качественно пульсъ удовлетворительный; дыханіе 24; кашель незначительный; въ правомъ легкомъ застой крови, такъ какъ больной больше лежитъ на этой сторонѣ; общее состояніе здоровья, равно какъ и питаніе удовлетворитсльное и, за исключеніемъ глубокой старости, не представляетъ опасности; больному по формулярному списку 83 года. Д—ръ Каспарьянцъ

მალე პოეტმაც იგრძნო აღსასრულის მოახლოვება. საკვდილის წინა დღეს მან მიიღო წმიდა საიდუმლო ზიარებისა, თითონ წაიკითხა ლოცვები და ერთხანს ემუსაიფა თავის მოძღვარს, ღირსეულს მღვდელს ბესარიონ ზედგინიძეს. მისმა ჩვეულებრივმა კარგმა გუნებამ არ უმტყუნა მას სიკვდილის სარეცელზედაც. იშვიათ მნახველებს, რომელთაც შეეძლოთ პოეტთან შესვლა, ის მიიღებდა მუდმივის მისის თავაზით და ხუმრობით.

— ეჰ! მახლას, ბაბალე, მივდივარ! ეუბნება ის კნ. ბაბალე ბარათოვისას, რომელიც მოვიდა იმის სანახავად რამდენიმე დღის წინად სიკვდილამდის.

21 მარტს დილის 9 საათზე დაიწყო ავადმყოფის სულთაბრძოლა. ამ დროს—მე თითონ ვნახე ჩემის თვალით - მისი განსასვენებელი ადგილი წარმოადგენდა შემდეგს სურათს: სულთ-მობრძავი იწვა ქვემო-სართულის დიდ-ზალაში, მარცხენა ოთახის კარებთან. მის თავთან ანალოიზე ესვენა მაცხოვრის ხატი, რომლის წინ ენთო წმიდა სანთელი და მოშორებით დაბალის ჩაწყვეტილის ხმით დიაკვანი კითხულობდა რაღაც სამღვთო წიგნს. პატარა ოთახში, გვერდით, ირეოდნენ პოეტის ნათესავნი ქალნი, რომელთ პირის-სახეზე და თვალის გამომეტყველობაზე იხატებოდა ნამდვილი მწუხარება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოეტის ერთგულნი და მოსამსახურენი, პოეტის მოძღვარი სასოწარკვეთილებით დაჰყურებდნენ მომაკვდავს, გარეშე ნაცნობნი განუწყვეტლად მოდიოდნენ, ან გზავნიდნენ კაცს ავათმყოფის ამბის შესატყობად. აი, სხვათა შორის, გენერალი ტრუბეცკოი. ვხედავთ, ის მოუახლოვდა სახლს და რა შეიტყო ავათმყოფის სულთა-ბრძოლის დაწყება, მუხლი მოიყარა ეზოში, პირს-ჯვარი გადაიწერა, თაყვანი სცა სახლს და განშორდა. თითონ სულთ-მობრძავი ზეწარ გადაფარებული გაწოლილი იყო ფართო კრაოტზე და ძალზე ხვნეშოდა. მის ფართე შუბლს ხვითქივით გადმოსდიოდა გაჭივრების ოფლი; ვეებერთელა ტანი დავარდნილ-იყო; პირი დასწმედოდა; თვალებს დაჰკარგოდა გამომეტყველება, თუმცა კი მომაკვდავი გასტერებულად იყურებოდა აქეთ-იქით და ხელის მოძრაობით თითქო გვანიშნებდა, რომ გრძნობა და მოსაზრება ჯერ სრულად არ დაჰკარგოდა იმას. მუდამ მოპარსულ ნიკაპზე თეთრი წვერი გასწორებოდა ბაკენბარდებს და მისი პირისსახე ერთის შეხედვით ძნელად საცნობი შეექმნა... მთელი დღე გასტანა სულთა ბრძოლამ. მხოლოდ 4 საათზე და 35 წამს განუტევა მომაკვდავმა თვისი სული.

პოეტის გარდაცვალების ამბავი მოეფინა მსწრაფლ მთელს კავკასიას და, რასაკვირველია, ყოველგან დიდი მწუხარება აღძრა. ტელეგრაფს ყოველგნით მოჰქონდა განსვენებულის მემკვიდრეებთან, თუ „დროების“ რედაქციაში სამძიმარის დეპეშა და ყოველგან საქართველოში და საქართველოს გარეც, საცა ქართველები იყვნენ, გაიმართა პანაშვიდები პოეტის სულის განსასვენებლად. პანაშვიდი გადაიხადეს, სხვათა შორის, პეტერბურგშიაც დიდის მთავრის მიხაილ ნიკოლოოზის ძის სასახლეში, საცა დაესწრნენ, სახლის უფალის სურვილისამებრ, პეტერბურგში მყოფნი ქართველნიც და პანაშვიდის შემდეგ ადრინდელმა კავკასიის მთავარ-მართებელმა სამძიმრის დეპეშა გამოუგზავნა განსვენებულის ნათესავთა. მთავარ-მართებელმა ი. დონდუკოვ-კორსაკოვმა, რომელიც ამ ჟამად პეტერბურგს იყო, სამძიმარს გარდა, მოსწერა მის მოადგილეს გენე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რალ-ლეიტენანტს სტაროსელსკის განსვენებული დაესაფლავებინათ სრულის პატივით, რომელიც შეეფერებოდა მის სახელს და მაღალს ღირსებას. 23 მარტს ტელეგრაფმა მოიტანა თბილისს ხელმწიფე იმპერატორის სამძიმარიც თ. ლევან მელიქოვის სახელზე. აი თითონ ეს დეპეშა:

Обращаюсь къ вамъ съ просьбою передать семейству князя Григорія Димитріевича Орбеліани мое искреннее соболѣзнованіе въ ихъ чувствительной утратѣ; глубоко сожалѣю о смерти столь благородной и уважаемой личности. Александръ.

თითონ ქალაქში დიდი შთაბეჭდილება მოახდინა პოეტის გარდაცვალებამ. სამხედრონი, სამოქალაქონი, სასულიერონი, რუსნი, ფრანგნი, ქართველნი, სომეხნი, ყოველი წოდება, ყოველი ხელობა შეაწუხა მისმა სიკვდილმა. დღიდამ გარდაცვალებისა დასაფლავებამდის განსვენებულის ეზო აღდგომის ღამესავით გადაჭრელებული იყო პანაშვიდისთვის ანთებულის სანთლებისაგან. საქართველოს ექზარხოსი პავლე და სხვ. მაღალი მართლ-მადიდებლობის სასულიერობა ყოველ საღამოს უხდიდნენ განსვენებულს პანაშვიდს, რომელზედაც მთელი თბილისის მაღალი საზოგადოება დადიოდა უკლისად. საზოგადო მანიფესტაცია იქამდის მივიდა, რომ ერთს პანაშვიდზე მაღალი წოდების ქართველ ქალებმა ქართული გალობის ხორო გამართეს. ურიცხვთა გვირგვინთ ყვავილებისა—თაყვანის-ცემის და პატივის-ცემის ნივთიერთა ნიშანთა—სულ ერთიანად დაჰფარეს განსვენებულის კუბო!..

გასვენების დღედ დაინიშნა შაბათი, 26 მარტი. დასაფლავების ცერემონიალის შესადგენად დაწესდა კომისია, რომლის წევრნი იყვნენ თავადნი: ნიკო ჭავჭავაძე, ნიკა ამილახვარი, ი. ჭავჭავაძე, თავად-აზნაურობის წინამძღოლი დ. სუმბათოვი, კამენდანტის თანაშემწე ბატონი რეიტერი, ქალაქის თავი ბ. მატინოვი, მთავარ-სამმართველოს კანცელიარიის უფროსი ბ. იაკიმოვი და ამ სტრიქონის მწერალი. დასაფლავების წინა დღეს კომისია შეკრბა თ. ნიკო ჭავჭავაძესთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

„კავკაზის“ სასტუმროში და, შემდეგ ერთის საათის ბაასისა, დაადგინა თავ-და-რიგი მიცვალებულის გასვენებისა: რა ქუჩებით უნდა გაევლო პროცესსიას, ვის რა ადგილი დაეჭირა კორტეჟში, სად წარმოეთქვათ სიტყვები და სხ. რადგანაც სიონის სობოროს ამ ჟამად ახალს იატაკს უკეთებდნენ, განსვენებულის მოსახსენებელი წირვა გადასწყვიტეს მომხდარიყო ანჩისხატის ეკლესიაში. ერთ დროს დააპირეს კორპუსის ეკლესიაში გასვენება, მაგრამ, რადგანაც ეს ეკლესია ერთობ ახლოს იყო პოეტის საბლიდამ და პროცესსია ამ პატარა ადგილზე ვერ გაიშლებოდა, ეს ჰაზრი დაუტევეს. დასაფლავების ადგილად, ნათესავების სურვილით, დაინიშნა ქაშვეთის ეკკლესია, საცა დამარხულია პოეტის ძმა ილია. განსვენებულის სურვილი რომ ხსოვნებოდა ვისმე ან კომისიაში, ან ნათესავებს, ის, შეიძლება, ქაშვეთის ნაცვლად კუმისის სამების ეკლესიაში დაემარხათ, რადგანაც მისი ძმის ზაქარიას სიკვდილის გამო პოეტი სწერდა ერთ დროს თავის რძალს ქეთევანს: „ზაქარია კუმისის სამებაში დაასვენეთ და მეც იქ დამმარხეთო“...*)

დასაფლავების დღისათვის ქალაქში დიდ-ძალი ხალხი ჩამოვიდა ქართლიდამ, კახეთიდამ, იმერეთიდამ. ქუთაისიდამ მოვიდნენ, სხვათა შორის, ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი, ქალაქის თავი, გაზეთის „შრომის“ რედაქტორი, „ქალების ბიბლიოთეკის“ რედაქტორი—სულ ყველანი ყვავილებითა და გვირგვინებით. გორმაც გამოგზავნა თავისი ქალაქის თვით-მმართველობის წარმომადგენელნი.

დასაფლავების წინა ღამეს ცოტა იწვიმა, მაგრამ ცისკარზე ცა ერთბაშად მოიწმინდა და რიჟრაჟზე პოლიციის უფროსის რასინსკის განკარგულებით ორას-სამასმა მუშამ მსწრაფლად გასწმიდეს ის ქუჩები, რომელზედაც უნდა გაეარა სამწუხარო კორტეჟს. ათი საათისთვის ქუჩები თითქმის სრულიად გაშრა.

დილის რვა საათიდან დაიწყო ქალაქში ხალხმა რევა. ყოველ უბნიდან გამოეფინა ქალი და კაცი, როგორც დიდ

*) წერილი 9 დეკ. 1847 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღესასწაულებში გინახავთ. უბრალო ხალხი მიეჩქარებოდა სახელოსნო გამგეობაში, საიდამაც უნდა წასულიყვნენ ამქრები ბაირაღებით. მოქალაქენი, მოხელენი, სამხედრონი, სასულიერონი, მოზარდი თაობა, სხვა-და-სხვა საქველმოქმედო საზოგადოების და ქალაქების წარმომადგენელნი მიეშურებოდნენ განსვენებულის სახლისკენ. საათის ცხრიდან ყველა ქუჩები, საცა კი უნდა გაევლო პროცესიას, აივსო მაყურებლებით, ეგრეთვე ბალკონები, ფანჯრები, სახლის სახურავები. ბოლოს მივიდნენ სახლთან ამქრები და ჯარი ზარბაზნებითა, როგორც წესია გენერალ-ადიუტანტის დასაფლავებისა.

მეათე საათზე ფოტოგრაფმა ფილიპოვიჩმა გადაიღო განსვენებულის სახე ყვავილის გვირგვინებით გარ-შემორტყმული და მთავარ-სარდლის თანამდებობის აღმასრულებელმა გენერალმა ჯომარჯიძემ დასდვა კუბოზე გვირგვინი „კავკასიის ჯარებისაგან“ შესაფერის სიტყვითა. შემდეგ წარმოსთქვა სიტყვა მაჰმადიანების დეპუტაციის წევრმა ჰუსეინ გაიბოვმა და საქართველოს ექსახორსმა ჩამოილოცა მცირე პანაშვიდი.

ათ საათზე პროცესსია დაიძრა.

პირველად გაემართა ცხენოსანთა ჟანდარმების კამანდა, რომელთ მორთულობა წითელ-ყვითლად ელვარებდა მზის სხივისაგან; იმათ მოჰყვა ხორუგვები და გვირგვინები—რიცხვით ორმოცდა ათამდის—სხვა და სხვა ქალაქებისა, ქველ-მოქმედ საზოგადოებათა, რედაქციებისა, სკოლებისა, გიმნაზიებისა და უნივერსიტეტების მოსწავლეთა, ხელოსნებისა, თავად-აზნაურობათა, კლუბების და სხვათა და სხვათა, სხვა და სხვა გვარის წარწერილობით, უმეტეს ნაწილად განსვენებულის ლექსებიდამ. უკანასკნელად მიჰქონდათ ორბელიანთა გვარის ვერცხლის გვირგვინი, მშვენივრად მორთული. გვირგვინებს მოსდევდნენ პოეტის ორდენები, რომელიც ექვსს თუ შვიდ აფიცერს მოჰქონდა მაყვლის ფერს ხავერდის ბალიშზე დაკერებული. შემდეგ მოდიოდა უკლისად მთელი თბილისის მართლ-მადიდებელის სარწმუნოების სამღვდელოება საქართველოს ექსარხოსით და არქიმანდრიტე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბით.—იმერეთის ეპისკოპოზი გაბრიელ თუმცა მოწვეული იყო, ვერ დაესწრო პოეტის გასვენებას, რადგანაც ვიღაც ჯაფარიძის გასვენებაზე ყოფილა შეპირებული.—შემდეგ მოჰქონდა ხალხს კუბო, რომელიც სახლიდამ გამოასვენეს გენერლებმა: ნიკო ჭავჭავაძემ, ზაქარია ჭავჭავაძემ, ივანე ამილახვარმა, ა. საგინოვმა, ნ. წერეთელმა და ვეზიროვმა, მ. ერისთავმა და სხვათა საქართველოს თავადთა. კუბოს მოსდევდნენ პოეტის ახლო ნათესავნი და შემდეგ გენერლობა, თავად-აზნაურობა, ქალაქის წარმომადგენელნი, ამქრები, სოფლიდამ ჩამოსული ხალხი, ქალაქის მუშები და დასასრულ—ჯარი და ზარბაზნები. პროცესსია თითქმის ნახევარ ვერსტზე გაიშალა. ქალაქს დიდი ხანია არ ენახა ასეთი დიდებული დასაფლავება. პროცესსიის გზა ჯერ მიდიოდა მადათოვისა და ბარიათინსკის ქუჩებით, მერე გოლოვინის პროსპექტით, სასახლის ქუჩით, ერევნის მოედანით, შუა ბაზრით, პატარა პრიკაზის ქუჩით და გუბერნატორის მოედანით. ამ მოედანზე ვიწროობისა გამო პროცესსია შეჩერდა და გზა მისცა მიცვალებულს და ნათესავებს დიდ-კაცობით. სანამ წირვა გათავდებოდა, რაც ხალხი ვერ დაეტია სიმცირისა გამო ანჩისხატის ეკკლესიაში, გაჩერებული იყო ეკკლესიის გალავანში და მოედანზე. წირვა რომ გათავდა, სამი სიტყვა წარმოითქვა ეკკლესიაში: ერთი მღვდლის ჯანაშვილისაგან განიცადეზე, მეორე არხიმანდრიტის გრიგოლისაგან და მესამე ექსარხოსისაგან. მშვენიერი სიტყვა იყო ექსარხოსისა. შვიდის სიტყვისაგან, რომელიც წარმოითქვა ამ დღეს რუსულსა და ქართულს ენაზე, ის იყო საუკეთესო. აი ერთი ნაწილი ამ სიტყვისა:

. . . Въ храмѣ Божіемъ, гдѣ все напоминаетъ намъ, что одинъ только Богъ—великъ, безпредѣльно великъ, всесовершенъ, всехваленъ и всеславенъ, какъ дерзнуть изрекать хвалы бренному человѣку? Предъ Богомъ, единымъ великимъ—ничтожно все: ничтожны высшіе всесовершеннѣйшіе духи,—херувимы и серафимы; ничтожны величай-

шіе праведники, сильнѣйшіе люди. Предъ Богомъ все твореніе ничтожнѣе, чѣмъ капля воды—предъ безбрежнымъ моремъ, песчинка—предъ цѣлымъ мірозданіемъ. Что-же передъ Нимъ мы—ничтожные люди, со всѣми нашими ничтожными доблестями и совершенствами, со всею нашею славою? Какъ-же намъ восхвалять человѣка предъ лицомъ Всесовершеннаго. Но, съ другой стороны, какъ-же и не дать доброму чувству излиться изъ сердца?.. Да, если-бы во святыхъ Своихъ не былъ дивенъ Самъ Богъ; если-бы богатыя, природныя дарованія человѣка не были даромъ Божіимъ человѣку; если-бы слава добрыхъ дѣлъ человѣческихъ не относилась наиболѣе всего къ Богу, силою Котораго мы творимъ все доброе: то никто не дерзнулъ-бы въ храмѣ Божіемъ—въ мѣстѣ особаго благодатнаго присутствія Божія, изрекать хвалы обыкновенному человѣку. Но, коль скоро мы знаемъ, что и великими талантами и добрыми дѣлами, болѣе чѣмъ самъ человѣкъ, обладающій ими, прославляется Богъ—Податель всѣхъ благъ человѣку: тогда мы съ дерзновеніемъ изрекаемъ хвалу и смертному человѣку, особенно доброму христіанину.

Почившій рабъ Божій князь Григорій былъ щедро надѣленъ отъ Господа Бога разнообразными дарами. Богъ даровалъ ему мужественное сердце, содѣлавшее его доблестнымъ воиномъ. Богъ даровалъ ему мудрость, содѣлавшую его мудрымъ и добрымъ правителемъ. Богъ одарилъ его поэтическимъ духомъ. обладая которымъ онъ сладостно волновалъ сердца человѣческія, возбуждалъ въ нихъ добрыя, святыя чувства и стремленія по своему хотѣнію, такъ говорятъ, заставлялъ другихъ и восторженно радоваться и плакать. Богъ даровалъ ему долгую жизнь, украшенную дѣлами славными и благими. Онъ уже служилъ, когда даже старѣйшіе изъ насъ еще не родились, и служилъ такъ доблестно, что служба его высоко цѣнилась Вѣнценосцами, уважалась сослуживцами, возбуждала чувства любви и благодарности въ тѣхъ, во благо которыхъ ближайшимъ образомъ направлялась его служебная дѣятельность. Слава Богу за все это! Слава и тому, кто не скрылъ въ землю даннаго ему Богомъ таланта, а употребилъ его въ дѣло,—слава доблестному дѣятелю во благо общее,—почившему князю Григорію.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Но тайна необычайной любви, которую возбуждалъ къ себѣ почившій во всѣхъ съ нимъ приходящихъ въ соприкосновеніе, кроется не въ этихъ качествахъ и дѣлахъ, хотя и они достолюбезны. Причина этой любви иная, болѣе глубокая.

Иногда Господь посылаетъ въ нашъ грѣшный міръ, ამბობს ის გრ. ოლბელიანზე, личности исключителныя, съ особою чарующею нравственною организаціей, съ особою духовною печатью на челѣ, съ особымъ обаяніемъ, привлекающимъ къ нимъ всѣхъ. Эти личности вездѣ, гдѣ только онѣ являются, вносятъ теплоту, миръ, любовь. Онѣ, какъ-бы волшебствомъ, умиротворяютъ и украшаютъ даже души озлобленныя и ожесточенныя; онѣ хотя на минуту вносятъ чувство любви даже въ тѣ души, въ которыхъ клокочутъ ненависть и злоба, и давая этимъ душамъ возможность видѣть сладость любви, призываютъ ихъ къ любви постоянной. Онѣ ходятъ среди опасностей, но опасности боятся коснуться ихъ. Онѣ удостаиваются славы и почета, но ихъ слава и почетъ не возбуждаютъ въ другихъ зависти и вражды. Эта способность нѣкоторыхъ избранныхъ людей привлекать къ себѣ—есть величайшій даръ Божій, ниспосылаемый немногимъ. Сами эти люди—особый даръ Божій міру.

Совершеннѣйшимъ выраженіемъ этого типа людей былъ святый Апостолъ и Евангелистъ Іоаннъ Богословъ, возлюбленный ученикъ Христовъ. .

Къ типу людей, подобныхъ Іоанну Богослову, людей любвеобильныхъ, получившихъ отъ Бога особую духовную организацію, распологающую къ нимъ всѣхъ, принадлежалъ и почившій собратъ нашъ князь Григорій... И здѣсь именно разгадка всеобшей любви къ нему. Этой любви удостоивали его и торжественно заявили о ней и Русскіе Монархи. Голосъ любви онъслышалъ и слышитъ отовсюду: и изъ дворцовъ, и изъ хижинъ, отъ людей знатныхъ и худородныхъ, богатыхъ и бѣдныхъ... Какъ доблестный воинъ и вождь, онъ блюлъ воинскую дисцинлину; какъ правитель—охранялъ порядокъ, творилъ судъ и правду и умѣлъ все это дѣлать, не возбуждая вражды, а привлекая къ себѣ сердца Онъ удостоенъ высокаго положенія, великихъ почестей въ государствѣ; онъ

ეროვნული ბიბლიოთეკა

стяжалъ себѣ славу любимаго народнаго поэта: и—онъ не нажилъ себѣ завистниковъ. Онъ привлекалъ къ себѣ всѣхъ, кто хотя на короткое время приходилъ въ соприкосновеніе съ нимъ... Велика сила любви! Онъ вполнѣ естественно привлекаетъ къ себѣ любовь...

„...ღვთისა ტაძარში, სადაც ყოველივე მომაგონებელია იმისა, რომ მხოლოდ ღმერთია ერთი დიდებული, უსაზღვროდ დიდებული, იგია მხოლოდ ყოვლად სრული, ქებული და განდიდებული, ვითარ გავკადნიერდე და შევაქო ხრწნიადი ნეშტი მიცვალებულისა? მხოლოდ დიდებულისა ღვთისა წინაშე ყოველივე არრა და ამაო არის: არარანი არიან ზესთა უსრულესნი სულნი—ქერუბიმნი და სერაბიმნი; არარანი არიან უუდიდებულესნი მართალნი და ძლიერნი ამა ქვეყნისანი. მრთელი მსოფლიო ქმნილება ღვთისა წინაშე უფრო-ღა არა რა არის, ვიდრე ცვარი წყლისა უსაზღვრო ზღვისა წინაშე, ვიდრე უბრალო მტვერი მრთელის ქვეყნიერების წინაშე. რანი ვიქნებით მაშ, ჩვენ, უბრალო მომაკვდავნი ჩვენის არად საჩენის ქველობითა, ღირსებითა და დიდებითა? ყოვლად სრულისა და უნაკლულო შემოქმედის წინ როგორ-ღა ვაქოთ ადამიანი? მაგრამ კეთილს გრძნობასაც გზა ვით დავუხშოთ, გულს ნამდვილი არ ვათქმევინოთ?.. დიახ წმიდანთა თვისთაგან რომ არ იდიდებოდეს ღმერთი; მდიდარი ბუნებრივი ნიჭი ადამიანისა რომ ღვთისგანვე არ იყოს მომადლებული; ადამიანის კეთილ საქმეთა დიდება თვითონ ღმერთსვე არ მიეწერებოდეს, რომლის ძალითაც მოვიქმედთ ყოველს ჯიკეთესა,—არავინ არ გაკადნიერდებოდა მაშინ და ღვთის ტაძარში, სადაცა ჰსუფევს მადლით თვისით უფალი ჩვენი, უბრალო ადამიანს ქებას არავინ ეტყოდა. მაგრამ, ვუწყით-რა, ვინაიდგან დიდებულის ნიჭითა და კეთილი საქმით უმეტეს ადამიანისა იდიდება ღმერთივე, მათი მიმნიჭებელი,—ვკადნიერდებით და უბრალო მომაკვდავსა და განსაკუთრებით კეთილს ქრისტეანს შევკადრებთ ქებას.

განსვენებული მონა ღვთისა თავადი გრიგოლ უხვად იყო ღვთისაგან მრავალის სხვა-და-სხვა ნიჭით დაჯილდოვებული. ღმერთმან მიანიჭა მას ვაჟკაცური, მამაცი გული და ამან შეჰქმნა იგი სასიქადულო მეომრად. მიანიჭა სიბრძნე და შეიქმნა კეთილი და ბრძენი მმართველი ქვეყნისა. მიჰმადლა ღმერთმა სული და გული პოეტისა, რომლის წყალობითაც ტკბილად აღელვებდა ხალხისა გულსა, უნერგდა კეთილს და წმიდა გრძნობებს და სურვილისამებრ ახარებდა კიდეცა და ატირებდა კიდეცა მკითხველს. მიანიჭა მას მრავალის კეთილისა და სამადლო საქმით გამშვენებული დღეგრძელობა. იგი ჰმსახურობდა უკვე, ოდეს ჯერ უხუცესნიცა ჩვენგანნი არ იყვნენ დაბადებულნი და ჰმსახურობდა იმ ზომად სასიქადულოდ, რომ გვირგინოსანი მეფენიც-კი ღრმად უფასებდნენ სამსახურს;

ეროვნული ბიბლიოთეკ

პატივსა სცემდნენ თანამსახურნი და ყველანი, ვის-და სასიკეთოდაც იყო მიმართული მისი მოღვაწეობა და სამსახური, უზომო მადლობისა და სიყვარულის გრძნობით იყვნენ მისდამი გამსჭვალულნი. მადლობა ღმერთს ყოველისავე ამისათვის! მადლობა მასაც, ვინც ღვთისაგან მიმადლებული ნიჭი უქმად არ დაჰფლა მიწაში და სასიკეთოდ მოიხმარა,—დიდება სასიქადულო და ქველს საზოგადო მოღვაწეს,—განსვენებულს თავადს გრიგოლს.

მაგრამ საიდუმლოება არა ჩვეულებრივ სიყვარულისა, რომელსაც ყველა მასთან დაახლოვებული ჰგრძნობდა, ამ თვისებებსა და საქმეებში როდია დაფარული, თუმცა თავისს თავად იგინიც ღირსნი არიან სიყვარულისა. უფრო სხვაა და ღრმა მიზეზი ამ სიყვარულისა.

უფალი ჩვენი ზოგჯერ სრულიად განსხვავებულს, მომხიბლველის ზნეობისა და განსაკუთრებულის სულიერ ნიჭისა და მადლის მქონე ხალხს მოუვლენს ხოლმე ცოდვილს ქვეყანასა, რომლებიც შესანიშნავის სიყვარულით იზიდავენ ყველასა. ყველგან, სადაც-კი ფეხს დასდგამენ, სიყვარულსა, მშვიდობიანობასა და კეთილს განწყობილებას ამყარებენ; თითქოს ჰხიბლავენ და ისე ამშვიდებენ თვით ბოროტისა და მკაცრის ბუნების პატრონებსაც-კი. ერთის წამითაც არის აგრძნობინებენ სიყვარულს შურის ძიებითა და ბოროტებით აღვსილთ და სამუდამო სიყვარულისადმი იწვევენ. გარს ათასი საფრთხე და შიში ახვევიათ, მაგრამ არც ერთი მათგანი ახლოს არ ეკარება. ყველგან პატივისა და დიდების ღირსადა სცნობენ. მაგრამ დიდება და პატივი მათი არავის შურსა და მტრობას არ იწვევს. ეს არის უდიდესი ნიჭი ღვთიური მხოლოდ იშვიათ რჩეულისა. და თვით ხალხიც, ესრედ რჩეული, განსაკუთრებული მადლია ღვთისა.

ასეთის ნიჭით იყო დაჯილდოვებული წმიდა მოციქული და მახარობელი, საყვარელი მოწაფე ქრისტესი იოანნე ღვთისმეტყველი...

ასეთის ნიჭისა იყო განსვენებული თავადი გრიგოლიც. და აი, საყოველთაო სიყვარულის მიზეზიც სწორედ აქ არის დაფარული. ამ სიყვარულის ღირსადა სცნეს და დიდებულად აღიარეს თვით რუსეთის თვითმპყრობელებმა. ყველგან და ყველა მხრიდან: სასახლიდამა თუ ქოხიდამ, დიდებულთა თუ მცირეთაგან, მდიდრებისა თუ ღარიბებისაგან, ყველასგან სიყვარულის ხმა ესმის... როგორც სასიქადულო და ქველობით სავსე მეომარი იცავდა სამხედრო წესიერებასა; როგორც მმართველი —სამოქალაქო წესებს, ასამართლებდა სიმართლითა და მტრობისა ნაცვლად ყველას გულსა ჰხიბლავდა და იზიდავდა. ღირს იქმნა მაღალის სახელმწიფო თანამდებობისა და პატივისა და საყვარელ სახალხო პოეტის სახელი მოიხვეჭა:—და შური არავისი დაიმსახურა. დიდია ძალა სიყვარულისა და სრულიად ბუნებრივი მისდამი სხვათა სიყვარული...“

ანჩის-ხატიდამ პროცესსია იმავე რიგით და იმავე ქუჩებით დაბრუნდა გოლოვინის პროსპექტზე, საიდამაც შეუხვია ქაშვეთის ეკკლესიაში.

ქაშვეთის გალავანში, ეკკლესიის კარების წინ ორბელიანის კუბო უკანასკნელჯერ დაასვენეს მიწაზე და დაიწყო გამოსათხოვებელი სიტყვები. პირველი სიტყვა იყო კორპუსის კამანდირის დეველისა. მოკლე იყო ეს სიტყვა, მაგრამ ისეთის გრძნობით თქმული, რომ მაყურებელთა ცრემლები ვერ შეიკავეს, როდესაც კორპუსის კამანდირმა მაღალის მთრთოლვარეს ხმით დაიქუხა:

„Тяжело, грустно видѣть бездыханный трупъ маститаго воина, на тлѣнныхъ костяхъ котораго глубоко зарублены 62 года честнѣйшей офицерской службы. Болѣе полвѣка ты стоялъ въ рядахъ непобѣдимой кавказской арміи, она сроднилась съ именемъ твоимъ... и въ эти печальныя минуты нашу привычную любовь и уваженіе къ тебѣ ты уносишь съ собою въ холодную могилу. Да, ты уже не отзовешься на искренній привѣтъ твоихъ сослуживцевъ, а мы болѣе не услышимъ звучную рѣчь нашего Злотоуста, твоя жизнь погибла для насъ, ибо неизбѣжное уже совершилось!

„Итакъ, прощай, маститый войнъ! Прощай отъ имени всѣхъ войскъ Кавказа, среди которыхъ ты былъ глубоко чтимымъ войномъ и многолюбимымъ человѣкомъ. Прощаясь съ тобою, мы не заканчиваемъ своихъ счетовъ! Нѣтъ, кавказскія войска сохранятъ о тебѣ, князь Григорій, добрую и вѣчную память!“

„მძიმეა და სამწუხარო, რომ მხცოვანის მეომრის გვამს, რომლის ხრწნიადს ძვლებზედაც ღრმად არის ნაჭდევი 62 წელი პატიოსნურად გატარებულ ოფიცრის სამსახურისა, უსულოსა ვხედავთ. ნახევარ საუკუნეზედ მეტი ურყევლად იდექი კავკასიის უძლეველ მხედრობის წყებებში, მისი სახელი შენ სახელთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული... და ჰა, ამ სამწუხარო წამებში მთელი ჩვენი შენდამი პატივისცემა და სიყვარული ცივს სამარეში უნდა ჩაიტანო. დიახ, აღარ მოგვცემ პასუხს ჩვენს გულწრფელს სალამზედა და ველარც ჩვენ მოვისმენთ ჩვენის ოქროპირის საამო სიტყვებს, მოისპო შენი სიცოცხლე ჩვენთვის, ვინაიდგან აუცილებელი უკვე მოხდა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მშვიდობით, მაშ, მხცოვანო მეომარო! მშვიდობით, კავკასიის ყველა ჯარების სახელით, რომელთა შორისაც დიდად პატივცემული მეომარი და საყვარელი კაციც იყავი. მაგრამ ჩვენს შენდამი ანგარიშებს ამ გამოთხოვებით როდი ვათავებთ! არა, თავადო გრიგოლ! კეთილსა და სამარადისო ხსენებას შენსას არასოდეს კავკასიის მხედრობა არ დაივიწყებს!“

შემდეგ ილაპარაკეს: ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა და ნიკო ყიფიანმა. სამწუხაროდ, ვერაფერს ვერ ვიტყვი იმათ სიტყვებზე. ორმა ჩვენმა სასიქადულო მწერალმა, ჩემის ფიქრით, ვერ გაიგეს ამ მომენტის მაღალი მნიშვნელობა ჩვენის პაწია ხალხისა და მწერლობისთვის. ასაფლავებდნენ კაცს, რომელსაც დასტიროდა მთელი საქართველო, რომელმაც ქართველის სახელი და ქართული სიტყვა აღიყვანა იმ სიმაღლემდის, რომელსაც არავინ შესწვდენია არა მარტო ამ საუკუნეში და ნაცვლად იმისა, რომ წარმოეთქვათ მამულის სიყვარულისაგან ნაკარნახევი და გულის სიღრმისაგან გამოსული სიტყვა, წინ და წინ საქრისტომატიოდ განმზადებული, რომელშიაც გამოეხატათ პიროვნება და მნიშვნელობა გარდაცვალებულისა, პირველმა მათგანმა პოეტის ნაწერებიდამ ამოღებული სიტყვებით რაღაც გვარი ფელეტონური სიტყვა შეთხზა, რომელშიაც საკუთარი მარტო ის ჰაზრი იყო, რომ პოეტის ნიჭი სიტყვასაც საქმედ შეიქმდაო... თითქო განსვენებულის 80 წლის ცხოვრებაში ამ საპარადოქსო ჰაზრის მეტი სხვა არა ყოფილიყო რა; მეორემ... მაგრამ, ეჰ! სჯობს მეორესაც თავი ვანებოთ და მესამესაც. არც ერთი არ იყო შესაფერი სამწუხარო შემთხვევისა. ღმერთმა დაუმადლოს საქართველოს ექსარხოსს! იმან მარტო დაიცვა ამ დღის პატივი.

მეოთხე საათზე სიტყვები გათავდა და გოლოვინის პროსპექტიდამ მოისმა იქ გამწკრეული ჯარის თოფის გრიალი. თოფებს ბანი მისცეს მტკვრის პირიდამ ზარბაზნებმა და კუბო ჩაეშვა სამარეში.

ა. ძეუნარგია

ეროვნული
ბიბლიოთეკ

ექიმის დანიშნულება*)

საჭირო არ არის სიტყვა გავაგრძელოთ იმის დასამტკიცებლად, რომ აწინდელს მდგომარეობაში ექიმს ძალიან სუსტი გავლენა აქვს ავადმყოფობის განვითარებაზედ და დაბოლოვებაზედ.

ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ ექიმი ავადმყოფობის დასაწყისს კი არა, უფრო ხშირად დაბოლოვებას-ღა ჰხედავს.

ავადმყოფობისა დასაწყისი უნდა ნახოს ექიმმა, რომ დახმარება აღმოუჩინოს რამე ადამიანს; სნეულებასთან ბრძოლა შესაძლებელია პირველს ხანებში და არა შემდეგ, როდესაც მაგრად ფესვს გაიდგამს და მძვინვარებს.

ავადმყოფობა რომ თავს იჩენს, ეგ ის არის, რომ თავის განვითარების მესამე ხანაში გადავიდა. პირველ ხანად ავადმყოფობის, იერიში მივიღოთ ორგანიზმზედ; მეორედ—ავადმყოფობისაგან ორგანიზმის სხვა-და-სხვა ფუნქციის დარღვევა, ორგანიზმის წინააღმდეგობა და დარღვეულის შეკეთება.

სწორედ ამ დროს, ავადმყოფობის მეორე ხანაში, შეუძლიან ექიმს ნამდვილი დახმარება აღმოუჩინოს, რადგან ავადმყოფობას ჯერ კიდევ თვით ორგანიზმი ებრძვის და ექიმისაგან მხოლოდ დახმარებას მოითხოვს, ჰიგიენურს და მკურნალურს. გამოცდილებით არის დამტკიცებული, რომ ავადმყოფობას დაუჯაბნია ორგანიზმი, მარტო იმიტომ, რომ მას არ ჰქონია უსაჭიროესი პირობანი ჰიგიენურ ცხოვრებისა.

---

*) D-r Héricourt: le médecin de e'avenir.

ეროვნული ბიბლიოთეკ

საუბედუროდ, ამ ხანაში ექიმს არავინ იწვევს, რადგან ავადმყოფს ჯერ „საიმისო არა სჭირს რა.“ ავადმყოფობას თვით ბუნება ებრძვის, ორგანიზმი უმაგრდება და არ ამარჯვებს, თავს არ აჩენინებს. უნდა გათავდეს ეს ბრძოლა, რომ დამარცხებულს ორგანიზმს ავადაყოფობა გამოაჩნდეს.

ექიმსაც მაშინ მიმართავენ, როდესაც ავადმყოფობამ თავი იჩინა, ესე იგი მესამე ხანაში გადავიდა. ავადმყოფი ხედავს, რომ მეტი გამაგრება აღარ შეუძლიან, რაღაც დაემართა და ჩვეულებრივი ცხოვრება შეაწყვეტინა. სხვა სიტყვით რომ ვთქვათ, ორგანიზმი უკვე დამარცხდა, ავადმყოფობამ გაიმარჯვა. ავადმყოფობის პირველმა და მეორე ხანამ გაიარა, დაიწყო მესამე, რომელიც ავადმყოფის სიკვდილით გათავდება, ან სნეულების ბუნებრივ მიმდინარეობით და ავადმყოფის გასაღებით; ექიმის დახმარება ამ ხანაში მეტად სუსტი და უმნიშვნელო-ღა არის.

ან რაღა შეუძლიან ექიმს ორგანიულ რაიმე ავადმყოფობასთან? რაღას უშველის თირკმელების ანთებას, ღვიძლის ტკივილს, გულის ფრიალს, შარდის დენას? შეიძლება ტკივილი შეუმსუბუქოს, ავადმყოფობის მიმდინარეობა შეაგვიანოს, მაგრამ თვით სნეულებას კი ველარ აღმოფხვრის. თავის დროზედ რომ მიემართნათ, ჯერ ისევ მაშინ, როდესაც მარტო მოშლილი კუჭი მოწმობდა ავადმყოფობის დაწყებას, დიდად დაეხმარებოდა, რადგან შერყეული საზრდოების ნაგვიანები შედეგია აქ ნახსენები ავადმყოფობანი.

იგივე ითქმის გადამდებ სნეულებათა შესახებ. დამტკიცებულია, რომ ჭლექის მორჩენა მესამე ხანაში შეუძლებელია; წინა ხანებში კი ბუნების დახმარებით და ხელშეწყობით ადვილად შესაძლებელია.

სხვა და სხვა ჭირში ხომ სრულიად უსარგებლოა ექიმი; ვისაც ჭირთან ბრძოლა უნდა, მის გაჩენის და გავრცელების ხელშემწყობი პირობები უნდა მოსპოს; სხვაფრივ მასთან ბრძოლა ამაო არის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

II

კარგი არ იქნებოდა, ასეთ უსარგებლო და უნაყოფო შრომის მაგივრად ექიმს ჯანსაღებისთვის შეეძლვნა თავისი ცოდნა და ღვაწლი? თავისი ჯანსაღი პაციენტები დაეფარა ავადმყოფობისაგან? რამდენად ნაყოფიერი და მადლიანი იქნებოდა მაშინ ექიმის შრომა! რა დიდებული, ღირსეული საზოგადოებრივი და ზნეობრივი მნიშვნელობა ექნებოდა მის მოღვაწეობას. ვის არ გაუგონია ეს შენიშვნა, ექიმებისთვის გულსატკენი და დამამცირებელი:

— საზიზღარი რამ არის ექიმის მდგომარეობა! სხვის ჭირითა ცხოვრობს და მადლიერი მარტო მაშინ არის, როდესაც ხალხში სნეულება რამე მძვინვარებს.

თუ გნებავთ ექიმის გული მოიგოთ,—ბევრი ავადმყოფი გყავსო?— ჰკითხეთ.

სწორედ ექიმური ჩამქრალი გრძნობიერება უნდა ჰქონდეს კაცს, რომ არ იწყინოს ამ გვარი მისალმება და კომპლიმენტი.

ნუ თუ საჭიროა ვთქვათ, რომ სხვისი ტანჯვა და ტკივილი არავის არ უნდა ახარებდეს? თვით ექიმსაც კი არა? და რადგან ექიმი უბრალო ადამიანია, უბრალო მომაკვდავი, საჭიროა ისე მოგვარდეს საქმე, რომ სხვებთან ერთად იმასაც ახარებდეს ავადმყოფობათა იშვიათობა.

უცნაური ნუ გგონიათ ამ გვარი მდგომარეობა ექიმისა, რადგან იგი უკვე არსებობს და ნორმალურად მიაჩნია ყველას. მაგალითებრ სამხედრო ექიმს უხარიან, როდესაც ავადმყოფები არა ჰყავს; იკვეხის კიდეც, იმიტომ რომ ჯარის ჯანსაღობაზედ არის დამოკიდებული იმისი სახელი და მოსვენება. ექიმი ყოველ დღე ხედავს ჯანმრთელ ჯარისკაცებს, იმათ ცხოვრებას, ბინას, საჭმელს და სულ იმის ცდაშია—ავადმყოფობა არა შემომეპაროს რაო. სამხედრო ექიმი ავადმყოფობას კი არა, ავადმყოფობის გამჩენ მიზეზებს ებრძვის; ის უფრო ჰიგიენის მსახურია, ვიდრე მედიცინისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯარის უფროსებს რომ კარგად ესმოდეთ თავიანთი სარგებლობა, გულმოდგინედ მოისმენდნენ და სამხედრო ექიმის ყოველ რჩევას აასრულებდნენ.

ზოგმა მექარხნემაც გაიგო, რა სარგებლობას მოუტანდა მრეწველობას მოსამსახურეთა და მუშათა ცხოვრების ჰიგიენურად მოწყობა, მათი ჯანმრთელობა და მაშასადამე ხალისიანი შრომა. შეგნებული მექარხნეები ექიმებს ჯამაგირს იმისთვის კი არ აძლევენ, სნეულები განკურნეთო, არამედ იმისთვის, რომ ჰიგიენურად მოაწყონ მუშათა და მათი ოლშვილის ცხოვრება და მით შეუძლებელ ჰყონ სნეულების გაჩენა. და როგორც სამხედრო ექიმს, ისე ქარხნისას, ცხადია, ის უნდა უხაროდეს, რომ ავადმყოფები არ ჰყავდეს.

აი წმინდა მედიცინა, ზნეობრივაც და მატერიალურადაც ჭეშმარიტი მოღვაწეობა ექიმისა!

განა არ შეიძლება, მაშინ კი არ მოვიწვიოთ ექიმი, ხშირად სრულიად უცნობი, როდესაც სნეულებამ უკვე თავი იჩინა და თითქმის ამაოდ რჩება ექიმის მეცადინეობა; არამედ წინადვე, როდესაც ჯერ ფიქრიც არავისა აქვს ავადმყოფობისა? განა არ შეიძლები წლიურად, გადაჭრილ საფასურით თავისი ექიმი ჰყავდეს ყველას, რომ თვალყურს ადევნებდეს მთელს ოჯახს, მის სტუმარს, მოსამსახურეს? ამაო წამლობის მაგივრად, მედგრად შეიარაღებული დაუხვდეს ავადმყოფობას და სახლში არ შეუშვას?

დაკვირვებით, თავის ჯანსაღ პაციენტების შესწავლით და მათი ცხოვრების მეცნიერებისამებრ მოწყობით ექიმი მრავალს ავადმყოფობას, ტანჯვას და წამლების ამაო ხარჯს ააცდენდა კაცს და წლის დამლევს ორივ კმაყოფილნი იქნებოდნენ,— პაციენტიც და ექიმიც.

III

თქმა არ უნდა, ერთხელაც იქნება, სწორედ ასე იცხოვრებს კაცობრიობა. მაგრამ ამისთვის საჭიროა ყველამ შეიძი-

ნოს ნამდვილი მნიშვნელობა მედიცინისა, რომლის წინსვლამ და განვითარებამ იგი ავადმყოფობათა ამცდენ მეცნიერებად აქცია, თუმცა ხალხს იგი ძველებურად მკურნალ მეცნიერებად მიაჩნია. თავის თავად კი არ მოვა ეს ნეტარი დრო; საჭიროა მოვიახლოვოთ იგი და მის მოახლოვებას თვით ექიმები უნდა ცდილობდნენ, რადგან დღეს უკვე დამტკიცებულია, რომ ოთხში ერთი ექიმი თუ შოულობს პატიოსნად თავის ლუკმა პურს.

ჯერ-ჯერობით ძალიან შორსა ვართ ჩვენგან დახატულ იდეალურ მდგომარეობისაგან, და მის განხორციელებას თვით ექიმებიც უნდა დაეხმაროონ; სიტყვით და კალმით, ყოველგან იმას უნდა ქადაგებდნენ, რომ სასურველი და სასარგებლო ჯარისთვის, ხომალდისთვის, სკოლისთვის, ქარხნისთვის, არა ნაკლებ სასარგებლო და სასურველი უნდა იყოს ოჯახისთვისაც.

დასავლეთ ევროპაში მრავალი საზოგადოება არსებობს, რომელთა უმრავლესი მიზანი ის არის, რომ უსასყიდლო წამლობა და ექიმობა აღმოუჩინონ თავიანთ წევრებს.

ამ საზოგადოებათა არსებობაც თავისებურად უნდა გამოიყენოს ექიმმა და ისე უნდა მოაწყოს საქმე, რომ თითონაც მოიგოს და საზოგადოების წევრთაც მოაგებინოს.

უნდა შეაგნებინოს ამ საზოგადოებათა წევრებს, რომ უმთავრესი მათი დანიშნულება ავადმყოფობასთან ბრძოლა კი არა, უფრო დიდი და წმინდა უნდა იყოს—სახელდობრ იმ გვარად მოწყობა ცხოვრებისა, რომ ავადამყოფობა ველარ ჩნდებოდეს. უნდა შეაგნებინოს, რომ დიდად სასარგებლოა ავადმყოფობის დროს მუქთი ექიმი და წამალი; მაგრამ უფრო სასარგებლო ის იქნება, რომ თვით ავადმყოფისაგან დაზღვეულ იქმნას ადამიანი. მაშინ ეს საზოგადოებანი ჯარს დაემსგავსებოდნენ და მათი ექიმების ერთად ერთი საზრუნავი ის იქნებოდა, რომ ავად არავინ გახდომოდათ. მართალია გაცილებით მეტი შრომა დასჭირდებოდათ, დაფიქრება და დაკვირვება ამ ახალს თანამდებობაში, მაგრამ ექიმის დანიშნულება

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწორედ ეს უნდა იყოს და არა უსარგებლო რეცეპტების წერა.

წაბაძვას ჯერ კიდევ დიდი ხანი ექნება თავისი ძალი და ამ საზოგადოებათა მიხედვით კერძო პირნიც აიჩენდნენ საკუთარ ექიმს, მას მიანდობდნენ თავიანთ ჯანმრთელობაზე ზრუნვას და ყოველგვარ ავადმყოფობათა აცილებას.

IV

ექიმს ძვალსა და რბილში უნდა ჰქონდეს გამჯდარი ის წმინდა ჭეშმარიტება, რომ მას საზოგადოების ჯანმრთელობა უნდა აცხოვრებდეს და არა სნეულება. მაგრამ ამგვარ ექიმს მომავალი შექმნის, როდესაც იგი სულ სხვაფრივ იქნება აღზრდილი, ვიდრე დღეს არის; აღზრდის გარდა, მაშინ ცოდნაც მეტი ექნება და გამოცდილებაც. მისი მოქმედება დამყარებული იქნება მსწრაფლწარმავალ ნიშნების დაკვირვებაზე და ლოლიკურად მოსალოდნელ შედეგთან ბრძოლაზე. მისი დადგენილება დაფუძნებული იქნება მჭიდრო, უტყუარ საბუთებზე, და თუ შემცდარი გამოდგა, ეგ იმიტომ მოხდება, რომ ადამიანი ღმერთი არ არის, რომ შეუცდომელი იყოს.

მაშინ ექიმი დღევანდელივით ხელოსანი კი არ იქნება, რომლის დანიშნულებას თუ გაჭირდა აფთიაქარიც ასრულებს, ბეითალიც და თვით ვარსამიც! მაშინ ნამდვილი მეცნიერების წარმომადგენელი იქნება ექიმი და მარტო ის იქნება აღჭურვილი იმ ცოდნით, რომელსაც შეეძლება მოსალოდნელ სნეულებათა აცდენა. მაშინ კვლავ მოიხვეჭს ექიმი სასწაულთმომქმედის სახელს, რომელიც ასე სამარცხვინოდ დაჰკარგა.

მაგრამ მარტო ექიმი კი არ არის დამნაშავე: საზოგადოებას დაჰკარგვია ექიმის ნდობა და, კიდეც რომ გაჩნდეს ვინმე მადლიანი და ჰიგიენაზედ ბაასი ჩამოაგდოს, ყურს არ ათხოვებენ. აზვიადებსო, იტყიან, საცა ბუზიც არ არის, იქ სპილო ელანდებაო... და სხვას მოსძებნიან, რომელიც თავის დანიშნულებას მარტო რეცეპტის წერაში ხედავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაკი ნახავს ექიმი,—ავადმყოფები იმიტომ დავკარგე, რომ მათი სიკეთე მინდოდაო, გულში ღრმად ჩაიმარხავს თავის თეორიებს, პირზედ ნიღაბს ჩამოიცვამს და მგლებთან მგლურად იწყობს ღმუილს.

დარბაისელი, ჩაფიქრებული შეხედულება; მშვენიერი ტანისსამოსი; სწრაფი გამოკითხვა ავადმყოფისა, უფრო სწრაფი გასინჯვა; მაჯა, ენა, რეცეპტი, და... გზა! უკვე მიბრძანდება ბატონი ექიმი! ეჩქარება, ავადმყოფები ელიან!

აი ნამდვილი ექიმი, რომელიც სწამს ჩვენს საზოგადოებას! ყველაფერს მას ჰკითხავენ, თუმცა არაფერი არ ეკითხვის!

ჩინეთშიც კი თავის კლიენტების ჯანმრთელობით ცხოვრობს ექიმი, და არა მათ სნეულებით.

ფრიად საინტერესოა ჩინური ჩვეულება: ყოველ ოჯახს თავისი ექიმი ჰყავს, კაცის თავზედ დღიურად გადაწყვეტილს სასყიდელს აძლევს...

თუ ღმერთი გაუწყრა ექიმს და ავად გაუხდა ვინმე, აღთქმული სასყიდელიც ეკარგება და ავადმყოფსაც მუქთად უნდა მოუაროს.

ჩინეთში მრავალი ჩვეულება და დაწესებულება არის დამყარებული უსამძღვრო სიბრძნეზედ და სასტიკ ლოგიკაზედ, და, სხვათა შორის, ექიმის და მის კლიენტების დამოკიდებულებაც: კლიენტებისთვის სასარგებლო, ექიმისთვის—სასახელო!

ჩინური ჩვეულება პირდაპირ მოწმობს,– ექიმის დანიშნულება ის არის, რომ ოჯახში სნეულება არ შეუშვას და ძირი არ გაადგმევინოს. ექიმი თავის კლიენტის ჯანსაღობას ზრუნავს და ამიტომ უყვარს იგი დიდსა და პატარას.

კლიენტი ავად გახდა! ექიმის ბრალია! ექიმმა უმტყუნვა თავის მოვალეობას, დააკლდა, ან ვერ გამოიყენა თავისი ცოდნა-გამოცდილება, შორსმჭვრეტელობა... მაშ თავისი შეცდომა თითონვე გაასწოროს! დეე, ყოვლად უსასყიდლოდ მოუაროს ავადმყოფს. მაშინ თავის სინიდისიც ველარას უსაყვედურებს, რადგან პირადი მისი ინტერესი აიძულებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც შეიძლება კარგად უექიმოს და ჩქარა განკურნოს სნეული.

სწორედ სათაყვანოა ეს ჩვეულება, რომელიც ცხადად გვიჩვენებს, რა კარგად სცნობიათ ჩინელთ ადამიანის გული და რა ღირსეული სამსახური დაუვალებიათ საექიმო მეცნიერებისთვის.

მაგრამ რა? ჩავიდა ჩინეთში „განათლებული“ ევროპიელი, ბევრი სხვა ღირსეული ჩვეულება დაავიწყა და იქნება ესეც დაავიწყოს. ამ შემთხვევაში, როგორადაც მრავალ სხვაში, ფრიად სასურველი იქნებოდა ევროპიულ და ჩინურ კულტურათა დაახლოვება და ერთმანერთის შევსება: ჩვენ ჩინელთ ჩვენებურს ცოდნას მივაწვდიდით, ურომლისოდ უნაყოფო უნდა იყოს მათი სამაგალითო ჩვეულება; და ჩინელთაგან მათს ჩვეულებას შევიძენდით, ურომლისოდ ყოვლად უნაყოფო დარჩება ჩვენი მეცნიერება.

V

ეს წერილი უკვე დაწერილი მქონდა, როდესაც სასკოლო ჰიგიენის კონგრესსი შეკრბა. კონგრესსმა დასაწყისშივე მოისმინა მოხსენება ბ. ლეჟანდრისა სკოლის ექიმის მოვალეობათა შესახებ. სკოლის ექიმის დანიშნულება ბ. ლეჟანდრმაც სწორედ ისევე განმარტა, როგორადაც ჩვენ აღვნიშნეთ ამ წერილში.

ლეჟანდრის სიტყვით, უმთავრესი ნაკლულევანება აწინდელ სკოლისა სანიტარულ მხრივ, რასაკვირველია,—ის არის, რომ ექიმი მარტო მაშინ ხედავს მოსწავლეს, როდესაც იგი ავად გახდება; ბავშვის ავადმყოფობამდე კი არც იმას იცნობს ექიმი, არც იმის მშობლებს, არც იმის სახლს და ცხოვრების განწყობილებას. უმთავრესი ვალდებულება ექიმისა ის არის, რომ ყოველ წლივ სწავლის დაწყებისათანავე გასინჯოს მოსწავლენი, ყოველი ბავშვის შესახები დაკვირვება ჩაიწეროს, ეს დაკვირვება ნიადაგად დაიდოს და იმდენი იზრუნოს, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკ

სუსტს და ავადმყოფობისადმი მიდრეკილების მქონე ბავშვს ავადმყოფობა ააცდინოს. ეს უნდა იყოს დასაწყისი სასკოლო პროფილაქსიისა—ავადმყოფობათა აცდენისა; თვით ჰიგიენის საზოგადო კანონების აღსრულება შეცვლილ უნდა იქმნას მოსწავლეთა აგებულების დაკვალად: უნდა გაჩნდეს ინდივიდუალური ჰიგიენა.

მრავალი ავადმყოფობა, რომელიც შემდეგში გამოაჩნდება ადამიანს, უკვე ბავშვის ორგანიზმში იმყოფება ნასახად დამალული, მაგ. ქარები, ნერვების სისუსტე, ჭლექი, ანუ ჭლექისადმი მიდრეკილება. ამზადებს ნიადაგს ყველა ავადმყოფობისას, თვით გადამდებ სენისასაც, საზრდოების უვარგისობა, რომელიც ან მემკვიდრეობითი არის, ანუ უჰიგიენო ცხოვრების გამო შენაძენი.

თავისი დაკვირვებანი ექიმმა წელიწადში ორჯერ, და თუ შეიძლება, სამჯერაც უნდა გადასინჯოს. მათი შინაარსი საექიმო საიდუმლოებას უნდა შეადგენდეს და ექიმის მეტი მათ არავინ არ უნდა ხედავდეს.

სასწავლებლის ექიმმა დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს მოსწავლეთა კანს და ლორწოს, რომელნიც შესავალს კარს წარმოადგენენ მრავალ ავადმყოფობისას. აღმზრდელთა დახმარებით იმდენს იზამს ექიმი, რომ ყოველთვის და რიგზედ იხმარონ ბავშვებმა თავის საწმენდი, ფრჩილებისა და კბილის სახეხი.

არა ნაკლები ყურადღება უნდა მიაქციოს ექიმმა მოსწავლეთა საზოგადოებას და ხშირი, ყოველდღიური სტუმარი და მეთვალყურე უნდა იყოს სამზარეულოსი.

ფიზიკური ვარჯიშობაც ექიმის რჩევისამებრ უნდა სწარმოებდეს სკოლაში, რადგან კარგად შეხამებული გიმნასტიკი არა მარტო ფიზიკურად განავითარებს ბავშვს და მის სიმრთელეს, არამედ დიდს გავლენას იქონიებს მისს ზნეობრივ და გონებრივ ზრდაზედაც.

დასასრულ ბ. ლეჟანდრი ამტკიცებს, ექიმს არა მარტო ფიზიკური ჰიგიენა ეკითხვის, არამედ გონებრივიცაო: სრულს უსაფუძვლობას წარმოადგენს დღეს ადამიანის ფიზიკურსა და გონებრივ ცხოვრებათა შორის რაღაცა საძღვრის ჩადება, ტანისა და გონების განშორება; ამ განშორებამ უკვე მოჭამა თავისი დღენი. **ერთობა** ცოცხალ არსებისა ბიოლოგიურ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კანონად არის დღეს აღიარებული, და იმდენად ცხადი და თვალსაჩინოა ეს კანონი, რომ ველარც-კი წარმოგვიდგენია, როგორ შეიძლება ბავშვის სრულს განვითარებას ვცდილობდეთ და ამ მიზნის მისაღწევად მის ორგანიზმის ყოველს ფუნქციას კი არ ვავითარებდეთ; დღეს ანბანურ ჭეშმარიტებად გამხდარა—გონებრივ განვითარებას ნიადაგად ფიზიკური განვითარება—მოძრაობა და მონელება უნდა ჰქონდესო. ექიმს უნდა ეკითხებოდეს—დღეში რამდენს საათს უნდა სწავლობდეს ბავშვი. გარდა ამისა მასწავლებელი იძულებელი უნდა იყოს ექიმს აცნობოს ხოლმე შეგირდის სწავლაში დაქვეითება და დასუსტება; ეს იმიტომ, რომ სისუსტე გონებისა და ნებისა უფრო ხშირად შედეგია ფიზიკურ მიზეზებისა, რომლის წამლობა და აღდგენა ექიმის საქმეა.

VI

სკოლის ექიმისთვის აქამდე ისიც კმაროდა, ბავშვები ჰყვარებოდა და ხეირიანი მკურნალი ყოფილიყო, რომ სრულიად დაეკმაყოფილებინა სასწავლებლის გამგეობაც და მოსწავლეთა მშობლებიც. მომავალში კი სულ სხვა გვარი მოვალეობა ექნება ექიმს და ამ თვისებათა გარდა, სპეციალური მომზადებაც დასჭირდება. მაგრამ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, როგორადაც ბიოლოგიაში, ორგანს ფუნქცია შექმნის: როდესაც ექიმი შეიგნებს, რას ავალებს მას საზოგადოება ბავშვის აღზრდის, გაუმჯობესობის საქმეში, ყოველ საექიმო ფაკულტეტზედ გამოჩნდებიან მსურველნი, რომელნიც თავიანთ მეცნიერულ ტვირთს სპეციალურ ცოდნას დაუმატებენ—ჰიგიენურს და პედაგოგიურს—და შეჰქმნიან ჭეშმარიტს ექიმს სკოლისას.

დღეს სამხედრო ექიმი გვყავს, რომელიც დიდს ღვაწლს დასდებდა ჩვენს წინმსლელობას, რომ კარგად ესმოდეს თავისი დანიშნულება და ნებაცა ჰქონდეს თავისუფლად მოქმედებისა; ხვალ ზემოდ აწერილი სკოლის ექიმები გვეყოლება; ზედ საზოგადოების მოთხოვნილება დაერთვის და გაჩნდება ის ექიმი, რომელსაც ხალხის ჯან მრთელობა ასაზრდოვებს, და არა დღევანდელივით ხალხის სნეულება.

ივ. მაჯავარიანი

ეროვნული
ბიბლიოთეკ

ნარევი

1) ქვეყანა დიდია.—2) ამერიკული მწერლობა.—3) გაფიცვის ნაყოფი.—4) ვიანგარიშოთ.—5) შეიძლება ამ ჟამად სწავლის დაწყება?—6) მეცნიერული ჭეშმარიტება და საზოგადოებრივი წინმსვლელობა.—7) ომსა დიდი ცომი უნდა, ულეველი საფანელი.—8 გაკანონება უკანონობისა.

1. ქვეყანა დიდია, ამტკიცებს პროფესორი სპალერი, ზედ თავისუფლად იცხოვრებს კაცობრიობაო... ურწყავი მიწები რომ მოირწყას და გაშრეს ჭაობები, იმოდენი მამული მიემატება ევროპასაც, აზიასაც და ამერიკასაც, რომ უმამულობაზედ ლაპარაკი სიცრუვედ გახდება. ევროპაში, ჰოლლანდიაში უკვე სცადეს ჭაობის გაშრობა და დიდი მამულიც შესძინეს ღარიბ ხალხს. ამერიკაში რამდენიმე მილიონი დღიური მიწა შეემატა მარტო შეერთებულ შტატებს. აზიაში ადვილად განაყოფიერდება ვრცელი მინდვრები, რომელნიც ერთხელ სარწყავი და მდიდარი ყოფილა, და დღეს კი უდაბნოდ ქცეულა. დედამიწა მეტად დიდია და მთელს კაცობრიობას გამოჰკვებს, ოღონდ ცოტა შრომა გასწიოს ადამიანმაო, ბრძანებს პროფესორი სპალერი... და ოღონდ სამართალი იყოს, დავუმატებთ ჩვენ: ამას წინად მოკლულს მოსკოვის გენერალ-გუბერნატორს, დიდ მთავარ სერგის ოთხას-ოცდა ათი მილიონი მანეთის შეძლება დარჩა, უმთავრესად მამულები... და გლეხ-კაცს კი ორი დღის მიწა ენატრება, რომ ჭადით მაინც გააძღოს თავისი ცოლშვილი.

**

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. ამერიკული მწერლობა. რამ დასცა, რამ დააქვეითა ასე ჩვენი მწერლობაო, კითხულობს ერთი ამერიკელი მწერალი და შემდეგ პასუხს ჰპოვებს: ჩვენი მწერლობა დაამხო გავლენამ ქალისამ, რომელსაც გარეგანი სილამაზე უყვარს, და საქმიანობამ ამერიკელისამ, რომელსაც ფულის მოგების იქით სხვა მიზანი არა გააჩნია-რა... ინგლისელის ცხოვრების მიზანი, საიდუმლო რასაკვირველია, სისქე და სისუქნე არის; ფრანგისა—აკადემიის წევრობა; გერმანელისა—ოთხ ტომიანი წიგნის დაწერა მარსის მცხოვრებთა ენებზედ. ყველა თავის მიზანს შესტრფის და მით იტკბობს სიცოცხლეს. დიდი ხანი ვეძიე ამერიკელების ცხოვრების მიზანი და ბოლოს სრულიად შემთხვევით მივაგენ ერთ დამზღვევ საზოგადოების განცხადებაში შემდეგ სიტყვებს: კეთილი ცხოვრება და ფულის მოგება,—აი ჩვენი მიზანი და დანიშნულებაო. მართლაც და აი ცხოვრების მიზანი ამერიკელისა: კარგი საჭმელ-სასმელი, კარგი სახლი, კარგი ტანისამოსი, ბევრი ფული და სიმდიდრისა გამო პატივისცემა! ერის იდეალი რომ სმა-ჭმადა და ფულად იქცევა, იქ მწერლობა ველარ იხეირებს, დასძენს ამერიკული ჟურნალი.

* *

3. გაფიცვის ნაყოფი. ბელგიაში 1893 წელს მუშათა ერთის დღის გაფიცვამ იმოდენი გავლენა იქონია პარლამენტზე, რომ საარჩევნო უფლება მიანიჭა იმათაც, რომელთაც არავითარი შეძლება არა ჰქონდათ; მართებლობას ისე ეშინოდა მუშათა გაფიცვისა, რომ ამ უბედურების ასაცდენად გადადგა ვანდენბომის სამინისტრო კაბინეტი; რადგან მამულისა და ფულის პატრონთ ბელგიაში ორი და ხშირად სამი ხმაცა აქვთ ერის წარმომადგენელთა არჩევანში, 1902 წელს 350 ათასი მუშა დაემუქრა მართებლობას: ან კაცზე ერთი ხმა იყოს, ან არა და გავიფიცებითო, მაგრამ აქ კი ველარ აჯობეს; ბელგიელ სოციალისტებს დღემდის არ დავიწყებიათ ეს დამარცხება. ბარცელონში, ისპანიაში, 1902 წელს საზოგადო გაფიცვა მოხდა ანარქისტების ზედგავლე-

ნით: წყლის მილები დახეთქეს, ასანთები გაზის მილები დაანგრიეს, დაწყვიტეს ტელეგრაფის და ტელეფონის მავთულები, აიკლეს ხაბაზის, სანოვაგის და ღვინის საწყობები, და ხალხი დაამშიეს; ამ გაფიცვაში სოციალისტები არ ჩარეულან. სტოკჰოლმის (სვედიაში) მუშათა გაფიცვა სამს დღეს გაგრძელდა და მიზნად საყოველთაო საარჩევნო უფლების მოპოვება ჰქონდა; 120 ათასი მუშა იყო გაფიცული: თავიანთი მოთხოვნილება სთქვეს და წესიერება არაფრით დაურღვევიათ. ნამდვილი საყოველთაო გაფიცვა მოხდა იტალიაში 16 ენკენისთვეს 1904 წ. სარდინიაში ჯარების მიერ მუშათა დახოცვის გამო: გაფიცვამ სრულიად შეაყენა საზოგადოებრივი ცხოვრება; აღარც ასანთები გაზი იყო, აღარც ელექტრონი, აღარც ტრამვაი, აღარც რკინის გზა და ფოსტა. რკინის გზის ლიანდაგზე ქალები და ბავშვები იწვნენ და არ უშვებდნენ მატარებელს. მაღაზიები ყველა დააკეტინეს, თვით აფთიაქებიც კი. წყალში ისროდნენ ბოთლებით რძეს— ავადმყოფთათვის დანიშნულს... შედეგი ამოდენ შევიწროებისა ის იყო, დასძენს საზოგადო გაფიცვის ამწერი სიდნეი ვებბი, რომ საცა კი გაფიცვა მოხდა, ყველგან თითქმის ყველგან გაიმარჯვეს მუშებმაო.

**

4. ვანგარაშოთ! ჩინეთის რკინის გზა რუსეთს 500 მილლიონი მანეთი დაუჯდა. ქალაქ პორტ-არტურის და დალნის აგება—იმდენივე. დღევანდლამდე ომზედ დახარჯულია 1000 მილლიონი მანეთი. თუ რუსეთის ფლოტი დამარცხდა, ამ ორი ათას მილლიონს ფლოტის ფასი მიემატება; აგრეთვე ზარალი, რომელსაც რუსეთი იაპონიას უზღავს და კუნძული სახალინი, სხვა რომ არა ვთქვათ რა. სახალინი რომ აიღოთ, ჩვენ მოგვეცით იჯარით და იჯარის გადასახადს წელიწადში ასს მილიონ მანეთს ეხლავე მოგცემთო, ეუბნებიან ამერიკელები იაპონიას; მაშასადამე სახალინის ფასი ათასი მილიონი ყოფილა; კონტრიბუციაც ამაზედ ნაკლები არ იქნება, თუ ერთი ორად მეტი არ იქნა. ამგვარად ეს უაზრო ომი, რომე-

ეროვნული ბიბლიოთეკ

ლიც რამდენმამე წარჩინებულმა რუსმა მოხელემ გამოიწვია— რუსეთი უკვე გავყვლიფეთ და ახლა კორეის გაყვლეფა გვინდაო—დიაღ, ეს უაზრო ომი სულ ნაკლები რომ ვთქვათ ოთხ ათას მილიონ მანეთად უზის რუსეთს, გარდა საკუთარ დანახარჯის და ფლოტისა. ამოდენი ფულის ფლანგვა, როდესაც შინ, მთელი რუსეთის იმპერიაში, არც სადმე სკოლაა, არც გზა, არც მრეწველობა, და ხალხის სილატაკე საზღაპროდ გამხდარა, შეეძლო მარტო ბიუროკრატიას, რომელსაც არად გააჩნია არც ქვეყანა, არც ქვეყნის ბედი და ქართული ანდაზა გაუხდია თავის დევიზად: ვინც რა უნდა სთქვასო, წისქვილმა კი ფქვასო. 97 გუბერნია ითვლება რუსეთის იმპერიაში და ეს ფული რომ შინ დატრიალებულიყო, ქვეყნის სასარგებლოდ, თითო გუბერნიას 41 მილლიონი მანეთი შეხვდებოდა და, თუ კი საქმეს მოხმარდებოდა, ააყვავებდა რუსეთს. შინ რომ ბავშვები ტიროდნენ, გარეთ ტაბლას რა ხელი აქვსო, ნათქვამია. აქამდინ ჩუმად ტიროდნენ ბავშვები, — არ გაგვიგონ და სიმშილთან ერთად კაი მათრახებიც არ მოგვარტყანო! დღეს კი საშინელი ხმით ღრიალებენ და... მაინც გარედ გავა ტაბლა, თუ ხელიდან ძალად არ გამოსტაცეს.

**

5. **შეიძლება ამ ჟამად სწავლის დაწყებაო**, დაეკითხნენ უნივერსიტეტების საბჭოებს. მოსკოვის უნივერსიტეტმა დაადგინა, შეიძლება თუ უნივერსიტეტს მიანიჭეს უფლება, რომ თითონ განაგოს თავის საქმეები, ესე იგი ავტონომიაო. პეტერბურგის უნივერსიტეტის საბჭო კი პროფესორთა უმრავლესობით პოლიტეხნიკუმს მიემხრო და დაადგინა: ვიდრე სახელმწიფო წეს-წყობილება ძირიანად არ შეიცვლება, სწავლის დაწყება შეუძლებელიაო... კიდეც რომ მიენიჭოს უმაღლესს სასწავლებელს სრული თვით-მმართველობა, თუ სახელმწიფოს წესწყობილება სრულიად არ განახლდა, სწავლის დაწყება არ შეიძლებაო. და მართლაც, როგორ უნდა დაამშვიდოს მოსწავლე ყმაწვილ კაცობა უნივერსიტეტის თვით-მართველობამ, თუკი მიზეზი აღშფოთებისა—ადამიანის უფლებათა აუარყოფა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და გათახსირება, ხალხის სიღატაკე და ბიუროკრატთა პარპაში—ძველებურად უცვლელი დარჩება? ავტონომიაც რომ ჰქონდეს უნივერსიტეტს, თავისუფლად ხომ ვერ იტყვის თავის რწმენას სტუდენტების წინაშე პროფესორი: თუკი აწინდელი წესწყობილება იქნება, თავისუფალ სიტყვას იგივე შედეგი მოჰყვება, ესე იგი ჟანდარმები, სახლის გაჩხრეკა, ოჯახის დაწიოკება, ციხე და აქეთური ციმბირი... ამბობენ, სახალინი და იქითური ციმბირი იაპონელებს დარჩებათო.

* *

6. მეცნიერული ჭეშმარიტება და საზოგადოებრივი წინმსვლელობა. პეტერბურგში უმაღლეს სასწავლებელთა დოცენტების და ლაბორანტების კრებაზედ აგაფონოვმა წარმოსთქვა სიტყვა მეცნიერულ ჭეშმარიტების და საზოგადოებრივ წინმსვლელობის შესახებ. ჩვენ, მეცნიერების მსახურნი, იმას უნდა ვცდილობდეთ, რომ ხალხს მოვფინოთ და შევაგნებინოთ მეცნიერება და მისი ჭეშმარიტებანი! მეცნიერება მაშინ გაჩნდა, როდესაც ადამიანმა თავის ტოლად, სწორად აღიარა სხვა ადამიანი. პირდაპირი და უწმინდესი დანიშნულება მეცნიერებისა ის არის, რომ რამდენადაც შეიძლება ხალხის კუთვნილებად იქცეს და ძვალრბილში გაუჯდეს. თუ კაბინეტში ჩაიმწყვდა და განშორდა ხალხს, არა თუ აღარ განვითარდება, პირიქით, დაჭკნება და ჩაკვდება, რადგან მეცნიერება დემოკრატიული ბუნებისა არის. სახალხო უნივერსიტეტები ინგლისში მარტო ქველმოქმედებამ კი არ შექმნა, არამედ შეგნებამ, რომ მეცნიერების ზრდას და განვითარებას საფუძვლად ხალხის განათლება უდევს. გამოჩენილნი მეცნიერნი—ფარადეი, ტინდალი, ჰელმჰოლცი, უელესი არ იშურებდნენ ხალხისთვის დროს და ლექციებს უკითხავდნენ. ამ მხრივ, მეცნიერების ნიადაგის მომზადებით, ესე იგი ხალხთან დაახლოვებით, ამ მსწავლულთ არა ნაკლები სამსახური გაუწიეს კაცობრიობას, ვიდრე თავიანთ გამოკვლევებით. საქმე ის არის, რომ რჩეულ პირთა კუთვნილებად კი არა, ხალხის კუთვნი-

ეროვნული ბიბლიოთეკ

ლებად აქციოს მსწავლულმა მეცნიერების სალარო, და თუ ამ საქმეს ემსახურება, თუნდა თვით მეცნიერებას ახალი არაფერი შესძღვნას, მაინც დიდ ღვაწლსა სდებს მის განვითარებას. მსწავლულის ამ გვარი მოღვაწეობა აერთებს მეცნიერების და საზოგადოებრივ წარმატების მოთხოვნილებას. რა საშინელ მდგომარეობაში არის ხალხის სწავლა-განათლება რუსეთის იმპერიაში, ეს ყველამ იცის. ბიუროკრატიამ ჯაჭვი შეაბა საზოგადოებას და სული ამოხუთა სკოლას, რადგან სწავლა—შეგნებაა, და შეგნება—თავისუფლება. ჩვენს მსწავლულთ რომ ესმოდეთ ხალხის განათლების მნიშვნელობა მეცნიერებისათვის და სასწავლებლების უკიდურესი მდგომარეობა, პირველნი თითონ დაიძახებდნენ—ამ გვარ პირობებში მეცადინეობა შეუძლებელიაო! მაგრამ პროფესორებს და მასწავლებლებს იმისთანას ირჩევდა ყოველთვის მართებლობა, რომ საკუთარი, პირადი შეხედულობა არაფერზედ ჰქონოდათ და ცარიელ ქვევრივით ის ეთქვათ, რასაც უფროსნი ჩასძახებდნენ. არც სამშობლოს კეთილდღეობა აგონდებოდათ, არც ხალხი, არც მეცნიერება! სახალხო სკოლებში დღეს რვა ბავშვზედ მარტო ერთი სწავლობს და ისიც ისე, რომ არაფერი იცის; გიმნაზია გარდაუქმნიათ ბუდედ პირმოთნეობისა, გარყვნილებისა და უაზრობისა; უმაღლესი სასწავლებელი—კანცელარიად, სადაც ფორმის ტანისსამოსით გამოწყობილი მოხელე უაზრო ლექციებს კითხულობს, ყმაწვილ კაცობის გამრყვნელს და გამათახსირებელს; სტუდენტების უმრავლესობა ქედს იხრის და დიპლომის მეტს არასა სთხოვს უმაღლესს სასწავლებელს; უმცირესობა კი, საუკეთესო ნაწილი ჩვენი მომავალი თაობისა, ვერ ურიგდება ამ ჭაობს, მიზეზს ეძებს უნივერსიტეტიდან თავისუფალ მეცნიერების განდევნისას, პოლიტიკაში ერევა და იღუპება. იაპონელების გამარჯვებამ, დაღუპულმა მილლიარდებმა, დახოცილთა და დაჭრილთა საცოდავობამ ძირიანად შეანძრია რუსეთში მცხოვრები ხალხნი და გაუღვიძა საზოგადოებრივი ცნობიერება... შეუძლებელია ასეთი ცხოვრება! უნდა გამოიცვალოს, ძირიანად უნდა აღმოიფხვრას წარსული, ჩვენი დამ-

ეროვნული ბიბლიოთეკ

ღუპველი წყობილება და ახალი ცხოვრება დაარსდესო, დაიძახა ერთხმივ მთელმა რუსეთმა. რუსეთმა ომი გამოუცხადა ბიუროკრატიას. რუსეთი ორ ბანაკად განაწილდა: უმცირესობა ამ ბიუროკრატიას იცავს, უმრავლესობა ადამიანის და საზოგადოების თავისუფლებას ითხოვს. ვის მიემხრობიან მსწავლულნი, მსახურნი მეცნიერებისა? მეცნიერული ჭეშმარიტებაც და საზოგადოებრივი წინმსვლელობაც ერთსა და იმავე ბრძანებას აძლევენ ადამიანს: ბრძოლით შეიძინე თავისუფლება, თორემ მეცნიერება ვერას გააწყობს და ხმად მღაღადებელისა დარჩება უდაბნოსა შინაო. საზოგადოებრივ ცხოვრების იმ დროს, როდესაც სისხლის ღვარი დის, ცალკე გარეთ და ცალკე შინ, იმას კი არ უნდა ცდილობდეს მსწავლული, რომ მაცნიერებას ემსახუროს და ახალი განძი შესძინოს მის სალაროს; იმავე მეცნიერების წინმსვლელობისთვის ნიადაგის მოპოვებას უნდა ცდილობდეს ხალხისგან თავისუფლებაში, და მაშასადამე ვერც ბრძოლას მოერიდება.

* *

7. **ომსა დიდი ცოდა უნდა, ულეველი საფარელია,** ტყუილად კი არ არის ნათქვამი. და როდესაც ცომისთვის ფქვილი გამოილევა, ხალხს მიმართავენ და იმას წაართმევენ ფქვილსაც და კიდევაც მეტსაც. ფქვილის მოსაპოვებლად სახელმწიფო ხაზინას განუძრახავს შემდეგი საშუალებანი: 1. სახელმწიფო სამსახურში მყოფთ საპენსიო თანხის შესადგენად უფრო მეტს გამოურიცხავენ ჯამაგირიდგან, ვიდრე აქამდე იყო; 2. ხარჯს დაადებენ მამულის უსასყიდლოდ შეძენას (ნაჩუქარს, ნაანდერძევს და 16.); 3. აქციზს მიუმატებენ ლუდს; 4. აქციზს მიუმატებენ ასანთს; 5. აქციზს დაადებენ ნავთის ზეთებს.

დღეს პენსიებზედ იხარჯება წელიწადში 40 მილ. მანეთამდე, მოსამსახურეებს ურიცხავენ ჯამაგირიდგან (ასზედ ორს) სულ სამ ნახევარ მილიონს; მაშასადამე დანარჩენი ხაზინამ უნდა გაიღოს. ამ ზარალის შესავსებად განუზრახავთ საპენსიოდ ასზედ ორის მაგივრად ოთხი გამოურიცხონ იმ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოხელეთ, რომელთაც სამოც თუმანზედ მეტი აქვთ წელიწადში ჯამაგირი. ამ საშუალებით წელიწადში ორი მილ. მანეთი ემატება ხაზინას.

ლუდზედ გადასახადი ასის მაგივრად $133^1/_3$ იქნება და ხაზინას წელიწადში სამ მილ. მანეთს შესძენს. ლუდის ფასს ამით არაფერი მიემატებაო, ამტკიცებს ხაზინა, რადგან 16—17 ბოთლს სულ 6 კაპეიკი დაედება და მაშასადამე არ უნდა გაძვირდესო.

ასანთს აქამდე კაპეიკის მეოთხედი ედო კოლოფზედ; დღეის შემდეგ ნახევარ კაპეიკი დაედება. ათი კოლოფი ეხლა 6—8 კ. ღირს, ამის შემდეგ $2^1/_2$ კპ. მიემატება; ხაზინას ჰგონია, ათი კოლოფი ორ შაურად გაიყიდება და ცალკე კოლოფი კაპეიკადაო; მაგრამ 8 კაპ. და $2^1/_2$ კაპ. $10^1/_2$ კაპ. იზამს და ვინ გიჟი გაჰყიდის $10^1/_2$ კაპეიკად ღირებულ საქონელს 10 კაპეიკად. ცხადია, ათი კოლოფი 11-12 კაპ. გაიყიდება და ცალკე კოლოფი $1^1/_2$-2 კაპეიკად. იქნება ბრძანონ, ღირს კი ნახევარ კაპეიკებზედ ლაპარაკიო! ღირს, რადგან დამტკიცებულია: გლეხი-კაცი რომ ხარკს იხდის, ერთ მეათედს ასანთისას იხდის. გარდა ამისა, გლეხი-კაცი ხშირად 7-8 კაპ. იღებს დღეში და მაშასადამე მისთვის ნახევარ კაპეიკიც ფული ყოფილა. ასანთის აქციზის მომატებით ხაზინას დღევანდელი 8 მილ. მაგივრად 16 მილ. მანეთის აღების იმედი აქვს

ნავთის ზეთთაგან დღევანდელამდე მარტო საწვავ ზეთს ედვა აქციზი. საწვავის გარდა, ნავთისას სხვა ზეთებსაც ხდიან, რომელთა ფასი 3-4 ჯერ მეტია, ვიდრე საწვავისა; გარდა ამისა ბაქოდგან წელიწადში 300 მილ. ფუთი ნავთის ნაშთი გადას. არც სხვა ზეთებს, არც ნავთის ნაშთს აქციზი არ ედვა. ჯერჯეროობით მარტო ზეთებს ადებენ ხარჯს და ამით $2^1/_2$ მილ. მანეთს იძენენ. საწვავ ნავთს ფუთზედ ოთხი აბაზი ადევს და ეს ხარჯი ისე აძვირებს მას, რომ სოფელში ნავთის შოვნა მეტად ძნელია და რუსეთში ეხლაც მრავალი ხალხი ხმარობს კვარს. დიდი ხანია, გაიძახიან, აქციზი ან

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოუხდელს ნავთს დაადეთ, ან ნავთის ყველა გამონახადს, ესე იგი საწვავ ზეთს, სხვა ზეთებს და ნავთის ნაშთს, რომ ამ ხარჯს მარტო საწვავი ზეთის მყიდველი არ იხდიდესო... მაგრამ ვინ იყო გამგონი? ამასთან ისიც უნდა მოვაგონოთ მკითხველს, რომ საზღვარგარეთ გატანილს ჩვენს საწვავ ნავთს აქციზის ხარჯს არ ახდევინებენ და ამიტომ არის, რომ დასავლეთ ევროპაში ჩვენი ნავთი უფრო იაფად იყიდება, ვიდრე თბილისში და ნავთის მწარმოებელს გაცილებით მეტს მოგებას აძლევს, ვიდრე ადგილობრივი აქციზით შეზღუდული ბაზარი.

სწორეთ ასეთსავე მდგომარეობაში ჩააყენა ბიუროკრატიამ შაქარი: თუ რუსეთის იმპერიაში გაიყიდა რუსული შაქარი, აქციზი ადევს; თუ საზღვარ-გარეთ გაიტანეს, აქციზს არ ახდევინებენ; ამიტომ არის, რომ რუსეთში გლეხკაცს ათასში ერთსაც არა აქვს შეძლება შაქრის ყიდვის და ჩაის სმისა; და ინგლისში კი იმდენად იაფია რუსული შაქარი, რომ მით ღორებს ასუქებენ. საკვირველია, შაქარი რაღად დავიწყებიათ და ხარჯი არ მიუმატებიათ?

* *

8. გაკანონება უკანონობისა. სადაც თავისუფლება არ არის, ვერც ხელოვნება იხეირებსო, სწერენ გამოჩენილნი დრამატურგნი რუსეთისა და მათ შორის „ღალატის“ ავტორი ა. სუმბათაშვილი. ჭეშმარიტი ხელოვნება სრულიად დამოუკიდებელი უნდა იყოს სახელმწიფოს არსებულ რეჟიმისაგანაო...

დრამატიული მწერლობა უმაღლესი ხარისხია ხელოვნებისა და თეატრი სრული და ერთად-ერთი მისი გამომეტყველი. ამასთან თეატრი არის საფუძველი საზოგადოებრივობისა. თეატრის მდგომარეობა უტყუარი მაჩვენებელი არის ხალხის კულტურულ განვითარებისა, მის წარმატების, ან დაქვეითებისა. ჩვენს დროში თეატრი არსად იმყოფება იმისთანა უკიდურესს ყოფაში, როგორადაც რუსეთშია. უმთავრესი ამისი მიზეზი არის დრამატიული მწერლობის მართებლობის მიერ შევიწროვება.

ეროვნული ბიბლიოთეკ

მწერლობის არც ერთი დარგი არ იტანჯება ბიუროკრატიის უკანონო დევნისაგან ისე ძალიან, როგორადაც დრამატურგია.

დასავლეთ ევროპაში თეატრი წინ მიუძღვის საზოგადოებას; ჩვენში-კი ბორკილები აქვს დადებული. ჩვენი დრამატიული მწერლობის ბედ-ილბალი რამდენიმე მოხელის ხელთ არის და რასაც მოინდომებენ, იმას სჩადიან: პიესის შინაარსს სცვლიან, აზრს ამახინჯებენ, დახატულ ტიპებს ფერს უცვლიან და დასასრულ ბრძანებას აცხადებენ: საზოგადო ცხოვრების ამა და ამ მოვლენათ ნუ შეეხებით, თორემ პიესას აგიკრძალავთო. ამასაც არ გვაკმარებენ და ნებადართულ პიესას, როცა ნებავთ, აკრძალავენ ან სრულიად, ან ზოგ-ზოგ ქალაქებში წარმოსადგენად და მიზეზად იმას მოიყვანენ, რომ წარმოდგენის დროს ტაშით მიიღო საზოგადოებამ რამდენიმე სიტყვაო...

რა კანონზედ აფუძნებენ ამ სასტიკ საქციელს, ჩვენ, დრამატურგებს, არ გვეუბნებიან და, გვგონია, ჩვენს დღეშიც არ გვეტყვიან, რადგან ამ კანონის სახელი უკანონობაა და პირადი ჟინი.

დრამატიულ მწერლობის გასავითარებლად ერთად ერთი საშუალება გამოდგება—ძირითადი გამოცვლა რუსეთის სახელმწიფო გამგეობისა და საყოველთაო საარჩევნო უფლებაზედ დამყარებული კონსტიტუციური წესწყობილობა. ამ წერილს ხელს აწერს 49 დრამატურგი.

ეროვნული
ბიბლიოთეკ

შინაური მიმოხილვა

საერთო ხასიათი მდგომარეობის.—14 აპრილის განმარტება.—ეროვნების დევნა, როგორც ერთ-ერთი მიზეზი ეხლანდელის მოძრაობისა საქართველოში.—კავკასიის ნამესტნიკის გრაფ ი. ი. ვორონცოვ-დაშკოვის გეგმა.—აგრარული კითხვა.—თავად-აზნაურთა საგანგებო კრებები.—ავტონომია და „დასელები".

განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელიც ამ რამდენისამე თვის წინად რუსეთის პუბლიცისტთა პოეტურ ოცნებას „გაზაფხულის" სახით ჰქონდა წარმოდგენილი, დღეს უკვე თავზარ დამცემ საშინელ ძალად არის გადაქცეული. ცხრა იანვარის ამბებმა ცხადად დაამტკიცეს, რომ ხალხის მისწრაფება თავისუფლებისაკენ მხოლოდ შორიდან მაყურებელს შეუძლიან წარმოიდგინოს ფანტასტიურ მშვენიერებად და სუფთა ჰაეროვან ზოლებად. ხალხი, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში მძიმე ტვირთის უღელ ქვეშ ჰყვანდა ჩაბმული ბიუროკრატიას, ყველაფერს იტანდა, სიმშილს, უსამართლობას და თვით სიკვდილსაც კი, მაგრამ როდესაც ეს ხალხი, წინად უტყვი და მორჩილი, თავის ადამიანურ ღირსების აღსადგენად მხარბეჭს ისწორებს, მაშინ ყველამ უნდა იცოდეს, რომ ის არავითარს დაბრკოლებას არ შეჰხედავს, არავითარს ხიფათს არ მოერიდება, არ დაჰზოგავს არც თავის თავს, არც სხვას, და პირდაპირ გასწევს თვალში ამოღებულ მიზნისკენ. ხალხის განმათავისუფლებელი მოძრაობა სტიქიონური ძალაა, რომელსაც ვერავითარის მეცადინეობით ვერ შეაჩერებთ; რაკი ერთი დაიწყო ეს მოძრაობა, იმან

ეროვნული ბიბლიოთეკა

აუცილებლად უნდა გაიაროს მთელი გზა, რომელიც მხოლოდ იქ შესწყდება, სადაც ხალხი თავის მიზნის ან იდეალის განხორციელებას იპოვის. ისეთს პირობებში, რომელშიაც დღეს რუსეთი იმყოფება, სრულიად უადგილოა და უქმი მსჯელობა, თუნდაც საბუთიანი და მეცნიერული, იმის შესახებ, თუ რამდენად შესაწყნარებელია ხალიხს მოთხოვნა და რამდენად ხელსაყრელია თვით ხალხისთვისავე მისის იდეალის განხორციელება. როგორიც უნდა იყოს ხალხის მისწრაფება, ის მაინც აუცილებლად უნდა განხორციელდეს, რადგან წინაალმდეგ შემთხვევაში უსაშინელესი ბრძოლა, უსაშინელესი ომი უნდა ასტყდეს. ვისაც ხალხის ინტერესი უბრალო ხელზე დასახვევ საბუთად არ მიაჩნია, ვინც მართლა ამ ხალხის ინტერესისთვის ჰზრუნავს და არა თავის თავისთვის, ის დღევანდელს პირობებში აუცილებლად წინ უნდა შეეგებოს ხალხის სურვილს... ამას მოითხოვს სულ უბრალო და მარტივი ლოგიკა.

18 თებერვლის დიდ-მნიშვნელოვან აქტების შემდეგ რუსეთის ბიუროკრატიას დღემდე ერთი ნაბიჯიც აღარ გადაუდგამს წინ იმ გზაზე, რომელსაც შეუძლიან ხალხის მოძრაობა სახიფათო მდგომარეობიდან გამოიყვანოს; პირიქით, შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულება 14 აპრილის თარიღით უეჭველ ჰყოფს, რომ ბიუროკრატია მხოლოდ ორთქლის გამოშვებით იმედოვნობს მოძრაობის ჩანელებას და, მაშასადამე, კულანდელ, თვით უმაღლეს მთავრობისაგან დაწუნებულ წესწყობილების შერჩენას. რუსეთის იმპერიის ძირითადი კანონები დღეს ხალხის თვალში იმ ღერძს წარმოადგენს, რომელზედაც ტრიალებს აწინდელი ბიუროკრატიული წესრიგი, ხალხს სწორედ ამ საგანთა შესახებ ჰსურს შეიმუშავოს ნათელი წარმოდგენა. ხალხის მისწრაფებას დღეს რაიმე კერძო რეფორმები კი არა, ბიუროკრატიულ მმართველობის ძირითადი რეფორმა შეადგენს. რას ითხოვს ხალხი და რა სწადიან იმას, რა თქმა უნდა, შინაგან საქმეთა სამინისტროს მოხელეებს კარგად მოეხსენებათ, მაგრამ, ამის მიუხედავად, მინისტრი შესაძლოდ სცნობს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნება დაჰრთოს რუსეთის მკვიდრთ მხოლოდ იმ ზომამდე იქონიონ მსჯელობა სახელმწიფო და ხალხის კეთილდღეობის საგნების შესახებ, რამდენადაც ეს მსჯელობა არ ეწინააღმდეგება იმპერიის ძირითად კანონებს. მარტივად და გასაგებად რომ ვსთქვათ, 14 აპრილის განკარგულება ნებას გვაძლევს ვილაპარაკოთ ყოველივე საგანზე გარდა იმისა, რაც დღევანდელ განმათავისუფლებელ მოძრაობის დედა აზრს შეადგენს. თან და თან ირკვევა, რომ „გაზაფხული“ ავდრიანი იქნება, ცაზე შავი, სეტყვის მომასწავებელი ღრუბელი იკრიფება.

წარმომადგენელნი კონსერვატიულის მიმართულებისა რუსეთში დღემდე იმ აზრისანი არიან, ვითომც თანამედროვე განმათავისუფლებელი მოძრაობა გამოწვეული იყოს მცირე რიცხვოვან ინტელიგენტთა ჯგუფისაგან, რომელსაც სძულს რუსეთი და ყოველსავე ღონეს ჰხმარობს იმისთვის ძირის გამოსათხრელად. ჩვენ არავითარი სურვილი არა გვაქვს სხვისა გულში ჩამარხულ აზრების წრფელობა უარვყოთ და თვალთმაქცობა დავწამოთ რომელიმე აზრის მიმდევრებს; პირიქით, ჩვენ გვგონია, ის ოფიციალური რუსეთი, რომელიც მთელის საუკუნის განმავლობაში განუწყვეტლივ ამოწმებდა „ყოველივე საკეთილოდ არის მოწყობილია“, უეცრივ ვერ შეიცვლის აზრს და ერთბაშად ვერ დაინახავს იმ გასაჭირს, რომელმაც დღეს ხალხი აამოძრავა. გასაჭირი კი დიდია და უზომო. „ჩვენ ვთხოულობთო, სთქვეს გურულებმა, მთელის რუსეთის მშრომელ ხალხის სახელით, მიწას, პურს და სამართალს“. დაჩაგრულის ხალხის გასაჭირს დამჩაგვრელნი ჩვეულებრივ ვერა ჰხედავენ და ვერა ჰგრძნობენ. ძველის საბერძნეთის და რომის მეცნიერნი და ფილოსოფოსნი, რომელთა გონებრივი ავტორიტეტი დღესაც ძლიერია, ვერ ჰხედავდნენ მონობის უკულმართობას და ბუნებრივ სამართლიანობად აღიარებდნენ, რომ სახელმწიფოში ერთი ნაწილი ხალხისა ბატონი ყოფილიყო და მეორე კი ყოველსავე უფლებას გამოკლებული სულდგმული ნივთი. ამ გვარივე მოვლენაა დღეს რუსეთის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხოვრებაში, და სწორედ ამიტომ მიგვაჩნია ახლო მომავალი თავზარ დამცემ საშინელების ასპარეზად.

—

„საქართველო, როგორც რუსეთის ნაწილი, მთელის საუკუნის განმავლობაში რუსის ხალხთან ერთად განიცდიდა თავის ზურგზე იმ მართვა-გამგებლობის სიმკაცრეს, რომელმაც შეჰქმნა ეხლანდელი ეკონომიური ძალმიხდილობა და უუფლებობა. მაგრამ ტანჯვა და მწუხარება საქართველოს მკვიდრთათვის გაორკეცებული იყო ბიროკრატიულ მთავრობის მისწრაფებით, მოეჭრა ქართველის ხალხისთვის ყოველივე გზა ეროვნულს ნიადაგზე განვითარებისა და წინმსვლელობისა. ამ განზრახვით საქართველო, როგორც განაპირი ქვეყანა, აღიარებულ იქმნა კულტურის მხრივ ჩამორჩენილ მხარედ და ამას მოჰყვა მთელი სისტემა ხალხის მდგომარეობასთან შეუთანხმებელ ადმინისტრატიულ ზომებისა. კანონი და კანონის აღმასრულებელნი, სასამართლო და სკოლა, ყოველივე ქართველის ერისთვის თანდათან იმ უცნაურ დაწესებულებად გადაიქცა, რომელიც ხალხის ინტერესის სახელით ხალხს სჩაგრავდა და აწუხებდა; ხალხი, რომელიც მოწადინებულია სწავლას და ცოდნას, ეს ხალხი ხშირად თვით სკოლის წინააღმდეგ მხედრდებოდა და ზოგჯერ იმის შენობასაც კი ცეცხლს აძლევდა. 1902 – 1903 წელს მთავრობისაგან მოწვეული კომისია სასოფლო მეურნეობის საჭიროებათა გამოსარკვევად სწერს თავის მოხსენებაში: „იყო აგრეთვე შემთხვევები დაუფარავის მტრულის განწყობილებისა მცხოვრებთაგან სკოლისადმი, შემთხვევები სკოლის გადაწვისა (სოფ. ზოდი, წირქვალის საზოგადოებისა), დანგრევისა და გაუქმებისა სოფლის საზოგადოების დადგენილებით (ხუნევის და ლიჩის საზოგადოებანი). გლეხების სიტყვით, მიზეზები ასეთის სამწუხარო ფაქტისა შემდეგია: 1) სკოლამ იმედები არ გაამართლა და, რადგან სწავლა რუსულს ენაზე სწარმოებს, იქ კურს დამთავრებულმა ბავშვებმა არც ერთს ენაზე წერა-კითხვა არ იციან, 2) სკოლა ტყუილად აკარგვინებს დროს ბავშვებს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელნიც შინ რომ დარჩენილიყვნენ, მეურნეობას მაინც მიეჩვეოდნენ, 3) სკოლა ჩვეულებრივ სოფლის შუაგულში კი არა, განაპირას იმყოფება, რასაც ცოტა მნიშვნელობა არა აქვს, რადგან ბევრი სოფელი დიდს ადგილზეა გაშლილი, 4) რადგან მასწავლებლები საკმაოდ მომზადებულნი არ აღმოჩნდნენ, განსაკუთრებით ერთ კლასიან სკოლებში, ამიტომ მათ ხალხის ნდობა ვერ დაიმსახურეს და 5) მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ გლეხის თვალში სკოლა უსარგებლო დაწესებულებაა, ის მაინც მოვალეა ხარჯი გასწიოს სკოლის შესანახად, თუნდაც არც ერთი იმისი ბავშვი არ დაიარებოდეს იქ.“ როდესაც მომავალი ისტორიკოსი საქართველოს ცხოვრებისა მეცხრამეტე საუკუნეში გადაჰშლის დღეს საადმინისტრაციო დაწესებულებათა არქივში ცხრა კლიტის ქვეშ დაფარულ საბუთებს, იმის თვალწინ საზარელი სურათი ქართველის ხალხის უმწეო არსებობისა ისეთის ძლიერებით აიმართება, რომელმაც იქნება სრულიად დაჩრდილოს ჩვენის მრავალ საუკუნიან ისტორიის ის ფურცლები, რომლებიც მოგვითხრობენ მუსულმანებისაგან სარწმუნოების დევნას და რჯულისთვის წამებას... მოკლეთ, საქართველო რუსეთთან შედარებით გასულს საუკუნეში ორკეცად იტანჯებოდა, იგი იტანჯებოდა როგორც მშრომელ ხალხის ქვეყანა და როგორც არა რუსის მხარე. ამ უმწეო მდგომარეობის ორკეცს ხასიათს უნდა მიეწეროს ის გარემოება, რომ განმათავისუფლებელმა მოძრაობამ საქართველოში შიდა გუბერნიებზე უფრო ნაყოფიერი ნიადაგი იპოვა, უფრო ადრე დაიწყო და უფრო ნორმალური ხასიათიც მიიღო. საყურადღებოა, რომ ის განაპირა ქვეყანა, რომელიც საქართველოსავით ეროვნულ დაჩაგვრის არენად იყო აღიარებული გასულს საუკუნეში ბიუროკრატიისაგან, სახელდობრ პოლონეთი, დღევანდელს განმათავისუფლებელს მოძრაობაში ისევე, როგორც საქართველო, რუსეთის შიდა გუბერნიებს წინ უსწრობს. სჩანს, ერთგვარს ისტორიულს მიზეზს ერთგვარივე ისტორიული შედეგი სცოდნია.

ეროვნული ბიბლიოთეკ

გურიის გონივრულმა მოძრაობამ, რომელიც სწრაფად გადავიდა საქართველოს სხვა ადგილებზედაც, მთელის განათლებულის რუსეთის ყურადღება მიიქცია. ის ხალხი, რომელიც დღევანდლამდე რუსის პროგრესისტებსაც კი ძალიან ნაკლებ ჰყვანდათ გაცნობილი, ეხლა დიდ ინტერესს უღვიძებს იმათ, მაგრამ არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ, რომ საქართველოს მოძრაობას ისინი უფრო კავკასიის მოძრაობის სახელათ იცნობენ. არც თუ საკვირველია: კავკასია, როგორც ადმინისტრატიული ერთეული, ისეთი ცნებაა, რომელიც ეროვნებასთან არ არის დაკავშირებული, და აი სწორედ ამ უეროვნო ადამიანებად ჰსურდა რუსეთის ბიუროკრატიას გადაედნო როგორც ქართველი, ისე სომეხი და ყველა სხვა კავკასიაში მცხოვრები არა რუსი. რუსეთის პროგრესიული ელემენტები, მიუხედავად თავის პროგრესისტობისა მაინც ისევ რუსები არიან, და ამიტომ ადვილად შეითვისეს ეს ადმინისტრაციისაგან გამოგონილი ცნება. დღეს ამაზედ მეტის თქმაც შეგვიძლიან: თვით ჩვენს ქვეყანაში მოიპოვება აზრის ისეთი მიმართულება, რომელიც განგებ თუ შეცდომით თვალსა ჰხუჭავს ეროვნების წინაშე და კავკასიაში მცხოვრებს „კავკასიელს“ უწოდებს, რომელიც ვითომდა საძირკველს წარმოადგენს ახალ ეროვნების წარმოსადგომად. დიდი და შეუწყნარებელი შეცდომაა! ის ეროვნება, რომელსაც მრავალ საუკუნიანი ისტორიული წარსული აქვს, რომელსაც საკმაოდ განვითარებული ენა და მწერლობა მოეპოვება, არასოდეს არ შეიძლება მოისპოს, დადნეს და უარჰყოს თავისი ეროვნული ხასიათი; მართალია ეროვნებათა წარმოდგომის ისტორია რამდენსამე ისეთს ფაქტს გვაძლევს, რომლებიც ამოწმობენ, რომ სხვა და სხვა მოდგმის ხალხი, თუ ერთმანეთში აირევნენ, ახალს ეროვნებას ჰქმნიან ხოლმე, მაგრამ ამისთვის საჭიროა: ერთმანერთში არევა, დანათესავება და არა ერთი საადმინისტრაციო სახელით მონათვლა; საჭიროა, აგრეთვე, რომ კულტურული სიმაღლე სხვა და სხვა მოდგმის ხალხისა დაახლოვებით ერთს საფეხურზე იდგეს, რაც შეუძლებელია კავკასიის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერებზე ითქვას; საჭიროა აგრეთვე საერთო ინტერესი, რომელმაც უნდა შეადუღოს ერთ ეროვნებად სხვა და სხვა მოდგმის ხალხი, და დასასრულ, რაც ყველაზე დიდ მნიშვნელოვანი გარემოებაა: ახალის ეროვნების ელემენტებად შესაძლოა სხვა და სხვა მოდგმის ხალხი გაჰხდეს და არა უკვე არსებული ეროვნებები. ინგლისელს ან ფრანგსა, მაგალითად, მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლიანთ ახალის ეროვნების შექმნა, როდესაც ყოველივე კავშირს შესწყვეტენ თავის სამშობლოსთან, მიანებებენ თავს საკუთარს ნაციონალურს მიწას, ჩვეულებებს, დაწესებულებებს და უცხოეთში სადმე გადიხზნებიან, როგორც ფრანგულს ინ ინგლისურს ენაზე მოლაპარაკე ავანტიურისტები, და არა როგორც ფრანგი და ინგლისელი. ამერიკელების ნაცია ევროპიდან გადასახლებულთაგან წარმოსდგა, მაგრამ თვით ევროპაში კი, სადაც იგივე ევროპიელები მუდამ მეზობლად სცხოვრობდნენ და სცხოვრობენ, დღემდე ევროპიელების ნაცია არ შექმნილა და არც არავითარი ნიშნები სჩანს იმისი, რომ მომავალში მაინც ყველა ევროპის ნაციებმა რომელისამე ახალის ნაციის ხალხად აღიაროს თავისი თავი.

საქართველოში განმათავისუფლებელ მოძრაობის პირველი ნიშნები გამოსჩნდა თუ არა, უმაღლესმა მთავრობამ საჭიროდ დაინახა კავკასიის განცალკევება მართვა-გამგეობის მხრივ და აღადგინა ნამესტნიკობა. უმაღლესი რესკრიპტი ვორონცოვ-დაშკოვის სახელობაზე დაწვრილებით არა ჰხსნის ამ ახალის ადმინისტრატიულის თანამდებობის შექმნის მიზეზებს, მაგრამ, ეჭვს გარეშეა, იგი გამოწვეულია იმ განსხვავებით კავკასიის და შიდა რუსეთის მკვიდრთა ცხოვრების პირობათა შორის, რომელიც ყველასათვის ცხადია.

აპრილის პირველს რიცხვებში კავკასიის მთავარმართებლის თანამდებობის აღმასრულებელმა გენერალ-ლეიტენანტმა მალამამ ოფიციალურად გამოაქვეყნა ნამესტნიკის გრაფ ი. ი. ვორონცოვ-დაშკოვისაგან მიღებული დეპეშა, რომელიც რამდენადმე ნათელსა ჰფენს კავკასიის ახლო მომავალს, როგორც

ეროვნული ბიბლიოთეკ

ეს მომავალი წარმოდგენილი აქვთ უმაღლეს ბიუროკრატიულს სფერებში. პირველი და უაღრესი მიზანი კავკასის ადგილობრივ მმართველობისა არის მოსპობა ყაჩაღობისა, ძარცვისა და უწესოებისა! ამ მიზნის ასასრულებლად ნამესტნიკი დაიხმარებს ადგილობრივ საზოგადოებრივ ძალებს და მკვიდრთა შემწეობით ეცდება აღადგინოს მშვიდობიანობა და წესიერება. შემდეგ ნამესტნიკი გამოარკვევს, რამდენად საჭიროა სასამართლო დაწესებულებათა რეფორმა და საერობო თვითმმართველობის შემოღება; უეჭველია, რასაც გრაფი ი. ი. ვარანცოვ-დაშკოვი დაასკვნის ამ საგნების შესახებ, იმას კიდეც განახორციელებს. ვიდრე 1883 წელს ნამესტნიკობის მაგიერ მთავარ-მართებლობას შემოიღებდნენ, კავკასიისთვის სწორეთ ისეთს კანონებს იძლეოდა საკანონმდებლო დაწესებულება, რომლის გეგმასაც ნამესტნიკი წარადგენდა ხოლმე, და უეჭველია, ეხლაც ასევე იქნება. ამიტომ, ჩვენის ფიქრით, ფრიად დიდი მნიშვნელობა ექნება კავკასიისთვის იმ შთაბეჭდილებას, რომელსაც ნამესტნიკი გამოიტანს მისგან განზრახულ ხალხის წარმომადგენელთა თათბირისაგან.

ერთი რამ არის მხოლოდ აქ გაუგებარი და უცნაური. კავკასიის მთავრობა საჯაროდ აცხადებს, რომ საზოგადოებრივ ძალთა დახმარება აუცილებელი პირობაა მშვიდობიანობის დასამყარებლადო და ამასთანავე არ უარჰყოფს, რომ დღეს კავკასიაში საყოველთაო მოძრაობამ დაარღვია მყუდროება. ცხოვრება მუდამ და ყოველგან საზოგადოებრივ ძალთა განწყობილების გამომხატავია, ამიტომ ეხლანდელი მოძრაობაც გარეგანი გამოხატულებაა კავკასიაში არსებულ საზოგადოებრივ ძალთა ურთიერთობისა; უეჭველია, ის საზოგადოებრივი ძალები, რომელთაც შეჰქმნეს აწინდელი მდგომარეობა, ფაქტიურად ვერაფერს დახმარებას ვერ გაუწევენ მთავრობას მათგანვე შექმნილ მდგომარეობის გადასაბრუნებლად, თუ ძირიანად არ შეიცვალეს თავისი ხასიათი და მიმართულება, რასაც არავინ არ უნდა ელოდდეს. მაშასადამე, აუცილებლად სჩნდება საკითხი, რა საბუთით და როგორ ამყარებს კავკასიის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადგილობრივი მმართველობა იმედს საზოგადოებრივ ძალებზე ამის შესაგნებად უნდა მოვიგონოთ, რომ საზოგადოებაში მარტო ერთი რომელიმე ძალა არა ჰმოქმედობს, პირიქით ყოველთვის პროგრესსიული საზოგადოებრივი ძალა სამკვდრო-სასიცოცხლოდ ებრძვის კონსერვატიულ საზოგადოებრივ ძალას და ცხოვრება ამ მოწინააღმდეგე, მოპირისპირე ძალთა ბრძოლის გამოხატულებაა. კავკასიაშიაც მოიპოვება ისეთი საზოგადოებრივი ძალა, რომელსაც აწინდელი წესწყობილება თავისთვის ხელსაყრელად და სასარგებლოდ მიაჩნია; უეჭველია, ეს ძალა მზად იქნება, ყოველი მეცადინეობა გამოიჩინოს იმ მოძრაობის ჩასაქრობად, რომელიც უარჰყოფს თანამედროვე ბიუროკრატიულ წესწყობილებას და დიდის სიხარულით დაეხმარება ადმინისტრაციას მყუდროების აღსადგენად. აი, ამ კონსერვატიულ სგზოგადოებრივ ძალაზე შეუძლიან დაამყაროს თავისი მოქმედება იმ აზრს, რომელიც ყოვლის უწინარეს მშიდობიანობისა და წესიერების აღდგენას ითხოვს, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ ესშ ეერთება ადგილობრივ მთავრობისა და ადგილობრივ საზოგადოების კონსერვატიულ ელემენტებისა სულ სხვა არის და საერთოდ საზოგადოებრივ ძალთა შეთანხმება მთავრობასთან კიდევ სხვა. როგორც ჩვენში, ისე შიდა რუსეთში და აგრეთვე დასავლეთ ევროპაში, ქვეყნის მშვიდობიანურ და მყუდრო ცხოვრებისთვის აუცილებელი პირობაა, რომ მთავრობის მოქმედება ეთანხმებოდეს საზოვადოების წევრთა უმრავლესობის იდეალს და მისწრაფებას. ვინც ცდილობს თავისი მოქმედება შეუთანხმოს საზოგადოებრივ ძალთა რეალურ ურთიერთობას, იმისთვის აუცილებლად საჭიროა, ყოვლის უწინარეს გამორკვეულ იქმნას, რა იდეალი და რა მისწრაფება აქვს უმრავლესობას, რას ითხოვს უმრავლესობა და რა სწადიან იმას. ამისთვის კი სრულებით საკმარისი არ არის სხვა და სხვა წოდებრივ დაწესებულებათა წარმომადგენლების თავ მოყრა და იმათი თათბირი. ხალხის ინტერესი, ხალხის საჭიროება მარტოოდენ მაშინ გამოირკვევა, როდესაც იგი თვითონ ილაპარაკებს თავის თავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზე ან პირდაპირ ან საყოველთაო, პირდაპირის, თანასწორისა და ფარულის ხმით არჩეულ წარმომადგენელთა პირით. გარდა ამისა, ხალხის ნამდვილი სურვილი მარტო იმას შეუძლიან თამამად გამოსთქვას ადგილობრივ მთავრობის წინაშე, ვინც დარწმუნებულია, რომ იმას არაფერი არ დაუშავდება გულახდილი ლაპარაკის გამო; როგორც სიტყვის თავისუფლება და პიროვნების ხელ შეუხებლობა, აგრეთვე საჭიროა სრული თავისუფლება კრებისა, რადგან არავის არ შეუძლიან გულთა მხილაობა იკისროს და ხალხის წარმომადგენელი უწოდოს თავის თავს, ვიდრე თვით ხალხს არ მიეცემა საშუალება კრებებზე გამოარკვიოს თავისი აზრები და მისწრაფებანი. როგორც ვიცით, რუსეთში არც პიროვნების ხელუხლებლობაა უზრუნველ ყოფილი, არც სიტყვის და არც კრების თავისუფლება არსებობს. ასეთს პირობებში ჩვენ ყოვლად შეუძლებელი გვგონია ისეთი ყრილობა წარმომადგენლებისა, რომელიც ხალხის სურვილის გამომხატავი იქნება და საზოგადოებრივ ძალთა ურთიერთობის მაჩვენებელი. ზემოდ ჩამოთვლილის მოსაზრებებით, ჩვენ არ შეგვიძლიან არ ვიფიქროთ, რომ კავკასის ნამესტნიკისაგან განზრახული თათბირი წარმომადგენლებისა ადგილობრივს მთავრობას რეალურს დახმარებას ვერ გაუწევს მშვიდობიანობის აღსადგენად.

საყურადღებოდ მიგვაჩნია აგრეთვე, რომ როგორც კავკასიის ნამესტნიკის დეპეშიდან სჩანს, ჯერ კიდევ საცილობელი და გამოსარკვევი ყოფილა, საჭიროა თუ არა სასამართლოს რეფორმა და საერობო დაწესებულებათა შემოღება. ხალხმა უკვე ფაქტიურად დაჰგმო აწინდელი ორგანიზაცია ადმინისტრაციისა და სასამართლოსი, ბიუროკრატია კი ისევ საგონებელშია, საჭიროა თუ არა ამ სფერებში რეფორმაო.

—

ქართველი საზოგადოება საგლეხო მოძრაობამ პირისპირ დააყენა იმ მძიმე და რთულს სოციალ-ეკონომიურ პრობლემის

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინ, რომელსაც მეცნიერება აგრარულ საკითხის სახელით იცნობს. ამისდა მიუხედავად ქართულს მწერლობაში არ მოიპოვება არც ერთი გამოკვლევა, არც ერთი ნარკვევი ამ საგნის შესახებ. აქაც იგივე სამწუხარო მოვლენა სჩანს, რომელიც ჩვენის ცხოვრების თითქმის ყველა-სფერაში შეიძლება აღვნიშნოთ: ინტელლიგენციის ჩამორჩენა და უქონლობა პირდაპირის კავშირის ხალხის ცხოვრებასთან. უეჭველია აგრეთვე, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს იმ საქმისთვის სტატისტიკურ მასალას, რომელიც დღემდე არაა შეგროვილი ან, თუ შეგროვილია, გამოქვეყნებული მაინც არ არის. დღევანდელს პირობებში სტატისტიკურ მასალის მოგროვება მხოლოდ საადმინისტრაციო დაწესებულებებს შეუძლიანთ, მაგრამ ბიუროკრატია ჯერ ერთი რომ მაგრე რიგად არ იწუხებს თავს ხალხის ცხოვრების მეცნიერულად გამოკვლევით და მეორე ის, რომ ქვეყნის კეთილდღეობისთვის მზრუნველობა იმას აქნობამდე თავის მონოპოლიად მიაჩნდა და ამიტომ არც საჯაროდ სთვლიდა საზოგადოებისთვის ეცნობებინა, რა მდგომარეობაშია ესა თუ ის მხარე ხალხის ცხოვრებისა.

მასალის უქონლობა ჩვენ პირდაპირ ხელფეხს გვიკრავს საქართველოში გამწვავებულ აგრარულ საკითხის შესახებ რაიმე გარკვეული, ციფრებზე დამყარებული და საკმაოდ დასაბუთებული აზრი შევადგინოთ. ეჭვს გარეშეა მხოლოდ ის ერთად ერთი გარემოება, რომ გლეხის ე. ი. სოფლის მუშის მდგომარეობამ უკიდურესობამდე მიაღწია და იმისი ცხოვრება წინანდელს პირობებში უკვე შეუძლებელი შეიქმნა. ორიოდე სიტყვით აღვნიშნავთ აგრარელ საკითხის შესახებ იმ ორს, ერთი-მეორის მოწინააღმდეგე აზრის მიმართულებას, რომელთა გარეშემოც სტრიალებს უმთავრესად მეცნიერული კვლევა-ძიება ამ საგნისა.

მრეწველობის ანუ ინდუსტრიის ისტორიამ გამოარკვია, რომ თანამედროვე ბურჟუაზიული საზოგადოება თანდათან უფრო ნათლად იყოფა ორს მოწინააღმდეგე კლასსად, ბურ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟუაზიად და პროლეტარიატად. ბურჟუაზია კაპიტალის პატრონია და პროლეტარიატი მშრომელის ძალისა. ამ კლასსების ინტერესი ერთი მეორეს პირდაპირ და რადიკალურად ეწინააღმდეგება. ბურჟუაზია კაპიტალის საშუალებით ჰყვლეფს (эксплоатируетъ) მშრომელს ხალხს. საწარმოვო კაპიტალი ესწრაფვის, რაც შეიძლება, მეტად-შეუწყოს ხელი გაყვლეფის პროცესს. კაპიტალის პატრონთა შორის თავის მხრივ სწარმოებს შეჯიბრების და ქიშპობის პროცესსი; კაპიტალისტები ერთმანეთს უწევენ კონკურენციას მშრომელ ხალხისაგან დამზადებულის და მათს საკუთრებად ქცეულის საქონლის გასაღებაში. ამ კონკურენციას და აგრეთვე საწარმოვო იარაღის ტეხნიკის გაუმჯობესებას მოჰყვება, როგორც ბუნებითი და აუცილებელი შედეგი, პატარა კაპიტალის დამარცხება დიდის კაპიტალისაგან. უკაპიტალოდ დარჩენილი ბურჟუა იძულებულია პროლეტარიატად გადაიქცეს და უკანასკნელთა რიცხვი გაამრავლოს. მოკლეთ, ისტორია წარმოებისა არის იმავე დროს ისტორია მსხვილის კაპიტალის გაძლიერებისა და პროლეტართა რიცხვის გამრავლებისა. ეს აზრები კაპიტალისტურ წარმოების პროცესსის შესახებ პირველად კარლ მარქსმა დაამტკიცა მეცნიერულად და იმის აზრების მიმდევართა რიცხვი მას შემდეგ პროგრესსიულად იზრდება. აგრარულ საკითხის გასათვალწინებლად ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ის აზრი, რომ წვრილი მესაკუთრე ანუ პატარა კაპიტალის პატრონი აუცილებლად უნდა დამარცხდეს და გაპროლეტარდეს.

მარქსის აზრების მიმდევრებმა სოფლის მეურნებსაც ამ მხრივ შეჰხედეს. თანდათანობითი გაპროლეტარება წვრილ მესაკუთრეებისა აღიარეს ისტორიულ კანონად და სასოფლო მეურნეობაშიაც იწინასწარმეტყველეს გამარჯვება მსხვილის მესაკუთრისა. ამ შეხედულების თანახმად, თანამედროვე კანონმდებლობა და ეკონომიური პოლიტიკა წინ არ უნდა გადაეღობოს დიდრონ სოფლის მესაკუთრეთა ზრდას და წვრილ მესაკუთრეთა გადაქცევას სოფლის უმიწა-წყლო მუშად. სოფლის და ქალაქის (ინდუსტრიის) მუშები, როგორც

ეროვნული ბიბლიოთეკ

ყოველივე საკუთრების უქონელი ხალხი, რომელთა შრომითაც სცხოვრობენ კაპიტალისტები და აგრარიები (სოფლის მამულის პატრონები), უნდა შეერთდნენ ერთს საზოგადოებრივ კლასად, ერთს პოლიტიკურ ძალად და შეერთებულის მეცადინეობით გადაჰქმნან ეხლანდელი ბურჟუაზიული საზოგადოება იმ გვარს ახალს საზოგადოებად, რომელშიაც არავის არ ექნება უფლება სხვისა შრომისა და ოფლის ნაყოფით ისაზრდოოს. ეს იდეალური წესწყობილება რაც ადრე დამყარდება ქვეყნად, მით უმჯობესია კაცობრიობისთვის და, რადგან ამ წესწყობილებას აუცილებლად წინ მსხვილ მესაკუთრეების გამარჯვება და წვრილის დამარცხება უნდა უძღოდეს, ამიტომ კარლ მარქსის აზრების მართლმორწმუნე მიმდევრები მხარს აძლევენ ისეთს საგრარო პოლიტიკას, რომელიც აჩქარებს წვრილ მესაკუთრეთა გაპროლეტარების პროცესს.

მეორე ბანაკი სოციალ-ეკონომიურ აზრისა აგრარულ საკითხს სულ სხვა თვალით უცქერის. მსხვილ მესაკუთრის გამარჯვება და წვრილის დამარცხება მრეწველობასა ანუ ინდუსტრიაში შესაძლოა აღიარებულ იქმნას კანონად მრეწველობის განვითარებისა, მაგრამ ეს საკმაო საბუთი არ არის იმის დასამტკიცებლად, რომ იგივე კანონი ჰმოქმედობდეს სასოფლო მეურნეობაშიაც. წვრილი კაპიტალისტი შესაძლოა, თანახმად ამ კანონისა, აუცილებლად დამარცხებისა და გაპროლეტარებისაკენ მიექანებოდეს, მაგრამ ეს კიდევ იმას არ ამტკიცებს, რომ წვრილი სოფლის მეურნე ე. ი. გლეხიც ამასვე უნდა ელოდდეს. მრეწველობაში მარქსისაგან აღნიშნულს პროცესს ხელს უწყობს ის გარემოება, რომ საწარმოვო იარაღი ე. ი. ტეხნიკა წარმოებისა მსხვილს კაპიტალისტს საღსარს აძლევს უფრო იაფად დაისვას საქონლის დამზადება გასაყიდად, ვიდრე ეს წვრილ მესაკუთრეს შეუძლიან; სოფლის მეურნეობაში კი წარმოების ტეხნიკას ამისთანა შედეგი არ მოსდევს. აქ, პირიქით, პატარა ნაჭერ მიწის პატრონს უფრო იაფად უჯდება ერთისა და იმავე საქონლის დამზადება, ვიდრე დიდის მამუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის პატრონს. ამ გარემოების მთავარი მიზეზი ის არის, რომ სოფლის მეურნეობა ისე ძლიერ ვერ იგუებს შრომის განაწილებას, როგორც ინდუსტრია; სოფლის მუშის ნაყოფიერება უმთავრესად დამოკიდებულია იმის გულისყურზე, პირადს ინიციატივაზე და არ შეიძლება მექანიურ მუშაობად გადაიქცეს. ამ გვარ მოსაზრებებისა და სხვა საბუთების ძალით, რომლების სრული ჩამოთვლა აქ მეტად შორს წაგვიყვანდა, ამტკიცებენ, რომ სასოფლო მეურნეობაში მსხვილი მესაკუთრე საბოლოოდ ვერ გაიმარჯვებს წვრილზე და ამიტომ ეკონომიური პოლიტიკაც ამ აზრს უნდა ეთანხმებოდესო. წვრილ მესაკუთრეთა საჭიროებანი: საწარმოვო იარაღის შეძენა, ბაზრის მოპოვება და სხვა უნდა დაკმაყოფილებულ იქმნას ამხანაგობათა დაარსებით, რომლებსაც სახელმწიფომ დახმარება უნდა გაუწიოსო.

ეს მიმართულება აზრისა აგრარულ საკითხების შესახებ შეიძლება გამოიყენონ სახელმძღვანელოდ როგორც ბურჟუაზიულ წესწყობილების მოტრფიალეებმა ე. ი. ლიბერალებმა, აგრეთვე იმ უკიდურეს მიმართულების მიმდევრებმა, რომელნიც მეტად სცნობენ ისტორიულ მიმდინარეობის პროცესს შეუთანხმონ თავისი იდეალი და ეხლავე შესაძლოდ აღიარებენ ისეთ საზოგადოების შექმნას, რომელიც ყველასაგან შრომას მოითხოვს და არავის არ მისცემს საშუალებას სხვისა შრომის ნაყოფით იფარფაშოს.

ცხადია, ორივე მოწინააღმდეგე აზრის მიმდევართათვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რას ამბობს სტატისტიკა სოფლის მეურნობისა. სადავო საკითხის პირადებით გადასაწყვეტად არც სტატისტიკა იძლევა უეჭველს და უთუო საბუთებს. ‹ნგლისში მსხვილი მესაკუთრეობა სჭარბობს, ბელგიასა და საფრანგეთში წვრილი. დაწვრილებითი გამოკვლევანი სტატისტიკურის ცნობებისა უფრო იმას ამტკიცებენ, რომ თითოეულს ქვეყანაში მიწის მფლობელობას თავისი განსაკუთრებითი ისტორიული მსვლელობა ჰქონია, რომელიც მარტოოდენ წმინდა ეკონომიურ ფაქტორთა ზედგაეღლენით არ გან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვითარებულა, პირიქით ყველგან დიდი მნიშვნელობა ჰქონია გლეხობის ისტორიას და იმის ისტორიულად შემუშავებულს ბსიხიკას.

აგრარული კითხვები ჩვენს მწერლობაში, როგორც წინადა ვთქვით, ძალიან ნაკლებ არიან გამორკვეული და სწორედ ამიტომ მიგვაჩნდა საჭიროდ რამდენისამე სიტყვით და მიუდგომლად აღგვენიშნა ის ორი მთავარი მიმართულება აზრისა ამ საკითხში, რომლებიც, ჩვენის ფიქრით, განსაკუთრებითს ინტერესს წარმოადგენენ.

საქართველოს დასავლეთი ნაწილი, ქუთაისის გუბერნია, სადაც ყველაზე უწინ იჩინა თავი საგლეხო მოძრაობამ, უმთავრესად წვრილ მესაკუთრეობის ქვეყანაა. 1901 წლის ოფფიციალურის ცნობებით ქუთაისის გუბერნიის მიწათა 20% (421,800 დესეტინა) ეკუთვნის ხაზინას, 42% (815,321 დესეტინა) თავად-აზნაურობას და დანარჩენი გლეხობას. თავადაზნაურთაგან 52,8% ისეთი მესაკუთრეა, რომელთაც რვა დესეტინაზე ნაკლები მიწა აქვთ. გლეხებს უფრო მცირე ნაჭერი მიწები უკავიათ. საერთოდ ქუთაისის გუბერნიის მეურნისთვის ოთხი ან ხუთი დესეტინა რომ ჩავთვალოთ იმოდენა მამულად, რომელსაც შეუძლიან ერთი ოჯახი დააკმაყოფილოს, აღმოჩნდება, რომ 60—70% გლეხობისა და 25% თავადაზნაურობისა შევიწროვებულია მიწის სიცოტავისა გამო. ბ-ის ბ. სურგულაძის სავარაუდო ანგარიშით, გურიაში თითოეულ გლეხის კომლს უჭირავს: მოსაკუთრეს 2,63 ქცევა მიწა და დროებით ვალდებულ გლეხს 7,5 ქცევა; თითო ოჯახის გამოსაკვებად წელიწადში საჭიროა 144 ფუთი სიმინდი, მოსავალი კი მესაკუთრე გლეხისა 34,20 ფუთს არ აღემატება და დროებით-ვალდებულისა 105 ფუთს. ორთავეს კი მაინც ისე მცირე შემოსავალი აქვთ, რომ საკვებადაც არა ჰყოფნით. მიწის საყოველთაო სიმცირისა გამო გურიაში გადამეტებულად გაიზარდა საიჯარო ფასიც, რომელსაც მთელის შემოსავლის მესამედი შეადგენს. გლეხმა ერთი ქცევა მიწა რომ აიღოს იჯარით, გაისტუმროს საიჯარო გადასახადი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამეველო და „სალეჟროობო“, დარჩება სულ მთელის წლის შემოსავლიდამ 17 ფუთი სიმინდი. ფულზე რომ ვიანგარიშოთ გლეხის მუშაობა, ერთი ფუთი სიმინდი, თუ საკუთარს მიწაზე მუშაობს, დაჯდება 72—66 კაპ. და, თუ მემამულის მიწაზე,—1 მან. 28 კაპ. ბაზარზე კი ფუთი სიმინდი ღირს 35—50 კაპ.

ეს ორიოდე ცნობაც საკმარისია, რომ გავითვალისწინოთ, რა საშინელს და აუტანელს ეკონომიურს პირობებში სცხოვრობს დასავლეთ საქართველოს გლეხი. აქედამაც კარგად ვხედავთ, რომ იმერეთის გლეხისთვის მიწა შემოსავლის წყარო არ არის; პირიქით იმას მიწა უფრო მეტს ართმევს, ვიდრე უკან უბრუნებს. ამისდა მიუხედავად გლეხობამ დღემდე გული არ აიყარა თავის მიწაზე, არც სოფლის პროლეტარად გადაიქცა და არც ქალაქის მუშად, თუმცა იმისი ეხლანდელი მდგომარეობა ბევრად უფრო უნუგეშოა, ვიდრე უმიწაწყლო პროლეტარისა. ერთად ერთი მოძრაობა, რომელიც უნდა მოჰყოლოდა ასეთს მდგომარეობას, ეკონომიური მოსაზრება რომ ერთად-ერთი მოტივი იყოს გლეხის ცხოვრებაში, იქნებოდა ხელის აღება საკუთარს მეურნეობაზე და გაპროლეტარება. ამის მაგიერ ჩვენ ვხედავთ, რომ დღეს გლეხობა მიწის გაფართოვებას ითხოვს და მზად არის ამ მიზნის მისაღწევათ იბრძოლოს უკანასკნელ წუთამდე თავის სიცოცხლისა. განა გლეხისთვის ის უფრო ადვილი არ უნდა იყოს, რომ სრულებით გაანებოს თავი მეურნეობას და შეეცადოს სამრეწველო ქარხნებში მუშაობით ირჩინოს თავი? ეკონომიურად, უეჭველია, ეს გზა უფრო ადვილია და ხელსაყრელი, მაგრამ, ალბად, ადამიანის მოქმედება მარტოოდენ ეკონომიურ მოსაზრებათა ღერძზე არა ტრიალებს.

ამერიკული მამულის პატრონი სულ სხვა ნაირად იქცევა. დაატყობს თუ არა, რომ იმისი მამული შემოსავალს არ იძლევა, ის საჩქაროდ ანებებს თავს მიწას და სხვა ხელობას ეძებს. ჩვენებური გლეხი მაშინაც კი არ ჰშორდება თავის პატარა მიწის ნაჭერს, როდესაც ეს მიწა იმას გალატაკების

უფრსკულში უპირობს ჩაგდებას. რა მიზეზია? სულ უბრალო და მარტივი. ამერიკას გლეხობა არა ჰყავს, იქ მიწას ისეთისავე თვალით უყურებენ, როგორც ჩვეულებრივ საწარმოვო იარაღს; იქ მამულის პატრონი ტრადიციებით არ არის დაკავშირებული მიწასთან, ჩვენს გლეხს კი ოცი საუკუნიანი ისტორია გამოუვლია და არ შეუძლიან ერთს დღეს გასწყვიტოს თავის ისტორიულ წარსულის ჯაჭვი.

საქართველოს გლეხთა აწინდელ მდგომარეობას რომ იმ თვალით შევხედოთ, რომლითაც მართლ მორწმუნე მარქსისტები უცქერიან საერთოდ აგრარულ საკითხს, უეჭველია გლეხების მისწრაფებას მიწის მფლობელობის გაფართოვების შესახებ კმასაყოფელად ვერა ვცნობთ, რადგან რაც ადრე გადიქცევა გლეხი პროლეტარად, რაც ადრე გაიმარჯვებს სოფლად მსხვილი მესაკუთრეობა წვრილ მესაკუთრეობაზე—მით უკეთესი. საბედნიეროდ, ამ თვალით საგლეხო მოძრაობას დღეს, როდესაც საქმე პრაქტიკულად არის დაყენებული, არავინ არ უყურებს და ქართველი მარქსისტები პირიქით ყველგან გლეხთა მოთხოვნის სამართლიანობას აღიარებენ. ისტორიის რეალური მიმდინარეობა უფრო ძლიერია, ვიდრე თეორიული აღმოჩენა განვითარების აუცილებელ კანონებისა და ამ კანონების პრინციპებად გადაქმნა. როდესაც თეორია და პრაქტიკა იბრძვიან ერთმანეთთან, გამარჯვება მუდამ უკანასკნელს ჭრჩება; თეორია სინამდვილეს უნდა ჰხსნიდეს, ბრძოლა კი სინამდვილესთან იმისი საქმე არ აოის.

—

საგლეხო მოძრაობის გამწვავებამ აამოძრავა საქართველოს ყველა წრეები, გაუხსნა მადა საზოგადოებრივ არსებობის გაუმჯობესობისა და კრიტიკულად ჩაახედვინა ეხლანდელს მდგომარეობაში. ჩვენის ფიქრით; დაუფასებელია და აურაცხველი ის ზნეობრივი გავლენა, რომელიც გლეხთა თავგამოდებულმა მოძრაობამ მოახდინა საქართველოს მცხოვრებთა სხვა და სხვა ელემენტებზედ. ჯერ სულ რამდენიმე თვეა მას შემდეგ, რაც გურიის მოძრაობამ საყოველთაო ინტერესი

ეროვნული ბიბლიოთეკ

მოიხვეჭა და ჩვენს საზოგადოებას უკვე თვალსაჩინოდ ეტყობა გამოფხიზლება და ზნეობრივი ამაღლება. რა თქმა უნდა, ჩვენშიაც აღმოჩნდნენ ისეთი მახინჯი ადამიანები, რომელნიც ამ მოძრაობის ზედგავლენით ზნეობრივად უფრო დაქვეითდნენ, ვიდრე ამაღლდნენ, მაგრამ იმათი რიცხვი მცირეა და უმნიშვნელო, დიდი უმრავლესობა კი აღტაცებული ჩაერია რუსეთის საყოველთაო განმათავისუფლებელ მოძრაობაში და სხვა და სხვა საშუალებით ემხახურება თანამედროვე უკეთესმართის მდგომარეობის გადაბრუნებას. ჩვენს მიმოხილვაში ვერ მოვაქცევთ და ვერ მოვიხსენიებთ ყველა იმ ფაქტს, რომელსაც ახალის ცხოვრების ბეჭედი ემცნევა; ეს მიზანი რომ დავიყენოთ, ყოველ დღიურ გაზეთებიდან თითქმის ერთ მეოთხედის ამოწერა და გამეორება დაგვჭირდება. ჩვენ საკმაოდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ მხოლოდ ისეთი ფაქტები, რომელთაც ახალი რამ აზრი შეაქვთ თანამედროვე მოძრაობაში. ამ მხრივ ყოვლის უწინარეს აღსანიშნავია ტფილისის და ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საგანგებო ყრილობები.

31 მარტს და 1 აპრილს თფილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საგანგებო კრებამ შეიმუშავა ხელმწიფე-იმპერატორის სახელობაზე გასაგზავნი უქვეშევრდომილესი ადრესი, რომელშიაც, სხვათა შორის, სწერია:

„თავად-აზნაურობა, ზრუნავს რა სახელმწიფოს საზოგადო სარგებლობის და საჭიროებისათვის, მტკიცედ დარწმუნებულია, რომ მშვიდობიანი და კულტურული განვითარება ქართველ ხალხისა შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ საქართველოს, რუსეთის სახელმწიფოს ამ განუყოფელ ნაწილს და ნება ყოფლობით იმასთან შეკავშირებულს, მიენიჭება უფლება საკუთარ კანონებით მართვა-გამგეობისა. ეს კანონები უნდა დადგენილ იქნას ადგილობრივ წარმომადგენლობით კრების მიერ, არჩეულს მთელის საქართველოს მცხოვრებთა საყოველთაო, პირდაპირ, საიდუმლო და თანასწორ ხმის უფლებით.“

ასეთივე აზრი გამოსთქვა ქუთაისის თავად-აზნაურობამ. „უფლება საკუთარის კანონებით მართვა-გამგეობისა“ ე. ი. კა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნონმდებლობითი თვითმმართველობა ანუ ავტონომია — აი რა მიაჩნია თავადაზნაურობას აუცილებელ პირობად ქართველის ხალხის მშვიდობიან და კულტურულ განვითარებისთვის. თავადაზნაურობამ, რამდენადაც ვიცით, ამ ხანად პირველად ამოიღო ხმა ქართველის ხალხის ინტერესების შესახებ; აქამდე თავად-აზნაურობა მარტოოდენ თავის საკუთარს გასაჭირზე ჰზრუნავდა, თავის საკუთარს წოდებრივ ინტერესების შესახებ მსჯელობდა, თავის საკუთარს წოდებრივ მდგომარეობის გაუმჯობესობაზედ ჰფიქრობდა, ეხლა კი სულ სხვას ვხედავთ. ქართველმა თავად-აზნაურობამ თამამად გამოსთქვა თავისი აზრი იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება ქართველის ხალხის კულტურულის განვითარების უზრუნველყოფა და ეს აზრი გახადა ხელმწიფე-იმპერატორის სახელობაზე გასაგზავნის ადრესის დედა-ბოძად. საქართველოს დემოკრატიული წრეები თბილისის თავად-აზნაურობას მუდამ კრიტიკულის თვალით უცქეროდნენ და მუდამ ეშდუროდნენ როგორც არისტოკრატიულ წოდებრივს ერთეულს. თავად-აზნაურობა, როგორც უმაღლესი არისტოკრატი წოდება საქართველოსი, უეჭველია ჩვენის დემოკრატების სიმპატიას ვერც დაიმსახურებდა, ვიდრე იგი თავის უპირატეს მდგომარეობაზე უარს არ განაცხადებდა და დემოკრატიულს პრინციპებს არ მიიღებდა. პირველს აპრილს თ.-აზნაურობამ პრინციპიალურად უარჰყო სახელმწიფო ორგანიზაცია წოდებრივობის ნიადაგზე და სამაგიეროდ წამოაყენა ფართო დემოკრატიული პრინციპი: წარმომადგენელთა საკრებულოს წევრნი თვით ხალხმა უნდა აირჩიოსო საყოველთაო, პირდაპირის, თანასწორის და საიდუმლო ხმის უფლებითო. ამაზე შორს ჯერ-ჯეროობით მთელს რუსეთში არც ერთი რადიკალური მიმართულება არ წასულა. მიუხედავად ამისა, ჩვენის საზოგადოებრივ აზრის ის მიმართულება, რომელსაც „მესამე დასის“ სახელით იცნობენ, თავად-აზნაურობის დადგენილებამ არა თუ არ დააკმაყოფილა, პირიქით, კულანდელზე უფრო მეტად ააღელვა, უფრო მეტად გააწიწმატა. მართალია, დემოკრატიული პრინციპი აღიარა თ.-აზნაურობამაო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამბობენ ისინი, მაგრამ უფლება საკუთარის კანონებით მართ-ვა-გამგეობისა ე. ი. საქართველოს ავტონომია ბურჟუაზული მისწრაფებაა.

საქართველოს ავტონომია თუმცა ოფფიციალურად თ.-აზნაურობამ პირველმა სცნო ჩვენის ქვეყნის მოთხოვნილებად, მაგრამ თვით საზოგადოებაში ეს აზრი უკვე კარგა ხანია არსებობს. გაზეთს „ცნობის ფურცელში“ ბ-ნმა განმა თავად-აზნაურობაზე ვაცილებით უწინ გამოსთქვა ეს აზრი. ამიტომ ადვილი გასაგებია, რატომ დაუჭირა მხარი თავად-აზნაურობის დადგენილებას ორთავე ქართულმა ყოველდღიურმა გაზეთმა. თავად-აზნაურთა კრებამ თავისი საქმე გააკეთა და დაიშალა, მაგრამ ქართულ გაზეთების ფურცლებზე ავტონომიის თემას დღესაც პირველი ადგილი უჭირავს და, უეჭველია, კიდევ დიდ-ხანს გასტანს მსჯელობა ამ საგანზე.

ის განხეთქილება, რომელიც მესამე დასელების და ინტელიგენციის მეორე ნაწილის შუა გაჩნდა ავტონომიის შესახებ აზრთა სხვა-და-სხვაობისა გამო, მით უფრო სამწუხაროა და სავალალო, რომ დღემდე არა სჩანს რეალური საბუთი, რეალური ნიადაგი ამ განხეთქილებისა, დრო კი ისეთია, რომ უკეთესის მომავლის შესაქმნელად ყველა საზოგადოებრივი ძალები უნდა შეერთდნენ, შეკავშირდნენ და დაივიწყონ ყოველივე წვრილმანი პირადი ანგარიშები. ჯერ-ჯეროობით ავტონომიის მოწინააღმდეგენი შემდეგს საბუთებს ასახელებენ თავის აზრის დასამტკიცებლად: 1) ავტონომია საქართველოს განცალკევებას მოასწავებს, მაშასადამე ხელს შეუშლის მშრომელ ხალხის ანუ პროლეტარიატის შეერთებას; 2) მშრომელ ხალხს არავითარი სამშობლო არა აქვს, იმას მხოლოდ ეკონომიური ინტერესი აქვს, რომელიც საქართველოს ავტონომიის არსებობას არ თხოულობსო; 3) საქართველოს ავტონომია თავად-აზნაურობამ წამოაყენა, რომელთანაც ხელი-ხელ ჩაკიდებული მშრომელი ხალხი ერთს ნაბიჯსაც ვერ გადასდგამსო და 4) საქართველოს მომავალი ავტონომიური თვით-მმართველობა ბურჟუაზიული იქნება, მაშასადამე, მშრომელ ხალხის დასაჩაგვრელად ყოფილა იგი საჭიროვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენის ფიქრით, არც ერთი ზემოხსენებული საბუთი პატივსადები და სიმართლის ნიადაგზე არ არის დამყარებული. 1) ავტონომია სრულებით განცალკევებას არა ჰნიშნავს, ავტონომიურ საქართველოს საბაჟოს ხაზი არ შემოევლება; საქართველოსა და რუსეთის დანარჩენ ნაწილთა შორის მისვლა-მოსვლა სრულიად თავისუფალი იქნება; აგრეთვე აზრუნველყოფილი იქნება რუსეთის ყველა ქვეშევრდომის უფლება დასახლდეს იქ, სადაც მოისურვებს, და იმუშაოს თავის ხელობის მიხედვით, სადაც ვის მიაჩნია ხელსაყრელად. ერთის სიტყვით, ავტონომია სრულიად განცალკევებას არ მოასწავებს; პირიქით, მთლიანს ცენტრალისტურად მოწყობილს სახელმწიფოში შესაძლოა ერთი ნაწილიდან მეორე ნაწილში გადასვლის უფლება შეზღუდულ იქმნას პასპორტების სისტემით და საფედერაციო ტერიტორიაზე კი შესაძლოა პასპორტის სისტემა გაუქმებულ იყოს. მაშასადამე, არავითარი პირდაპირი კავშირი არ არსებობს საქართველოს ავტონომიასა და მთელის ქვეყნის მშრომელ ხალხთა შეერთების შუა, ავტონომია ამ შეერთებას ხელს არ უშლის. 2) მართალია, ხალხს ესე იგი პროლეტარიატს მამულები და ქარხნები არ ეკუთვნის, მაგრამ აქედამ იმ დასკვნის გამოყვანა, ვითომც მშრომელს ხალხს სამშობლო არ უყვარდეს—გადამეტებულის აზრის სითამამეს მოასწავებს. საკმარისია, რომ პროლეტარიატსაც ჰქონდეს სამშობლო ენა, რომ იმისთვის სამშობლო მარტოოდენ ფუჭი სიტყვა არ იყოს. პროლეტარიატის კლასებრივი ინტერესი მოითხოვს ბრძოლას ბურჟუებთან ეკონომიურს და პოლიტიკურს ნიადაგზედ და არა ავტონომიურ თვითმმართველობასო,—გვეუბნებიან, მაგრამ შემცდარია, ჩვენის ფიქრით, ის შეხედულება, ვითომც მშრომელ ხალხისთვის კლასსიურის ინტერესის და კლასსიურის თვით შეგნების მეტი სხვა არაფერი არ არსებობდეს. ამიტომ უადგილოდ მიგვაჩნია მსჯელობა იმის შესახებ, თუ რას მოითხოვს პროლეტარიატის ეკონომიური კლასებრივი ინტერესი იმ დროს, როდესაც გადასწყვეტია სრულიად სხვა საკითხი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3) მართალია, თავად-აზნაურობამ ავტონომია მოითხოვა, მაგრამ განა ეს იმას ჰნიშნავს, რომ ამ მიზეზით ავტონომიას ღირსება აკლდებოდეს? სრულიადაც არა! თუ თავად-აზნაურობა ისეთს წესწყობილებას ისურვებს, რომელსაც არავითარი წოდებრივი და არისტოკრატიული ხასიათი არ ექნება უთუოდ დამახასიათებელ თვისებად, ჩვენის ფიქრით, არავითარი საბუთი არა გვაქვს მშრომელ ხალხის სახელით ეს წყობილება დავიწუნოთ მხოლოდ იმიტომ, რომ იგი თავად-აზნაურობას მოსწონს. ასეთი მსვლელობა აზრისა წრეს გადაცილებული ცალმხრივობაა, რომელსაც მშომელის ხალხის ინტერესების დამცველი ადვილად შეუძლიან იმავ ხალხის ინტერესების მტრად გადააქციოს. 4) ვერაფერი საბუთია ავტონომიის საწინააღმდეგოდ აგრეთვე ის მოსაზრება, რომ მომავალ ავტონომიურ საქართველოს საკანონმდებლო საკრებულო წარმომადგენლობითი დაწესებულება ბურჟუაზიული ხასიათისა იქნებაო, ვერაფერი საბუთია, იმიტომ რომ ასეთივე ბურჟუაზიული ხასიათი ექნება იმ ცენტრალისტურს სრულიად რუსეთის პარლამანტსაც, რომელიც დასელების მისწრაფების საგანს შეადგენს. საქმე ის არის, რომ ახლო მომავალში ბურჟუაზიის დამხობა პროლეტარიატის დამცველებს მაინც და მაინც შესაძლოდ არ მიაჩნიათ, იმათისავე აზრით ბურჟუაზია გაბატონდება ახალ წესწყობილების დამყარების შემდეგაც და, მაშასადამე, ამ მხრივ სულ ერთი უნდა იყოს, ექნება თუ არა საქართველოს თვითმმართველობა.

დასასრულ, არ შეგვიძლიან არ გამოვთქვათ სურვილი, რომ ნათლად და რეალურად გაარკვიონ საფუძველი თავის განხეთქილებისა ავტონომისტებმა და დასელებმა ამ საგნის შესახებ, რადგან საკითხი მეტად დიდმნიშვნელოვანია და დღემდე საზოგადოება მაინც ვერა ჰხედავს, რატომ ადგია სხვა-და სხვა აზრს ამის შესახებ ორი ერთნაირად დემოკრატიული მიმართულება აზრისა.

გ. რ.

ეროვნული
ბიბლიოთეკ

უცნაოთის მიმოხილვა

„რუსკოე ბოგატსტვო“ და „ვესტნიკ ევროპი“ შორე-აღმოსავლეთის ომიანობაზე.

„თხუთმეტის დღის საშინელმა ბრძოლამ მუკდენთან ერთიანად შესცვალა პოლიტიკური მდგომარეობა. სანამ ორივე ჯარი შეიარაღებული იდგა პირისპირ და ტოგოსა და როჟდენსტვენსკის ფლოტს ორი ოკეანე ჰყოფდა, რუსების დამარცხებას იმდენად არ შეუცვლია მოპირდაპირე ძალთა დამოკიდებულება, რომ იაპონელების საბოლოო გამარჯვება უზრუნველ ყოფილი ყოფილიყო. მუკდენის კატასტროფამ კი ძირიანად შესცვალა მთელი საქმე. იაპონელების გამარჯვება ეხლა ფაქტია. რუსებმა წააგეს ომიანობა. ამაში უნდა გამოვტყდეთ და მივიღოთ ეს ფაქტი მთელის თავის შედეგებითა და ლოლოკიურ დასკვნებით. რისი იმედი უნდა გვქონდეს ეხლა წამხდარ საქმის გამოსაბრუნებლად და დაკარგულის დასაბრუნებლად?

ახალ ნახევარ მილიონიან ჯარისა? მაგრამ ეს შესაძლებელი იქნება მხოლოდ ნახევარ წლის შემდე. და ამ ნახევარ მილიონ ჯარისკაცს შეხვდება 600—700 ათასი იაპონელი, დამმარცხებელი გადაყენებულ სარდლის ჯარებისა.

ადმირალ როჟდესტვენსკის ესკადრისა? მაგრამ ბევრმა ბევრჯელ დაამტკიცა, რომ ეს ესკადრა ტოგოს ფლოტზე სუსტია, რაც ძალიან მალე უნდა გამოირკვეს...

დიახ, ეხლა ის კი არ არის საკითხავი, საჭიროა თუ არა ომის განგრძობა, არამედ ის, შესაძლებელია თუ არა მისი

ეროვნული ბიბლიოთეკ

განგრძობა? მოგვყავს „ნოვოსტიდან“ ერთ წარჩინებულ რუსის აზრი, რომელიც ფრანგულ „ეკო დეპარი“-ში იყო დაბეჭდილი.

„ცხადია, რომ ომი უნდა განვაგრძოთ, მაგრამ შეგვიძლია კი? ერთის წლის ომიანობა 400 ათას ჯარის კაცით ფულად 70C მილიონი დაგვიჯდა. ჩვენ არ უნდა გვქონდეს იმედი იაპონელებზე გამარჯვებისა, თუ რვაასი ათასი ჯარის კაცი არ გვეყოლა შორე-აღმოსავლეთში, რაც ერთი მილიარდი და ექვსასი მილიონი დაგვიჯდება წლიურად. შევიძლებთ კი ამოდენა ხარჯის გაწევას? ამ ჯარს მოვუყრით თავს ომის ველზე მხოლოდ ერთის წლის შემდეგ. კიდევ ერთი წელიწადი დაგვჭირდება სამხედრო ოპერაციების დასამთავრებლად, ე. ი. უნდა დავხარჯოთ სამი მილიარდი და ორასი ათასი მანეთი და მაინც ვერ ვიქნებით დარწმუნებული, რომ უთუოდ გავიმარჯვებთ, რადგან იაპონელებიც მოუმატებენ თავიანთ ჯარებს. მეორე მხრივ, განა გონიერება იქნება ნახევარი მილიონი ჯარი გავიწვიოთ სამსახურში იმ დროს, როცა ყველგან გაფიცვა და მღელვარებაა? პასუხს ვერ ვიტყვი ამ კითხვაზე, მაგრამ თუ ზავის ჩამოგდება სახელს გაუტეხს არსებულ რეჟიმს, ომის განგრძობა გამოიწვევს არა ჩვეულებრივ უკმაყოფილებას... მდგომარეობა მეტად სერიოზულია და ხსნის გზას ვერ ვხედავ, თუ არ მოიწვიეს ხალხის წარმომადგენლები“.

კომენტარიებს არ ვუკეთებ ჩვენის ჩინოვნიკის ნათქვამს. თვითონ ფაქტები ღაღადებენ...

ეჭვს გარეშეა ერთი რამ: რუსეთში ომი არა სურთ... ეხლავე რომ მოლაპარაკებას გამართავდნენ და მშვიდობიანობას ჩამოაგდებდნენ, შეგვრჩებოდა ფლოტის ნაწილი, რამდენიმე ასი ათასი ჯარის კაცი და მილიარდი ფული... დრო არის გავჩერდეთ.

15 დღე ვიბრძოდით მუკდენთან და გავჟლიტეთ საშინელი რიცხვი ახალგაზდებისა, დავთესეთ აღურიცხველი უბედურება, დავკარგეთ მილიონები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუკდენამდე ათი დღე ლიაოიანთან ვიბრძოლეთ, რვა შახეზე ლიაოიანსა და მუკდენს შუა, ხუთი სანდეპუსთან. ამას მიუმატეთ ზარალი იალუს, ციანჯოუს, ვაფანგოუს, სიუნჩენის, გაიპინის, დაშიჩაოს, პორტ-არტურის და სხვა უფრო წვრილ ბრძოლებისა, მიუმატეთ მეზღვაურების ზარალი და გაითვალისწინებთ, რომ მოკლული და დასახიჩრებულია, ავადმყოფებიც რომ არ იანგარიშოთ, საშინელებამდე დიდი რიცხვი ხალხისა. მაგრამ როგორ არ ვიანგარიშოთ „ავადმყოფები“? აქამდე ყველგან ყოველ ომიანობაში ავადმყოფების რიცხვი გაცილებით მეტი ყოფილა ბრძოლის ველზე დაშავებულთა რიცხვზე... ვერ ვბედავთ საერთო ჯამი გამოვიყვანოთ ამ წარმოუდგენელ ზარალისა, იმდენად დაუსრულებელია ხალხის დაღუპვა, იმდენად უმაგალითოა ეს საშინელება, დაუშრეტელი ზღვა სისხლისა, ცრემლისა, უბედურებისა, ტანჯვისა...

მართლა, განა დრო არის შევჩერდეთ?

რისთვის ვიბრძვით? კორეისათვის? მაგრამ განხეთქილების წინ ხომ თანახმა ვიყავით მიგვეცა ეს ქვეყანა იაპონიისათვის. მანჯურიისათვის? მაგრამ აკი ჩინეთს დავპირდით მისი დაბრუნება. მაშ რისთვისღა ვომობთ? რისთვის გავჟლიტეთ ამდენი ასი ათასი ახალგაზდა ჯარის კაცი, დავაობლეთ ამოდენა ოჯახი, დავხარჯეთ ამოდენა ფული? რას მივაღწიეთ დასასასრულ? დავკარგეთ დიდ ოკეანეს მთელი ფლოტი, გამოგვდენეს მანჯურიიდან, რომელიც ადრე უნდა დაგვეცალა, მაგრამ არ ვიცი რისთვის ვიგვიანებდით. ნუ თუ მთელი აზრი ამ უმაგალითოდ უბედურ ომიანობისა ეს დაგვიანებაა? და რომ დროზე არ ავასრულოთ დაპირებული დაბრუნება მანჯურიისა, კიდევ უნდა გავსწიროთ ხალხი ასი ათასობით? კიდევ უნდა ვხარჯოთ მილიონები?

და რომ გაცილებით მეტი მსხვერპლი დაგვჭირდება, ეს ყველასათვის ცხადი უნდა იყოს; ის კი არ არის ცხადი, გავიმარჯვებთ თუ არა იაპონელებზე, თუნდა უსაშინელეს მსხვერპლისაც რომ არ შეგვეშინდეს.

ვიყვნეთ ოპტიმისტები და წარმოვიდგინოთ, რომ ზღვაზედაც დავამარცხეთ იაპონია მას შემდეგ, რაც მილიონი სი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოცხლე გავსწირეთ და მილიარდები დავხარჯეთ. რას შევიძენთ ისეთ საშინელ მსხვერპლის შეწირვით, რომელსაც ვერ აიტანს კულტურას მოკლებული, თხლად დასახლებული ღარიბი ქვეყანა? მანჩჯურიის ოკუპაციასა და კორეის დაპყრობას? მაგრამ დამარცხებული იაპონია ხომ არ აღიგვება პირისაგან ქვეყნისა, 50 მილიონი ხალხი ისევ დაიწყებს მომზადებას ახალ ომიანობისათვის და ჩვენც იძულებული ვიქნებით მილიონი ჯარი ვიყოლიოთ საგანგებოდ შორე-აღმოსავლეთისათვის, მისთვისვე შევქნათ საგანგებო ფლოტი, რომელიც ბევრად მეტი უნდა იქნეს რუსეთის ეხლანდელ ფლოტზე. ჩინეთი? მანჩჯურია ჩინეთის სამფლობელოა და თუ მანჩჯურიიდან არ გამოვედით, ჩინეთი იძულებული იქნება კავშირით შეეკრას იაპონიას და მილიტარისმის გზას დაადგეს. გვეყოფა კი ჩვენი ძალა და ღონისძიება მზად დავუხვდეთ ამ მომავალს? გაკოტრება და ევროპაში ჩვენის მნიშვნელობის დაკარგვა მოჰყვება იაპონიაზე გამარჯვებას, თუ მოვინდომებდით მანჩჯურიასა და კორეაში ფეხის მოკიდებას. და თუ არ გვინდა ფეხის მოკიდება, რისთვისღა უნდა გავეღლიტოთ მილიონი ხალხი და რისთვის ვხარჯოთ მილიარდები?..

როცა იტალია აგრესიულ პოლიტიკის გზაზე დააყენეს სხვა და სხვა ავანტიურისტებმა და აბისინიის დაპყრობა მოინდომეს, აბისინელებმა ენერგიული წინაღმდეგობა გაუწიეს და იტალიის ჯარი დაამარცხეს. და მერე როგორღა მოიქცნენ იტალიელები?

განა აუცილებელ საჭიროებად დაინახეს აბისინიის დამარცხება ვითომდა სამარცხვინო ლაქას წასაშლელად? სრულიადაც არა: მიხვდნენ თავიანთ შეცდომას, თავიდან მოიშორეს ავანტიურისტები და ხელი გაუწოდეს მამაც აბისინელებს...

ჩვენის შეხედულებით, ყოველი მიუდგომელი კაცი იტყვის, რომ იტალიელები კარგად და კეთილშობილად მოიქცნენ; ვფიქრობთ, რომ არც ღირსება და არც სახელი იტალიისა არ დამცირებულა; მოგებით კი მოიგეს. თუ იტალიის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლირსება შეილახა, ეს დროზე ზავის ჩამოგდების დროს კი არ მომხდარა, არამედ ბევრად უფრო ადრე, როცა უსამართლო ომიანობა დაიწყო და აბისინიის ხალხის ტერიტორიის დაპყრობა და დამოუკიდებლობის მოსპობა მოინდომა. ეს უსამართლო განზრახვანი გაასწორა სამართლიანმა ზავმა და ამ უსამართლო განზრახვებით შელახული სახელი იტალიისა აღადგინა ურევანშო ზავმა.

ასეთივეა ჩვენი მდგომარეობა შორე-აღმოსავლეთში... უნდა გავასწოროთ ჩადენილი შეცდომები. გამოვფხიზლდეთ, ნათლად წარმოვიდგინოთ ჩვენი მდგომარეობა და შევუდგეთ იაპონელებზე გამარჯვებას კი არა, არამედ ხალხის უბედურების (ომიანობის) შეწყვეტას. მთავარი მიზანის ჩვენი პოლიკისა უნდა იყოს უზრუნველყოფილი მშვიდობიანობა (ადრე რომ არ დაირღვეს იმისთანა); თუ მიზნად ის გვექნება, რომ უთუოდ გავიმარჯვოთ იაპონიაზე, რაც არ უნდა დაგვიჯდესო, ეს იმას ნიშნავს, რომ რუსეთს გავალატაკებთ და მის ინტერესებს, სიცოცხლის ნიჭს, მომავალს მსხვერპლად შევწირავთ სამხედრო თავმოყვარეობას. უბედურება პირდაპირ საშინელ სიდიდისა გახდა და დროა გავჩერდეთ.“

„სასტიკი ბრძოლა მუკდენთან, დაწყებული და დასრულებული იაპონელების მთავარ-სარდლის ინიციატივით, გათავდა ისეთის დამარცხებით, როგორიც არასოდეს არ გამოუცდია რუსის ჯარს: 45 ათასამდე ტყვედ არის წაყვანილი, მოკლული და დაჭრილი 70 ათასზე მეტია; მტერს ჩაუვარდა ხელში უამრავი იარაღი, სამხედრო მასალა და სურსათი, ასობით ვაგონები ამუნიციისა, ათასი ვაგონი ტრანსპორტისა, 45 მილის რკინის გზის მასალა 300 ვაგონით, საველე რკინის გზის მასალა 35 მილისათვის 450 ვაგონით, მაშინები ნახშირის მადნებისათვის და სხვა. ეს საშინელი დამარცხება არის აუცილებელი ლოგიკური შედეგი იმ პასივურ და წვრილმანკანცელიარიულ სისტემისა, რომელსაც ბოლომდე მისდევდა რუსის მთავარი შტაბი. გენერალი კუროპატკინი საბედისწერო დღეებში 13-იდან 24 თებერვლამდე იტყობინებოდა ჩვეუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებრივ წვრილმან ცნობებს „მოხალისეთა“ რაზმების მოქმედებაზე, იაპონელების უკუქცეულ იერიშებზე სოფელ უბენეპუზასთან; იაპონელების მოძრაობა კი სამხრეთ-დასავლეთიდან მხოლოდ გაკვრით არის ნახსენები. და ისიც არის ნათქვამი, რომ ზომები მიღებულია, რათა იაპონელებმა ვერ მოგვიარონო; 21 თებერვლის დეპეშაში გვატყობინებდნენ, რომ „პუტილოვის გორასთან“ ორი კი არა, სამი ტყვიის მტყორცნელი ავიღეთო... საზოგადოდ ჩვენი ჯარის ხელმძღვანელები მთავარ მნიშვნელობას აწერდნენ მტრის ცხად დემონსტრატიულ მოქმედებას რუსების მარცხენა ფრთის წინააღმდეგ და ამიტომაც აქეთ წამოიყვანეს ჯარები მარჯვენა ფრთედან ე. ი. ისეთის მხრიდან, საიდანაც გენერალ ნოგის ჯარი გვივლიდა გზის მოსაჭრელად. იაპონელ ჯარების იერიშის უკუქცევის შემდეგ სრულიად მოულოდნელად აღმოჩნდა, რომ ომი წაგებულია. 23 თებერვალს კროპატკინი იწერებოდა— „ხუნხეს მარჯვენა ნაპირზე აღმოჩნდა, რომ მტერი მუკდენისაკენ მოდის ჩრდილოეთ დასავლეთიდან და ჩრდილოეთიდან. ცენტრი და მარცხენა ფრთე ჩვენის ჯარისა უომრად უკან იხევს გამაგრებულ პოზიციებისაკენ.“ შემდეგ ისევ დამშვიდებულის კილოთი გვატყობინებენ, რომ „რამდენიმე იერიში მტრისა უკუქცეულ იქნა დიდის ზარალით და რომ დასავლეთისაკენ ჩვენმა ჯარმა ბევრი იაპონელი დაატყვევა.“ შემდეგ დღესაც კი, როცა იაპონელებმა გაარღვიეს ჩვენი ცენტრი და თითქმის ყოვლის მხრიდან შემოერტყნენ ჩვენ ჯარს, კროპატკინი გვატყობინებდა ჩვეულებრივის კილოთი— „ორი ტყვიის მტყორცნელი წავართვით მტერს და ბლომადაც დავატყვევეთო“.

ნამდვილად კი თურმე რუსის ჯარი გარბოდა ბრძოლის ველიდან და იაპონელები უკან მისდევდნენ.

„დამარცხება მუკდენთან არ არის უბრალო წაგება ბრძოლისაო, სწერს რუსების თანამგრძნობი გერმანელი პოლკოვნიკი გედკე, იგი სრული დამარცხებაა. ამ საშინელ დამარცხებაში დაინგრა რაღაც, რაც ჯარზე დიდია—მთელი სისტემა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაიჭრა სასიკვდილოდ. აქაც, როგორც იენასა და სედანთან, მსოფლიო ისტორიამ წარმოსთქვა თავისი შეუსყიდველი და შეუცდომელი მსჯავრი... იაპონელების გამარჯვება, ერთი უდიდესი გამარჯვებათაგანი კაცობრიობის ისტორიაში, არის გამარჯვება სამხედრო და სახელმწიფო მართვა-გამგეობის მოძველებულ, უმოძრაო სისტემაზე".

ასეთია ისტორიის მსჯავრი და იგი ცხადი უნდა იყოს ყველასათვის, მაგრამ რუსის პატრიოტები გონზე ვერ მოიყვანა ვერც პორტ-არტურმა, ვერც მუკდენის კატასტროფამ და ვერც შინაურმა არეულობამ... ეს პატრიოტები დაჟინებით თხოულობენ ომის განგრძობას, რაც არ უნდა დაჯდეს იგი, და ამტკიცებენ, რომ შეუძლებელია დათანხმება „დამამცირებელ ზავზედო", თითქოს ნაკლებ დამამცირებელი იყოს ომი, რომელმაც მოსპო ჩვენი ფლოტი და ნახევარი მილიონი ხმელეთის ჯარისა დაგვიმსხვრია... ერთობ ძვირად დაგვიჯდა ეს ომი, რომ კიდევ ვთხოულობდეთ მის განგრძობას...

რას აკეთებდა მრავალრიცხოვანი შტაბი გენერალ კუროპატკინისა, არ ვიცით; მაგრამ ის კი ვიცით, რომ მას არ ჰქონია არც ერთი გონიერი და კარგად მოსაზრებული გეგმა, არც ერთი გაბედული და სწორედ გამოანგარიშებული კომბინაცია... ომი როგორღაც თავისით მიდიოდა; ყველაფერი დამოკიდებული იყო მტრის გადაწყვეტილებისა და მოქმედებისაგან... შეგნებულად მოქმედებდნენ მხოლოდ იაპონელები; ჩვენ კი მორჩილებით მივყვებოდით ყველა იმ მოძრაობას, რომელსაც კი გვიჩვენებდა; იქ მიგვყავდა ჯარი, სადაც სადემონსტრაციოდ ვითომ იერიშით მოდიოდნენ, და ყოველი ჩვენი მოქმედება ისე შეეფერებოდა მტრის განზრახვას, რომ მარშალი ოიამა გამოდიოდა ორივე ჯარის ხელმძღვანელად... გენერალი კუროპატკინი მუკდენთან დამარცხებას უფრო სტიქიურ პირობებს აწერს და კიდევ იაპონელების არა-საპატიებელ სიმოძრავესა და ხერხიანობას, რის წინააღმდეგაც სრულიად უღონო გამოდგა შტატის კანცელარიების უგულმოდგინესი საქმის წარმოება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ომს სარდლებისა და ჯარის გარდა დიდი ფული სჭირია... საჭიროა უამრავი ფული, რომელიც მხოლოდ სესხით შეიძლება იშოვოს კაცმა; მაგრამ რადგან ისედაც მეტად დავალიანებული ვართ, ანგარიში უნდა გავუწიოთ ჩვენ კრედიტორების ინტერესებს, საფრანგეთში, სადაც რამდენიმე მილიარდის პროცენტიანი ქაღალდები აქვთ. ახალი სესხი ომიანობისათვის მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ საგანგებოდ ხელსაყრელია ფულის პატრონისათვის; ამ გარემოებას-კი ის მოჰყვება შედეგად, რომ ჩვენი სახელმწიფო რენტა ფასს დაჰკარგავს: რა ანგარიშია იქონიო ოთხ ან სამნახევარ პროცენტიანი ქაღალდი, როცა ახალი ფასიანი ქაღალდები ხუთს, ექვსს და შვიდ პროცენტს იძლევა... უცხოელი კრედიტორები პირდაპირ დაინტერესებული არიან, რომ ჩვენი ფინანსიური მდგომარეობა არ შეირყეს ახალის ვალებისა და უნაყოფო ხარჯვისაგან... ამიტომაც სრულიად ბუნებრივია, რომ უცხო სახელმწიფოების პრესსა, პარლამენტები და მთავრობანი გულ მოდგინეთ ადევნებენ თვალ ყურს ჩვენ ეხლანდელ მდგომარეობასა და საქმეთა მსვლელობას; ისინი ელიან საჭირო ძირეულ რეფორმებს, რომ კრედიტი არ დაეკარგოს რუსეთს ევროპაში. „ტაიმს“-მა საქვეყნოდ გამოაცხადა: რუსეთი ერთობ ხშირად სესხულობს ფულს და ეს მოწმობს, რომ რუსეთის საფინანსო მდგომარეობა ცუდია; რუსეთი იმდენ სარგებელს იხდის აღებულ ვალებში, რომ ეს არ შეეფერება მისს საერთაშორისო სავაჭრო ბალანსს „საზღვარ გარედ იმდენი ვალი აქვს რუსეთს, რომ ხალხი ვერ აიტანს... რუსეთის ოქროს ფონდი გვაგონებს განთქმულ ემბერების შკაფს, რომლის მილიონები წინ დაუხედავ კლიენტების ფულიდან შესდგება.“

რედაქტორი ალ. ჭეონია.

გამომცემელი ალ. ჯაბადარი